

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

გიორგი კახიანი

საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი
ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში:
კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი
ავთანდილ დემეტრაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისი 2008

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	6
კარი I. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში – თეორიული და ისტორიული ასპექტები	12
თავი I. საკონსტიტუციო კონტროლის თეორიული ასპექტები	12
§ 1. კონსტიტუცია და მისი დაცვის პრობლემა.	12
§ 2. ტერმინთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.	14
§ 3. საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციები.	20
§ 4. საკონსტიტუციო კონტროლის ცნება	23
§ 5. საკონსტიტუციო კონტროლის სახეები	26
§ 6. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა კლასიფიკაცია	32
6.1. საკონსტიტუციო კონტროლის არასპეციალიზებული ორგანოები	33
ა) პარლამენტი	33
ბ) პრეზიდენტი	36
გ) საერთო იურისდიქციის სასამართლოები	37
6.2 საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოები	42
ა) საკონსტიტუციო სასამართლო	43
ბ) საკონსტიტუციო საბჭო	44
გ) საკონსტიტუციო რელიგიური საბჭო	45
6.3 საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები.	46
თავი II. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოს კანონმდებლობაში – ისტორიული ასპექტი და მოქმედი ნორმები	48
§ 1. კონსტიტუციურობისა და კანონიერების კონტროლის და ზედამხედველობის იდეები პირველ ქართულ კონსტიტუციაში	48
§ 2. საკონსტიტუციო კონტროლის თავისებურებები საბჭოთა სახელმწიფოში	56
§ 3. საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტი საქართველოს გარდამავალი პერიოდის კანონმდებლობაში	68
§ 4. საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი საქართველოს მოქმედი კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მიხედვით.	76

**კარი II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო –
საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანო 89**

**თავი I. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
სამართლებრივი ბუნება და ორგანიზაცია 89**

§ 1. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება 89

§ 2. საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაცია 91

2.1 სასამართლოს ფორმირების წესი და შემადგენლობა. 91

2.2 სასამართლოს სტრუქტურა. 97

**თავი II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსი 100**

§ 1. ცენზები 100

§ 2. უფლებამოსილების ვადა 103

§ 3. დამოუკიდებლობის გარანტიები 105

**თავი III. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
კომპეტენცია. 111**

§ 1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
უფლებამოსილებათა კლასიფიკაცია 112

§ 2. კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფასთან
დაკავშირებული უფლებამოსილებები 115

2.1 აბსტრაქტული ნორმატიული კონტროლი 116

ა) მატერიალური კონტროლის ობიექტები 117

ბ) ფორმალური კონტროლის ობიექტები 124

გ) სასამართლო პრაქტიკა 125

დ) საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის
უფლებამოსილების მქონე სუბიექტები 127

2.2 საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა
კონსტიტუციურობის შემოწმება 132

ა) პრევენციული კონტროლის ობიექტები 133

ბ) შემდგომი კონტროლის ობიექტები 134

§ 3. ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების
დაცვისაკენ მიმართული უფლებამოსილებები 134

3.1 საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის საკითხებთან
მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების
კონსტიტუციურობის საკითხი 134

ა) საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის
უფლებამოსილების მქონე სუბიექტები 135

ბ) მოთხოვნები კონსტიტუციური სარჩელის მიმართ	136
3.2 საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების განხილვა	138
ა) მოთხოვნები კონსტიტუციური წარდგინების მიმართ და პრაქტიკის ანალიზი	139
§ 4. კომპეტენციური და სხვა სახის დავების გადაჭრასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები	146
4.1 დავა სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციის თაობაზე	146
ა) კომპეტენციური დავები პორიზონტალურ ჭრილში	147
ბ) კომპეტენციური დავები ვერტიკალურ ჭრილში	148
გ) კომპეტენციური დავების გადაჭრის მნიშვნელობა.	149
დ) საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტები	151
ე) სასამართლო პრაქტიკა	152
4.2 დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე	154
ა) კონსტიტუციური კანონი, როგორც კონტროლის წყარო	154
ბ) კონტროლის სფერო	155
4.3 საქართველოს კონსტიტუციასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი	157
ა) კანონიერების კონტროლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში	158
ბ) კონტროლის ობიექტები	159
გ) საქართველოს პარლამენტი – კონსტიტუციური წარდგინების ერთადერთი სუბიექტი	159
§ 5. კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ქმედებათა კონსტიტუციურობის დამდგენი უფლებამოსილებები.	161
5.1 საქართველოს პრეზიდენტისა და ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი	161
ა) კონსტიტუციური სამართალდარღვევის სუბიექტი	165
ბ) კონსტიტუციური სამართალდარღვევის ობიექტი	167
გ) კონსტიტუციური სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე	169
დ) კონსტიტუციური სამართალდარღვევის ობიექტური მხარე	171
ე) გადაწყვეტილების საკონსულტაციო თუ დამდგენი ხასიათი	173
ვ) სასამართლო პრაქტიკა	173
5.2 მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი	174
ა) პოლიტიკური პარტიის შექმნა – საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი	177
ბ) პოლიტიკური პარტიის საქმიანობა – საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი	179
§ 6. წარმომადგენლობითი მმართველობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები	181
6.1 საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების	

ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი	181
ა) პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი	182
ბ) პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი	184
გ) ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი – საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი	186
დ) სასამართლო პრაქტიკა	187
6.2 რეფერენდუმსა და არჩევნებთან დაკავშირებული საკითხი	189

თავი IV. საკონსტიტუციო სამართალწარმოება საქართველოში. 193

§1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი 194

1.1 სამართალწარმოების სავალდებულო და ფაკულტატიური მონაწილენი	195
1.2 მხარეები საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში	197
ა) მოსარჩელე	198
ბ) მოპასუხე	202
1.3 მხარეთა წარმომადგენლები	206
1.4 მხარეთა ინტერესების დამცველნი	207
1.5 საკონსტიტუციო სამართალწარმოების სხვა მონაწილენი	207
ა) კონსტიტუციური წარდგინების ავტორი	208
ბ) თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს კონსტიტუციის დარღვევის საკითხს	209
გ) მოწმე	209
დ) ექსპერტი, სპეციალისტი	211
ე) თარჯიმანი	213

§ 2. საკონსტიტუციო სამართალწარმოების სტადიები 214

2.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა	215
2.2 კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების წინასწარი ფორმალური შემოწმება და რეგისტრაცია	219
2.3 კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტა	222
2.4 კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების არსებითად განსახილველად მომზადება	231
2.5 სასამართლო განხილვა	233
ა) სასამართლო განხილვის მოსამზადებელი ნაწილი	236
ბ) საქმის არსებითად განხილვა	237
გ) გადაწყვეტილების მიღება და გამოცხადება	237

დასკვნა 241

გამოყენებული ლიტერატურა. 269

შესავალი

კვლევის აქტუალობა. კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების ეფექტური რეალიზაცია ნებისმიერი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა. ამ მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის შესაბამისი მექანიზმების არსებობა. იურიდიულ ლიტერატურაში კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის სხვადასხვა მექანიზმზეა მითითებული,¹ თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ საერთო აზრის თანახმად, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ძირითადი ინსტიტუტი საკონსტიტუციო კონტროლია. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძირითადი კანონის სამართლებრივი დაცვის სფეროში სწორედ საკონსტიტუციო კონტროლი განაპირობებს აღნიშნული საქმიანობის მაქსიმალურ ეფექტურობას.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკონსტიტუციო კონტროლის მნიშვნელობაზე მიუთითებს და ცხადყოფს, რომ ამ ინსტიტუტის ეფექტური მოქმედება აუცილებელია ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში საკონსტიტუციო კონტროლის მნიშვნელობაზე არცთუ ისე ცოტა თქმულა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.² მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული მრავალი პრობლემატური საკითხი ან საერთოდ, ან სათანადოდ არ არის გამოკვლეული. ამასთან, საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი არ გამხდარა სადისერტაციო კვლევის ობიექტი.³ ამდენად, წინამდებარე ნაშრომი, საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის თემაზე შესრულებული პირველი სადისერტაციო ნაშრომი, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის სრული და კომპლექსური გამოკვლევის პირველი მცდელობაა.

კონსტიტუციურ-სამართლებრივ მეცნიერებაში საკონსტიტუციო კონტროლის თემატიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თეორიულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს, რამაც საფუძველი მოგვცა, კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ამ თეორიული საკითხების განხილვით და მათზე ჩვენი პოზიციების დაფიქსირებით დაგვეწყოს. ამ თვალსაზრისით, ნაშრომში გადმოცემულია ჩვენი შეხედულებები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციები, არსი, სახეები, სუბიექტები, მოდელეები. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ჩატარებული კვლევის საფუძველზე ვახდენთ საკონსტიტუციო

¹ იხ.: Droit constitutionnel, Eric Oliva, 5^e edition, 2006, 39; Овсянн Ж.И. Судебный конституционный контроль в зарубежных странах: правовая защита конституции. Ростов-на-Дону, 1992, с. 42; Шульженко Ю.Л., О понятии «правовая охрана конституции», журн. Государство и право, 2002, №7, с. 11; Общая теория государства и права, отв. ред. М.Н. Марченко, Т.3, М., 2002, с. 170.

² იხ.: ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007; ა. დემეტრაშვილი, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის გარანტია, ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია, 2000, №4, გვ. 202-207; ო. ბენიძე, კონსტიტუციის დაცვის განუხრელი გარანტი, ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია, 2001, №4, გვ. 9-13.

³ კვლევა ჩატარებულია 2009 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

კონტროლის ცნების ფორმულირებას, რაც აქამდე არ მომხდარა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ ტერმინთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზეც, როგორებიცაა: „საკონსტიტუციო კონტროლისა“ და „კონსტიტუციური კონტროლის“, ასევე, „საკონსტიტუციო კონტროლისა“ და „საკონსტიტუციო ზედამხედველობის“ ტერმინოლოგიური თანაფარდობა. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, ნათელს ხდის ჩვენს ხედვას საკონსტიტუციო კონტროლის სხვადასხვა თეორიულ საკითხთან მიმართებით, გარდა ამისა, იმასაც აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთ საკითხთან ჩვენი დამოკიდებულება და ხედვა განსხვავდება საქართველოში მათზე არსებული შეხედულებებისგან.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, საკონსტიტუციო კონტროლის გაგებაში, როგორც წესი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელებული საქმიანობა მოიაზრება და შეიძლება ითქვას, რომ ტერმინები „საკონსტიტუციო კონტროლი“ და „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“ (იუსტიცია) გაიგივებულია ერთმანეთთან. ამ ნაშრომში კი, საკონსტიტუციო კონტროლი უფრო ფართო ხედვით არის წარმოჩენილი, კერძოდ: საკონსტიტუციო კონტროლის გაგებაში სხვადასხვა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების ყველანაირი სამართლებრივი მექანიზმი მოიაზრება. ამგვარი მექანიზმებით კი, როგორც სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობების ანალიზი ცხადყოფს, საკონსტიტუციო სასამართლოს გარდა, სხვა სახელმწიფო ორგანოებიც არიან აღჭურვილნი, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია სხვადასხვა ფორმით, საკონსტიტუციო სასამართლოების გარდა, სხვა სახელმწიფო ორგანოებსაც აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში მოვახდენთ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა შესაბამისი ნიშნებით კლასიფიკაციას და ამ კლასიფიკაციის შესაბამისად ვიმსჯელებთ ყველა იმ სახელმწიფო ორგანოზე, რომელთაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ამა თუ იმ ფორმით საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებას ანიჭებს.

საქართველოში საკონსტიტუციო იუსტიციის წარმოშობა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღებას უკავშირდება. თუმცა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, საკონსტიტუციო კონტროლის გაგებაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების გარდა, კონსტიტუციურობაზე კონტროლის სხვა მექანიზმებიც უნდა მოიაზრობდეს. ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია ცხადყოფს, რომ კონსტიტუციურობის კონტროლთან დაკავშირებული ზოგიერთი მექანიზმი საქართველოს კანონმდებლობაში 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდეც იყო განმტკიცებული. მათი ანალიზი დღემდე არ გამხდარა მეცნიერული კვლევის ობიექტი. ამდენად, კვლევის სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მივიჩნით საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში არსებული ამ „ხარვეზის“ შევსება და კვლევის ერთი ნაწილი ისტორიული ასპექტის ანალიზს, ანუ ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობაზე კონტროლის მექანიზმების აღწერას და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას დაეუთმეთ.

ვინაიდან, ქართული კონსტიტუციონალიზმი 1918 წლიდან იღებს სათავეს, კვლევაც სწორედ ამ პერიოდის კანონმდებლობის განხილვით დავიწყეთ. ამდენად, მოცემული ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ მასში აღწერილია საქართველოში კონსტიტუციური რეჟიმის დამკვიდრებიდან დღემდე კანონმდებლობაში რეგლამენტირებული კონსტიტუციურობის კონტროლის ელემენტების შემცველი ყველა მექანიზმი და გაანალიზებულია ყველა სამართლებრივი ნორმა, რომლებიც ჩვენი კონსტიტუციონალიზმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით აღჭურავდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 1918-21 წლების საქართველოს კანონმდებლობას. ასევე, განხილული და გაანალიზებულია საბჭოთა და „გარდამავალი“ პერიოდის საქართველოს კანონმდებლობაში განმტკიცებული ის ნორმები, რომლებიც სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობაზე კონტროლის განხორციელებას ითვალისწინებდნენ.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მისი ფუნქციონირების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით ზოგიერთი სხვა ორგანოც სარგებლობს, თუმცა მთავარი როლი ამ სფეროში საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებულ ორგანოს, ეკუთვნის. თეორიულად ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციონირების პრობლემები შესაძლოა, ამ ორგანოს სტატუსთან, ფორმირებასთან, უფლებამოსილებების რეალიზებასთან, ან თუნდაც, საქმიანობის წესთანაც იყოს დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, კვლევის სისრულის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოგვეხდინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრული ანალიზი. კერძოდ, ნაშრომში განვიხილავთ საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებასა და სტრუქტურასთან, მოსამართლეთა სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს და ვაკეთებთ შესაბამის დასკვნებს. განსაკუთრებული ყურადღება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების ანალიზს აქვს დათმობილი. სიახლეა ის, რომ სადისერტაციო ნაშრომში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები კლასიფიცირებულია სხვადასხვა ჯგუფად და, ამ კლასიფიკაციის შესაბამისად, დაწვრილებით არის განხილული საკონსტიტუციო სასამართლოს თითოეული უფლებამოსილება. წარმოჩენილია ჩვენი დასკვნები ამ უფლებამოსილებების რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე და მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. ამასთან, თითოეული უფლებამოსილების ფარგლებში (გარდა „პირის კონსტიტუციურ სარჩელებთან“ დაკავშირებული უფლებამოსილებისა) სრულად არის გაანალიზებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. ამ მიზნით, ნაშრომში მოყვანილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მრავალი გადაწყვეტილება.

საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურ ფუნქციონირებას პრობლემები შესაძლოა მისი საქმიანობის წესის გაუმართაობამაც შეუქმნას. ამიტომ დისერტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემატური

საკითხის კვლევას აქვს დათმობილი. ნაშრომში დაფიქსირებულია მრავალი ხარვეზი და კოლიზია, რომლებიც, ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს. შესაბამისი ანალიზის საფუძველზე ვცდილობთ არსებულ პრობლემათა არსში წვდომას, ვაკეთებთ დასკვნებს და ვიძლევიან მრავალ რეკომენდაციას, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და შეუსაბამობების გამოსწორების, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის გაუმჯობესებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

აღსანიშნავია ისიც, რომ სადისერტაციო ნაშრომი მდიდარია ბიბლიოგრაფიული მასალით. მასში თითქმის სრულად არის წარმოდგენილი ქართულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში საკონსტიტუციო კონტროლის საკითხებზე არსებული წყაროები. გამოყენებულია რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე არსებული უცხოელ ავტორთა ნაშრომები, ასევე, კვლევაში გამოყენებულია ოთხმოცზე მეტი კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტი.

კვლევის მიზანი. სადისერტაციო კვლევის მიზანია საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსური გამოკვლევა, რაც, ერთი მხრივ, საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის წარმოშობასთან და, მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვით, ანალიზით, შესაბამისი დასკვნების გაკეთებითა და რეკომენდაციების შემუშავებით გამოიხატება. ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია:

1) უპირველეს ყოვლისა, ზოგადად საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული თეორიული საკითხების ანალიზი და ჩვენი პოზიციების დაფიქსირება ისეთ თემებზე როგორებიცაა: საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციები, არსი, ცნება, სახეები, სუბიექტები, მოდელეები, ტერმინთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. ეს საშუალებას მოგვცემს, წარმოვაჩინოთ საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან თეორიულ საკითხთა ჩვენეული ხედვა, რაც უნდა გახდეს კვლევის წარმართვის ამოსავალი წერტილი;

2) საქართველოს კანონმდებლობის განხილვა, დაწყებული საქართველოში კონსტიტუციური რეჟიმის დამკვიდრებიდან დღემდე, მასში საკონსტიტუციო კონტროლის ელემენტებისა თუ მექანიზმების შემცველი დებულებების წარმოჩენისა და ანალიზის თვალსაზრისით. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის განვითარების დაყოფა ოთხ ეტაპად: ა) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი – 1918-1921 წლები, ბ) „საბჭოთა საქართველოს“ პერიოდი – 1922 წლიდან 80-იანი წლების ბოლომდე, გ) ე.წ. გარდამავალი პერიოდი – 1980-იანი წლების ბოლოდან 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე და დ) მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე პერიოდი;

3) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან, კერძოდ კი, საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებასა და სტრუქტურასთან, მოსამართლეთა სამართლებრივ სტატუსთან, უფლებამოსილებებთან და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი. ეს საშუალებას მოგვცემს, უპირველეს ყოვლისა,

გამოვავლინოთ საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები, ხოლო შემდეგ გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები და გავცეთ რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საკონსტიტუციო კონტროლი საკმაოდ რთული და არაორდინარული ინსტიტუტია. ამიტომ მისი კვლევა მეცნიერული შემეცნების სხვადასხვა მეთოდითაა მიზანშეწონილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევა ჩატარებულია მეცნიერული შემეცნების დიალექტიკური, ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და ანალიტიკური მეთოდებით.

დისერტაციის სტრუქტურის აღწერა. დისერტაცია შედგება შესავლის, 2 კარის, 6 თავის, 23 პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. მისი სტრუქტურა გამომდინარეობს კვლევის მიზნიდან.

პირველი კარი, რომლის სათაურია „საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში – თეორიული და ისტორიული ასპექტები“, მოიცავს ორ თავს. მათგან პირველი – „საკონსტიტუციო კონტროლის თეორიული ასპექტები“ – საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული თეორიული საკითხების ანალიზს აქვს დათმობილი, რომელთა განხილვა, მიზანშეწონილობის მიხედვით, საქართველოსთან კავშირში ხდება. ამ თავში ჩვენი შეხედულებებია გადმოცემული ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კონსტიტუციაა და მისი დაცვის პრობლემა, საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციები, ცნება, სახეები, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა კლასიფიკაცია, ტერმინთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ. ეს წარმოაჩენს ჩვენს შეხედულებებს საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან თეორიულ საკითხებზე, რასაც ეფუძნება წინამდებარე ნაშრომი. მეორე თავში – „საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოს კანონმდებლობაში – ისტორიული ასპექტი და მოქმედი ნორმები“, საკონსტიტუციო კონტროლის ელემენტების თუ მექანიზმების შემცველი დებულებების წარმოჩენისა და ანალიზის თვალსაზრისით, განხილულია საქართველოს კანონმდებლობა, დაწესებული საქართველოში კონსტიტუციური რეჟიმის დამკვიდრებიდან დღემდე. აღნიშნული პერიოდი დაყოფილია ოთხ ეტაპად: ა) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდად (1918-1921 წლები), ბ) „საბჭოთა საქართველოს“ პერიოდად (1922 წლიდან 80-იანი წლების ბოლომდე), გ) ე.წ. გარდამავალ პერიოდად (1980-იანი წლების ბოლოდან 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე) და დ) მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე პერიოდად. შესაბამისად, ეს თავი შედგება ოთხი პარაგრაფისგან, რომლებშიც მითითებული თანმიმდევრობით ვიკვლევთ ამ პერიოდების საქართველოს კანონმდებლობებს.

მეორე კარი მთლიანად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებულ ორგანოს, აქვს დათმობილი. იგი შედგება ოთხი პარაგრაფისგან. კერძოდ: 1) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და ორგანიზაცია, 2) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსი, 3) საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, 4) საკონსტიტუციო სამართალწარმოება საქართველოში.

დაბოლოს, დასკვნაში ვაჯამებთ კვლევის შედეგებს, ვაკეთებთ დასკვნებს და ვიძლევიტ შესაბამის რეკომენდაციებს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და შეუსაბამობების გამოსწორების, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის გაუმჯობესებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

კარი I. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში – თეორიული და ისტორიული ასპექტები

თავი I. საკონსტიტუციო კონტროლის თეორიული ასპექტები

§1. კონსტიტუცია და მისი დაცვის პრობლემა

კონსტიტუცია სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი და პოლიტიკური დოკუმენტია. მისი ნორმები სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებს. კონსტიტუციებში განმტკიცებულია სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი პრინციპები, განსაზღვრულია პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობა, სახელმწიფოს მმართველობისა და წყობილების ფორმა, სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, მათი ფორმირებისა და ფუნქციონირების წესი. ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ კონსტიტუციას ქვეყნისა და საზოგადოების ძირითად კანონს უწოდებენ.

საკანონმდებლო აქტების იერარქიაში კონსტიტუცია უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტია. ყველა სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის პრინციპებსა და მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მოქმედი სამართლებრივი აქტები არ შეესაბამება კონსტიტუციურ ნორმებს. ყოველივე ეს, ცხადია, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებს.

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, – რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სრული გარანტირება და ხელშეუხებლობა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაცია, საზოგადოებაში დემოკრატიულობისა და კონსტიტუციურობის რეჟიმის დამკვიდრება და შენარჩუნება, – ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა. ამ მიზნების მისაღწევად კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ეფექტური სისტემის არსებობა აუცილებელია.

კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოთქვამდა მოსაზრებას ვენის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი ჰანს კელზენი. იგი თვლიდა, რომ, კონსტიტუციის, ვინაიდან იგი არის სახელმწიფოს უმთავრესი და ძირითადი კანონი, რომლის შინაარსიდანაც გამომდინარეობს ყველა სხვა კანონი, სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია კონტროლის განსაკუთრებული სისტემის, – დაცვის კონკრეტული გარანტიების არსებობა.¹

ყოველივე ზემოთქმული ბადებს კითხვას – რას ნიშნავს კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა? სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ცნების მრავალი განსაზღვრება არსებობს. ასე მაგალითად, რუსი მეცნიერი მ. შარიფი კონსტიტუციის სამართლებრივ დაცვაში გულისხმობს მთელი რიგი იურიდიული მექანიზმების არსებობას, რომელთა დახმარებითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს კონსტიტუციურ

¹ იხ. Kelsen H., La garantie juridictionnelle de la Constitution, Revue du droit public et de la science politique en France, P., 1928, №2, p. 198.

ნორმათა შესრულებას და კონსტიტუციური კანონიერების რეჟიმის დაცვას.¹ ტ. საბრძოლველად აზრით, კონსტიტუციის დაცვა, ფართო გაგებით, არის აუცილებელი პირობების შექმნა, შესაბამისი გარანტიების განვითარება და სახელმწიფო-სამართლებრივი საშუალებებისა და მეთოდების სრულყოფა კონსტიტუციური ნორმების მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით.² არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა გულისხმობს იმ საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომელთა დახმარებითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონსტიტუციური კანონიერების რეჟიმის დაცვა, სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობა და იმ პრინციპის დაცვა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი კონსტიტუციასთან შეუსაბამო სამართლებრივი აქტი უნდა გაუქმდეს.³ ყურადღებას იმსახურებს რუსი მეცნიერის, ვ. სივიცკის, მოსაზრებაც, რომელიც აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის დაცვა, ამ ტერმინის ფართო გაგებით, – ეს არის სამართლის ყველა სუბიექტის საქმიანობა, მიმართული საზოგადოებრივ ურთიერთობებში კონსტიტუციურ ნორმათა რეალიზაციის უზრუნველყოფისაკენ, ხოლო ვიწრო გაგებით, კონსტიტუციის დაცვა – ეს არის ერთობლიობა იმ საშუალებებისა და მეთოდებისა, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მათი განსაკუთრებული ფუნქციის სახით, უზრუნველყოფს კონსტიტუციურ დებულებათა მკაცრ შესრულებას.⁴ გვინდა, აგრეთვე, აღვნიშნოთ, რუსი მეცნიერის, ი. შულჟენკოს, მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა – ეს არის სამართლებრივი საშუალებებით საზოგადოებაში კონსტიტუციის უზენაესობისა და უმაღლესი იურიდიული ძალის უზრუნველყოფისაკენ, აგრეთვე მისი განუხრელი დაცვისაკენ მიმართული საქმიანობა.⁵

ჩვენი აზრით, ზემოთ მოხსენიებული განმარტებების სიმრავლე ნათლად წარმოაჩენს კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის პრობლემით მეცნიერ-იურისტთა განსაკუთრებულ დაინტერესებას. მართალია, ისინი მეტ-ნაკლები სიზუსტით გამოირჩევიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ეს განმარტებები არათუ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ კიდევ ერთმანეთს და ერთი და იმავე საკითხის გარშემო განსხვავებული თვალთახედვის წარმოჩენით სრულ წარმოდგენას ქმნიან კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის არსზე.

კონსტიტუციის დაცვა და მის ნორმათა შესრულება ყველა სახელმწიფო ორგანოსა თუ თანამდებობის პირის ვალდებულებაა. ამ მხრივ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს: სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტს, მთავრობას, საერთო და სპეციალიზებულ სასამართლოებს.

¹ იხ. Шариф М.А., О правовой охране Конституции, Теоретические вопросы реализации Советской Конституции, М., 1982, с. 58.

² იხ. Хабриева Т.Я., Правовая охрана Конституции, Казань, 1995, с. 15.

³ იხ. Конституционное право зарубежных стран, Под. общей ред.: М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, М., 2002, с. 73.

⁴ იხ. Автономов А.С., Сивицкий В.А., Черкасов А.И., Конституционное (государственное) право зарубежных стран, М., 2003, с. 53.

⁵ იხ. Конституционный строй России (выпуск четвёртый), отв. ред. Ю.Л. Шульженко, А.Н. Лебедев, М., 2003, с. 4.

კონსტიტუციის დაცვას ისინი განსხვავებული სამართლებრივი მექანიზმებით ახორციელებენ. იურიდიულ ლიტერატურაში კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის სხვადასხვა მექანიზმია განხილული,¹ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, საერთო აზრის თანახმად, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ძირითად ინსტიტუტად საკონსტიტუციო კონტროლია მიჩნეული. მსოფლიო გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ ძირითადი კანონის სამართლებრივი დაცვის სფეროში სწორედ საკონსტიტუციო კონტროლი განაპირობებს აღნიშნული საქმიანობის მაქსიმალურ ეფექტურობას. ნიშანდობლივია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში მე-20 საუკუნე საკონსტიტუციო კონტროლის ეპოქად არის მიჩნეული.²

§2. ტერმინთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

ვიდრე საკონსტიტუციო კონტროლის თავისებურებების თეორიულ ანალიზს მოვახდენთ, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ისეთ საკითხზე, როგორც არის „საკონსტიტუციო კონტროლისა“ და „კონსტიტუციური კონტროლის“ ტერმინოლოგიური თანაფარდობა. საქმე ისაა, რომ ხშირ შემთხვევაში ქართულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში ორივე ტერმინი ერთი მნიშვნელობით იხმარება და ერთმანეთის იდენტურად აღიქმება. ხშირად, ერთ ტექსტშიც კი, ეს ტერმინები როგორც ტოლფასოვანი ცნებები ისე მონაცვლეობენ. ამასთან, ამ ტერმინებში, როგორც წესი, საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად შექმნილი სპეციალიზებული ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა მოიაზრება. ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არასწორია და იგი დაზუსტებას საჭიროებს.

მართალია, სემანტიკური თვალსაზრისით ძნელია ამ ორ ტერმინს შორის რაიმე შინაარსობრივი განსხვავების პოვნა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით მათ შეიძლება განსხვავებული დატვირთვა მიეცეს. ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ ო. მელქაძის აზრს, რომელიც ამ ორ ტერმინს არ აიგივებს ერთმანეთთან და აღნიშნავს, რომ „კონსტიტუციურ კონტროლში“ იგულისხმება კონსტიტუციით დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის სახეები და შესაბამისი ინსტიტუტები. ამდენად, აღნიშნული ტერმინი ერთდროულად მოიცავს სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ საპარლამენტო, სამთავრობო და სასამართლო კონტროლს. თავისთავად ცხადია, ამ რიგში იგულისხმება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაწეული საკონტროლო საქმიანობაც. რაც შეეხება „საკონსტიტუციო კონტროლს“, იგი კონტროლის იმ სფეროს მოიცავს, რომელიც საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ხელისუფლების ორგანოების ქმედებათა

¹ იხ.: Droit constitutionnel, Eric Oliva, 5^e edition, 2006, 39; Шариф М.А., О правовой охране Конституции, Теоретические вопросы реализации Советской Конституции, М., 1982, с. 59; Овсепян Ж.И., Судебный конституционный контроль в зарубежных странах: правовая защита конституции, Ростовнадону, 1992, с. 42; Шульженко Ю.Л., О понятии «правовая охрана конституции», журн. Государство и право, 2002, №7, с. 11; Общая теория государства и права, Отв. ред. М.Н. Марченко, Т.3, М., 2002, с. 170.

² იხ.: Marcou J. Justice constitutionnelle et systèmes politiques, Presse Universitaires de Grenoble, 1997, p. 5; Rousseau D. La justice constitutionnelle en Europe, 3-e éd., 1998, p. 9.

კონსტიტუციასთან შესაბამისობას ისახავს მიზნად.¹ ამდენად, მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციური კონტროლი უფრო ფართო ცნებაა და იგი კონსტიტუციით დადგენილ ყველა სახის კონტროლს მოიცავს, მათ შორის საკონსტიტუციო კონტროლსაც. ეს უკანასკნელი კი, ზოგადად რომ ვთქვათ, ნორმატიულ აქტთა კონსტიტუციურობაზე კონტროლსა და მის განმახორციელებელ ინსტიტუტებს მოიცავს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა ტერმინ „საკონსტიტუციო კონტროლს“ ამკვიდრებს.

ტერმინი „საკონსტიტუციო კონტროლი“ იშვიათად გამოიყენება საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებში. ამ ტერმინით, მცირე გამოწვევის გარდა, პრაქტიკულად, არსად შემოიფარგლება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. მთელ რიგ ქვეყნებში სხვა სიტყვათწყობას იყენებენ. მაგალითად: უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 32/ა პარაგრაფის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო აკონტროლებს სამართლის ნორმათა კონსტიტუციურობას;² ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 81-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო არის კონსტიტუციურობის დაცვის სასამართლო ორგანო;³ ავსტრიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 140-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საქმეებს ფედერაციისა და მიწების კანონების არაკონსტიტუციურობის შესახებ⁴ და ა.შ.

ტერმინი „საკონსტიტუციო კონტროლი“ არ იხმარება არც საფრანგეთის კანონმდებლობაში. მაგალითად, კონსტიტუციის 61-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანული კანონის პრომულგირებამდე საკონსტიტუციო საბჭო გამოთქვამს მოსაზრებას მის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ.⁵ თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად იხმარება „საკონსტიტუციო კონტროლის“ თითქმის იდენტური ტერმინი – „le contrôle de la constitutionnalité“,⁶ რაც, სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, „კონსტიტუციურობის კონტროლს“ ნიშნავს.

აშშ-ში „საკონსტიტუციო კონტროლის“ ტოლფასი ტერმინია „judicial review“, რაც ითარგმნება როგორც სასამართლო კონტროლი, სასამართლო ზედამხედველობა, სასამართლო გადახედვა.⁷ ამას საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელის წარმოშობისა და განხორციელების თავისებურებები განაპირობებს. როგორც ცნობილია აშშ-ში საკონსტიტუციო კონტროლს საერთო იურისდიქციის

¹ იხ. ო. მელქაძე, „საკონსტიტუციო კონტროლი“ – ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია, 1998, №1, გვ. 19-20.

² იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), Под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.1, с. 550.

³ იხ. იქვე, ტ. 3, გვ. 513.

⁴ იხ. იქვე, ტ. 1, გვ. 101.

⁵ იხ. იქვე, ტ. 3, გვ. 424.

⁶ იხ.: Bonnet J., Le juge ordinaire français et le contrôle de la constitutionnalité des lois, Analyse critique d' un refus, ed. Dalloz, 2009; Roblot-Troizier A., Contrôle de constitutionnalité et normes visées par la Constitution française, Recherches sur la constitutionnalité par renvoi, ed. Dalloz, 2006; Lavroff D., Le système politique français, La V République, quatrième édition, Dalloz, Paris, 1986, p. 237-280.

⁷ იხ.: English-Russian comprehensive law dictionary, first edition, Mamulyan A., Kashkin S., M., 1993, p. 322; English-Russian law dictionary, 3rd revised edition, Andrianov S.N., Berson A.S., Nikiforov A.S., M., 2000, p. 382;

სასამართლოები ახორციელებენ.¹ ამერიკულ ლიტერატურაში ტერმინი „judicial review“ განიხილება როგორც დოქტრინა, რომლის თანახმადაც, სასამართლოები უფლებამოსილი არიან, გადახედონ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების აქტებს და კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში ისინი ბათილად ცნონ.²

ზემოაღნიშნული ტერმინი იშვიათად გამოიყენება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების კანონმდებლობებშიც. როგორც ცნობილია, ამ სახელმწიფოთა ძირითადი კანონებით გათვალისწინებულია საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალიზებული ორგანოების დაფუძნება (გამონაკლისია თურქმენეთი), როგორებიცაა: საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო საბჭო (ყაზახეთი), სახელმწიფო სასამართლო (ესტონეთი), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფოთა რიცხვში მხოლოდ საქართველოსა და რუსეთის კანონმდებლობებში ვხვდებით ტერმინს – „საკონსტიტუციო კონტროლი“ (конституционный контроль). ასე მაგალითად, „რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ რუსეთის ფედერალური კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სასამართლო ორგანო (1-ლი მუხლი).³ რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფოთა კანონმდებლობებს, მათში აღნიშნული ტერმინი სხვადასხვა სიტყვათშეწყობით იხმარება. მაგალითად, ბელორუსიაში – „ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლი“;⁴ მოლდავეთში – „კანონების კონსტიტუციურობის კონტროლი“;⁵ ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში – „კონსტიტუციის დაცვა“;⁶ უკრაინასა და ლატვიაში – „კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობა (კონსტიტუციურობა)“;⁷ ესტონეთში – „კონსტიტუციური ზედამხედველობა“⁸ და ა.შ.

ქართულ კანონმდებლობაში ტერმინი „საკონსტიტუციო კონტროლი“ ფართოდ არის გამოყენებული. პირველად იგი გაჩნდა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, რომლის 83-ე მუხლი განამტკიცებდა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო.⁹ შემდგომში აღნიშნული ტერმინი აისახა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 1996 წლის 31 იანვარს მიღებულ ორგანულ კანონშიც.¹⁰

საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციებში ეს ტერმინი არ გამოიყენებოდა. მათში ყურადღება გამახვილებული იყო „კონსტიტუციის შესრულების (დაცვის) კონტროლზე“. ასე, მაგალითად,

¹ საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკულ მოდელს შემდეგ პარაგრაფში განვიხილავთ.

² იხ. Black's Law Dictionary, Eighth edition, editor in chief Bryan A. Garner, 2007, p. 864.

³ იხ. Хрестоматия по российскому конституционному праву, составитель Е.М. Ковешников, М., 2001, с. 669.

⁴ იხ. Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии (Сборник нормативных актов), Отв. ред. М.А. Митюков, М., 1998, с. 224, 226.

⁵ იხ. იქვე, გვ. 431, 435.

⁶ იხ. იქვე, გვ. 398, 401, 579.

⁷ იხ. იქვე, გვ. 627, 703, 704.

⁸ იხ. იქვე, გვ. 774.

⁹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, პასუხისმგ. ჯ. ხეცურიანი, თბ., 2002, გვ. 34.

¹⁰ იხ. იქვე, გვ. 45.

საქართველოს სსრ-ის 1937 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით იღებდა საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციას და ახორციელებდა მისი შესრულების კონტროლს.¹ საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის 115-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კონტროლს უწევდა საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის დაცვას.² ამავე კონსტიტუციებში მითითებული იყო ამგვარი კონტროლის შედეგად ასამოქმედებელი კონკრეტული სანქციები. მაგალითად, საქართველოს სსრ-ის 1927 წლის კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად, ცაკ-ის პრეზიდიუმს უფლება ჰქონდა, შეეჩერებინა და გაეუქმებინა სახალხო კომისართა საბჭოსა და რესპუბლიკის სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა დადგენილებანი და განკარგულებანი.³

განვიხილავთ ასევე საკითხს „საკონსტიტუციო კონტროლისა“ და „საკონსტიტუციო ზედამხედველობის“ ტერმინოლოგიური თანაფარდობის შესახებ. იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხის გარშემო განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზოგი მეცნიერი აღნიშნულ ტერმინებს ერთმანეთის იდენტურად მიიჩნევს,⁴ ზოგი კი განასხვავებს მათ და მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო კონტროლსა და საკონსტიტუციო ზედამხედველობას განსხვავებული შინაარსი აქვთ.⁵ ჩვენ ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვიზიარებთ და ვთვლით, რომ საკონსტიტუციო კონტროლი უნდა განვასხვავოთ საკონსტიტუციო ზედამხედველობისაგან.

თუ სიტყვებს – „კონტროლი“ და „ზედამხედველობა“ – სემანტიკური თვალსაზრისით შევადარებთ ერთმანეთს, დავრწმუნდებით, რომ ამ მხრივ ამ ორი სიტყვის შინაარსს შორის მართლაც არ არსებობს დიდი განსხვავება. ასე მაგალითად, „კონტროლი“ ნიშნავს ზედამხედველობას, მეთვალყურეობას რაიმეს შემოწმების მიზნით,⁶ ხოლო „ზედამხედველობა“ – ეს არის მეთვალყურეობა, თვალყურის დევნება.⁷ მართლაც, საკონსტიტუციო კონტროლსა და საკონსტიტუციო

¹ იხ. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბ., 1983, გვ. 135.

² იხ. იქვე, გვ. 200.

³ იხ. იქვე, გვ. 108.

⁴ იხ.: Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах, М., 1968, с. 7; Ильинский И.П., Щетинин Б.В., Конституционный контроль и охрана конституционной законности в социалистических странах, журн. Советское государство и право, 1969, №9, с. 42.

⁵ იხ.: ო.მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბ., 2005, გვ. 373; პ. ცნობილაძე, კონსტიტუციური კონტროლი და კონსტიტუციური ზედამხედველობა, ჟურნ. სამართალი, 1992, №1, გვ. 23-24; Хабриева Т.Я., Правовая охрана Конституции, Казань, 1995, с. 24; Шульженко Ю.Л., Введение, Правовая охрана Конституции (сборник обзоров), Отв. ред. М.Г. Мойсеенко, М., 1991, с. 6; Коток В.Ф., Конституционная законность, конституционный надзор и конституционный контроль в СССР, Вопросы советского государственного (конституционного) права, Иркутск, 1971(72), Вып. 12, Ч. 2, Т. 81, с. 105-106; Алебастрова И.А., Конституционное (государственное) право зарубежных стран, М., 2000, с. 25; Автономов А.С., Сивицкий В.А., Черкасов А.И., Конституционное (государственное) право зарубежных стран, М., 2003, с. 54; Маклаков В.В., Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах, М., 1988, с. 14.

⁶ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), მთავარი რედ.: არნ. ჩიქობავა, თბ., 1986, გვ. 268.

⁷ იხ. იქვე, გვ. 231.

ზედამხედველობას, როგორც კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ინსტიტუტებს, ბევრი მსგავსი ფუნქცია აქვთ. მაგალითად: სხვადასხვა სამართლებრივი აქტების შემოწმება, მათი კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობის დადგენა, შეუსაბამობის ფაქტების კონსტატაცია და მათი აღმოფხვრა, მონაწილეობა კონსტიტუციური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფაში, ხელისუფლების შტოთა ბალანსში შეკავებისა და გაწონასწორების როლის შესრულება და ა.შ., თუმცა მათ შორის არსებითი განსხვავებაც არსებობს. კერძოდ, დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოებს დარღვევებზე რეაგირების განსხვავებული უფლებამოსილებები აქვთ. საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოებს არა აქვთ კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმატიული აქტის გაუქმების უფლება, მათ შეუძლიათ მხოლოდ შეაჩერონ ამ აქტის მოქმედება, ან აქტის მიმღებ ორგანოს მიმართონ შეუსაბამობის აღმოფხვრის მოთხოვნით, შეუძლიათ ასევე, შესაბამისი ორგანოების ინფორმირება ამგვარი შეუსაბამობის არსებობის შესახებ და ა.შ. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებს კი აქვთ ზემოქმედების ეფექტური საშუალებები, უპირველეს ყოვლისა, უფლება – გააუქმონ კონსტიტუციასთან შეუსაბამო სამართლებრივი აქტები.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტების არსებობა მნიშვნელოვანწილად დამახასიათებელია სოციალისტური ტიპის სახელმწიფოებისთვის. ამასთან, ამ ფუნქციას, როგორც წესი, არასასამართლო ორგანოები ასრულებენ. მაგალითად, კუბის რესპუბლიკის კონსტიტუცია ამ უფლებამოსილებას სახელმწიფო საბჭოს ანიჭებს. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, შეაჩეროს მინისტრთა საბჭოსა და სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი კრებების ის რეზოლუციები და დადგენილებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას. აღნიშნულის თაობაზე იგი ატყობინებს სახალხო ხელისუფლების ეროვნულ კრებას, რომელიც ამ აქტებთან დაკავშირებით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას (90-ე მუხლი).¹ მსგავსი შინაარსის ნორმა საქართველოს სსრ-ის 1927 წლის კონსტიტუციაშიც იყო განმტკიცებული. სრულიად საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმი უფლებამოსილი იყო, შეეჩერებინა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საბჭოების ყრილობათა დადგენილებანი.²

საზედამხედველო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალიზებული ორგანოს – საქართველოს სსრ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის – შექმნა გაითვალისწინა საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციამ,³ მასში 1989 წლის 18 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად. კომიტეტი თვალყურს ადევნებდა ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და კანონების, საქართველოს სსრ-ისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე, რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების

¹ იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, პასუხისმგ. რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ., 2004, გვ. 196.

² კონსტიტუციის ტექსტი იხ. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), შემდგენელი გ. ერემოვი, თბ., 1983, გვ. 100-124.

³ კონსტიტუციის ტექსტი იხ. იქვე, გვ. 249-294.

გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობას. შეუსაბამობათა გამოვლენის შემთხვევაში კომიტეტი აქტის გამომცემ ორგანოს წინააღმდეგობის დასაძლევად უგზავნიდა თავის დასკვნას. კომიტეტის მიერ აღნიშნული დასკვნის გამოტანა ავტომატურად აჩერებდა არაკონსტიტუციური აქტის ან მისი ცალკეული დებულების მოქმედებას.¹

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტს არ აფუძნებს. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობის ტოლფასი ელემენტები მასში არის ჩადებული. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი სარეგებლობს ვეტოს უფლებით, ანუ მას შეუძლია, კანონპროექტი მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს. კანონმდებლობა არ აზუსტებს, რა საფუძვლით არის ეს შესაძლებელი. ამდენად, თეორიულად საქართველოს პრეზიდენტს კანონპროექტის კონსტიტუციურობის შემოწმებაც შეუძლია და შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ვეტოს უფლების გამოყენება არაკონსტიტუციურობის მოტივით. პრეზიდენტის ვეტო პარლამენტისთვის სავალდებულო ხასიათის არ არის. ხმათა უმრავლესობით პარლამენტს შეუძლია ვეტოს დაძლევა და კანონპროექტის მისთვის სასურველი რედაქციით მიღება. ამდენად, ვინაიდან ვეტოს გამოყენებით პრეზიდენტი მხოლოდ დროებით აჩერებს კანონპროექტის მიღებას, შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტის კონსტიტუციურობის შემოწმება ამ შემთხვევაში არა საკონტროლო, არამედ საზედამხედველო ბუნების მატარებელი პროცედურაა.

რაც შეეხება საკონსტიტუციო კონტროლს, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებს, როგორც აღვნიშნეთ, შეუძლიათ გააუქმონ კონსტიტუციასთან შეუსაბამო სამართლებრივი აქტები. ამ ფუნქციას საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო ასრულებს. კონსტიტუციის 83-ე მუხლის თანახმად, საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საკონსტიტუციო სასამართლო. იგი უფლებამოსილია, გააუქმოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო აქტი. კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი ფუნქციონირებს, ტერმინი „საკონსტიტუციო კონტროლი“ სხვადასხვა სიტყვათწყობით არის დამკვიდრებული და ეს ფაქტორი ამ სახელმწიფოების ისტორიული, პოლიტიკური თუ სამართლებრივი თავისებურებებით არის განპირობებული. ქართულ კანონმდებლობაში აღნიშნულმა ტერმინმა ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი, ამდენად, ჩვენი აზრით, საქართველოში მიზანშეწონილი უნდა იყოს, ტერმინი „საკონსტიტუციო კონტროლი“ განვასხვავოთ როგორც „კონსტიტუციური კონტროლისგან“, ასევე „საკონსტიტუციო ზედამხედველობისგან“. წინამდებარე ნაშრომში ამ ტერმინს სწორედ ასეთი მნიშვნელობით გამოვიყენებთ.

¹ 1989 წლის 18 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ იხ. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს სხდომები, მე-11 მოწვევის მე-12 სესია, 17-18 ნოემბერი, თბ., 1990, გვ. 335–358.

§3. საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციები

საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პროცესში წყდება მნიშვნელოვანი და კონკრეტული ამოცანების მთელი კომპლექსი. ამ ამოცანების მოცულობა და ჩამონათვალი განსხვავებულია სხვადასხვა სახელმწიფოში და ეს ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო-საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებებით არის განპირობებული. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ფართო ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელი საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა: *ეს არის სხვადასხვა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სათანადო ზომების გატარება კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მათ მოსაყვანად.* ჩვენი აზრით, სწორედ ეს ამოცანა განსაზღვრავს საკონსტიტუციო კონტროლის არსსა და შინაარსს, მის ძირითად დანიშნულებას, რადგან ამ ფუნქციის რეალიზებით საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები უზრუნველყოფენ სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორც არის კონსტიტუციის უზენაესობა.

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების შემდეგი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა *კომპეტენციური დავების განხილვა*, რაც, თავის მხრივ, უშუალო კავშირშია ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან. ხელისუფლების დანაწილება კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი პრინციპია, რომლის თანახმად, ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება განაწილებულია ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის. ამასთან, აღნიშნული პრინციპის ქმედითობის უზრუნველსაყოფად ხელისუფლების სამი განშტოების მხოლოდ დამოუკიდებლობა და შეუვალობა საკმარისი არ არის, აუცილებელია, სამივე აღჭურვილი იყოს ურთიერთკონტროლისა და ურთიერთბოჭვის პროცედურებით.¹ გამომდინარე აქედან, საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სწორედ ხელისუფლების შტოებს შორის შეკავება-გაწონასწორების რეჟიმის დაცვაა, რამაც უნდა უზრუნველყოს მათ შორის კომპეტენციური ბალანსი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელოვანი კომპონენტი სახელმწიფო ხელისუფლების არა მხოლოდ ჰორიზონტალურ, არამედ ვერტიკალურ დონეზე გამიჯვნა-გადანაწილებაა. შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები კომპეტენციურ დავებს არა მხოლოდ ჰორიზონტალურ, არამედ ვერტიკალურ ჭრილშიც განიხილავენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი როლი ფედერალურ სახელმწიფოში. როგორც ცნობილია, ფედერალურ სახელმწიფოებში საერთო ფედერალურ კონსტიტუციასთან, კანონებთან და სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად მოქმედებენ ფედერაციის სუბიექტთა კონსტიტუციები, კანონები და სამართლებრივი აქტები, ანუ ფედერალურ სახელმწიფოებში სამართლის სისტემის ორი – საერთო ფედერალური და ფედერაციის სუბიექტთა დონე ფუნქციონირებს. ბუნებრივია, ასეთ პირობებში აუცილებელია ისეთი მექანიზმის არსებობა,

¹ იხ. ს. ჯორბენაძე, რ. კნიპერი, ლ. ჭანტურია, სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994, გვ. 32.

რომელიც უზრუნველყოფს მთელი კანონმდებლობის ერთიანობას, სამართლებრივ აქტთა დადგენილი იერარქიის დაცვას, ფედერაციის სუბიექტთა სამართლის სისტემების შესაბამისობას საერთო ფედერალური სამართლის სისტემასთან. ამასთან, ფედერალურ სახელმწიფოებში ხშირია შემთხვევა, როდესაც წამოიჭრება სადავო საკითხები ფედერაციასა და მის სუბიექტებს ან თავად სუბიექტებს შორის. ეს შეიძლება ეხებოდეს ტერიტორიასთან დაკავშირებულ ან კომპეტენციათა გამიჯვნის ნიადაგზე წამოჭრილ დავებს. სწორედ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებს ეკისრებათ საგანგებო როლი აღნიშნული ამოცანების გადაჭრაში. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმი აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა საქმიანობაა.

ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო კონტროლის პირველი პრეცედენტი ფედერალურ სახელმწიფოში – აშშ-ში შეიქმნა,¹ შვეიცარიაში კი, საკონსტიტუციო კონტროლის დაფუძნება ამ სახელმწიფოს ფედერალურ მოწყობას უკავშირდება.² აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოებიდან საკონსტიტუციო კონტროლი პირველად ფედერაციულ სახელმწიფოებში წარმოიშვა (ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია)³. კომპეტენციური დავების გადაწყვეტის ფუნქცია ასევე მნიშვნელოვანია რეგიონალურ და ავტონომიური წარმონაქმნების მქონე სახელმწიფოებშიც (იტალია, ესპანეთი).

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების შემდეგი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი ატრიბუტის – *ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა*. განსაკუთრებულ როლს ამ საქმიანობაში საკონსტიტუციო სასამართლოები ასრულებს. მოქალაქეთა კონსტიტუციური სარჩელების განხილვის უფლებამოსილებით მსოფლიოს ოცდაათამდე სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოა აღჭურვილი. მათ რიცხვშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც. აღსანიშნავია, რომ, პრაქტიკის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება სწორედ პირთა კონსტიტუციური სარჩელების განხილვაა.

ზემოთ განხილულის გარდა, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები სხვა ფუნქციებსაც ითავსებენ. მათ პირობითად *კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე სადავო საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებული ფუნქციები* შეიძლება გუწოდოთ. ჩნდება კითხვა – რა შეიძლება ვიგულისხმოთ კონსტიტუციური მნიშვნელობის სადავო საკითხებში? ი. შულჟენკო აღნიშნავს, რომ ამგვარ სადავო საკითხებს გლობალური მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობისთვის, მისი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემებისთვის, ყოველი მოქალაქისთვის, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობისთვის.⁴ აღნიშნულს დავამატებთ იმას, რომ ამ საკითხების საკმაოდ მრავალფეროვანი

¹ იხ. Troper M., Marshall, Kelsen, Barak and the constitutionalist fallacy, Oxford University Press and New York University School of Law 2005, I-CON, Volum 3, Number 1, 2005, p. 24.

² იხ. Овсеян Ж.И., Судебный конституционный контроль в зарубежных странах, Правовая защита Конституции, Ростов, 1992, с.12.

³ იხ. იქვე, გვ. 12.

⁴ იხ. Шульженко Ю.Л., Конституционный контроль в России, М., 1995, с. 9-10.

ჩამონათვალი, როგორც წესი, მოცემულია კონსტიტუციებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში. მაგალითად: ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქმეებს პრეზიდენტისა და წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნების შედეგების გაპროტესტების თაობაზე;¹ პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალი განიხილავს საქმეებს პოლიტიკურ პარტიათა მიზნებისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის თაობაზე;² რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო იძლევა დასკვნას პრეზიდენტის მიმართ სამშობლოს დაღატაში ან სხვა მძიმე დანაშაულში ბრალდების წაყენების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი საიმპიჩმენტო პროცედურის დაცვის შესახებ.³

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ არსენალშიც არის ისეთი უფლებამოსილებები, რომლებსაც პირობითად კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე უფლებამოსილებები შეიძლება ვუწოდოთ. მაგალითად: პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის ან პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობის პირთა ქმედებების კონსტიტუციურობის შემოწმება, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვა.⁴

კონსტიტუციური მნიშვნელობის შეიძლება ვუწოდოთ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების უფლებამოსილებას, განმარტონ კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებები. ადრე ამგვარი უფლებამოსილებით, როგორც წესი, ქვეყნის პარლამენტი, ხოლო ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებში – მისი პრეზიდენტი სარგებლობდა. თუმცა მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოები შეიქმნა, აღნიშნული უფლებამოსილება მათ კომპეტენციაში გადავიდა. მიუხედავად ამისა, აქაც გარკვეული სპეციფიკურობა აღინიშნება. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოები ყველა სახელმწიფოში არ სარგებლობენ ამ უფლებამოსილებით. ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში ამგვარ უფლებამოსილებათა მოცულობა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. ასე მაგალითად: ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური ნორმების განმარტების უფლებამოსილება არა აქვს; უნგრეთში, ბულგარეთსა და რუსეთში კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოებს აღჭურავს უფლებით, განმარტონ კონსტიტუციის ნებისმიერი დებულება; გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს მხოლოდ კონსტიტუციის ზოგიერთ დებულებას; ხოლო უკრაინისა და აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლოები უფლებამოსილნი არიან, განმარტონ როგორც კონსტიტუციის, ასევე, კანონთა დებულებებიც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტების უფლებამოსილებით არ სარგებლობს.

მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოთა კონსტიტუციები და კანონები არაფერს ამბობენ

¹ კონსტიტუციების ტექსტი იხ.: Конституции государств Европы (в трёх томах), М., 2001, Т.1, с.103.

² იხ. იქვე, ტ.2, გვ.720.

³ იხ. იქვე, ტ.3, გვ.46.

⁴ დაწვრილებით ამ უფლებამოსილებებზე შემდეგ თავებში ვისაუბრებთ.

საკონსტიტუციო იურისდიქციის ორგანოების უფლებამოსილებაზე, განმარტონ კონსტიტუციური ან სამართლის სხვა ნორმები. მიუხედავად ამისა, იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ამ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო იურისდიქციის ორგანოები პრაქტიკულად მაინც ახორციელებენ კონსტიტუციურ ნორმათა კაზუალურ განმარტებას.¹ ეს განპირობებულია იმით, რომ თავიანთი უფლებამოსილებების რეალიზაციის პროცესში ისინი, როგორც წესი, იყენებენ ამა თუ იმ კონსტიტუციურ ნორმას და, შესაბამისად, განმარტავენ მათ. თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ ამგვარი განმარტება უნდა განვასხვავოთ ოფიციალური განმარტებისგან, რაც მხოლოდ განმარტების უფლების საკანონმდებლო რეგლამენტაციის შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს საკონსტიტუციო იურისდიქციის ორგანოს.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა ფუნქციები ოთხ ძირითად კატეგორიად შეიძლება დავყოთ:

- 1) *სხვადასხვა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სათანადო ზომების გატარება მათ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად;*
- 2) *კომპეტენციური დავების განხილვა;*
- 3) *ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა;*
- 4) *კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე სადავო საკითხების გადაწყვეტა.*

ამ ფუნქციების რეალიზებით საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები უზრუნველყოფენ სამართლებრივი სახელმწიფოს სამი ძირითადი კომპონენტის – კონსტიტუციის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილებისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ხელშეუვალობის პრინციპების² დაცვას. ცხადია, ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს საკონსტიტუციო კონტროლის მნიშვნელოვან როლზე სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში.

§4. საკონსტიტუციო კონტროლის ცნება

მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციები დავახასიათეთ, შესაძლებელია ამ ინსტიტუტის ცნების ჩამოყალიბებაც. იურიდიულ ლიტერატურაში მისი მრავალი განმარტება არსებობს. რუსი მეცნიერი მ. ნუდელი აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო კონტროლი არის კანონების შემოწმება მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.³ აღნიშნულ განმარტებაში ცხადად და მოკლედ არის გადმოცემული საკონსტიტუციო კონტროლის ზოგადი არსი, რაც კანონების კონსტიტუციურობის შემოწმებაში გამოიხატება. მსგავს განმარტებას გვთავაზობს რუსი მეცნიერი ტ. ნასიროვაც. იგი მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო კონტროლი არის კონსტიტუციასთან ნორმატიულ

¹ იხ.: Кряжков В.А., Лазарев Л.В., Конституционная юстиция в Российской Федерации, М., 1998, с. 38; Витрук Н.В., Конституционное правосудие, М., 1998, с. 190-191.

² იხ. Марченко М.Н., Теория государства и права, 2-е издание, М., 2003, с. 433-442.

³ იხ. Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах, М., 1968, с. 7.

აქტთა ადეკვატურობის შემოწმებისაკენ მიმართული საქმიანობა,¹ თუმცა, მ. ნუდელის განმარტებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტად არა მხოლოდ კანონები, არამედ სხვა ნორმატიული აქტებიც მოიაზრება. საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტთა წრე კიდევ უფრო განვრცობილია ვ. მაკლაკოვის განმარტებაში. ავტორი თვლის, რომ საკონსტიტუციო კონტროლი არის კანონმდებლობით დადგენილი, სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო პირების მიერ გამოცემული აქტების, სახელმწიფოს ძირითად კანონთან შესაბამისობაზე კონტროლის პროცედურა.² ამგვარ პოზიციას ჩვენ არ ვეთანხმებით, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ზოგადად, ნებისმიერი აქტის კონსტიტუციურობის საკითხი არ შეიძლება ამ დონეზე იქნეს განხილული. საკონსტიტუციო კონტროლი მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებზე ვრცელდება.

ზემოთ მითითებული განმარტებანი ზოგადად ასახავენ საკონსტიტუციო კონტროლის არსს, თუმცა ზოგი მეცნიერი საკონსტიტუციო კონტროლის ცნების განმარტებისას, იმავდროულად, მის მიზნებზეც საუბრობს. მაგალითად, ლ. ლაზარევი აღნიშნავს, რომ, პრაგმატული თვალსაზრისით, საკონსტიტუციო კონტროლი – ეს არის სამართლებრივი აქტებისა და ქმედებების შემოწმება და შეფასება მათი კონსტიტუციასთან შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლის არსი, მისი აზრით, კონსტიტუციის უზენაესობისა და მისი პირდაპირი მოქმედების უზრუნველყოფა, სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაა.³ რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლის, პროფესორ ნ. ვიტრუკის აზრით, საკონსტიტუციო კონტროლი საჯარო ხელისუფლების ორგანოთა სპეციფიკური ფუნქციაა, რომლის მეშვეობითაც ისინი უზრუნველყოფენ კონსტიტუციის უზენაესობას ნორმატიულ აქტთა სისტემაში, მის პირდაპირ და უშუალო მოქმედებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სუბიექტების საქმიანობაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.⁴

კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში საკონსტიტუციო კონტროლის ისეთი განმარტებაც არსებობს, სადაც მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის მიზნებზეა გამახვილებული ყურადღება. გერმანელი პროფესორი ა. ბლანკენაგელი აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო კონტროლი არის ხელისუფლების დანაწილებისა და კონსტიტუციური კონფლიქტების მოგვარებისაკენ მიმართული საქმიანობა.⁵ მიგვაჩნია, რომ ეს განმარტება, მნიშვნელოვანწილად, ფედერალური სახელმწიფოს თავისებურებებით არის განპირობებული, რადგან ამ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების

¹ იხ. Насырова Т.Я., Конституционный контроль, Казань, 1992, с. 15.

² იხ. Маклаков В.В., Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах, М., 1988, с. 13.

³ იხ. Кряжков В.А., Лазарев Л.В., Конституционная юстиция в Российской Федерации, М., 1998, с.11.

⁴ იხ. Витрук Н.В., Конституционное правосудие в России (1991-2001 гг.), Очерки теории и практики, М., 2001, с. 71.

⁵ იხ. Бланкенагель А., Теория и практика конституционного контроля в ФРГ, журн. Советское государство и право, 1989, №1.

ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია სწორედ კომპეტენციური დაგების გადაწყვეტაა. ამდენად, ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო კონტროლის ამგვარი განმარტება სრულად ვერ წარმოაჩენს ამ ინსტიტუტის არსსა და დანიშნულებას.

ამერიკულ დოქტრინაში საკონსტიტუციო კონტროლის ტოლფასი ტერმინი „judicial review“ განიმარტება როგორც სასამართლოს უფლება, შეაფასოს კონგრესის აქტების კონსტიტუციურ სტანდარტებთან შესაბამისობა და შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში არაკონსტიტუციურად გამოაცხადოს ისინი,¹ ან როგორც – ფედერალური დონის ან შტატების აქტების შემოწმებისა და კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში – მათი გაუქმების უფლებამოსილება.²

იურიდიულ ლიტერატურაში საკონსტიტუციო კონტროლის ისეთი განმარტებაც არსებობს, რომელშიც ამ ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებაზეა აქცენტი გამახვილებული. პროფესორი ი. შულჟენკო აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო კონტროლი არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობის შემოწმების, შეუსაბამობის გამოვლენის, კონსტატირებისა და აღმოფხვრის მიზნით, რომლის დროსაც ეს ორგანოები უფლებამოსილნი არიან, გააუქმონ გამოვლენილი შეუსაბამობანი.³ აღნიშნული განმარტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ, ზოგადად, საკონსტიტუციო კონტროლის არსი ნორმატიულ აქტთა კონსტიტუციურობის საკითხის დადგენაა. ამასთან, ამგვარი განმარტება წარმოაჩენს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების რთული ტექნოლოგიური ციკლის ყველა ძირითად სტადიას: 1) ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებას; 2) შეუსაბამობათა გამოვლენას; 3) შეუსაბამობათა კონსტატაციასა და 4) ნორმატიულ აქტთა კონსტიტუციასთან შეუსაბამობის აღმოფხვრას.

აღნიშნულ განმარტებაში გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ ამჟამად ზოგიერთ ქვეყანაში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებმა შეითავსა ნორმატიულ აქტთა არა მხოლოდ კონსტიტუციასთან, არამედ კანონებთან შესაბამისობის შემოწმების უფლებამოსილებაც. თუმცა ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, არ უნდა მივიჩნიოთ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებად, რადგან ამ შემთხვევაში ნორმატიული აქტების კანონიერების კონტროლთან გვაქვს საქმე, რასაც საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები ახორციელებს.

ყურადღებას გავამახვილებთ იმ გარემოებაზეც, რომ ი. შულჟენკოს განმარტებაში გადმოცემულია საკონსტიტუციო კონტროლის სპეციფიკაც, რაც საშუალებას იძლევა, განვასხვავოთ საკონსტიტუციო კონტროლი ძირითადი კანონის დაცვის სხვა ფორმებისგან. ასე მაგალითად, განმარტებაში ხაზგასმულია, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები უფლებამოსილნი არიან, გააუქმონ გამოვლენილი შეუსაბამობანი.

¹ იხ. Witt E., Congressional Quarterly's Guide to the U.S. Supreme Court, Second edition, Congressional Quarterly Inc., Washington, D.C., 1990, p. 69.

² იხ. Abernathy M., Glenn Civil Liberties under the Constitution, 5 th. ed., University of South Carolina Press, 1989, p. 37.

³ იხ. Шульженко Ю.Л., Конституционный контроль в России, М., 1995, с. 9.

ამდენად, ზემოთ მოხსენიებული განმარტებები ზოგიერთი ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისგან. მიუხედავად ამისა, ვთვლით, რომ ისინი ავსებენ ერთმანეთს და ნათელ წარმოდგენას ქმნიან საკონსტიტუციო კონტროლის არსზე. ამასთან, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საკონსტიტუციო კონტროლის განმარტება შეიძლება შემდეგი ფორმულით წარმოვადგინოთ:

საკონსტიტუციო კონტროლი არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა, ერთი მხრივ, ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, როდესაც ეს ორგანოები უფლებამოსილნი არიან, გააუქმონ გამოვლენილი შეუსაბამობანი და, მეორე მხრივ, კონსტიტუციური ნორმების აღსრულებისას წარმოქმნილი კომპეტენციური და კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე სხვა სადავო საკითხების გადაჭრის მიზნით, როდესაც გარანტირებულია კონსტიტუციის უზენაესობა, ხელისუფლების შტოებს შორის წინასწრობა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

§5. საკონსტიტუციო კონტროლის სახეები

სხვადასხვა ქვეყანაში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი არაერთგვაროვანია. თითქმის ყველა სახელმწიფოში იგი თავისებურებებით ხასიათდება, რადგან განსხვავდება საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების ფორმები და პროცედურები. მიუხედავად ამისა, მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით მაინც არის შესაძლებელი. ეს საშუალებას იძლევა სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტებისათვის დამახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები გამოვავლინოთ.

1) დროში განხორციელების მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს *წინასწარი (პრევენციული)* ან *შემდგომი (რეპრესიული)*.

წინასწარია კონტროლი, როდესაც სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება ხდება მის ძალაში შესვლამდე, ხოლო შემდგომ კონტროლს ადგილი აქვს, როდესაც საკითხი ამა თუ იმ აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე განიხილება ამ აქტის ძალაში შესვლის შემდეგ. კონტროლის ამ ფორმებს აქვთ როგორც დადებითი ასევე, უარყოფითი მხარეები. წინასწარი კონტროლის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი ფაქტობრივად, სადავო სამართლებრივი აქტის პროექტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების საშუალებას იძლევა, რაც ცხადია ამცირებს ალბათობას, რომ უკვე ძალაში შესული აქტი კონსტიტუციასთან შეუსაბამო რაიმე დებულებებს შეიცავდეს. ეს, თავის მხრივ, ხსნის კანონქვემდებარე აქტების შემდგომი გაუქმების პრობლემასაც, რასაც, როგორც წესი, ადგილი აქვს შემდგომი კონტროლის პირობებში კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში. თუმცა, წინასწარ საკონსტიტუციო კონტროლს ერთგვარი ნაკლიც აქვს. კერძოდ, ის, რომ კონტროლის ამ ფორმის განხორციელების შემთხვევაში, კონტროლის ორგანო იძულებულია იმსჯელოს იმ აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში და შესაბამისად, არც ამ აქტის მოქმედებით გამომდინარე მოსალოდნელი შედეგები არის მისთვის ცნობილი, ანუ არ

არსებობს პრაქტიკიდან მიღებული ინფორმაცია ამ აქტის რეალიზაციის შედეგების თაობაზე.

წინასწარი კონტროლის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს შესაბამისი საქმიანობა, რომელსაც შეუძლია საკანონმდებლო პროცესში ჩართვა მის სხვადასხვა სტადიაზე. მსგავსი პრაქტიკა არსებობს პორტუგალიაშიც, სადაც პრეზიდენტს გააჩნია უფლებამოსილება კანონის ხელმოწერამდე მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ აქტის კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევის მოთხოვნით. თუ სასამართლო დაადგენს, რომ კანონის დებულებები არაკონსტიტუციურია, პრეზიდენტი ვალდებულია მას ვეტო დაადოს.

წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმს საქართველოს კანონმდებლობაც ამკვიდრებს. ასე მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განახორციელოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საკონსტიტუციო კონტროლი მათ რატიფიცირებამდე.

კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში პრეზიდენტის ვეტო განიხილება როგორც კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი ძლიერმოქმედი საშუალება.¹ გააჩნია რა ვეტოს უფლება, კანონპროექტზე ხელის მოწერამდე პრეზიდენტს შეუძლია შეამოწმოს ამ აქტის კონსტიტუციურობაც (რეალურად, ამ სამუშაოს პრეზიდენტის კანცელარია ან პრეზიდენტს დაქვემდებარებული რომელიმე სხვა ორგანო ასრულებს). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტის ვეტო წინასწარი კონტროლის ფორმით ხორციელდება, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ხელმოწერელი და აუქმდებელი აქტის კონსტიტუციურობის საკითხი განიხილება. თუმცა, ჩვენი აზრით, როდესაც პრეზიდენტი სარგებლობს ვეტოს უფლებით და კანონპროექტს უბრუნებს პარლამენტს არაკონსტიტუციურობის მოტივით, საქმე გვაქვს საკონსტიტუციო ზედამხედველობასთან და არა საკონსტიტუციო კონტროლთან, გამომდინარე იქიდან, რომ, როგორც წესი, ვეტო სუსპენზიურ ხასიათს ატარებს, ანუ პრეზიდენტის გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში საბოლოო არ არის და იგი შეიძლება გადალახული იქნეს პარლამენტის წევრთა კანონით განსაზღვრული უმრავლესობის მიერ.

2) განხორციელების ადგილის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს *შინაგანი* ან *გარეგანი*.

შინაგან კონტროლს ახორციელებს თავად აქტის გამომცემი ორგანო, ხოლო გარეგანი კონტროლი ხორციელდება არა აქტის მიმღები ორგანოს მიერ. აქედან გამომდინარე, შინაგანი კონტროლი, როგორც წესი, პრევენციული კონტროლის ფორმით ხორციელდება. ამის მაგალითია პარლამენტის საქმიანობა, რაც კანონშემოქმედითობას უკავშირდება. კერძოდ, საკანონმდებლო პროცესის სხვადასხვა სტადიაზე, კანონპროექტის მომზადების, განხილვის და მიღების პროცესში პარლამენტი უდიდეს სამუშაოს ასრულებს სამართლებრივი აქტების პროექტების კონსტიტუციურობის შემოწმების თვალსაზრისით და კონსტიტუციასთან შეუსაბამო სამართლებრივი აქტების მიღებაზე უარით.

შინაგანი კონტროლის პროცედურა საქართველოს პარლამენტის საქმიანობაშიც არის დამკვიდრებული. კერძოდ, საქართველოს

¹ იხ. Окуньков Л.А., Рошин В.А., Вето Президента, Научно-практическое пособие, М., 1999.

პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის შესაბამისად, პარლამენტის ბიურო აკეთებს დასკვნას შეესაბამება თუ არა, ან ხომ არ ეწინააღმდეგება ესა თუ ის კანონპროექტი საქართველოს კანონმდებლობას. ცხადია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს კანონმდებლობაში საქართველოს კონსტიტუციაც მოიაზრება, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში, იურიდიული დეპარტამენტი კანონპროექტის კონსტიტუციურობასაც ამოწმებს.

რაც შეეხება გარეგან კონტროლს, იგი როგორც წესი, მომდევნო კონტროლის ფორმით ხორციელდება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თერთმეტი სხვადასხვა უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. ყოველი უფლებამოსილების რეალიზაციის პროცესში ადგილი აქვს გარეგან კონტროლს, რადგან ამ უფლებამოსილებების ფარგლებში სასამართლო ამოწმებს სხვადასხვა ორგანოს თუ თანამდებობის პირის მიერ მიღებული აქტის ან ქმედების კონსტიტუციურობას. ამასთან, ერთადერთი გამონაკლისის¹ გარდა საკონსტიტუციო კონტროლი ყოველთვის მომდევნო კონტროლის ფორმით ხორციელდება.

3) ფორმის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს *კონკრეტული* ან *აბსტრაქტული*.

კონკრეტული კონტროლის პირობებში, საკითხი ამა თუ იმ აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, როგორც წესი, განიხილება და წყდება კონკრეტული სასამართლო დავის შემთხვევაში, ან დაკავშირებულია სამართლებრივი ნორმის რეალიზაციის პროცესში წარმოშობილ კონკრეტულ გარემოებებთან. შესაბამისად, იგი ყოველთვის მომდევნო ხასიათისაა.

კონტროლის აღნიშნული ფორმა ფართოდ გამოიყენება ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის, საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელის ქვეყნებში. ამ სახელმწიფოებში ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი, როგორც წესი, შეიძლება დადგეს მხოლოდ სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში. კერძოდ, თუ კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ კანონი ან მისი ნორმა, რომლის საფუძველზეც მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, არ შეესაბამება კონსტიტუციას, უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა და თავადვე იმსჯელოს საეჭვო ნორმის კონსტიტუციურობაზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი კონკრეტული კონტროლის ფორმა ზოგიერთ საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის სახელმწიფოშიც არის დამკვიდრებული, ანუ იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც საკონსტიტუციო სასამართლოები ფუნქციონირებენ. განსხვავება ამერიკული მოდელისგან ის არის, რომ როდესაც კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც მან საქმეში უნდა გამოიყენოს არ შეესაბამება კონსტიტუციას, მან უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული აქტის კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევის მოთხოვნით. კონტროლის ეს ფორმა არსებობს გერმანიაში, ავსტრიაში, ესპანეთში,

¹ იგულისხმება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, განახორციელოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საკონსტიტუციო კონტროლი მათ რატიფიცირებამდე.

ბელგიაში, თურქეთში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

თუმცა საქართველოში კონკრეტული კონტროლის სხვა პროცედურაც არსებობს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო პირის სარჩელის საფუძველზე უფლებამოსილია შეამოწმოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. ამ უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლიც კონკრეტულ კონტროლად განიხილება, რადგან კონსტიტუციური სარჩელი დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში. კერძოდ, თუ სადავო ნორმატიული აქტი უშუალოდ (კონკრეტულად) მოსარჩელის კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებას არღვევს.

რაც შეეხება აბსტრაქტულ კონტროლს, იგი საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების მიერ კონკრეტული სასამართლო დავისგან ან სხვა რაიმე კონკრეტული გარემოებებისგან დამოუკიდებლად ხორციელდება, ანუ კონტროლის ამ ფორმის პირობებში, საკითხი ამა თუ იმ აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე შეიძლება აღიძრას ნებისმიერ დროს, მისი ძალაში შესვლის მომენტიდან. კონტროლის ეს ფორმა მოქმედებს საკონსტიტუციო კონტროლის ვეროპული მოდელის ქვეყნებში. ასე მაგალითად, იტალიის კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამის სუბიექტთა უფლებას, პირდაპირ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს კანონების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვის მოთხოვნით. აბსტრაქტული კონტროლის ფორმა დამკვიდრებულია აგრეთვე საქართველოში, გერმანიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში და სხვა ქვეყნებში.

4) განხორციელების აუცილებლობის თვალსაზრისით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს *სავალდებულო* ან *ფაკულტატიური*.

პირველ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება სავალდებულოა და იგი, როგორც წესი, პრევენციული კონტროლის ფორმით ხორციელდება. ასეთ დროს, სავალდებულო წესით მოწმდება სამართლებრივი აქტის პროექტის კონსტიტუციურობა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ აქტი ვერ შევა ძალაში, სანამ არ შემოწმდება მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობა. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს საქმიანობა, რომელიც სავალდებულო წესით განიხილავს ორგანული კანონებისა და პარლამენტის პალატათა რეგლამენტების პროექტებს.

ფაკულტატიურ კონტროლს კი, ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მისი ჩატარება რომელიმე სუბიექტის ნებაზეა დამოკიდებული, ანუ ამგვარი კონტროლი განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სუბიექტი მოითხოვს ამა თუ იმ აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას. ფაკულტატიური კონტროლი შეიძლება იყოს როგორც წინასწარი, ასევე შემდგომი, ხოლო სავალდებულო კონტროლს აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც იგი წინასწარ ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების სფეროში ძირითადად

ფაკულტატიური კონტროლი გამოიყენება. სავალდებულო კონტროლის განხორციელების პროცედურას არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობაც.

5) სამართლებრივი შედეგების მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს *საკონსულტაციო* ან *დამდგენი*.

ორივე შემთხვევაში ჩვეულებრივ ხდება ამა თუ იმ აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება. განსხვავება იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებას სავალდებულო ხასიათი არა აქვს. იგი არა იურიდიული, არამედ მორალური ხასიათის მატარებელია. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკაში, როგორც წესი, აქტის მიმღები სუბიექტი იძულებული ხდება გაითვალისწინოს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ასეთი გადაწყვეტილებით აქტი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, ეს ყოველთვის შეიძლება გახდეს სამართლიანი პროტესტის საბაზი ამ აქტის მოწინააღმდეგეთა მხრიდან. საკონსულტაციო კონტროლის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საფრანგეთისა და ბელგიის სახელმწიფო საბჭოების გადაწყვეტილებები მათი მთავრობების მხრიდან წარმოდგენილ კანონპროექტებზე. კერძოდ, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო იძლევა წინასწარ დასკვნებს მთავრობის კანონპროექტებზე, რომლებსაც მთავრობა დელეგირებული კანონმდებლობის აქტების სახით გამოსცემს „საჯარო ადმინისტრაციის რეგლამენტებთან“ დაკავშირებით,¹ ხოლო ბელგიის სახელმწიფო საბჭო განიხილავს მთავრობის მიერ მომზადებულ ყოველ კანონპროექტს, გარდა ბიუჯეტთან დაკავშირებული ან მთავრობის მიერ დაჩქარებული წესით მისაღებად გამოცხადებული კანონპროექტებისა.²

როდესაც კონტროლი დამდგენია, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილება სავალდებულო ხასიათს ატარებს ანუ, თუ დადგინდება, რომ აქტი არაკონსტიტუციურია, იგი კარგავს ძალას. ძირითადად საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა გადაწყვეტილებები დამდგენი ხასიათისაა. ასე მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას შეიძლება საკონსულტაციო ხასიათიც ჰქონდეს. კერძოდ, თუ იმპინმენტის პროცედურის ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით არ დაადასტურა ამა თუ იმ თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, მაშინ ამ პირის მიმართ ავტომატურად წყდება იმპინმენტის პროცედურა, ანუ, ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა დამდგენი ხასიათისაა, ხოლო თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა კონსტიტუციის დარღვევა, შესაბამისი დასკვნის მიღებიდან ათი დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი იწყებს დასკვნის განხილვას. ამ

¹ იხ. გ. კვერენხილაძე, ო. მეღვაძე, საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბ., 1997, გვ. 128.

² იხ. Конституционный контроль в зарубежных странах (учебное пособие), отв. ред. Маклаков В.В., М., 2007, с. 53.

დროს პარლამენტი ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თანამდებობის პირი აუცილებლად იქნება გადაყენებული თანამდებობიდან, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა საკონსულტაციო ხასიათისაა.

6) შინაარსის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს *ფორმალური* ან *მატერიალური*. ფორმალურია კონტროლი, როდესაც მოწმდება ნორმატიული აქტის მომზადებისა და მიღებისათვის კონსტიტუციური ნორმებით დადგენილი პროცედურული წესების დაცვა, ხოლო მატერიალურია კონტროლი, როდესაც ადგილი აქვს ამა თუ იმ აქტის, ან მისი ცალკეული დებულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შინაარსობრივ შემოწმებას. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმალური კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით აღჭურავს, ანუ ანიჭებს უფლებამოსილებას განიხილოს და გადაწყვიტოს საქართველოს კონსტიტუციასთან კანონით განსაზღვრული სხვადასხვა სამართლებრივი აქტების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხები.

7) დაბოლოს, ყურადღებას გავამახვილებთ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში განხილულ საკონსტიტუციო კონტროლის კლასიფიკაციის კიდევ ერთ ფორმაზე. დროში მოქმედების მიხედვით განასხვავებენ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა „*ex tunc*“ და „*ex nunc*“ გადაწყვეტილებებს.¹ პირველს ეძახიან გადაწყვეტილებას, რომელსაც უკუქმედითი ძალა აქვს, ანუ, ეს ნიშნავს, რომ თუ ასეთი გადაწყვეტილებით ნორმატიული აქტი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა იგი ძალადაკარგულად ითვლება მისი ან იმ კონსტიტუციური კანონის ამოქმედების მომენტიდან, რომელთანაც წინააღდეგობაშია აღნიშნული აქტი. პრაქტიკაში ასეთმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა რიგი პრობლემები წარმოშვას, რადგან დღის წესრიგში აყენებს საკითხს არაკონსტიტუციური აქტის მოქმედების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენის თაობაზე ან აქტის მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კი არის. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება თუ აქტი დიდი ხანი მოქმედებდა. ამიტომ, უფრო ხშირად პრაქტიკაში „*ex nunc*“ გადაწყვეტილებები გამოიყენება, რაც ნიშნავს, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ძალადაკარგულია მისი ასეთად გამოცხადების მომენტიდან, ანუ მისი მოქმედება ვრცელდება მომავალზე და არა წარსულზე. შესაბამისად, იგი არ ვრცელდება ამ აქტის მოქმედებით წარმოშობილ ურთიერთობებზეც. მაგალითად, რუმინეთის კონსტიტუციის 145-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა და ძალა აქვთ მხოლოდ მომავალში.²

თავისებურად არეგულირებს ამ საკითხს საქართველოს კანონმდებლობა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

¹ იხ. Чиркин В.Е., Конституционное право зарубежных стран, М., 2002, с. 54.

² იხ. მითითებული წყარო: Конституции государств Европы, Т. 3, с. 91.

შესახებ” ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. თავის მხრივ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ განაჩენი ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მთლიანად ან ნაწილობრივ თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად არის ცნობილი მათი დადგენისას გამოყენებული ესა თუ ის კანონი (593-ე მუხლი). სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა კი, მსგავს პროცედურას არ აწესებს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, პროფესორი ბ. ზოიძე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში „შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი გადაწყვეტილების უკუქმებისადმი მხარდაჭერა. საქმე იმაშია, რომ, როცა სასამართლო უძღურია მოახდინოს წარსულში დაშვებული უსამართლობის გამოსწორება, მისი ამ მიმართებით მცდელობა საფრთხეს შეუქმნის სამართლებრივ სტაბილურობას და ახალი უსამართლობის წყარო გახდება, ასეთ ვითარებაში ვერ გამოვიყენებთ გადაწყვეტილების უკუქმებას.¹

§ 6. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა კლასიფიკაცია

მრავალი სახელმწიფოს კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია არაერთ სახელმწიფო ორგანოს გააჩნია. ამავდროულად, განსხვავებულია ამ ორგანოების როლი და უფლებამოსილებათა ფარგლები საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში. ამდენად, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი უნდა იყოს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა კლასიფიკაცია.

პროფესორი ო. მელქაძე ერთმანეთისგან განასხვავებს სახელმწიფო კონტროლის უფლებით აღჭურვილი ორგანოების ორ ჯგუფს: პირველი, ეს არის ორგანოები, რომელთათვისაც კონტროლი არ წარმოადგენს მათი საქმიანობის ერთადერთ და ძირითად ფუნქციას, მეორე – ორგანოები, რომელთა ფუნქციონირება მხოლოდ კონტროლის განხორციელებით შემოსაზღვრება და რომლებსთვისაც, კონტროლი დამოუკიდებელი სახელმწიფო საქმიანობის ხასიათს იღებს.² მოცემულ შემთხვევაში ავტორი ზოგადად სახელმწიფო კონტროლის ორგანოებზე საუბრობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მსგავსი გრადაცია შეიძლება საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებზეც გავავრცელოთ. გამომდინარე აქედან, ჩვენი აზრით, იგივე პრინციპით საკონსტიტუციო კონტროლის სუბიექტთა კლასიფიკაცია შემდეგ სახეს მიიღებს: ერთი მხრივ, ეს არის ორგანოები, რომელთათვისაც საკონსტიტუციო კონტროლი მათი საქმიანობის ერთადერთ და ძირითად ფუნქციას არ

¹ იხ. ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, გვ. 178.

² იხ. ო. მელქაძე, სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, თბ., 1996, გვ. 16-17.

წარმოადგენს, მაგრამ საკონსტიტუციო კონტროლს სხვადასხვა ფორმით ისინი მაინც ახორციელებენ; მეორე მხრივ, ეს არის ორგანოები, რომელთათვისაც საკონსტიტუციო კონტროლი ერთადერთი და ძირითადი საქმიანობაა.

მსგავს მონაზრებას გამოთქვამს რუსი მეცნიერი ვ. ჩირკინიც. იგი საკონსტიტუციო კონტროლის სუბიექტებს ყოფს საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ სპეციალიზებულ და არასპეციალიზებულ ორგანოებად.¹ სპეციალიზებულ ორგანოთა ჯგუფს მიაკუთვნებს იმ ორგანოებს, რომლებიც შექმნილია უშუალოდ საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად, ხოლო არასპეციალიზებულ ორგანოთა ჯგუფს – იმ ორგანოებს, რომელთაც სხვა ფუნქციებთან ერთად საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებაც გააჩნიათ, მაგრამ ეს მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებას არ წარმოადგენს.

აღნიშნული გრადაციის გათვალისწინებით, ცალკეულად განვიხილავთ იმ ორგანოებს, რომლებსაც გარკვეული უფლებამოსილებები აქვთ მინიჭებული საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში.

6.1 საკონსტიტუციო კონტროლის არასპეციალიზებული ორგანოები

ა) *პარლამენტი*. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოთა ძირითად კანონებში, როგორც წესი, არაფერია ნათქვამი პარლამენტის უფლებამოსილებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების სფეროში. ტოტალიტარული სოციალიზმის სახელმწიფოებში კი, პარლამენტი, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ძირითადი ორგანოა და შესაბამისად, მისი უფლებამოსილებანი ამ სფეროში კონსტიტუციურად არის განმტკიცებული. აღნიშნულ სახელმწიფოებში პარლამენტს აქვს კონსტიტუციასთან შეუსაბამო სხვა ორგანოთა აქტების გაუქმების უფლებამოსილება. ამ სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ საკონსტიტუციო კონტროლს პარლამენტებთან ერთად მათი მუდმივმოქმედი, კოლეგიური ორგანოებიც ახორციელებენ: იქნება ეს სახელმწიფო საბჭო, რესპუბლიკის პრეზიდენტი, უზენაესი საბჭოს პრეზიდენტი თუ სხვ. ამგვარი ფორმით საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდებოდა ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის და სხვა ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებში. მათ რიცხვში იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაც. ამჟამად საკონსტიტუციო კონტროლისადმი ამგვარი მიდგომა შენარჩუნებულია ვიეტნამში, ჩინეთში, კორეის სდრ-ში და კუბაში. ასე მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 62-ე მუხლის თანახმად, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობა განახორციელებს კონტროლს კონსტიტუციის დაცვაზე. კონსტიტუციის 67-ე მუხლი ადგენს, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობის მუდმივმოქმედი კომიტეტი უფლებამოსილია გააუქმოს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებები და

¹ იხ. Чиркин В.Е., Органы конституционного контроля: Россия и международный опыт, журн. Журнал Российского права, 1998, №4/5, с. 145-155.

განკარგულებები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას და კანონებს.¹

საკონსტიტუციო კონტროლის ზემოაღნიშნული ფორმა ეფუძნებოდა პარლამენტის უზენაესობის იდეას, რომლის თანახმადაც არცერთ სხვა ორგანოს არ ჰქონდა უფლება განეხილა პარლამენტის, როგორც უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი რანგის მქონე ორგანოს მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის საკითხი. როდესაც მითითებულ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაზე ვსაუბრობთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქვე დავაზუსტოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ვახდენთ მხოლოდ იმის იურიდიულ შეფასებას, რასაც ამ სახელმწიფოთა კონსტიტუციები და კანონმდებლობა ითვალისწინებს, თუმცა, ამავედროულად ის ფაქტორიც აღსანიშნავია, რომ ავტორიტარული რეჟიმების პირობებში, წამყვანი როლი სახელმწიფოს მართვაში, მაინც პარტიულ აპარატს აკისრია.

ტოტალიტარული სოციალიზმის სისტემის თანმიმდევრული დემონტაჟის ეტაპზე, ამ სახელმწიფოებში იქმნებოდა საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოები (მაგ. საკონსტიტუციო ტრიბუნალი – პოლონეთში, საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი – სსრკ-ში და ა.შ), თუმცა, ამ ორგანოთა უფლებამოსილებები კონტროლის სფეროში შეზღუდული იყო. ასე მაგალითად, პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე ექვემდებარებოდა ამ კანონების მიმღები ორგანოს – სეიმის მხრიდან დამტკიცებას (ასეთი წესი პოლონეთში შენარჩუნებული იყო 1997 წლამდე).

მსგავსი ნორმები მოქმედ კონსტიტუციებშიც გვხვდება. მაგალითად, მონღოლეთის კონსტიტუციის 66-ე მუხლის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია კანონის არაკონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. თუმცა პარლამენტი უფლებამოსილია არ დაეთანხმოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო ხელმეორედ განიხილავს იმავე საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ მეორედ განხილვისას მისი გადაწყვეტილება საბოლოოა, საკონსტიტუციო კონტროლის ეს ფორმა მაინც ძველი კონცეფციების გავლენას განიცდის. იგივე შეიძლება ითქვას რუმინეთზეც. კერძოდ, კონსტიტუციის 145-ე მუხლის თანახმად, რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება კანონის არაკონსტიტუციურობის თაობაზე, შეიძლება დაძლეული იქნეს პარლამენტის დეპუტატთა ხმების 2/3-ით. ასეთი მექანიზმის არგუმენტად მოიხსენიება მოსაზრება, რომლის თანახმადაც საკონსტიტუციო კონტროლის ამგვარი ფორმა თითქოსდა სახალხო წარმომადგენლობის პრესტიჟს განამტკიცებს.

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ პარლამენტის ან მისი პრეზიდიუმის მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლი სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს კანონების კონსტიტუციურობას, რადგან ამ შემთხვევაში პარლამენტი, ფაქტობრივად, მოსამართლის როლში გვევლინება თავის ძირითად საქმიანობაში. დემოკრატიული განვითარების გზაზე დამდგარი, ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოების კანონმდებლობათა ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მათი სრული უმრავლესობა

¹ იხ. Конституции зарубежных стран (сборник), сост. Дубровин В.Н., М., 2003, с. 416-418.

სწორედ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალიზებული ორგანოების შექმნის გზით განვითარდა.

კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ არა მარტო ტოტალიტარული სოციალიზმის სახელმწიფოებში, არამედ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციას, უწინარეს ყოვლისა, მათი პარლამენტები ასრულებენ, რაც ამ უკანასკნელთა ძირითად საქმიანობას – კანონშემოქმედებას უკავშირდება. კერძოდ კი, ამ მოსაზრების ავტორები აღნიშნავენ, რომ საკანონმდებლო პროცესის სხვადასხვა სტადიაზე, კანონპროექტის მომზადების, განხილვის და მიღების პროცესში პარლამენტი უდიდეს სამუშაოს ასრულებს სამართლებრივი აქტების პროექტების კონსტიტუციურობის შემოწმების თვალსაზრისით და კონსტიტუციასთან შეუსაბამო სამართლებრივი აქტების მიღებაზე უარით. გამომდინარე აქედან, ამ ავტორების აზრით, პარლამენტი საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში წინასწარ საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს.¹

დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში პარლამენტის სხვადასხვა უფლებამოსილებებზეა მითითებული. ესენია: კანონშემოქმედებითი საქმიანობა, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი, უფლებამოსილებები ფინანსურ სფეროში, სხვა ორგანოთა ფორმირებაში და სხვა. ამასთან, ეს კონსტიტუციები არაფერს ამბობენ პარლამენტის უფლებამოსილებაზე განახორციელოს საკონსტიტუციო კონტროლი. თუმცა, ხშირად ამ სახელმწიფოთა პარლამენტის რეგლამენტებში არის მითითებები იმის თაობაზე, რომ კომიტეტები ან სხვა სტრუქტურული ერთეულები ამოწმებენ კანონპროექტების კონსტიტუციურობას. ასეთ დროს ცხადია ადგილი აქვს შინაგან საკონსტიტუციო კონტროლს, ანუ პარლამენტის მიერ მისივე მისაღები აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას, რაც საკანონმდებლო პროცედურის შემადგენელი ნაწილია. ამასთან, ასეთი კონტროლი უნდა განვასხვავოთ გარეგანი კონტროლისგან, რა დროსაც კონტროლის ორგანო სხვა ორგანოს აქტის კონსტიტუციურობის საკითხს იხილავს და აფასებს.

ამდენად, ჩვენი აზრით, პარლამენტი შეიძლება საკონსტიტუციო კონტროლის არასპეციალიზებულ ორგანოდ განვიხილოთ, ვინაიდან ტოტალიტარული სოციალიზმის სახელმწიფოებში, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება პარლამენტის უზენაესობის იდეაზეა აგებული, კონსტიტუციური ნორმები საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით, როგორც წესი, პარლამენტს და მათ მუდმივმოქმედ ორგანოებს აღჭურავენ. არაკონსტიტუციურობის მოტივით მათ უფლება აქვთ გააუქმონ სხვა ორგანოს აქტები. ხოლო, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში, პარლამენტები მხოლოდ შინაგან საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებენ, რაც მათთვის საკანონმდებლო პროცედურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

ბ) *პრეზიდენტი*. კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს მეთაურს. ასეთი

¹ იხ.: Шульженко Ю.Л., Конституционный контроль в России, М., 1995, с. 39; Чиркин В.Е., Конституционное право: Россия и зарубежный опыт, М., 1998, с. 59.

შეფასება, ძირითადად, საპრეზიდენტო თუ ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის ტიპის რესპუბლიკების პრეზიდენტებს შეეხებათ. ამ სახელმწიფოებში პრეზიდენტი არის კონსტიტუციის გარანტი. საფრანგეთის კონსტიტუციის მე-5 მუხლი განსაზღვრავს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი მეთვალყურეობს კონსტიტუციის დაცვას. ანალოგიური ნორმა დევს რუმინეთის კონსტიტუციაშიც (მე-80 მუხლის მე-2 პუნქტი). რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-80 მუხლში განმტკიცებულია დებულება, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი არის რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის გარანტი.

სხვადასხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ის უფლებამოსილებები და სანქციები, რომლებიც პრეზიდენტს გააჩნია კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის სფეროში, ძირითადად, არა საკონტროლო, არამედ სახედამხედველო ბუნების მატარებელია. ამგვარი კონტროლის ტიპური ფორმებია პრეზიდენტის ვეტო, კანონპროექტის რეფერენდუმზე გადაცემის უფლება, სადავო საკითხების გადასაწყვეტად პრეზიდენტისთვის მინიჭებული მომრიგებელი პროცედურების უფლება. რიგ სახელმწიფოებში პრეზიდენტი იყენებს რა ვეტოს უფლებას, კანონპროექტზე ხელის მოწერამდე ამოწმებს მის კონსტიტუციასთან შესაბამისობას (რეალურად, ამ სამუშაოს პრეზიდენტის კანცელარია, ან პრეზიდენტის სამსახურში მყოფი რომელიმე სხვა ორგანო ასრულებს), და ამით, პრაქტიკულად, საკონსტიტუციო ზედამხედველობას ახორციელებს (გამომდინარე იქიდან, რომ პრეზიდენტის ვეტოს სუსპენზიური ხასიათი აქვს). ყოველივე ზემოთ თქმული, ძლიერი და ეფექტური იარაღია პრეზიდენტის ხელში, რაც მას საშუალებას აძლევს აქტიური როლი ითამაშოს შეკავებისა და გაწონასწორების სისტემაში, ხოლო კანონმდებლის მიერ ნაჩქარევი ან დაუფიქრებელი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, აამოქმედოს საკუთარი კომპეტენციური არსენალი.

თუმცა, არის ერთეული შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტს გააჩნია საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების კონკრეტული უფლებამოსილებები. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 115-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტს აქვს უფლება გააუქმოს რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, მათი კონსტიტუციასთან, ფედერალურ კანონებთან ან პრეზიდენტის ბრძანებულებებთან შეუსაბამობის შემთხვევაში. ანალოგიური ნორმა არსებობს საქართველოს ძირითად კანონშიც.

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მეთაურის აღჭურვა საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით არ არის მიზანშეწონილი, რადგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში მას სხვაგვარად შეუძლია არაკონსტიტუციურ აქტებზე კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ზეგავლენის მოხდენა. ამასთან, სახელმწიფო მეთაურს, მისი ადგილი სახელისუფლებო სისტემაში ავალდებულებს არა იმ პირის როლში ყოფნას, რომელიც აუქმებს ამა თუ იმ აქტებს, არამედ იმ არბიტრის როლის შესრულებას, რომელიც საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ უზრუნველყოფს სხვადასხვა პოზიციათა შეჯერებას და კომპრომისულ გადაწყვეტილებათა მოძებნას, ხელისუფლებათა შტოებს შორის ბალანსის დაცვას და სახელმწიფო ორგანოთა ნორმალურ

ფუნქციონირებას. ჩვენი აზრით, სწორედ ამაში გამოიხატება პრეზიდენტის კონსტიტუციის გარანტიის ფუნქცია.

საკონსტიტუციო კონტროლის აქტიური უფლებამოსილებების სანაცვლოდ მთელ რიგ დემოკრატიულ სახელმწიფოებში პრეზიდენტს აქვს უფლება კანონის ან მისი ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების მოთხოვნით მიმართოს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებულ ორგანოს. ასე მაგალითად, საფრანგეთის კონსტიტუციის 61-ე მუხლის თანახმად, საფრანგეთის პრეზიდენტი სარგებლობს უფლებით, პრომულგაციამდე, გადასცეს კანონი საკონსტიტუციო საბჭოს, მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.¹ მსგავსი უფლებით სარგებლობს ესტონეთის პრეზიდენტიც. იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ვეტოდადებულ კანონს სახელმწიფო საბჭო მაინც მიიღებს შენიშვნების გაუთვალისწინებლად, პრეზიდენტს უფლება აქვს მიმართოს სახელმწიფო სასამართლოს წინადადებით ცნოს კანონი არაკონსტიტუციურად.² ლატვიის რესპუბლიკის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის თანახმად ლატვიის პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების მოთხოვნით.³ რუსეთის კონსტიტუცია, მას შემდეგ რაც პრეზიდენტს პირდაპირი მოქმედების უფლებას ანიჭებს (მუხლი 115), იმასაც ადგენს, რომ მასვე შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფედერალური კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით (მუხლი 125).⁴ საკონსტიტუციო სასამართლოში სხვადასხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებით სარგებლობს საქართველოს პრეზიდენტიც.

ვფიქრობთ, პრეზიდენტის აღჭურვა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოსადმი კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით მიმართვის უფლებამოსილებით, მნიშვნელოვანი იარაღია მის ხელში კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვანს ხდის პრეზიდენტის როლს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების სფეროში.

გ) საერთო იურისდიქციის სასამართლოები. ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში, როგორც წესი, საკონსტიტუციო კონტროლს საერთო სასამართლოები განახორციელებენ. მათ რიცხვშია, ზოგიერთი სკანდინავიური ქვეყანაც. თუმცა, ეს არ ეხება დიდ ბრიტანეთს, სადაც საკონსტიტუციო კონტროლი საერთოდ არ არსებობს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყანაში კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც საერთო იურისდიქციის

¹ იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.3, с. 424.

² იხ. Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии (Сборник нормативных актов), отв. ред. М.А. Митюков, М., 1998, с. 778;

³ იხ. იქვე, გვ. 709.

⁴ იხ. იქვე, გვ. 485-486.

მქონე სასამართლოც შეიძლება გახდეს საკონსტიტუციო კონტროლის მონაწილე (იტალია, რუსეთი, საქართველო და სხვ.).

საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას დიდი ისტორიული წარსული გააჩნია. კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ კონტროლის ეს ფორმა დასაბამს ჯერ კიდევ რომის იმპერიის და ძველი საბერძნეთის ეპოქიდან იღებს, სადაც სასამართლო ორგანოები განიხილავდნენ დავებს ცალკეულ მმართველებს შორის.¹ თუმცა გავრცელებული მოსაზრების თანახმად, კონტროლის ამ ფორმას საფუძველი მე-17 საუკუნის დასაწყისში დიდ ბრიტანეთში ჩაეყარა. კერძოდ, ეს უკავშირდება საიდუმლო საბჭოს საქმიანობას, რომელიც აუქმებდა კოლონიების ლეგისლაციურების მიერ გამოცემულ სტატუტებს იმ მოტივით, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ კოლონიალურ ქარტიებს, ან საერთო სამართლის პრინციპებს.² თეორიულად იდეას, რომლის შესაბამისადაც მოსამართლეს შეეძლო გაეუქმებინა კანონი ზემდგომ კანონთან შეუსაბამობის მოტივით, საფუძველი მე-16 საუკუნის ინგლისელმა იურისტმა და მოსამართლემ ედუარდ კოუკმა ჩაუყარა. მან ჯერ კიდევ 1610 წელს, საერთო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით გააუქმა ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი.³ მე-17 საუკუნის 30-40-იანი წლების საიდუმლო საბჭოს პრაქტიკამ, ასახვა ჰპოვა ამერიკულ კოლონიებში სასამართლოთა საქმიანობაზე, როდესაც ეს უკანასკნელნი იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რომლითაც უარს ამბობდნენ ინგლისის მეფის ბრძანებების შესრულებაზე, იმ მოტივით, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ კოლონიალურ ქარტიას.

მე-17 საუკუნის 80-90-იან წლებში აშშ-ის ცალკეულ შტატებში უკვე დანერგილი იყო პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც დამოუკიდებელი სასამართლოები ამოწმებდნენ შტატების კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობას და იღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ განხორციელებად საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს საფუძველი აშშ-ში, 1803 წელს ჩაეყარა.⁴ კერძოდ, მაშინ, როდესაც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ჯ. მარშალის თავმჯდომარეობით, საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ფაქტიურად გაუქმებულად ცნო ფედერალური კანონი და განაცხადა, რომ სასამართლოს უფლება აქვს არაკონსტიტუციურად ცნოს კონგრესის ნებისმიერი კანონი, თუ იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.⁵ მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის 1787 წლის კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი სასამართლოების უფლებამოსილებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების

¹ იხ. Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах, М., 1968, с.16.

² იხ. Fromont M., La justice constitutionnelle dans le monde, P., 1996, p. 8.

³ იხ. იქვე, გვ. 7-8.

⁴ იხ.: Troper M., Marshall, Kelsen, Barak and the constitutionalist fallacy, Oxford University Press and New York University School of Law 2005, I-CON, Volum 3, Number 1, 2005, p. 24; Медушевский А.Н., Сравнительное конституционное право и политические институты (курс лекций), М., 2002, с. 456; Клишас А.А., Конституционная юстиция в зарубежных странах, М., 2004, с. 17.

⁵ გადაწყვეტილება იხ.: Constitutional Law, Cases and Other Problems, fourth edition (Paul A. Freund et al.), Little, Brown and Company, Boston and Toronto, 1977, p. 3-9.

თაობაზე, შეიძლება ითქვას, რომ უზენაესმა სასამართლომ თავად მიითვისა იგი. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გახდა პირველი პრეცედენტი უზენაესი სასამართლოს მიერ ფედერალური კანონის გაუქმებისა და საფუძველი – საერთო სასამართლოების მიერ უმაღლესი საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციის შეთვისებისა.

დღეისათვის, საკონსტიტუციო კონტროლის მოცემული მოდელი, რომელსაც იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად ე.წ. ამერიკულ მოდელს უწოდებენ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს. მაგალითად, ლათინური ამერიკის ტერიტორიაზე – არგენტინაში, ბოლივიაში, დომინიკის რესპუბლიკაში, კანადაში, მექსიკაში და სხვ.; აზიის სახელმწიფოებში – ბანგლადეშში, ისრაელში, ინდოეთში, ირანში, პაკისტანში, იაპონიაში და სხვ.; ევროპის კონტინენტზე – დანიაში, ირლანდიაში, ნორვეგიაში, შვედეთში; აღნიშნული მოდელი ფუნქციონირებს ასევე ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და აფრიკის ინგლისურენოვან მთელ რიგ სახელმწიფოებში.

საკონსტიტუციო კონტროლის ზემოაღნიშნული მოდელის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის უცნობია წინასწარი კონტროლის ფორმა და იგი ყოველთვის შემდგომ ხასიათს ატარებს. ყველა კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში. ასე მაგალითად, თუ კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ კანონი ან მისი ნორმა, რომლის საფუძველზეც მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, არ შეესაბამება კონსტიტუციას, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა და თავადვე იმსჯელოს საეჭვო ნორმის კონსტიტუციურობაზე. თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, იაპონიაში, სადაც საკონსტიტუციო კონტროლი მთლიანობაში ანგლოსაქსურ სისტემაზეა აწყობილი, კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოსათვის ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის არაკონსტიტუციურობის თაობაზე სპეციალური სარჩელით მიმართვის შესაძლებლობასაც.

ზემოაღნიშნულ მოდელს კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. ამ სახელმწიფოთა ერთ ნაწილში საკონსტიტუციო კონტროლს ყველა სასამართლო ინსტანცია განახორციელებს, დაწყებული ქვედა ინსტანციიდან დამთავრებული უმაღლესი ინსტანციით, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უზენაესი სასამართლო (მაგ. აშშ, არგენტინა, მექსიკა, სკანდინავიის ქვეყნები, იაპონია). ასეთ კონტროლს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში დეცენტრალიზებულს უწოდებენ.¹ დანარჩენ სახელმწიფოებში, საკონსტიტუციო კონტროლი მხოლოდ უზენაესი სასამართლოს პრეროგატივაა (ცენტრალიზებული კონტროლი), მათ შორის ზოგიერთ ფედერალურ სახელმწიფოში – ფედერაციის სუბიექტთა უმაღლესი სასამართლო ინსტანციების (მაგ. ავსტრალია, ინდოეთი, კანადა, მალაიზია).

პირველ შემთხვევაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, სავალდებულოა მხოლოდ კონკრეტულ საქმეში მონაწილე მხარეთათვის, მაგრამ თუ საქმე მივა უზენაეს სასამართლომდე, ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება სავალდებულო ხდება სახელმწიფოს

¹ იხ. Сравнительное конституционное право, отв. ред. В.Е. Чиркин, М., 2002, с. 95.

ყველა სასამართლოსათვის. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც წესი უზენაესი სასამართლო კი არ აუქმებს კანონს, არამედ ახდენს მხოლოდ ამა თუ იმ კანონის კონსტიტუციურობის კონსტატაციას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ უზენაესი სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც კანონს არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, ეს კანონი ფაქტიურად ძალას კარგავს, თუმცა მაინც აგრძელებს სახელმწიფოს სამართლის სისტემაში არსებობას მანამ, სანამ პარლამენტი არ გააუქმებს მას.

სახელმწიფოთა მეორე ჯგუფში, ანუ, იქ, სადაც კონტროლს ცენტრალიზებული ხასიათი გააჩნია და მას მხოლოდ უზენაესი სასამართლოები განახორციელებენ, ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არა აქვთ უფლება იმსჯელონ ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობაზე. თუ, მათ მიერ კონკრეტული საქმის განხილვისას წამოიჭრება ამდაგვარი საკითხი, საქმე ამ საკითხთა გადასაწყვეტად გადაეცემა უმაღლეს სასამართლო ინსტანციას.

საკონსტიტუციო კონტროლის ანგლოსაქსურ მოდელს გარკვეული პლუსები გააჩნია. პირველ რიგში ეს ეხება იმას, რომ საკითხი სამართლებრივი აქტის არაკონსტიტუციურობის შესახებ შეიძლება დააყენოს პროცესში მონაწილე ნებისმიერმა მხარემ, მაშინ როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოებში, როგორც წესი, სარჩელით მიმართვის უფლება მხოლოდ კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრულ სუბიექტთა ვიწრო წრეს აქვს.

ჩვენი აზრით, შეიძლება ასევე ვიმსჯელოთ ამ მოდელის სახელმწიფოთა პირველი ჯგუფის კიდევ ერთ პოზიტიურ მხარეზე. კერძოდ იმაზე, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოთა ამ ჯგუფში კონტროლს დეცენტრალიზებული ხასიათი აქვს და ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურობის საკითხის განხილვა ნებისმიერ სასამართლოს შეუძლია, მაშინ, როდესაც ევროპული მოდელის პირობებში საკონსტიტუციო კონტროლს ერთადერთი ორგანო ახორციელებს, იქნება ეს საკონსტიტუციო სასამართლო თუ საკონსტიტუციო საბჭო.

თუმცა, ამ მოდელის უარყოფით მხარეებზეც შეიძლება საუბარი. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი მხოლოდ შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლის ფორმით ხორციელდება, ანუ სასამართლო იხილავს უკვე მოქმედი კანონის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელმაც შესაძლოა უკვე გარკვეული იურიდიული შედეგები წარმოშვა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა, იმ შედეგების გასანეიტრალებლად, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მოქმედი კანონის ან სხვა რომელიმე ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას, ითვალისწინებს გარკვეულ ზომებს (მაგალითად, როგორც წესი აქტის არაკონსტიტუციურობა არ ვრცელდება, მანამდე ამ აქტით მოწესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე), არაკონსტიტუციურობის თაობაზე გადაწყვეტილებამ შეიძლება გარკვეული არასტაბილურობა და გაუგებრობა გამოიწვიოს, რადგან ერთი და იგივე ურთიერთობები განსხვავებულად იქნება რეგულირებული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობამდე და მის შემდეგ. აქვე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოთა უმეტესობაც თავის საქმიანობას შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლის ფორმით ახორციელებს, მაგრამ

კანონმდებლის სურვილის შემთხვევაში, არსებობს წინასწარი კონტროლის უფლებამოსილებით საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურვის შესაძლებლობა, ხოლო ანგლოსაქსური მოდელის საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია.

ამ მოდელის უარყოფით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ხშირად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს წყვეტენ მოსამართლეები, რომლებიც არ არიან პროფესიონალები საკონსტიტუციო სამართლის სფეროში. ჩვეულებრივ, მათ უწევთ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა და როგორც წესი, საერთო იურისდიქციის სასამართლოთა მოსამართლეები, განსხვავებით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისგან, არ ფლობენ სათანადო კვალიფიკაციას კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხებზე. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება, როდესაც პროცესის მონაწილე რომელიმე მხარე უარს ამბობს პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებაზე. მით უფრო, როცა სწორედ ეს უკანასკნელი იღებს გადაწყვეტილებას სხვადასხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ამ მოდელის პირობებში, საქმის ბოლო ინსტანციამდე მიყვანა, საკმაოდ ხანგრძლივი და ძვირად ღირებული პროცესია. ასე, მაგალითად, აშშ-ში საქმის უზენაეს სასამართლოში მისვლამდე ხშირად წლები გადის.

ზემოთ ჩვენ ვიმსჯელებთ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ იმ სუბიექტებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, კონტროლის არასპეციალიზებულ ორგანოთა ჯგუფში შედიან და მაკონტროლებელი ფუნქციები ეკისრებათ. დავის საგანი ამ შემთხვევაში შეიძლება გახდეს საკითხი, თუ რამდენად სწორია საერთო იურისდიქციის სასამართლოების ამ ჯგუფში გაერთიანება. იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქმება მოსაზრება, რომლის თანახმადაც საერთო სასამართლოების მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლი, სპეციალიზებულ კონტროლად განიხილება.¹ მიუხედავად ამისა მიგვაჩნია, რომ საერთო სასამართლოები საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ არასპეციალიზებულ ორგანოთა ჯგუფს უნდა მივაკუთნოთ, თუნდაც იმ მოტივით, რომ ისინი არ შექმნილან უშუალოდ საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად და საკონსტიტუციო კონტროლი მათი საქმიანობის ერთადერთ მიმართულებას არ წარმოადგენს.

6.2 საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოები

საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანო არის დამოუკიდებელი, განცალკევებული სახელმწიფო ორგანო, რომელიც მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად იქმნება და ფუნქციონირებს და რომლის საქმიანობაშიც ეს ფუნქცია უმთავრესი

¹ იხ. Чиркин В.Е., Конституционное право: Россия и зарубежный опыт, М., 1998, с. 79-80.

და უმნიშვნელოვანესია. ეს ორგანოებია: 1) საკონსტიტუციო სასამართლოები; 2) კვაზისასამართლო ორგანოები (საკონსტიტუციო საბჭო, საკონსტიტუციო კომიტეტი, საკონსტიტუციო-რელიგიური საბჭო); 3) ზოგიერთი სახელმწიფოს უზენაეს სასამართლოში დაფუძნებული სპეციალური საკონსტიტუციო პალატები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ასევე საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ სპეციალიზებულ ორგანოებად უნდა განვიხილოთ.

საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოს შექმნის იდეა აბატ სიიესს ეკუთვნის. დიდი როლი ითამაშა ამ ინსტიტუტის ფორმირებაში ვენის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორმა ჰანს კელზენმა, რომელიც თვლიდა, რომ ვინაიდან კონსტიტუცია არის სახელმწიფოს უმთავრესი და ძირითადი კანონი, რომლის შინაარსიდანაც „გამომდინარეობს“ ყველა სხვა კანონი, მისი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია კონტროლის განსაკუთრებული სისტემის, დაცვის კონკრეტული გარანტიების არსებობა. ერთ-ერთ ძირითად გარანტიად იგი მიიჩნევდა კონსტიტუციის შეუსაბამო აქტების ანულისების მექანიზმის არსებობას. მაგრამ კელზენის აზრით, კონსტიტუციასთან შეუსაბამო კანონის ანულისება არ შეიძლება დაკისრებოდა ამ აქტის მიმღებ ორგანოს, ანუ პარლამენტს. იგი საკანონმდებლო ორგანოს განიხილავდა არა როგორც კონსტიტუციაზე მიბმულ (დამოკიდებულ) ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობს სამართლით, არამედ, როგორც ორგანოს, რომელიც თავად ქმნის სამართალს, თავად არის სამართლის შემოქმედი. შესაბამისად, პარლამენტი თავად ვერ შეძლებს თავისი თავის კონსტიტუციისთვის დაქვემდებარების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, კელზენი თვლიდა, რომ არაკონსტიტუციური აქტების ანულისების ფუნქცია უნდა გააჩნდეს, როგორც პარლამენტისგან, ასევე ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ხელისუფლებისგან განცალკევებულ და დამოუკიდებელ უმაღლეს ორგანოს. ასეთად, კი მისი აზრით შეიძლებოდა ყოფილიყო საკონსტიტუციო სასამართლო ან ტრიბუნალი, ან კვაზისასამართლო ორგანო, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა კომპეტენტური და ცნობილი იურისტებისგან.¹

პრაქტიკული განხორციელება კელზენისეულმა იდეამ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ჰპოვა. პირველი ასეთი ორგანო ავსტრიაში შეიქმნა 1920 წელს, ოდნავ მოგვიანებით – ჩეხოსლოვაკიაში (1920წ.), ლიხტენშტეინში (1921წ.), საბერძნეთში (1927წ.), ესპანეთში (1931წ.), ეგვიპტეში (1941წ.). განსაკუთრებით ფართო მაშტაბით საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოები შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კერძოდ, იტალიაში – 1947 წელს, გერმანიაში – 1949 წელს, ოდნავ მოგვიანებით – ბელგიაში, პორტუგალიაში, თურქეთში, საფრანგეთში და ა.შ. ეს ორგანოები სხვადასხვა სახელმწიფოებში განსხვავებული სახელწოდებებით იქმნებოდნენ. ყველაზე გავრცელებული იყო „საკონსტიტუციო სასამართლო“. საფრანგეთში შეიქმნა „საკონსტიტუციო საბჭო“, პოლონეთში – „საკონსტიტუციო ტრიბუნალი“, რუმინეთში – „საკონსტიტუციო პალატა“ და ა.შ.

¹ იხ.: Kelzen H., La garantie juridictionnelle de la Constitution, Revue du droit public et politique en France et à l' étranger, P., 1928, №2, p. 198; Маклаков В.В., Конституционный контроль в странах-членах европейского союза, М., 1995, с. 15; Боботов С.В., Конституционная юстиция (сравнительный анализ), М., 1994, с. 58.

საკონსტიტუციო კონტროლის აღნიშნულ მოდელს, კონსტიტუციურ სამართლებრივ ლიტერატურაში ხშირად „ავსტრიულს“ ან „ევროპულ“ მოდელს უწოდებენ. ამჟამად იგი მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში ფუნქციონირებს. პირველ რიგში, ეს ეხება ევროპის სახელმწიფოებს (იტალია, ავსტრია, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი). იგი ფუნქციონირებს ასევე ამერიკის კონტინენტზეც (კოლუმბია, კოსტა-რიკა, პანამა, ჩილე და სხვ.), აზიაში (კვიპროსი, სირია, თურქეთი, სამხრეთ კორეა და სხვ.), აფრიკის კონტინენტზე (ანგოლა, ეგვიპტე, მალი, ეთიოპია და სხვ.). სპეციალიზებული ორგანოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების იდეამ თავისი საფუძველი ჰპოვა ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებშიც (ბულგარეთი, უნგრეთი, მოლდოვა, ჩეხეთი, რუსეთი, სომხეთი და ა.შ.).

ზემოთ მითითებულ სახელმწიფოებში, საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოები სხვადასხვა ფორმით არსებობენ: საკონსტიტუციო სასამართლოა – ავსტრიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიაში, ესპანეთში, იტალიაში, ლიტვაში, პოლონეთში, რუსეთში, რუმინეთში, სლოვაკეთში, უკრაინაში, ხორვატიაში, ჩეხეთში და სხვებში; საკონსტიტუციო საბჭო – საფრანგეთში, მაროკოში, ტუნისში, ყაზახეთში, კოტ-დ'ივუარში და ა.შ.; საერთო იურისდიქციის უმაღლესი სასამართლო ორგანოების საკონსტიტუციო პალატა – გვინეაში, ესტონეთში, კოსტა-რიკაში, ბურკინა-ფასოში, ნიგერიაში და ა.შ.; საკონსტიტუციო-რელიგიური საბჭო – ირანში, პაკისტანში; საკონსტიტუციო გამოძიების საბჭო – ეთიოპიაში. ფედერალურ სახელმწიფოებში არსებობს, როგორც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, ასევე არსებობენ ფედერაციის სუბიექტთა საკონსტიტუციო სასამართლოები.

ა) *საკონსტიტუციო სასამართლო.* საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ სპეციალიზებულ ორგანოთა ჯგუფიდან ყველაზე გავრცელებულია საკონსტიტუციო სასამართლოები, რომლის წევრებიც არიან მოსამართლეები. მოსამართლის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნონ, როგორც სამართლის პროფესორები და ცნობილი სპეციალისტები, ასევე პრაქტიკოსი იურისტები. მსოფლიოს არცერთ სახელმწიფოში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვი ორ ათეულს არ აღწევს, ხშირ შემთხვევაში იგი ათზე ნაკლებია. მაგალითად, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 19 მოსამართლისგან, იტალიის – 15 მოსამართლისგან, უნგრეთის – 11 მოსამართლისგან, სლოვენის და მაკედონიის – 9 მოსამართლისგან და ა.შ. ხშირად საკონსტიტუციო სასამართლოები შედგება 2 პალატისგან (ერთ-ერთი როგორც წესი არის სენატი), რაც ძირითადად, სასამართლოში საქმეების განხილვის დაჩქარებით არის განპირობებული. საქმეების განხილვა, როგორც წესი, სამოქალაქო საპროცესო პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს, თუმცა ბევრ ქვეყანაში მიღებულია კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ, მათ რიცხვშია საქართველოც.

საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას მრავალი პოზიტიური მხარე აქვს. კონტროლის ამ ფორმის უდაო ღირსებად უნდა მივიჩნიოთ საკონსტიტუციო სასამართლოებში საქმეთა განხილვა შეჯიბრებითობისა

და საჯაროობის პრინციპებზე დაყრდნობით. დადებითი მხარეა ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის უფლება, როგორც წესი, აქვს ნებისმიერ ადამიანს, რომლის კონსტიტუციური უფლებაც არის დარღვეული. ამით კონტროლის ეს ფორმა განსხვავდება ანგლოსაქსური მოდელისგან, რომლის შესაბამისადაც არაკონსტიტუციურობის საფუძვლით სასამართლოში სარჩელით მიმართვის უფლება აქვთ მხოლოდ კონკრეტული საქმის მონაწილე მხარეებს. საკონსტიტუციო სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკის სასარგებლოდ უნდა ითქვას ისიც, რომ მისი მოსამართლეები, როგორც წესი, საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტები, პროფესიონალი იურისტები არიან.

თუმცა, საკონსტიტუციო კონტროლის ამ ფორმას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს. კერძოდ, არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების პროცედურა, მისი ყოველი გადაწყვეტილება საბოლოოა. ბუნებრივია, ყოველივე ეს, კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს. ამასთან, არც იმის თქმა შეიძლება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ყოველი გადაწყვეტილება იდეალურია, თუნდაც იმიტომ რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსამართლეებს განსხვავებული აზრი გააჩნიათ.

ბ) *საკონსტიტუციო საბჭო.* საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალიზებული ორგანოა საკონსტიტუციო საბჭოც. ეს ორგანო ფუნქციონირებს საფრანგეთში, სენეგალში, მოზამბიკში, ყაზახეთში და ა.შ. რუმინეთში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, თუმცა, თავისი უფლებამოსილებით და როლით, სახელმწიფო მექანიზმში ის უფრო ახლოა საკონსტიტუციო საბჭოსთან.

საკონსტიტუციო საბჭოს წევრთა დანიშვნაში ხელისუფლების სხვადასხვა შტოები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მონაწილეობენ: ნაწილი ინიშნება პრეზიდენტის მიერ, ნაწილი პარლამენტის პალატათა თავმჯდომარეების ან ერთპალატიანი პალატის თავმჯდომარის მიერ და ნაწილიც – სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – უზენაესი სასამართლოს მიერ, ან მოსამართლეთა თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს – საერთო-სახელმწიფოებრივი ყრილობის მიერ. საკონსტიტუციო საბჭოს შემადგენლობაში, თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება იყვნენ სხვა წევრებიც, მაგალითად, ყოფილი პრეზიდენტები. საკონსტიტუციო სასამართლოებისგან განსხვავებით საბჭოს წევრები არიან მრჩეველები და არა მოსამართლეები. საკონსტიტუციო საბჭოსთვის დამახასიათებელია ისიც, რომ მრავალი საკონსტიტუციო სასამართლოსგან განსხვავებით, იგი განიხილავს არა მარტო ნორმატიული აქტების, არამედ გარკვეულ ქმედებათა კონსტიტუციურობის საკითხებსაც.

საკონსტიტუციო საბჭოს მნიშვნელოვან ღირსებად უნდა მივიჩნიოთ წინასწარი (პრევენციული) საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება. კერძოდ, იგი კანონების კონსტიტუციურობის საკითხს განიხილავს პრეზიდენტის მიერ მათ ხელმოწერამდე და პრომულგაციამდე, ანუ, კანონის ძალაში შესვლამდე. ეს ამცირებს ისეთი კანონების არსებობას, რომლებიც შემდგომ შეიძლება არაკონსტიტუციურად იქნენ ცნობილი საკონსტიტუციო

კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების მიერ, როგორც ეს ხშირად ხდება ისეთ სახელმწიფოებში, რომლებშიც საკონსტიტუციო კონტროლს განახორციელებენ საერთო იურისდიქციის ან საკონსტიტუციო სასამართლოები. თუმცა, სუბიექტთა წრე, რომლებსაც საკონსტიტუციო საბჭოში მიმართვის უფლება აქვთ პრეზიდენტის მიერ ჯერ კიდევ ხელმოწერელი კანონის არაკონსტიტუციურობის თაობაზე, საკმაოდ შეზღუდულია. როგორც წესი, ასეთი უფლებით სარგებლობენ მხოლოდ პრეზიდენტი და პარლამენტის წევრთა განსაზღვრული რაოდენობა (საფრანგეთში – 60 დეპუტატი). საკონსტიტუციო საბჭოს მოდელი ითვალისწინებს იმასაც, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე კანონები (საფრანგეთში – ორგანული კანონები), პრეზიდენტის მიერ მათ ხელმოწერამდე, კონსტიტუციურობის თაობაზე დასკვნის მისაღებად, აუცილებლად უნდა გაიგზავნოს საკონსტიტუციო საბჭოში, ანუ, ამ შემთხვევაში წინასწარ საკონსტიტუციო კონტროლს სავალდებულო ხასიათი აქვს. მართალია, ზოგადი წესების შესაბამისად, საკონსტიტუციო საბჭო წინასწარ საკონსტიტუციო კონტროლს განახორციელებს, მაგრამ ამა თუ იმ ნორმატიული აქტით მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევის ფაქტზე სარჩელის აღძვრის შემთხვევაში არც შემდგომი კონტროლია გამორიცხული.

მოცემული მოდელის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ საკონსტიტუციო საბჭოში საქმეების განხილვა არ ხდება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით. საბჭოს წევრი თავმჯდომარის დავალებით შეისწავლის საქმეს და შემდგომ თავის აზრს გამოთქვამს საბჭოს სხდომაზე, რის შედეგადაც საბჭო გადაწყვეტილებას დასკვნის სახით იღებს. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფორმით ბევრად უფრო სწრაფად ხდება საქმეების განხილვა, ვიდრე ეს შეჯიბრებითობის შემთხვევაშია შესაძლებელი.

გ) *საკონსტიტუციო-რელიგიური საბჭო.* საკონსტიტუციო კონტროლის თავისებური ორგანოთა სისტემა ფუნქციონირებს რიგ მუსლიმანურ სახელმწიფოებში, რომელთა ბუნება სამართლის პოლიტიკური ისლამიზაციით არის განპირობებული. ამ სახელმწიფოებში ფუნქციონირებენ საკონსტიტუციო-რელიგიური საბჭოები, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან როგორც იურისტები, ასევე, ყურანისა და მუსლიმანური ტრადიციების მცოდნე სასულიერო პირები. ამგვარი ორგანოს ტიპური მაგალითია, ირანში, 1979 წლის კონსტიტუციით დაფუძნებული კონსტიტუციის დაცვის საბჭო (იურიდიულ ლიტერატურაში მას ხშირად “გუშაგთა საბჭო”-ს უწოდებენ¹). იგი შედგება 6 სასულიერო პირის და 6 იურისტისგან, რომელთაგან პირველნი სახელმწიფოს სულიერი ლიდერის მიერ ირჩევიან, ხოლო იურისტთა შემადგენლობას, მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო – მეჯლისი ამტკიცებს. საბჭო პარლამენტის მიერ მიღებული კანონების ყურანთან და კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისობას ამოწმებს.

¹ იხ. Сравнительное конституционное право, отв. ред. В.Е. Чиркин, М., 2002, с. 103.

6.3 საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები

ამდენად, მას შემდეგ რაც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სუბიექტები განვიხილეთ, შესაძლებელია საკონსტიტუციო კონტროლის მოდელებიც დავახასიათოთ. როგორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო კონტროლი სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული ფორმით ხორციელდება. თითოეულ მათგანში კონტროლის ფუნქციებით სხვადასხვა სუბიექტები არიან დაჯილდოვებული, რომლებსაც ასევე განსხვავებული საკონტროლო უფლებამოსილებები აქვთ მიკუთვნებული. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას ყოველ კონკრეტულ სახელმწიფოში თავისი სპეციფიკურობა ახასიათებს ვთვლით, რომ დღეისათვის მსოფლიოში საკონსტიტუციო კონტროლის ოთხი ძირითადი მოდელი ფუნქციონირებს. კერძოდ:

ა) პირველ რიგში უნდა დავასახელოთ *ანგლოსაქსური მოდელი*, რომელსაც *ამერიკულ* მოდელსაც უწოდებენ. ამ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლს საერთო იურისდიქციის სასამართლოები განახორციელებენ. აღნიშნული მოდელის სპეციფიური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ სახელმწიფოთა ერთ ნაწილში საკონსტიტუციო კონტროლს ყველა სასამართლო ინსტანცია განახორციელებს, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უზენაესი სასამართლო (აშშ, არგენტინა, მექსიკა, სკანდინავიის ქვეყნები, იაპონია), ხოლო დანარჩენ სახელმწიფოებში, საკონსტიტუციო კონტროლი მხოლოდ უზენაესი სასამართლოს პრეროგატივაა (ავსტრალია, ინდოეთი, კანადა, მაღაიზია, ირლანდია);

ბ) შემდეგია *ევროპული*, ანუ ე.წ. *ავსტრიული* მოდელი, რომელიც როგორც ევროპის უმეტეს სახელმწიფოში ასევე, აზიაში, ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებზეც ფუნქციონირებს. ამ მოდელმა თავისი საფუძველი ჰპოვა ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებშიც. აღნიშნული მოდელის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლს ამ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოები ახორციელებენ, ანუ, ორგანოები, რომლებიც შექმნილი არიან მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად. ეს ორგანოებია: საკონსტიტუციო სასამართლოები და კვაზისასამართლო ორგანოები, როგორებიცაა საკონსტიტუციო საბჭო, საკონსტიტუციო კომიტეტი ან საკონსტიტუციო-რელიგიური საბჭო. ამ ორგანოთა კატეგორიას განეკუთვნება, ასევე ზოგიერთი სახელმწიფოს უზენაესი სასამართლოს სტრუქტურაში შექმნილი სპეციალური საკონსტიტუციო პალატები ან კოლეგიები;

გ) ზემოთ დავასახელეთ ორი ძირითადი მოდელი. თუმცა, ყველა ქვეყნის მაგალითზე შექმნილი საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი ზემოხსენებული კლასიკური ვარიანტების სტრუქტურასა და ხასიათში არ ეწერება. საკონსტიტუციო კონტროლის სრულყოფილი მექანიზმის შექმნა, ამ ინსტიტუტის საგანგებო მნიშვნელობიდან და უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, რთული ამოცანაა თვით იმ ქვეყნებშიც, რომლებშიც გარკვეული დემოკრატიული საფუძვლები და გამოცდილება არსებობს. ამიტომ, ბევრი სახელმწიფო თავისებურად ავითარებს საკონსტიტუციო კონტროლის სისტემას. მაგალითად, რიგ ქვეყნებში (საბერძნეთი, პორტუგალია, სამხრეთ აფრიკა, ეკვატორი)

დამკვიდრდა ე.წ. *შერეული მოდელი*, რომლის პირობებშიც საკონსტიტუციო კონტროლი ერთდროულად ხორციელდება, როგორც სპეციალიზებული ორგანოს, ასევე საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ. მაგალითად, პორტუგალიაში საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე, საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ. საბერძნეთში, 1975 წლის კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო კონტროლის უფლებით აღჭურვილია, ერთი მხრივ, საერთო იურისდიქციის ყველა სასამართლო და მეორე მხრივ, ამ მიზნით შექმნილი სპეციალური უმაღლესი სასამართლო, რა თქმა უნდა, ყველა მათგანი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს;

დ) დაბოლოს, ტოტალიტარული სოციალიზმის სახელმწიფოთა კონსტიტუციები ამკვიდრებენ კონტროლის *საპარლამენტო მოდელს*. ამ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლს პარლამენტები და მათი მუდმივმოქმედი, კოლეგიური ორგანოები ახორციელებენ, როგორცაა სახელმწიფო საბჭო, რესპუბლიკის პრეზიდენტი, უზენაესი საბჭოს პრეზიდენტი თუ სხვ. კონტროლის აღნიშნული ფორმა დაფუძნებულია პარლამენტის უზენაესობის იდეაზე, რომლის თანახმადაც არცერთ სხვა ორგანოს არ აქვს უფლება განიხილოს პარლამენტის, როგორც უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის საკითხი. ამჟამად საკონსტიტუციო კონტროლისადმი ამგვარი მიდგომა შენარჩუნებულია ვიეტნამში, ჩინეთში, კორეის სდრ-ში და კუბაში.

თავი II. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოს კანონმდებლობაში – ისტორიული ასპექტი და მოქმედი ნორმები

§ 1. კონსტიტუციურობისა და კანონიერების კონტროლის და ზედამხედველობის იდეები პირველ ქართულ კონსტიტუციაში

საკონსტიტუციო კონტროლი, როგორც ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების მექანიზმი, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ სახელმწიფოში, რომელსაც უზენაესი ძალის მქონე აქტი – კონსტიტუცია აქვს. აქედან გამომდინარე, თეორიულად, ყველაზე ადრე საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი მხოლოდ 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიღებით შეიძლება დაწარმოებულიყო. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ისტორიულ ასპექტზე მსჯელობა 1921 წლის კონსტიტუციის დებულებათა სამართლებრივი ანალიზით დავიწყოთ. კერძოდ კი, განვიხილოთ იყო თუ არა გათვალისწინებული მიღებულ, მაგრამ, ფაქტობრივად, აუმოქმედებელ პირველ ქართულ კონსტიტუციაში საკონსტიტუციო კონტროლის რაიმე მექანიზმი.

ვიდრე კონსტიტუციურ დებულებებს განვიხილავდეთ, ყურადღებას გავამახვილებთ 1918-21 წლების საქართველოს კონსტიტუციამდელ კანონმდებლობაზეც. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული კონსტიტუციონალიზმის ათევის წერტილი 1918 წლის 26 მაისს იწყება.¹ მართლაც, 1918-1921 წლები უმნიშვნელოვანესი პერიოდია საქართველოს უახლეს ისტორიაში. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით² საქართველო სრულფუფქვითიან სახელმწიფოდ გამოცხადდა და საფუძველი ჩაეყარა ერთი მხრივ, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრების და მეორე მხრივ, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს მიკუთვნებული სახელმწიფო ორგანოების ფორმირების პროცესს. აქტის მე-7 პუნქტი განსაზღვრავდა, რომ დამფუძნებელი კრების შეკრებამდე, მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს გაუძღვებოდა ეროვნული საბჭო და მის წინაშე ანგარიშვალდებული დროებითი მთავრობა. მოცემული პუნქტიდან გამომდინარე, დამფუძნებელი კრების „შეკრება“ ეროვნული საბჭოს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა. ამასთან, უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ორგანოს - დროებითი მთავრობის ფორმირება. აქტის ტექსტში პირდაპირ არაფერი იყო ნათქვამი ეროვნული საბჭოსა და დროებითი მთავრობის უფლებამოსილებებზე. მასში მხოლოდ ზოგადად იყო განმარტებული, რომ ეს ორგანოები “მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვებოდნენ”. თუმცა, ქართული კანონმდებლობის შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ ეროვნულ საბჭოსა და დროებით მთავრობას შორის შესაბამისად გადანაწილდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები.

¹ იხ. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ. 1 (სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის), თბ., 2004, გვ. 98.

² იხ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, რედ. ვ. შარაშენიძე, თბ., 1990, გვ. 3-4; ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია – 1783-1990, თბ., 1991, გვ. 197-198.

თუმცა, ჩვენი კვლევის ინტერესს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის დარეგულირების მიზნით განხორციელებული კანონშემოქმედებითი საქმიანობა იწვევს, ვინაიდან ამ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვნად მოხდა საკონტროლო-საზედამხედველო იდეების აქტუალიზაცია. 1918 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა დებულება რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს შესახებ და დაფუძნდა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი, ხოლო 1919 წლის 29 ივლისის კანონით დაფუძნდა საქართველოს უზენაესი სასამართლო – სენატი.¹

საქართველოს სენატის შესახებ დებულების თანახმად, იგი საკასაციო ინსტანციის სასამართლო იყო და განიხილავდა სისხლის და სამოქალაქო საქმეებს. აგრეთვე, იგი თვალყურს ადევნებდა მთავრობის ყოველი დაწესებულების, თანამდებობის პირის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონის დაცვასა და სისწორით აღსრულებას. ზედამხედველობის ფუნქციის შემცველი ეს ნორმა, იგივე დებულების მე-6 მუხლს უკვე საკონტროლო ფუნქციის კატეგორიაში გადაჰყავს, როდესაც ადგენს, რომ თუ სენატი „დაინახავს“, რომ მინისტრის ან მთავრობის სხვა უმაღლესი წარმომადგენლის ცირკულიარი, განკარგულება ან სავალდებულო დადგენილება ეწინააღმდეგება კანონს, იგი უფლებამოსილია განკარგულება გასცეს მათი მოქმედების შეჩერების, მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების თაობაზე. ამასთან, მითითებული მუხლის შენიშვნა ავალდებულებდა მინისტრს და მთავრობის სხვა უმაღლეს წარმომადგენელს ცირკულიარის, სავალდებულო დადგენილების, ინსტრუქციის, განმარტების და ზოგადი ხასიათის განკარგულების გამოცემისთანავე წარედგინათ სენატში მათი „პირები“ (ასლები).

ამდენად, ზემოთითხეული ნორმების ანალიზის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ მთავრობის ზემოთ დასახელებულ აქტებზე სენატს საკუთარი ინიციატივით ნებისმიერ დროს შეეძლო კონტროლის განხორციელება. მაგრამ, მიუხედავად მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა ამგვარი კონტროლი უნდა განვასხვავოთ საკონსტიტუციო კონტროლისგან, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კანონქვემდებარე აქტების კანონიერების, ანუ კანონებთან მათი შესაბამისობის კონტროლს.

სენატის ფორმირება ხდებოდა საკანონმდებლო ორგანოს მიერ. პარლამენტის არჩევამდე სენატორებს, თავმჯდომარეს და მის ამხანაგს, ორი წლის ვადით ირჩევდა დამფუძნებელი კრება, ხოლო პარლამენტის არჩევის შემდეგ, ოთხი წლის ვადით – პარლამენტი. სენატი შედგებოდა ორი – სისხლის და სამოქალაქო სამართლის საკასაციო დეპარტამენტებისაგან. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში არსებობდა აგრეთვე, „საადმინისტრაციო განყოფილება“. გარდა ამისა, სენატში იქმნებოდა „საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება“ და „საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულო“.

სენატის შინაგანი სტრუქტურის აღწერა იმ მიზნით მივიჩნიეთ მიზანშეწონილად, რომ სენატი აღჭურვილი იყო ჩვენი კვლევისთვის საინტერესო კიდევ ერთი უფლებამოსილებით, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობას ზემოაღნიშნული ზოგიერთი

¹ სენატის შესახებ დებულების ტექსტი იხ. იქვე, გვ. 295-307.

სტრუქტურული ქვედანაყოფი დებულობდა. კონკრეტულად კი, სენატს ჰქონდა უფლებამოსილება განეხილა კომპეტენციური დავები მთავრობის დაწესებულებათა შორის, სასამართლო და მთავრობის დაწესებულებებს შორის და სხვადასხვა უწყების სასამართლოებს შორის. მათ შორის, მთავრობის დაწესებულებათა შორის კომპეტენციურ დავებს განიხილავდა სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის „საადმინისტრაციო განყოფილება“ (მუხლი 34), ხოლო კომპეტენციურ დავებს სასამართლოსა და მთავრობის დაწესებულებებს შორის, აგრეთვე სხვადასხვა უწყების სასამართლოებს შორის – „სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება“ (მუხლი 35).

ამრიგად, ზემოთ მითითებული უფლებამოსილებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სენატს, როგორც სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს და საკასაციო ინსტანციის სასამართლოს, იმავდროულად გარკვეული საკონტროლო უფლებამოსილებებიც ჰქონდა. კერძოდ, იგი საკუთარი ინიციატივით ამოწმებდა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქტების კანონებთან შესაბამისობას და შეუსაბამობათა გამოვლენის შემთხვევაში შეეძლო გაეუქმებინა ისინი, ანუ, ამ შემთხვევაში სენატი კანონქვემდებარე აქტების კანონიერების კონტროლს ახორციელებდა. გარდა ამისა, იგი განიხილავდა კომპეტენციური დავების საქმეებს მთავრობის დაწესებულებათა შორის, სასამართლოსა და მთავრობის დაწესებულებებს შორის და სხვადასხვა უწყების სასამართლოებს შორის. როგორც ცნობილია, ხელისუფლების სხვადასხვა დაწესებულებათა შორის კომპეტენციური დავების განხილვა, კონტინენტური სამართლის დემოკრატიულ სახელმწიფოებში, საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. შეიძლება ითქვას, რომ კომპეტენციური დავების განხილვის თვალსაზრისით, საქართველოს სენატის აღნიშნული უფლებამოსილებები მსგავსია ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებისა, რომელიც განიხილავს კომპეტენციურ დავებს სასამართლოებსა და მმართველობის ორგანოებს შორის, ადმინისტრაციულ სასამართლოსა და ნებისმიერ სხვა სასამართლოს შორის, ასევე, სხვადასხვა სასამართლოებს შორის (ავსტრიის კონსტიტუციის 138-ე მუხლი).¹

ამრიგად, 1918 წლის 26 მაისიდან – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, საქართველოში დაიწყო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირების პროცესი. სახელმწიფო ხელისუფლება, მონტესკიესეული პრინციპის შესაბამისად, სამ შტოდ დაიყო. საკანონმდებლო ხელისუფლება, პირველად საქართველოს ისტორიაში, არჩევნების საფუძველზე ფორმირებულ დამფუძნებელ კრებას ეკუთვნოდა, აღმასრულებელ ხელისუფლებას მთავრობა, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას სასამართლოები განახორციელებდნენ. წონასწორობას ხელისუფლების შტოებს შორის, იმდროინდელი იურიდიული აქტების ძალით ამოქმედებული საკონტროლო-საზედამხედველო მექანიზმები უზრუნველყოფდნენ. ასე რომ, ეს ინსტიტუტები უკვე იქმნებოდნენ, ფუნქციონირებდნენ და

¹ იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А., Окунькова, М., 2001, Т.1, с. 99.

გარკვეულ გამოცდილებას ქმნიდნენ, ვიდრე საქართველოს, უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ძირითადი კანონი – კონსტიტუცია ექნებოდა.

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს ისტორიაში პირველი კონსტიტუცია მიიღო.¹ ამ დროს პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში ძალიან დაძაბული იყო. საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვისა და გასაბჭოების რეალური საფრთხის წინაშე იდგა. ამ ვითარებაში დამფუძნებელი კრება იძულებული შეიქმნა ნახჩარევად დაემტკიცებინა კონსტიტუციის პროექტი, თუმცა, მას ხანგრძლივი მოქმედება არ ეწერა. იმავე წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქი ოკუპირებული იყო წითელი არმიის ძალების მიერ. 1921 წლის 17 მარტს, ტოვებდა რა საქართველოს საზღვრებს, დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედების დროებითი შეჩერების თაობაზე.²

ამრიგად, საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა, თუმცა, იმის გამო, რომ მისი მოქმედება სულ რამდენიმე დღეში შეჩერდა, ფაქტობრივად, არც შესულა ძალაში. იმ ვითარების გათვალისწინებით, რა პირობებშიც იქნა მიღებული აღნიშნული კონსტიტუცია, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მასში გარკვეული ხარვეზებიც არსებობდა. მიუხედავად ამისა, იგი დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი კანონის ბრწყინვალე მაგალითია, რომლის შემუშავებისას მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება იქნა გათვალისწინებული.

კონსტიტუცია შედგება 17 თავისგან და 149 მუხლისგან. პირველივე მუხლი საქართველოს თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ აცხადებს. პოლიტიკური წყობილების ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა არის გამოცხადებული. კონსტიტუციის მე-2 თავი საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს ეძღვნება. კონსტიტუციურად არის აგრეთვე განმტკიცებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები (თავი 3), ასევე ეროვნულ უმცირესობათა უფლებები (თავი 14).³

კონსტიტუცია სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის ინსტიტუტის დაფუძნებას არ ითვალისწინებდა. სახელმწიფო ხელისუფლება, კონსტიტუციის მიღებამდე დამკვიდრებული მოდელის მსგავსად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისად იყო დანაწილებული. საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო კონსტიტუციის შესაბამისად უნდა ყოფილიყო პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა მთავრობას, ხოლო სასამართლო ხელისუფლება – სასამართლოებს.⁴

კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის სფეროში მნიშვნელოვანია მასში კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის განმტკიცება. მე-8 მუხლი

¹ კონსტიტუციის ტექსტი იხ. იქვე, გვ. 458-484.

² დაწვრილებით იხ. Ментешавили А.М. Октябрьская революция и национально-освободительное движение в Грузии, 1917-1921, Тб., 1987, с. 161-187.

³ დაწვრილებით იხ. გ. ერემოვი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის თებერვლის კონსტიტუცია, ჟურნ. „სამართალი“, 1992, №10-11, გვ. 12-14.

⁴ დაწვრილებით იხ. ზ. ჯინჯოლავა, ხელისუფლების დანაწილების თეორია და საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია, ჟურნ. „სამართალი“, 1994, №5-6, გვ. 24.

ადგენს, რომ კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. „არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის წინააღმდეგია“. თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული ნორმა ყველა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის აუცილებლობას ითვალისწინებდა. იგი იმპერატიულად აცხადებდა, რომ კონსტიტუციასთან შეუსაბამო აქტების არა თუ მოქმედება, გამოქვეყნებაც არ შეიძლებოდა. მითითებული პრინციპი, როგორც წესი, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებშიც არის ჩადებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტული სახელმწიფოს სამართლის სისტემაში, კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმატიული აქტებიც მოქმედებენ. როგორც წესი, ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად სხვადასხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობებში საკონსტიტუციო კონტროლის განსხვავებული მექანიზმებია ჩადებული. რაც შეეხება, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციას, მასში ამგვარი მექანიზმის არსებობა არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, არც არაფერი იყო ნათქვამი კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ მიღებულ მასთან შეუსაბამო აქტების ბედზე.

თუმცა, კონსტიტუციაში ჩადებული იყო მეტად მნიშვნელოვანი ნორმა, რომელიც კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედ აქტებს შეეხებოდა. კონსტიტუციის მე-9 მუხლი ცალსახად ადგენდა, რომ კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩებოდა, თუ იგი კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგებოდა. ამ ნორმის ამოქმედება, თავისთავად ცხადია, კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედი აღნიშნული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას მოითხოვდა. ჩვენი აზრით, ეს იყო ქართული კონსტიტუციური სამართლის მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მიზანშეწონილობის პირველი აღიარება. თუმცა, არც ამ ნორმიდან ჩანდა ვის უნდა უზრუნველყო კანონებისა და დეკრეტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება და წინააღმდეგობის გამოვლენის შემთხვევაში სათანადო ზომების გატარება. ჩვენი აზრით, ეს საკითხი აუცილებლად დადგებოდა დღის წესრიგში 1921 წლის კონსტიტუციას გარკვეული პერიოდი რომ ემოქმედა, თუმცა განვითარებული მოვლენების გამო ეს კითხვა პასუხგაუცემელი რჩება.

აღსანიშნავია, რომ 1921 წლის კონსტიტუციის მე-9 მუხლის მსგავსი შინაარსის ნორმა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაშიც არის განმტკიცებული. კერძოდ, კონსტიტუციის გარდამავალი დებულებების 106-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებდა მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგებოდა. ცხადია, აღნიშნული ნორმაც საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას ითვალისწინებდა. ამასთან, 1921 წლის კონსტიტუციური ნორმებისგან განსხვავებით, იმავე მუხლის მეორე პუნქტი ადგენს ვის უნდა უზრუნველყო კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მოქმედი ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობა. კერძოდ, აღნიშნული საკითხის მოგვარება, კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს დაეკისრათ.

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს კონსტიტუციის 72-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტი, რომელიც განსაზღვრავდა, რომ კონსტიტუციისა და კანონების დაცვისადმი “თვალ-ყურის დევნა” და მათი აღსრულება რესპუბლიკის მთავრობას ევალებოდა, ხოლო 76-ე მუხლის შესაბამისად, კანონის დაცვისადმი „თვალ-ყურის“ დევნება საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს – სენატის უფლებამოსილებასაც წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ერთადერთი ორგანო, რომელსაც კონსტიტუციის დაცვაზე ზედამხედველობა ევალებოდა იყო საქართველოს მთავრობა, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ 54-ე მუხლის შესაბამისად, თვით აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე საერთო კონტროლს პარლამენტი ახორციელებდა. ჩვენი აზრით, მხოლოდ 72-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის დებულებიდან გამომდინარე, რომელიც ზოგადად განსაზღვრავდა, რომ კონსტიტუციის დაცვაზე „თვალ-ყურის დევნას“ ახორციელებდა მთავრობა, ძნელია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, თუ რა ფორმით უნდა აღესრულებინა მას კონსტიტუციის ამ ნორმის მოთხოვნა. ითვალისწინებდა თუ არა ეს საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებას მთავრობის ხელში, თუ იგი საკონსტიტუციო ზედამხედველობის ბუნების მატარებელი ფუნქციის სახით ჩამოყალიბდებოდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია ისევ და ისევ იმ მიზეზის გამო, რომ 1921 წლის კონსტიტუცია პრაქტიკულად არ შესულა ძალაში, შესაბამისად არც აღნიშნულ ნორმას უმოქმედია და არც ნორმატიული ბაზა შექმნილა კონსტიტუციის ამ დებულების განსაზღვრვობად და დასარეგულირებლად.

სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს დათმობილი აქვს კონსტიტუციის მე-6 თავი. 76-ე მუხლი ადგენდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატის უფლებამოსილებებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. მართალია, კონსტიტუციის დაცვის უფლება ცალკე ნორმის სახით სენატს არ ჰქონდა მინიჭებული, მაგრამ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ძირითადი კანონის მიღებით, კონსტიტუციურად განმტკიცდა, როგორც სენატის სტატუსი, ასევე ის ნორმა, რომელიც სენატს აღჭურავდა უფლებამოსილებით „თვალ-ყური“ ედევნებინა კანონის დაცვაზე. ცხადია, ამ ნორმით, სენატი ისევ სხვადასხვა აქტების კანონიერებაზე ზედამხედველ საკონტროლო ფუნქციის განმახორციელებელ ორგანოდ რჩებოდა და მას ამ მხრივ, საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილება არ შეუძენია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სენატს სხვადასხვა კომპეტენციური დავების გადაჭრის ფუნქციაც ჰქონდა მიკუთვნებული, შეიძლება ითქვას, რომ ამ უფლებამოსილებათა ერთიანი კომპლექსისა და მისი სტატუსის კონსტიტუციური განმტკიცებით, იგი ამ სფეროში, ფაქტობრივად, საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოებისათვის დამახასიათებელ უფლებამოსილებას იძენდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის პროცესში, კერძოდ კი, სასამართლოს შესახებ კონსტიტუციის თავის შემუშავებისას ყველაზე დიდი კამათი გამოიწვია სენატის დანიშნულებისა და ფუნქციების საკითხმა. პოლემიკა წარიმართა საკითხზე უნდა ჰქონოდა

თუ არა სენატს საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილება. „საბოლოო ჯამში, დაუშვებლად მიიჩნიეს ისეთი დაწესებულების არსებობა, რომელსაც ექნებოდა კონსტიტუციის განმარტების უფლება – „შეესაბამება თუ არა ესა თუ ის კანონი კონსტიტუციას.“¹ ამგვარი გადაწყვეტილების საფუძვლად მიჩნეული იყო მოსაზრება, რომლის შესაბამისადაც სენატს საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილება რომ ჰქონოდა ეს იქნებოდა „უფრო მაღალი დაწესებულება, „ვიდრე კანონმდებელი ორგანო, პარლამენტი. ეს კი დასაშვები არაა“. გარდა ამისა, ეს იქნებოდა „ხალხისთვის უფლების ჩამორთმევა. ხალხია უმაღლესი, უზენაესი ძალა სახელმწიფოში. კონსტიტუციის განმარტებელი დაწესებულება იგია.“² ცხადია, ამგვარი შეხედულებები პარლამენტის უზენაესობის იდეის გავლენას განიცდიდა, რომლის თანახმადაც არცერთ სხვა ორგანოს არ ჰქონდა უფლება განეხილა პარლამენტის, როგორც უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი რანგის მქონე ორგანოს მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის საკითხი. აღსანიშნავია ისიც, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოს შექმნის იდეა იმ დროისთვის სიახლე იყო ევროპაში. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდე მხოლოდ ავსტრიაში ფუნქციონირებდა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც 1920 წელს შეიქმნა.

ჩვენი აზრით, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის განხილვა, საინტერესოა ქვეყანაში ახალი საზედამხედველო ფორმებისა თუ ინსტიტუტების წარმოშობის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ, საყურადღებოა კონსტიტუციის მე-10 თავი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს არეგულირებს. კერძოდ, 98-ე მუხლი განსაზღვრავდა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა არის იმავე დროს ორგანო ადგილობრივი მმართველობისა“, რომელიც თავისი ტერიტორიის ფარგლებში განაგებდა ადგილობრივი გამგეობის კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეურნეო საქმეებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ფორმირება ხდებოდა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული არჩევნების გზით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დამოუკიდებლობა განმტკიცებული იყო კონსტიტუციური ნორმით, რომელიც ადგენდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დადგენილებისა და განკარგულების გაუქმება შეეძლო მხოლოდ სასამართლოს. 103-ე მუხლის თანახმად, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დადგენილება ან განკარგულება შეეწინააღმდეგებოდა კანონს, მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება ჰქონდათ შეეჩერებინათ აღნიშნული აქტების მოქმედება და ვალდებული იყვნენ საქმე განსახილველად დაუყონებლივ გადაეცათ სასამართლოსთვის. ამდენად, მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქტების მიმართ მინიჭებული ჰქონდათ საზედამხედველო და არა საკონტროლო უფლებამოსილებები, რადგან მათ ამ აქტების მოქმედების მხოლოდ შეჩერება შეეძლოთ და არ ჰქონდათ მათი გაუქმების უფლება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ იყო საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კანონიერებაზე

¹ იხ. მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბ., 1996, გვ. 90.

² იხ. იქვე, 91.

ზედამხედველობის განხორციელებას, ანუ, თვითმმართველობის ორგანოს აქტების კანონებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობას.

ამდენად, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის 1918-1921 წლები სწორედ ის პერიოდია, როდესაც საქართველოში კანონიერებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის ინსტიტუტების დაფუძნება იწყება. როგორც აღვნიშნეთ, ამ სფეროში კონტროლის უფლებამოსილებით საქართველოს უმაღლესი სასამართლო – სენატი სარგებლობდა. კანონების შესრულებაზე „თვალ-ყურის დევნა“ მთავრობის კომპეტენციაშიც შედიოდა, თუმცა ამ უკანასკნელს საზედამხედველო უფლებამოსილებაც ჰქონდა თვითმმართველობის ორგანოების აქტების მიმართ. რაც შეეხება საკონსტიტუციო კონტროლის იდეას, 1918-1921 წლების კანონმდებლობა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს არ აფუძნებდა, თუმცა ჩვენი აზრით, ამ თვალსაზრისით რიგ საინტერესო დებულებებს შეიცავდა. კერძოდ:

ა) კონსტიტუციის მე-8 მუხლი განამტკიცებდა რა მისი უზენაესობის პრინციპს ადგენდა, რომ „არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის წინააღმდეგია“. ამასთან, მე-9 მუხლი განსაზღვრავდა, რომ კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩებოდა, თუ იგი კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგებოდა. ამ ნორმის ამოქმედება, თავისთავად ცხადია, კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედი აღნიშნული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას მოითხოვდა. ჩვენი აზრით, ეს იყო ქართული კონსტიტუციური სამართლის მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მიზანშეწონილობის პირველი აღიარება;

ბ) საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია მის დაცვას საქართველოს მთავრობას ავალებდა. კერძოდ, 72-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავდა, რომ კონსტიტუციისა და კანონების დაცვისადმი „თვალ-ყურის დევნა“ და მათი აღსრულება რესპუბლიკის მთავრობას ევალებოდა. ამდენად, მთავრობას კონსტიტუციის დაცვის ფუნქცია გააჩნდა. თუმცა, მხოლოდ 72-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის დებულებიდან გამომდინარე, რომელიც ზოგადად განსაზღვრავდა, რომ კონსტიტუციის დაცვაზე „თვალ-ყურის დევნას“ ახორციელებდა მთავრობა, ძნელია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, თუ რა ფორმით უნდა აღესრულებინა მას კონსტიტუციის ამ ნორმის მოთხოვნა. ვერც იმას ვიტყვით გულისხმობდა თუ არა ეს დებულება მთავრობის საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვას, რადგან 1921 წლის კონსტიტუცია პრაქტიკულად არ შესულა ძალაში, შესაბამისად არც აღნიშნულ ნორმას უმოქმედია და არც ნორმატიული ბაზა შექმნილა კონსტიტუციის ამ დებულების განსაგრძობად და დასარეგულირებლად.

გ) საქართველოს სენატს ანიჭებდა უფლებამოსილებას განეხილა კომპეტენციური დავები. როგორც ცნობილია, ხელისუფლების სხვადასხვა დაწესებულებათა შორის კომპეტენციური დავების განხილვა კონტინენტური სამართლის დემოკრატიულ სახელმწიფოებში, საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა;

დ) საქართველოს სენატს, როგორც უმაღლეს და საკანსაციო ინსტანციის სასამართლოს ანიჭებდა უფლებამოსილებას „თვალყური ედევნებინა“ მთავრობის ყოველი დაწესებულების, თანამდებობის პირის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონის დაცვასა და სისწორით აღსრულებაზე. ამ უფლებამოსილების ფარგლებში სენატს შეეძლო შეეჩერებინა ან სულაც გაეუქმებინა ზემომითითებული ორგანოების და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები. მართალია, ამ შემთხვევაში კანონიერების კონტროლს ჰქონდა ადგილი და არა საკონსტიტუციო კონტროლს, თუმცა ჩვენი აზრით, აღსანიშნავია, რომ ამ კანონქვემდებარე აქტების კონტროლი სენატს საკუთარი ინიციატივით შეეძლო. როგორც წესი, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში უმაღლესი (უზენაესი) სასამართლოები საქმეებს მხოლოდ შესაბამისი სარჩელების საფუძველზე იხილავენ;

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდე საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოს შექმნის იდეა ჯერ კიდევ ახალი ჩასახული იყო ევროპაში, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს პირველი კონსტიტუცია საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს არ აფუძნებდა. მაშინ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანო, საკონსტიტუციო სასამართლოს სახით, მხოლოდ ავსტრიაში ფუნქციონირებდა და ისიც, ამ იდეის ფუძემდებლის, ჰ.კელზენის წყალობით, რომელიც თავად ავსტრიელი იყო. ამდენად, თუ აღვნიშნავთ, რომ კონსტიტუციის შედგენისას გათვალისწინებული იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება და ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდებოდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არა საბჭოური ოკუპაცია, ქართული კანონმდებლობა საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში კელზენისეური იდეის დამკვიდრების მიმართულებით მალე განვითარდებოდა.

§ 2. საკონსტიტუციო კონტროლის თავისებურებები საბჭოთა სახელმწიფოში

საქართველოს გასაბჭოებას ეროვნული კონსტიტუციონალიზმის განვითარების ხანგრძლივი წყვეტა მოჰყვა. თითქმის 70 წელი საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი ერთ-ერთი საბჭოთა რესპუბლიკა იყო, რომლის კანონმდებლობა საბჭოთა კავშირის კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საქართველო (ისევე, როგორც სსრ კავშირში შემავალი ყველა სხვა რესპუბლიკა) მარაგდებოდა ე.წ. „რუსული საკანონმდებლო პროდუქციით“, რომელიც განსაზღვრავდა აწ უკვე სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი რიგითი რესპუბლიკის განვითარების პერსპექტივებს საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში. მთელ ამ პროცესში საქართველოს ხელისუფლების ერთადერთ ამოცანას წარმოადგენდა მისი გადმოქართულება შესაბამისი აბრევიატურის – „საქართველოს სსრ“ – წინამძღვრებით.¹ ამდენად, ძნელია საბჭოთა

¹ იხ. პ. ცნობილადე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ. 1 (სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის), თბ., 2004, გვ. 112.

პერიოდის საქართველოს კანონმდებლობას ქართული უწოდოთ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ არასწორი იქნებოდა გვერდი აგვეარა 70 წლიანი წარსულისთვის. მიგვაჩნია, რომ კვლევის სისრულის თვალსაზრისით, მიზანშეწონილი უნდა იყოს საბჭოთა სახელმწიფოში დამკვიდრებული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელის თავისებურებების განხილვა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

საბჭოთა პერიოდის საქართველოში მიღებულ იქნა ოთხი კონსტიტუცია – 1922, 1927, 1937 და 1978 წლებში. ეს კონსტიტუციები ფიქტიური ხასიათის იყო, რადგან როგორც პროფესორი ა. დემეტრაშვილი აღნიშნავს „ისინი უბრალო შირმის როლს ასრულებდნენ, რომლის იქით რეალურად ბატონობდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა მცირე ჯგუფი“.¹ ამასთან, თითოეული ახალი კონსტიტუციის მიღება ემსახურებოდა არა კონსტიტუციონალიზმის დამკვიდრებას და განვითარებას, არამედ არსებული დიქტატორული რეჟიმის კლასობრივი იდეოლოგიის განსაკუთრებული ფორმით განმტკიცებას.² ამდენად, წინამდებარე ნაშრომში მოვახდენთ საბჭოთა კონსტიტუციების ნორმების ანალიზს და წარმოვაჩინთ საბჭოურ დოქტრინალურ წყაროებში არსებულ შეხედულებებს საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტზე და მის ფუნქციონირებაზე საბჭოთა კავშირში.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე არცთუ ისე ცოტა იწერებოდა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. იგი კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად იყო შეფასებული.³ თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული იყო საკონსტიტუციო კონტროლის თავისებური გაგება, რომელიც პარლამენტის უზენაესობის იდეაზე იყო დაფუძნებული. მიიჩნეოდა, რომ არცერთ სხვა ორგანოს არ ჰქონდა უფლება განეხილა პარლამენტის, როგორც უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის საკითხი. ამიტომ საკონსტიტუციო კონტროლის ეს მოდელი საპარლამენტო მოდელის სახით არის ცნობილი. საბჭოური დოქტრინა მკაცრად აკრიტიკებდა დასავლეთის სახელმწიფოებში არსებულ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოები ან სხვა სპეციალიზებული ორგანოები ახორციელებდნენ, რადგან არსებული მოსაზრებების თანახმად, ასეთ შემთხვევაში კონტროლის ორგანო პარლამენტის ზემდგომ, მისი უფლებების შემზღვეველ და უზენაესობის შემლახველ ორგანოდ მიიჩნეოდა.⁴ ამგვარ შეხედულებებს ეფუძნებოდა საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი, რომელსაც საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციური ნორმები ადგენდნენ.

¹ იხ. ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2008, გვ. 53.

² იხ. მითითებული წყარო: პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, გვ. 112-113.

³ იხ. Шариф М.А., О правовой охране Конституции, журн. Теоретические вопросы реализации Советской Конституции, М., 1982, с. 59.

⁴ იხ.: Нудель М.А. Конституционный контроль в капиталистических государствах, М., 1968, с. 7-10; Коток В.Ф., Конституционная законность, конституционный надзор и конституционный контроль в СССР, журн. Вопросы советского государственного (конституционного) права, Иркутск, 1971 (72), вып. 12, ч. 2, т. 81, с. 106.

1922 წლის 2 მარტს საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ კონსტიტუცია.¹ ეს იყო საბჭოთა პერიოდის საქართველოს პირველი კონსტიტუცია. ამ დროს საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი და საქართველო ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. თუმცა, აღნიშნული კონსტიტუცია ფაქტობრივად რუსეთის სფსრ-ის 1918 წლის კონსტიტუციის იდენტური იყო.

კონსტიტუციურად განმტკიცებული დებულებების შესაბამისად, საქართველოს მოელ ტერიტორიაზე მყარდებოდა პროლეტარიატის სუვერენიტეტი და დიქტატურა. სრული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება გადაეცემოდა მუშათა, მშრომელი გლეხკაცობის და წითელი არმიის საბჭოებს (მუხლი 1). პროლეტარიატის ძირითად მიზნად, სოციალისტური რეფორმების შეურყევლად ცხოვრებაში გატარების გზით, ბურჟუაზიული წესწყობილებიდან სოციალიზმში გადასვლის განხორციელება იყო აღიარებული (მუხლი 2).

1922 წლის კონსტიტუცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საბჭოურ სისტემას ამკვიდრებდა. კონსტიტუციის მე-8 მუხლი ადგენდა, რომ უზენაესი ხელისუფლება სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეკუტატების საბჭოების ყრილობას ეკუთვნოდა, ხოლო ყრილობებს შორის პერიოდში – სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (ცაკი). მათ შორის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა არ მომხდარა, თუმცა უპირატესი როლი საბჭოების ყრილობას ეკუთვნოდა. კონსტიტუციის ტექსტში ხაზგასმული იყო, რომ რესპუბლიკის უზენაეს სახელმწიფო ხელისუფლებას სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა წარმოადგენდა, ხოლო ცაკი პასუხისმგებელი იყო მის წინაშე. კონსტიტუცია ადგენდა, რომ ყველა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი საბჭოების ყრილობისა და ცაკ-ის გამგებლობას ექვემდებარებოდა. მასში ჩამოთვლილი იყო ამ საკითხთა სრული ნუსხა, თუმცა, იმავდროულად, კონსტიტუციაში განმტკიცებული იყო ნორმა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული საკითხების გარდა, ყრილობისა და ცაკ-ის გამგებლობას განეკუთვნებოდა, აგრეთვე ყველა ის საკითხი, რომელსაც ისინი თავისი გამგებლობის საგნად სცნობდნენ. კონსტიტუცია ასევე განსაზღვრავდა საბჭოების ყრილობის განსაკუთრებულ გამგებლობას დაქვემდებარებულ საკითხებს, რომელთა შორის უმთავრესი საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის ძირითად საფუძველთა დაწესება, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა იყო.

კონსტიტუციის 22-ე მუხლის შესაბამისად, ცაკი აღიარებული იყო უმაღლეს კანონმდებელ, გამგებელ და მაკონტროლებელ ორგანოდ. მის უმთავრეს ფუნქციას საბჭოთა კონსტიტუციისა და სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებაზე თვალ-ყურის დევნება წარმოადგენდა. საქართველოს სსრ-ის საქმეთა საერთო მართვა-გამგეობისათვის ცაკი აარსებდა სახალხო კომისართა საბჭოს. აგრეთვე იგი ირჩევდა პრეზიდიუმს.

თავად კონსტიტუციის ტექსტში პირდაპირ არაფერი იყო ნათქვამი საკონსტიტუციო კონტროლზე, თუმცა, კონსტიტუციური დებულებებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება უზენაესი

¹ კონსტიტუციის ტექსტი იხ.: საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), შემდგენელი გ. ერემოვი, თბ., 1983, გვ. 73-95.

ხელისუფლების მატარებელ ორგანოებს შეეძლოთ. კერძოდ, პირველ რიგში, აღნიშნული ფუნქცია სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობის კომპეტენციაში შედიოდა. მართალია, კონსტიტუციის არც ერთი მუხლი საბჭოების ყრილობის საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვაზე პირდაპირ არ მიუთითებდა, მაგრამ მისი უმაღლესი სტატუსიდან გამომდინარე, რაც, ერთი მხრივ, საბჭოების ყრილობის უზენაესი ხელისუფლების მატარებელ ორგანოდ კონსტიტუციურ აღიარებაში გამოიხატებოდა (მუხლი 8), მეორე მხრივ, მის უფლებამოსილებაში, საკუთარი გამგებლობისთვის დაექვემდებარებინა ყველა საკითხი, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევდა (მუხლი 62), საბჭოების ყრილობას საჭიროების შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაც, ანუ, კონსტიტუციასთან ან საკუთარ აქტთან შეუსაბამო ნებისმიერი ორგანოს ნებისმიერი აქტის გაუქმება და შეცვლა შეეძლო.

ანალოგიურ მოტივაციაზე დაყრდნობით, მეორე ორგანო, რომელსაც საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება შეეძლო, იყო სრულიად საქართველოს ცაკი, რომელიც საბჭოების ყრილობებს შორის პერიოდში უზენაესი ხელისუფლების მატარებელ ორგანოდ ითვლებოდა. კონსტიტუციის 31-ე მუხლი ადგენდა, რომ ცაკ-ს უფლება ჰქონდა გაეუქმებინა, ან შეეჩერებინა სახალხო კომისართა საბჭოს ყოველგვარი კანონქვემდებარე აქტი, იქნებოდა ეს დადგენილება თუ გადაწყვეტილება. აღნიშნული ნორმა ზოგადი ხასიათის მატარებელია იმ თვალსაზრისით, რომ იგი არაფერს ამბობს იმ მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც ცაკი სახალხო კომისართა საბჭოს აქტების გაუქმების უფლებამოსილებას იძენდა. გამომდინარე აქედან, ვინაიდან მოცემულ ნორმაში პირდაპირ არ არის მითითებული ნორმატიულ აქტთა კონსტიტუციურობის შემოწმების საჭიროებაზე, მას საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით აღმჭურველ ნორმად ვერ განვიხილავთ. თუმცა, ამავედროულად აღვნიშნავთ იმასაც, რომ ფაქტობრივად, სახალხო კომისართა საბჭოს აქტებზე კონტროლის განხორციელებისას, რისი უფლებამოსილებითაც მოცემული ნორმა ცაკ-ს აღჭურავდა, მას შეეძლო ზემოდასახელებული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმებაც. გამომდინარე აქედან შეიძლება ითქვას, რომ მითითებული ნორმა ცაკ-ის საქმიანობაში კონსტიტუციურობის დადგენის საჭიროებასაც არ გამოირიცხავდა.

1922 წლის კონსტიტუციაში ზედამხედველობის ელემენტებიც იყო დაფიქსირებული. კერძოდ, ამგვარი უფლებამოსილებით სახალხო კომისართა საბჭოს აქტების მიმართ ცაკ-ის პრეზიდიუმი იყო აღჭურვილი. ცაკ-ის სხდომებს შორის პრეზიდიუმს შეეძლო შეეჩერებინა სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებები და გადაეტანა ისინი გადასაწყვეტად ცაკ-ის პლენუმზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სსრ-ის 1922 წლის კონსტიტუცია, სოციალისტური სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელ საკონსტიტუციო კონტროლის საპარლამენტო მოდელს ამკვიდრებდა, რასაც მთელი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ხელში თავმოყრის პრინციპი ედო საფუძველად. სახელმწიფო ხელისუფლების მართვის საბჭოური მოდელის პირობებში, შეიძლება ასეც ითქვას, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობასა და ცაკ-ს ჰქონდათ მინიჭებული.

ქვეყანაში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის გამო, მოცემული მოსაზრებების პრაქტიკული შეფასებების შესაძლებლობა გამორიცხულია, ვინაიდან, 1922 წელსვე შეიქმნა ამიერკავკასიის სფსრ და საბჭოთა კავშირი, 1924 წელს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუცია,¹ ხოლო 1925 წლის აპრილში – ამიერკავკასიის სფსრ-ის კონსტიტუცია.² ამ კონსტიტუციების საფუძველზე, 1927 წლის აპრილში, სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობამ საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა.³

საბჭოთა კავშირის შექმნით ახალი ეტაპი დაიწყო. თუ, 1922 წლის კონსტიტუციის მიხედვით საქართველო, მართალია გასაბჭოებული, მაგრამ ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, 1927 წლის კონსტიტუციით იგი საბჭოთა კავშირში შემავალი ფედერაციული რესპუბლიკის – ამიერკავკასიის სფსრ-ის სუბიექტი გახდა.

საქართველოს 1922 და 1927 წლების კონსტიტუციების შედარება, იმ ნიშნით, თუ როგორ იყო მათში გათვალისწინებული სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების სისტემათა ორგანიზაცია, ნათლად წარმოადგენს მათ არსებით იდენტურობას, ანუ იმას, რომ ისინი ბევრი არაფრით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ასეთი შეფასების უმთავრესი არგუმენტი კი ის არის, რომ ორივე კონსტიტუცია ერთი და იგივე ინსტიტუციონალურ სისტემას ეფუძნებოდა: საბჭოების ყრილობა, ცაკი, პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭო. თუმცა, კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების თვალსაზრისით, გარკვეული განსხვავებები ამ ორგანოების უფლებამოსილებათა ნუსხაში მაინც აღინიშნებოდა.

პირველ რიგში, ეს ეხებოდა სხვადასხვა აქტებზე კონტროლის განხორციელებაში ცაკი-ს პრეზიდიუმის როლის ზრდას. ასე მაგალითად, თუ 1922 წლის კონსტიტუციის მიხედვით ცაკი-ს პრეზიდიუმი სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებების მხოლოდ შეჩერების უფლებამოსილებით სარგებლობდა, 1927 წლის კონსტიტუციის თანახმად, იგი აღიჭურვა უფლებით გაეუქმებინა სახალხო კომისართა საბჭოების და რესპუბლიკის ცენტრალურ დაწესებულებათა დადგენილებები და განკარგულებები. ასე რომ, ცაკი-ს პრეზიდიუმმა ადრინდელი სახედამხედველო ფუნქციის ნაცვლად საკონტროლო უფლებამოსილება შეიძინა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 1927 წლის კონსტიტუცია, წინამორბედისგან განსხვავებით, საკმაოდ დეტალურად არეგულირებდა რესპუბლიკისა და ავტონომიური ორგანოების ურთიერთმიმართების საკითხებს, რასაც საქართველოს სსრ-ის 1927 წლის კონსტიტუციის მე-4 თავი ჰქონდა დათმობილი. უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციაში განმტკიცებული იყო დებულება საქართველოს სსრ-ის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების აქტების სავალდებულო ხასიათის შესახებ. კონსტიტუციის 81-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ-ის

¹ კონსტიტუციის ტექსტი იხ.: Конституция (основной закон) Союза Советских Социалистических Республик, отв. по выпуску А. Бондаренко, парт. издание, М., 1933.

² კონსტიტუციის ტექსტი იხ.: Съезды Советов Союзных и Автономных Советских Социалистических Республик Закавказья, сборник документов, 1923-1937гг., Т.6, М., 1964, с. 37-49.

³ იხ. მითითებული წყარო: საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული, გვ. 100-124.

ხელისუფლების უზენაეს ორგანოთა მიერ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა ჰქონდათ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე (მუხლი 81).

საქართველოს სსრ-ის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების აქტების სავალდებულო ხასიათის კონსტიტუციური აღიარება, სხვა მნიშვნელოვან აქცენტსაც შეიცავდა. ბუნებრივია, იგი აყენებდა საკითხს, ქვემდგომი სახელისუფლებო ორგანოების აქტების შესაბამისობისა და ამის დადგენის მიზნით, კონტროლის გააქტიურების საჭიროების შესახებ. სწორედ აქედან გამომდინარე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების უმაღლესი ორგანოთა აქტების, საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასთან და ცენტრალური ორგანოების აქტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დიდი უფლებამოსილებები ჰქონდათ მიკუთვნებული სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობას და ცაკ-ს. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, ის მექანიზმი უნდა აღინიშნოს, რომლის შესაბამისადაც ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები და ავტონომიური ოლქების დებულებები დასამტკიცებლად წარედგინებოდა სრულიად საქართველოს ცაკ-ს, ხოლო საბოლოო დასამტკიცებლად – საბჭოების ყრილობას (მუხლი 75). დამტკიცებების არსებული მექანიზმები, თავის თავში წინასწარი კონტროლის იდეას შეიცავდა, ანუ პროფილაქტიკური დატვირთვის მატარებელი იყო და მოცემულ აქტში, იქნებოდა ეს კონსტიტუცია თუ დებულება, ცენტრალური ხელისუფლების აქტებთან შეუსაბამობის აღკვეთას მის ამოქმედებამდე ახდენდა.

მნიშვნელოვანია კონსტიტუციის მე-20 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი, რომელიც ადგენდა, რომ სრულიად საქართველოს სსრ-ის საბჭოების ყრილობა და ცაკი უფლებამოსილნი იყვნენ გაეუქმებინათ ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების საბჭოების ყრილობების და მათი ცაკ-ების, აგრეთვე საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებები, საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასთან ან რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დადგენილებებთან მათი შეუსაბამობის შემთხვევაში. აღნიშნულ ნორმით საბჭოთა პერიოდის საქართველოს კანონმდებლობაში, პირველად პირდაპირი ფორმით იქნა განმტკიცებული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება.

ავტონომიათა უმაღლესი ორგანოების აქტებთან მიმართებაში, როგორც საკონტროლო, ისე საზედამხედველო ფუნქციებით იყო აღჭურვილი სრულიად საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმი. მას შეეძლო შეეჩერებინა ან სულაც გაეუქმებინა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცაკ-ებისა და სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებები და განკარგულებები, ასევე შეეჩერებინა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საბჭოების ყრილობათა დადგენილებანი.

იურიდიულ ლიტერატურაში სსრკ-ის ცაკ-ის პრეზიდიუმის საქმიანობაზე საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში, საბჭოური პერიოდის ზოგიერთი ცნობილი მეცნიერი აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში პრეზიდიუმი სრულად არ იყენებდა კუთვნილ უფლებამოსილებებს. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ცაკ-ის პრეზიდიუმი, ცნობდა რა ამა თუ იმ აქტს არაკონსტიტუციურად, კი არ აუქმებდა მას, არამედ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტებით შემოიფარგლებოდა, ან წინადადებით

მიმართავდა შესაბამის ორგანოს, მოცემული აქტი კონსტიტუციურ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოეყვანა.¹ ბუნებრივია, საბჭოთა კავშირში ფეხმოკიდებულ ასეთ პრაქტიკას საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმიც ვერ გაექცეოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის აღნიშნულ ფორმებს საქართველოს სსრ-ის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოთა აქტებიც ექვემდებარებოდნენ. ამ ფუნქციას ამიერკავკასიის სფსრ-ის უმაღლესი ორგანოები ახორციელებდნენ. ასე მაგალითად, ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობას და ცაკ-ს უფლება ჰქონდათ გაეუქმებინათ საქართველოს სსრ-ის საბჭოების ყრილობის, ცაკ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებები, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ამიერკავკასიის სფსრ-ის კონსტიტუციას. იგივე პრინციპი მოქმედებდა ერთგვაროვან ორგანოთა იერარქიულ სისტემაში: ამიერკავკასიის ცაკი-ს პრეზიდიუმს შეეძლო შეეჩერებინა ან გაეუქმებინა საქართველოს სსრ-ის ცაკ-ის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებები, ხოლო საქართველოს სსრ-ის საბჭოების ყრილობის აქტების მიმართ პრეზიდიუმი ზედამხედველობის უფლებამოსილებებს ფლობდა – მას შეეძლო შეეჩერებინა ამ უკანასკნელის დადგენილებები და გადაეტანა ისინი განსახილველად ამიერკავკასიის ცაკ-ში.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, აღსანიშნავია საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც საბჭოთა სახელმწიფოს ფედერალური მოწყობა მასში საკონსტიტუციო კონტროლის სამი იერარქიული დონის არსებობას განაპირობებდა. ეს იყო სსრკ-ის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლი. სსრკ-ის მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლი სსრკ-ის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობებზე კონტროლს ითვალისწინებდა, მოკავშირე რესპუბლიკების მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლი – თავიანთ კანონმდებლობაზე კონტროლს მისი რესპუბლიკურ კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლი – მოცემული ავტონომიური რესპუბლიკის ამა თუ იმ აქტის კონსტიტუციურობაზე კონტროლს.²

ამდენად, 1927 და 1922 წლების კონსტიტუციების შედარება ერთმანეთთან იმ თვალსაზრისით, თუ რომელი ორგანოების კომპეტენციას წარმოადგენდა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება გვიჩვენებს, რომ 1927 წლის კონსტიტუციაში გამოკვეთილია ცაკი-ს პრეზიდიუმის როლი ამ სფეროში. ასე რომ, ეს კონსტიტუცია უფლებამოსილებათა გარკვეული გადანაწილებით წარმოაჩენს ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოთა სამედეგმენტო სისტემას. ერთის მხრივ, ეს იყო საქართველოს სსრ-ის

¹ იხ.: Дябло В., Конституционный контроль законов за границей и в СССР, журн. Советское право, 1925, №3 (15), с. 92; Ильинский И.П., Щетинин Б.В., Конституционный контроль и охрана конституционной законности в социалистических странах, Сов. государство и право, 1969, №9, с. 43;

² იხ. Еременко Ю.П., Контроль за конституционностью законов в СССР, журн. Труды Высшей следств. школы МВД СССР, Волгоград, 1969, Вып.1, с. 101;

საბჭოების ყრილობა, მეორეს მხრივ, საქართველოს სსრ-ის ცაკი და ბოლოს, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი მუდმივმოქმედი ორგანო – საქართველოს სსრ-ის ცაკ-ის პრეზიდიუმი. თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ კონტროლის ამგვარი სისტემა მხოლოდ საბჭოთა საქართველოში არსებობდა. პირიქით, საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ნებისმიერ სხვა რესპუბლიკაში, საკონსტიტუციო კონტროლის იდენტური მოდელი ფუნქციონირებდა, მოდელი, რომელსაც სსრკ-ის კონსტიტუცია აღგენდა.

საინტერესოა ის შეფასებები, რომლებიც საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში კეთდებოდა საბჭოთა კავშირში 20-30-იან წლებში საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღინიშნებოდა, რომ ამ პერიოდში საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციონირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასეთი ინტერესი საბჭოთა კავშირის შექმნის შემდგომ პერიოდში, ერთი მხრივ, ახლად შექმნილ ხელისუფლებისა და მმართველობის საკავშირო ორგანოებსა და მეორე მხრივ, ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკურ ორგანოებს შორის სამართლებრივად მოწესრიგებული ურთიერთობების გამომუშავების აუცილებლობით აიხსნებოდა.¹ საკავშირო სახელმწიფოს შექმნით, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის კონსტიტუციურ ურთიერთობათა განვითარების თავდაპირველ ეტაპზე, ფედერალური კავშირების საკითხები ყველასათვის სიახლეს წარმოადგენდა, რაც ბევრ გაუგებრობას წარმოშობდა. ასეთ პირობებში სწორედ საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი იდგა კონსტიტუციური კანონიერების სადარაჯოზე და ხელს უწყობდა ერთიანი საბჭოთა სამართლებრივი სისტემის შექმნას, საბჭოთა სახელმწიფოში კავშირების გაძლიერებას და სსრ-ის კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის უზრუნველყოფას.² მიუხედავად ასეთი შეფასებებისა, მიგვაჩნია, რომ თუ რამდენად ეფექტური იყო საბჭოთა საკონსტიტუციო კონტროლი, არ შეიძლება როგორადმე დადებითი შეფასების საგანი იყოს.

საბჭოთა პერიოდის საქართველოში, სახელისუფლებო ორგანიზაციის გარკვეული ცვლილებების მესამე ეტაპი, დაკავშირებული იყო სსრკ-ის ახალ, 1936 წლის კონსტიტუციის მიღებასთან.³ მის საფუძველზე კონსტიტუციები მიღებულ იქნა ყველა მოკავშირე თუ ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1936 წლის სსრკ-ის კონსტიტუციის მიღება საქართველოსთვის აღსანიშნავი იყო იმით, რომ მას წინ უსწრებდა ამიერკავკასიის სფსრ-ის ლიკვიდაცია და გამომდინარე აქედან, სსრკ-ის ახალი კონსტიტუციის ტექსტში განმტკიცებული იყო დებულება, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს სსრ თავად შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 1937 წლის 13 თებერვალს, სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუცია.⁴ ეს იყო საბჭოთა პერიოდის საქართველოს რიგით მესამე კონსტიტუცია.

¹ იხ. მითითებული წყარო: Ильинский И.П., Щетинин Б.В., Конституционный контроль и охрана конституционной законности в социалистических странах, с. 42.

² იხ. Еременко Ю.П., Советская Конституция и законность, Саратов, 1982, с. 140.

³ კონსტიტუციის ტექსტი იხ.: Конституция (основной закон) Союза Советских Социалистических Республик, гос. изд. политической литературы, М., 1938.

⁴ იხ. მითითებული წყარო: საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული, გვ. 131-160.

ახალ ტალღაზე მიღებული საბჭოთა კონსტიტუციების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათში კიდევ უფრო გამოკვეთილი იყო სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციისაკენ მიმართული ტენდენცია, კიდევ უფრო მყარად იყო განმტკიცებული საკავშირო კანონმდებლობის რესპუბლიკური კანონმდებლობის მიმართ, ხოლო ამ უკანასკნელთა – მათ ტერიტორიაზე არსებული ავტონომიური წარმონაქმნების კანონმდებლობების მიმართ პრიორიტეტულობის პრინციპი. ასე, მაგალითად, სსრკ-ის კონსტიტუციის მე-16 მუხლი იმპერატიულად ადგენდა, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციები, საკავშირო კონსტიტუციასთან სრულ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო აგებული. ანალოგიურად, საქართველოს სსრ-ის 1937 წლის კონსტიტუციის 24-ე მუხლი ადგენდა, რომ აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური სსრ-ის კონსტიტუციები უნდა ყოფილიყვნენ სრულ შესაბამისობაში საქართველოს სსრ-ის და სსრკ-ის კონსტიტუციებთან.

1937 წლის საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციამ ცვლილებები შეიტანა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემის ორგანიზაციაში. შეიცვალა სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა და ფორმირების წესი. გამომდინარე აქედან, ცვლილებები შეეხო საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

კონსტიტუციის 25-ე მუხლი ადგენდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო, რომელიც აღიარებული იყო როგორც საქართველოს სსრ-ის ერთადერთი კანონმდებელი ორგანო. უზენაესი საბჭო ირჩევდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს. კონსტიტუციის ტექსტში პირდაპირ არ იყო განმარტებული პრეზიდიუმის სტატუსი, თუმცა აღნიშნული იყო, რომ იგი „მთელს თავის მოქმედებაში ანგარიშვალდებული“ იყო უზენაესი საბჭოს წინაშე. პრეზიდიუმის უფლებამოსილებები ჩამოყალიბებული იყო კონსტიტუციის 36-ე მუხლში. უზენაესი საბჭო ქმნიდა საქართველოს სსრ-ის მთავრობას – საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს. ეს უკანასკნელი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული იყო უზენაესი საბჭოს წინაშე, ხოლო საბჭოს სესიათა შორის პერიოდში – პრეზიდიუმის წინაშე. ამრიგად, თუ ერთმანეთს საქართველოს 1937 და 1927 წლის კონსტიტუციებს შევადარებთ, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემის ორგანიზაციის თვალსაზრისით, ძველი მოდელის სახელისუფლებო ორგანოების სისტემა – სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა, ცაკი და პრეზიდიუმი შეიცვალა საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოთი და სესიებს შორის პერიოდში მისივე უფლებამოსილი პრეზიდიუმით.

1937 წლის კონსტიტუციის ტექსტში საკმაოდ ზოგადი მითითება იყო „კონტროლზე კონსტიტუციის შესრულებაზე“. მე-14 მუხლის თანახმად, ამ ფუნქციას საქართველოს სსრ თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მეშვეობით განახორციელებდა. რეალურად კი, იგი საქართველოს უზენაესი საბჭოს და მისი მუდმივმოქმედი ორგანოს, – პრეზიდიუმის ხელში იყო კონცენტრირებული. ვინაიდან, საქართველოს უზენაესი საბჭო ფლობდა ყველა უფლებამოსილებას, რაც კი მიკუთვნებული ჰქონდა საქართველოს სსრ-ს, ბუნებრივია მას შეეძლო საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტაც. მიუხედავად ამისა, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში

მითითებულია, რომ საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, პრაქტიკაში, სსრკ-ში საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოდ სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო რესპუბლიკებში – შესაბამისად, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმები გახდნენ.¹

აღსანიშნავია, რომ არც საბჭოთა კავშირის და არც რესპუბლიკების კონსტიტუციების ტექსტებში პირდაპირი მითითება უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმზე, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოზე არ არსებობდა. არსებული მოსაზრების თანახმად, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების სფეროში იურიდიულად განმტკიცებული იყო ერთი მხრივ, სსრკ-ის 1936 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში, რომელიც განამტკიცებდა, რომ კონსტიტუციის შესრულებაზე კონტროლი და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების საკავშირო კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა მიეკუთვნებოდა სსრკ-ის გამგებლობას, თავისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სახით; მეორე მხრივ, იმავე კონსტიტუციის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის დებულებაში, რომელიც უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს აღჭურავდა მიმდინარე კანონების განმარტების უფლებით, რაც ავტორთა აზრით საკონსტიტუციო კონტროლის ნაირსახეობას წარმოადგენდა.² ანალოგიური მსჯელობა საქართველოს სსრ-ის 1937 წლის კონსტიტუციის დებულებებიდან გამომდინარე, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოზე, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმზეც შეიძლება გავავრცელოთ.

საქართველოს 1937 წლის კონსტიტუციაში, ისევე როგორც 1927 წლის კონსტიტუციაში, განმტკიცებული იყო პრინციპი, რომლის შესაბამისადაც ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებს ამტკიცებდნენ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. თუ, ადრე ეს ორგანოები, შესაბამისად, ჯერ ცაკი და შემდეგ სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა იყვნენ, 1937 წლის ძირითადი კანონის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების მიერ მიღებული კონსტიტუციები, დასამტკიცებლად საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოს წარედგინებოდა. თავისთავად ცხადია, დამტკიცების ამგვარი მექანიზმი წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას ითვალისწინებდა.

კონტროლის სფეროში ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის სფსრ-ის 1925 წლის კონსტიტუციის ნორმათა შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოთა აქტები კონტროლს ექვემდებარებოდნენ ამიერკავკასიის სფსრ-ის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან. ანალოგიურად, საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოთა აქტების, საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან კონტროლს ითვალისწინებდა. მაგალითად, სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი უფლებამოსილი იყო გაეუქმებინა საკავშირო

¹ იხ. მითითებული წყარო: Ильинский И.П., Щетинин Б.В., Конституционный контроль и охрана конституционной законности в социалистических странах, с.43.

² იხ. იქვე, გვ. 43.

კანონებთან შეუსაბამო მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების აქტები. თუმცა, ამიერკავკასიის სფსრ-ის 1925 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის 1936 წლის ძირითადი კანონი აღარ ითვალისწინებდა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობითი ორგანოების – უზენაესი საბჭოების აქტებზე კონტროლის განხორციელებას. მოცემული საკითხის მიმართ ასეთი დამოკიდებულება საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში მოკავშირე რესპუბლიკების „სუვერენული ხასიათით“ აიხსნებოდა.¹

საქართველოს სსრ-ის 1927 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, არც საქართველოს სსრ-ის 1937 წლის კონსტიტუციაში იყო ჩადებული ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი ორგანოების არაკონსტიტუციური აქტების გაუქმების მარეგულირებელი ნორმები. როგორც ზემოთ აღნიშნეთ 1927 წლის კონსტიტუცია აღნიშნულ საკითხს მკაფიოდ არეგულირებდა. კერძოდ, სრულიად საქართველოს სსრ-ის საბჭოების ყრილობა აღჭურვილი იყო უფლებამოსილებით გაუქმებინა საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასთან ან რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დადგენილებებთან შეუსაბამო ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოების ყრილობების და მათი ცაკ-ების დადგენილებები.

იურიდიულ ლიტერატურაში იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ რეგულირდებოდა პრაქტიკაში ზემოაღნიშნული საკითხი სსრკ-ის 1936 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ან მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღმოაჩინდა შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული კანონის ან ბრძანებულების საკავშირო კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული კანონის ან ბრძანებულების მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ფაქტს, სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ან მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ახდენდა აღნიშნული ფაქტის ოფიციალურ კონსტატირებას. იმავედროულად, პრეზიდიუმი ამ აქტის მიმღებ ორგანოს სთავაზობდა აღნიშნული აქტის საერთო საკავშირო, ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ამასთან ერთად, იმ პრინციპის ძალით, რომლითაც საკავშირო კანონმდებლობას პრიორიტეტი ენიჭებოდა მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის მიმართ, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობას ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის მიმართ, გამოვლენილი აქტი, მის შესაბამისობაში მოყვანამდე კარგავდა იურიდიულ ძალას და წყვეტდა მოქმედებას.² იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ორგანოები, თავად არ მოიყვანდნენ არაკონსტიტუციურ აქტს შესაბამისობაში საკავშირო ან, მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობასთან, სსრკ-ის ან მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბრძანებულების ფორმით ღებულობდა სპეციალურ გადაწყვეტილებას.³

¹ იხ. მითითებული წყარო: Еременко Ю.П., Советская конституция и законность, с. 139.

² იხ.: Керимов Д.А., Обеспечение законности в СССР, М., 1956, с. 88-89.

³ იხ. მითითებული წყარო: Ильинский И.П., Щетинин Б.В., Конституционный контроль и охрана конституционной законности в социалистических странах, с. 44.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში კეთდებოდა შეფასებები, რომ სსრკ-ის 1936 წლის კონსტიტუციის მიღების შემდგომ პერიოდში საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის ფუნქციონირებას, დროთა განმავლობაში, სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს აიხსნებოდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებით. ობიექტური ხასიათის ერთ-ერთ მიზეზად სამართლებრივი კულტურისა და სამართალშეგნების ამაღლება სახელდებოდა. კერძოდ, ის რომ, ნორმატიულ აქტთა კონსტიტუციურობის საკითხები ძირითადად, არა მათი მიღების შემდეგ, არამედ, მათი განხილვისა და მომზადების პროცესში წყდებოდა. სუბიექტური ხასიათის მიზეზები კი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოში სტალინის პიროვნების კულტის და ადმინისტრაციულ-განმარგავი სისტემის ჩამოყალიბებას უკავშირდებოდა. ბუნებრივია ამგვარი სისტემა და საკონსტიტუციო კონტროლი ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო.¹ აღნიშნულის დასტურია ის სტატისტიკური მონაცემებიც, რომელიც პრაქტიკაში სსრკ-ში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას უკავშირდება. კერძოდ, 1938-1969 წლებში სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა 4 ბრძანებულება მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა ცალკეული მუხლების სსრკ-ის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის თაობაზე და 6 ბრძანებულება – მოკავშირე რესპუბლიკების ცალკეული აქტების საერთო-საკავშირო კანონმდებლობასთან შეუსაბამობის თაობაზე.²

1977 წელს მიღებულ იქნა სსრკ-ის ახალი კონსტიტუცია,³ რომლის საფუძველზეც, 1978 წლის 15 აპრილს, საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ საქართველოს ახალი კონსტიტუცია⁴ დაამტკიცა. ეს იყო საბჭოთა პერიოდის საქართველოს მეოთხე და უკანასკნელი კონსტიტუცია.

ახალი კონსტიტუციების მიღებას, არც საბჭოთა კავშირში და არც საქართველოს სსრ-ში, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში რაიმე არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია. შესაბამისად, არც საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში მომხდარა ცვლილებები. ამ თვალსაზრისით უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებათა ფარგლები განუსაზღვრელი იყო. მას ნებისმიერი ორგანოს აქტის ძირითად კანონთან, ან მისივე აქტთან შესაბამისობის შემოწმება შეეძლო. შეეძლო გაეუქმებინა პრეზიდიუმის ბრძანებულება, ან უარი ეთქვა მის დამტკიცებაზე, ასევე, შეეცვალა ან გაეუქმებინა თავისივე გამოცემული საკანონმდებლო აქტი, თუ მიიჩნეოდა, რომ მოქმედი კანონი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას.

განსხვავებით წინამორბედი კონსტიტუციისგან, საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციაში, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სტატუსი მკაფიოდ იყო განსაზღვრული. 113-ე მუხლი ადგენდა, რომ ეს იყო უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც თავისი

¹ იხ. მითითებული წყარო: Еременко Ю.П., Контроль за конституционностью законов в СССР, с. 106-107.

² იხ. მითითებული წყარო: Коток В.Ф., Конституционная законность, конституционный надзор и конституционный контроль в СССР, с. 110.

³ კონსტიტუციის ტექსტი იხ.: Конституция (Основной закон) Союза Советских Социалистических Республик, Конституции (Основные законы) Союзных Советских Социалистических Республик, М., 1985, с. 5-49.

⁴ იხ. მითითებული წყარო: საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული, გვ. 249-294.

საქმიანობით ანგარიშგადღებული იყო მის წინაშე და უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში ახორციელებდა საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს. პრეზიდენტის მნიშვნელოვან ფუნქციას კონსტიტუციის დაცვაზე კონტროლის განხორციელება წარმოადგენდა. საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში, იგი ასევე, უზრუნველყოფდა ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციებისა და კანონების საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობას; განმარტავდა საქართველოს სსრ-ის კანონებს; აუქმებდა საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოსა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების გადაწყვეტილებებს, თუ ისინი არ შეესაბამებოდნენ კანონს.

ამრიგად, საბჭოთა პერიოდის საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთელი ამ პერიოდის მანძილზე საბჭოთა საქართველოში, ისევე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში საკონსტიტუციო კონტროლის საპარლამენტო მოდელი იყო დამკვიდრებული, მოდელი, რომელიც მთელი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ხელში თავმოყრის პრინციპზე იყო დაფუძნებული. თუმცა, იმ ვითარებაში, როდესაც თვით კონსტიტუციას ფიქტიური ხასიათი ჰქონდა, ძნელია საბჭოთა საქართველოში და ზოგადად საბჭოთა კავშირში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის რეალურ ფუნქციონირებაზე საუბარი. სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში კონსტიტუციის როლის დაკნინება განაპირობებდა იმას, რომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოთა სხვადასხვა აქტები, იქნებოდა ეს კანონები, მინისტრთა საბჭოს დადგენილებები თუ სხვადასხვა ინსტრუქციები, უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდნენ, ვიდრე სახელმწიფოს ძირითადი კანონი. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება პარტიული აპარატის ხელში იყო მოქცეული. კონსტიტუცია კომუნისტური პარტიის ინტერესს გამოხატავდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მას არც არავითარი დაცვა ესაჭიროებოდა.

§ 3. საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტი საქართველოს გარდამავალი პერიოდის კანონმდებლობაში

საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციამ 1992 წლამდე იმოქმედა, თუმცა 80-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე, მასში მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება და დამატება იქნა შეტანილი, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკის სუვერენული უფლებების კონსტიტუციური განმტკიცებისკენ იყო მიმართული. ცვლილებებით ახლებურად განისაზღვრა საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, იქმნებოდა სახელმწიფო მმართველობის ახალი მოდელი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ახალი სისტემა, დასაბამი მიეცა სახელმწიფო პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიზაციის პროცესს. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირიდან

საქართველოს გამოსვლის თანმიმდევრული კანონშემოქმედებითი პროცესი, რაც 1991 წელს საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებით დასრულდა.

კონსტიტუციის ტექსტში არსებითი ცვლილებები იქნა შეტანილი 1989 წლის 18 ნოემბრის კანონით „საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.¹ ისინი, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს ეხებოდა. კონსტიტუციის ახლებურად ჩამოყალიბებული 69-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ-ის უფლება კავშირიდან თავისუფლად გასვლის თაობაზე ხელშეუხებლად ცხადდებოდა. დაუშვებელი იყო მისი სსრკ-ის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს აქტით ან რაიმე სხვა ფორმით, შეცვლა ან შეზღუდვა. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს სსრ სსრკ-ის შემადგენლობიდან გასულად ითვლებოდა. ანალოგიური შედეგი დადგებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს მოთხოვნა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლების შემზღუდავი საერთო-საკავშირო აქტის გაუქმების ან შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდებოდა. თავად საკითხს, საკავშირო აქტში მითითებული უფლების შემზღუდავი დებულების არსებობის თაობაზე, საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო წყვეტდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი კონსტიტუციის 77-ე მუხლში, რომელიც თავდაპირველად სსრკ-ის ნორმატიული აქტების რესპუბლიკურ აქტებზე უზენაესობას განამტკიცებდა. 77-ე მუხლის ახალი რედაქცია ადგენდა, რომ საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო უფლებამოსილი იყო საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე შეეხერხებინა სსრკ-ის კანონების და კანონქვემდებარე აქტების მოქმედება, თუ მიიჩნევდა, რომ ისინი არ შეესაბამებინ რესპუბლიკის ინტერესებს. იმავდროულად, ამ აქტების რესპუბლიკის ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანის წინადადებით, უზენაესი საბჭო ერთდროულად მიმართავდა როგორც სსრკ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტს, ასევე კანონის ან კანონქვემდებარე აქტის მიმღებ ორგანოს. იმ შემთხვევაში თუ შეთანხმება არ იქნებოდა მიღწეული, აღნიშნული აქტები საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე არაქმედითად ცხადდებოდა.

აღნიშნული დებულებები შეიძლება შეფასდეს, როგორც საქართველოს მიერ საერთო-საკავშირო კანონმდებლობის რესპუბლიკის კანონმდებლობაზე უზენაესობის პრინციპის უარყოფა. ამასთან, მათი ანალიზის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო სსრკ-ის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ნორმატიული აქტების მიმართ საზედამხედველო უფლებამოსილებებს იძენდა. თუმცა გასათვალისწინებელია დათქმა, რომელიც აქტის მიმღებ საკავშირო ორგანოს ფაქტობრივად ავადღებულებდა საქართველოს ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანა მის მიერ გამოცემული აქტი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული აქტი საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ავტომატურად გამოცხადდებოდა არაქმედითად. ამგვარ დათქმას, ჩვენი აზრით, 77-ე

¹ იხ. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს სხდომები, მე-11 მოწვევის მე-12 სესია, 17-18 ნოემბერი, თბ., 1990, გვ. 335–358.

მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილება კონტროლის კატეგორიაში გადაჰყავდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მითითებული მუხლის შესაბამისად კონტროლის წყარო „რესპუბლიკის ინტერესები“ იყო, ანუ საკავშირო ნორმატიული აქტები საქართველოს ინტერესებთან შესაბამისობაში უნდა ყოფილიყვნენ. თეორიულად „რესპუბლიკის ინტერესების“ გაგებაში ბევრი რამ შეიძლება ვიგულისხმოთ. მათ შორის ცხადია, რესპუბლიკის ინტერესების შეუსაბამო შეიძლება ვუწოდოთ საკავშირო აქტს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის რომელიმე დებულების შეუსაბამო იქნებოდა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ 77-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოს საკონსტიტუციო კონტროლიც შეეძლო განეხორციელებინა.

კონსტიტუციური ცვლილებები სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, ძირითადად, უზენაესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ფუნქციონირების საკითხებსაც შეეხო. თუ, ადრე პრეზიდიუმი ხასიათდებოდა, როგორც უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც ამ უკანასკნელის სესიებს შორის პერიოდში ახორციელებდა საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს, 1989 წლის 18 ნოემბრის კანონით კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ მისი სტატუსი ახლებურად იყო განსაზღვრული. კერძოდ, ეს იყო უზენაესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა მისი მუშაობის ორგანიზაციას და ახორციელებდა სხვა უფლებამოსილებებს.

კონსტიტუციის 104-ე მუხლის 24-ე პუნქტის შესაბამისად, უზენაესი საბჭო საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის დაცვაზე კონტროლს განახორციელებდა. მას შეეძლო კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა, ასევე კანონებისა და დადგენილებების მიღება. ჰქონდა საქართველოს სსრ-ის კანონების განმარტების უფლება, პრეზიდიუმის დადგენილებების, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებების, ასევე, საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების გაუქმების უფლება.

საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების ფარგლების დადგენის თვალსაზრისით, უდავოდ მნიშვნელოვანია, რომ უზენაესი საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სსრ-ების კონსტიტუციებისა და კანონების საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. მას ასევე შეეძლო გაეუქმებინა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სსრ-ების მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და განკარგულებები, ისე როგორც, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს და რაიონული და საქალაქო სახალხო დეპუტატთა საბჭოების გადაწყვეტილებები. ამრიგად, თუ 1978 წლის კონსტიტუცია თავდაპირველად საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს აღჭურავდა უფლებამოსილებით საკონსტიტუციო კონტროლი განეხორციელებინა ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებსა და კანონებზე, ამჯერად, ამგვარი ფუნქციები მას აღარ ჰქონდა. კონსტიტუციაში შესული ცვლილებების შედეგად, მთელი უფლებამოსილებები ამ სფეროში მხოლოდ საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოს მიეკუთვნა.

კონსტიტუციაში შესული ცვლილებების შედეგად, ახლებურად განისაზღვრა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სტატუსიც. იგი საქართველოს სსრ-ის უმაღლესი თანამდებობის პირად იქნა აღიარებული და წარმოადგენდა სახელმწიფოს, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის საზღვრებს გარეთ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, 5 წლის ვადით ირჩევდა უზენაესი საბჭო. იგი პასუხისმგებელი იყო საბჭოს წინაშე. მიუხედავად ასეთი მაღალი სტატუსისა, კანონმდებლობა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს არანაირ საკონტროლო ფუნქციებს არ ანიჭებდა.

18 ნოემბრის კანონმა კონსტიტუციაში ერთი მეტად მნიშვნელოვანი სიახლეც შეიტანა – იგი საქართველოს სსრ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის შექმნას ითვალისწინებდა. აღნიშნული ორგანო სსრკ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის ორგანოს ანალოგიაზე უნდა შექმნილიყო, რომლის დაფუძნებაც სსრკ-ის 1988 წლის 1 დეკემბრის „სსრკ-ის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონით¹ იყო გათვალისწინებული. საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის 119-ე მუხლის ბოლო პუნქტი ადგენდა, რომ საქართველოს სსრ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრებოდა სსრკ-ის კანონით „სსრკ-ში საკონსტიტუციო ზედამხედველობის შესახებ“ და საქართველოს სსრ-ის კანონით „საქართველოს სსრ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის შესახებ“. 1989 წელს მიღებულ იქნა სსრკ-ის კანონი „სსრკ-ში საკონსტიტუციო ზედამხედველობის შესახებ“,² მალე ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ფორმირებულ იქნა სსრკ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტიც, მაგრამ საქართველოში საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის ფორმირება არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავაანალიზოთ საქართველოს სსრ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული, 1991 წლის ოქტომბრისათვის, საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით გათვალისწინებული დებულებები, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მის სამართლებრივ ბუნებაზე.

კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად, საქართველოს სსრ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის წევრებს, ათი წლის ვადით, პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტთა რიგებიდან ირჩევდა უზენაესი საბჭო. კომიტეტის წევრებს არ ჰქონდათ უფლება, იმავდროულად ყოფილიყვნენ იმ ორგანოთა შემადგენლობაში, რომელთა სამართლებრივი აქტები მოცემული კომიტეტის ზედამხედველობას ექვემდებარებოდა. მოვალეობების შესრულებისას კომიტეტის წევრები იყვნენ დამოუკიდებელი და ემორჩილებოდნენ მხოლოდ საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციას.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი აღჭურვილი იყო შემდეგი უფლებამოსილებებით:

1) საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს დავალებით, წარუდგენდა ამ უკანასკნელს დასკვნას, საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს მიერ განსახილველი აქტების

¹ იხ. BBC СССР, 1988, №49, Ст. 727.

² იხ. ВСНДВС СССР, 1989, №29, Ст. 574, 572.

პროექტების საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე; მოცემული პუნქტი არ განაგრძობდა საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის დასკვნას ამ შემთხვევაში საკონსულტაციო თუ დამდგენი ხასიათი ჰქონდა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ კომიტეტი ამ შემთხვევაში წინასწარ საკონსტიტუციო კონტროლს განახორციელებდა;

2) თვალ-ყურს ადევნებდა ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და კანონების, საქართველოს სსრ-ისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე, რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობას. შეუსაბამობათა გამოვლენის შემთხვევაში კომიტეტი, აქტის გამომცემ ორგანოს, წინააღმდეგობის დასაძლევად უგზავნიდა თავის დასკვნას. კომიტეტის მიერ აღნიშნული დასკვნის გამოტანა ავტომატურად აჩერებდა არაკონსტიტუციური აქტის, ან მისი ცალკეული დებულების მოქმედებას.

მოცემულ ნორმასთან დაკავშირებით პ. ცნობილად აღნიშნავს, რომ იმ ორგანოთა ნუსხა, რომელთა გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობაზეც უნდა განხორციელებინა ზედამხედველობა კომიტეტს, არ იყო სრული. ამ თვალსაზრისით, იგი მიზანშეწონილად მიიჩნევდა აღნიშნულ ნუსხაში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების შეტანას, ანუ პრეზიდენტის ამ აქტებზე საკონსტიტუციო ზედამხედველობის განხორციელების აუცილებლობას, რაც ცხადია არ უნდა გაგებულიყო, როგორც პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვა;¹

3) იძლეოდა დასკვნებს სახელმწიფო ორგანოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტების საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობის თაობაზე. ამასთან, 119-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ზუსტად განსაზღვრავდა კომიტეტისთვის მიმართვის უფლებით აღჭურვილ სუბიექტთა წრეს. ამგვარი უფლებით სარგებლობდნენ საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო, მისი პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები, საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭო და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები. ზემოაღნიშნულ საკითხზე კომიტეტს დასკვნა საკუთარი ინიციატივითაც შეეძლო მიეცა;

4) იძლეოდა დასკვნებს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციისა და კანონების დარღვევის თაობაზე. კონსტიტუციაში არ იყო დაზუსტებული იმ თანამდებობის პირთა წრე, რომელთა მიმართაც კომიტეტს დასკვნის მიცემა შეეძლო. აღნიშნული საკითხი ბუნებრივია, „საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის შესახებ“ კანონის რეგულირების საგანი უნდა გამხდარიყო, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს კანონი არ მიღებულა.

ამრიგად, პირველად ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში, ქართულმა კანონმდებლობამ საკონსტიტუციო ზედამხედველობის

¹ იხ. პ. ცნობილად, კონსტიტუციური კონტროლი და კონსტიტუციური ზედამხედველობა, „სამართალი“, 1992, №1, გვ. 24-25.

სპეციალიზებული ორგანოს შექმნა გაითვალისწინა. მართალია, მოცემული ფაქტი, საბჭოთა კავშირის კანონმდებლობაში ანალოგიური ინსტიტუტის დამკვიდრებით იყო განპირობებული, მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ იგი მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობის აღიარების თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში საბჭოთა კავშირის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის შექმნა პოზიტიურად არის შეფასებული. პროფესორი ი. შულჟენკო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ორგანოს შექმნის ფაქტი, მისი სტატუსის არსებითი ნაკლოვანებების მიუხედავად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ძირითადი კანონის სამართლებრივი დაცვის სრულყოფისაკენ, კონსტიტუციის ავტორიტეტის ამაღლებისაკენ და სამართლის სისტემაში მისი უზენაესი მდგომარეობის განმტკიცებისაკენ.¹ მსგავსი შეფასებები ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც არსებობს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „სამართლებრივი ნიჰილიზმის“ პირობებში, კომიტეტის შექმნამ გზა გაკვალა საბჭოთა სივრცეში საკონსტიტუციო კონტროლისა და კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებისაკენ.²

1990 წლის 28 ოქტომბერს, კონსტიტუციაში ახლად განმტკიცებული მრავალპარტიულობის პრინციპის საფუძველზე, ჩატარდა საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნები. იმავე წლის 14 ნოემბერს, უზენაესი საბჭო დებულობს მნიშვნელოვან ნორმატიულ აქტს – საქართველოს რესპუბლიკის კანონს „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“.³ მოცემული აქტი საქართველოში გარდამავალი პერიოდის დადგომის თაობაზე განაცხადებდა, რომლის განმავლობაშიც რეალური საფუძველები უნდა მომზადებულიყო საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. საქართველოს სსრ-ს საქართველოს რესპუბლიკა ეწოდა. დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის ახალი ჰერალდიკური ნიშნები.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო კონსტიტუციის 77-ე მუხლს. როგორც აღნიშნეთ, პირველი ცვლილებები მოცემულ მუხლში, საერთო-საკავშირო კანონმდებლობის რესპუბლიკურზე უზენაესობის პრინციპის უარყოფის თვალსაზრისით, 1989 წლის 18 ნოემბრის კანონით შევიდა. ამჯერად, იმავე ტენდენციამ, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის სსრკ-ის კანონმდებლობაზე უზენაესობის პრინციპის განმტკიცებაში ჰპოვა საბოლოო ასახვა. 77-ე მუხლის ბოლო პუნქტი ადგენდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონსა და სსრკ-ის კანონებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი. გარდა ამისა, მუხლიდან ამოღებული იყო დებულება, რომლის შესაბამისადაც უზენაესი საბჭო წინადადებით მიმართავდა სსრკ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტს და აქტის მიმღებ ორგანოს, აქტის რესპუბლიკის ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.

¹ იხ. Шульженко Ю.Л., Конституционный контроль в России, М., 1995, с. 93-94.

² იხ. ბ. კოჭლამაზაშვილი, საკონსტიტუციო კონტროლი საბჭოთა კავშირში, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, №2, გვ. 37.

³ იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990, №11, გვ. 108-111.

1991 წლის 9 აპრილი უმნიშვნელოვანესი თარიღია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ამ დღეს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი,¹ რასაც შედეგად კონსტიტუციურ ცვლილებათა ახალი ტალღა მოჰყვა. მათ შორის საინტერესოა 1991 წლის 14 აპრილის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.² აღნიშნული კანონით, პირველად საქართველოს ისტორიაში, ქართულ კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა.

ცვლილებების შედეგად საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ცხადდებოდა. მას საქართველოს მოქალაქეები, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ირჩევდნენ ხუთი წლის ვადით. პრეზიდენტს საკმაოდ დიდი უფლებამოსილებები ჰქონდა მინიჭებული. ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, მისი კონსტიტუციისა და კანონების დაცვის გარანტის ფუნქცია უნდა აღვნიშნოთ. ჩვენი აზრით, კონსტიტუციაში განმტკიცებული ეს დებულება თავისთავად მიუთითებდა პრეზიდენტის მნიშვნელოვან როლზე ძირითადი კანონის სამართლებრივი დაცვის სფეროში, რაც პრეზიდენტის კონტროლისა თუ საკონსტიტუციო ზედამხედველობის ცალკეული უფლებამოსილებებით აღჭურვას განაპირობებდა. ასე მაგალითად, კონტროლის სფეროში, მას შეეძლო გაეუქმებინა მინისტრთა კაბინეტისა და სხვა საქვეუწყებო დაწესებულებების დადგენილებები და განკარგულებები, ასევე, პრეფექტთა განკარგულებები და ბრძანებები.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის განხორციელების თვალსაზრისით, პრეზიდენტი გარკვეულ უფლებებს ფლობდა ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების აქტებთან მიმართებაში. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში, მას შეეძლო შეეხერებინა ავტონომიური რესპუბლიკების კანონების მოქმედება, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს დადგენილებები, მათი პრეზიდენტების აქტები და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებები და განკარგულებები. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში, იმ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების პირობებში, რაც, უპირველეს ყოვლისა, ავტონომიურ წარმონაქმნებთან დაძაბულ ურთიერთობებში გამოიხატებოდა, ბუნებრივია, პრეზიდენტის აღნიშნული უფლებამოსილებები, რეალურად, მხოლოდ კონსტიტუციური დებულებებით გათვალისწინებულ ფუნქციად რჩებოდა და მისი პრაქტიკაში გატარება შეუძლებელი იყო.

პრეზიდენტი აღჭურვილი იყო ვეტოს უფლებით. მას შეეძლო უარი ეთქვა პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტის პრომულგირებაზე და არაუგვიანეს ორი კვირისა, განმეორებითი განხილვისა და კენჭისყრის მოთხოვნით, საკუთარი შენიშვნებით დაებრუნებინა იგი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსათვის. თუ უზენაესი საბჭო ხმების ორი

¹ იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, №4, გვ. 136-137.

² იხ. იქვე, გვ. 139-144.

მესამედის უმრავლესობით, კვლავ დაადასტურებდა ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, პრეზიდენტს ხელი უნდა მოეწერა კანონპროექტზე ან გაეტანა იგი რეფერენდუმზე. აღსანიშნავია, რომ ქართულ კონსტიტუციურ სამართალში ეს იყო პირველი ფაქტი სახელმწიფოს მეთაურის ვეტოს ინსტიტუტის დაფუძნებისა.

ამდენად, 1991 წლის ბოლოსათვის, საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში ცალკეული მაკონტროლებელი უფლებამოსილებებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და პრეზიდენტი იყვნენ აღჭურვილი.

1992 წლის დასაწყისში, სახელმწიფო ხელისუფლება ძალისმიერი მეთოდებით იქნა დამხობილი, რის შემდეგაც საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციამ, ფაქტობრივად, შეწყვიტა მოქმედება. ურთულესი პოლიტიკური ვითარების პირობებში, 1992 წლის თებერვალში, სამხედრო საბჭომ მიიღო საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მოქმედების აღდგენის დეკლარაცია. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე 1921 წლის კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენდა, მოცემულ ეტაპზე იგი აღარ შეესაბამებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების რეალურ მდგომარეობას, რის გამოც, ვეღარ შეასრულებდა სახელმწიფოს ძირითადი კანონის ფუნქციას. სწორედ ამ მიზეზით აისხნება სამხედრო საბჭოს მიერ დადგენილების მიღება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მიმდინარე კანონმდებლობა შესაბამისობაში არა თავად კონსტიტუციასთან, არამედ, მის მიერ აღიარებულ პრინციპებთან მოდიოდა.

ამგვარი ვითარების ფონზე, ბუნებრივია, ახალი კონსტიტუციის მიღება პრიორიტეტულად დადგა დღის წესრიგში, თუმცა, მისი პროექტის შემუშავებას საკმაოდ ხანგრძლივი დრო ესაჭიროებოდა. გამომდინარე აქედან, სახელმწიფოში არსებული კონსტიტუციური ვაკუუმის შესავსებად, 1992 წლის 6 ნოემბერს, ახლადარჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა, მიიღო მიმდინარე პოლიტიკური მომენტისთვის უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტი, კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“.¹ მოცემული აქტი ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში „მცირე კონსტიტუციის“ სახელწოდებით შევიდა და 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე, გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართული სახელმწიფოებრიობის დაფუძნების საქმეში.

ამდენად, 1993-1995 წლებში საქართველოს ფაქტობრივად არ ჰქონია კონსტიტუცია. შესაბამისად, არც საკონსტიტუციო კონტროლზე შეიძლება საუბარი. თუმცა კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რიგ საკონტროლო უფლებამოსილებებს საქართველოს პარლამენტს ანიჭებდა. კერძოდ, კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფდა საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების, კანონებისა და სხვა აქტების, საქართველოს რესპუბლიკის კანონებთან შესაბამისობას. ცხადია, აღნიშნული ნორმა საქართველოს პარლამენტს კანონიერების

¹ იხ. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წლის ნოემბერი – 1993 წლის თებერვალი, № 1-4, გვ. 41-57.

კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურავდა. პარლამენტის ეს უფლებამოსილება განვრცობილი იყო კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით, რომელიც ადგენდა, რომ საქართველოს პარლამენტს შეეძლო სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრთა კაბინეტის, აგრეთვე, სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აქტების გაუქმება, თუ ისინი არ შეესაბამებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებს.

საქართველოს რესპუბლიკაში აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას საქართველოს მინისტრთა კაბინეტი ახორციელებდა. კანონი მას კონტროლისა და ზედამხედველობის გარკვეულ უფლებამოსილებებს ანიჭებდა. კერძოდ, მინისტრთა კაბინეტს უფლება ჰქონდა თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეეჩერებინა ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აქტების შესრულება, აგრეთვე, გაეუქმებინა საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და თავისი საქვეუწყებო ორგანოების აქტები.

ამრიგად, 80-იანი წლების ბოლოდან 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ 1992 წლამდე მასში განმტკიცებული იყო ნორმები, რომლებიც სხვადასხვა სუბიექტებს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით აღჭურავდა. კონტროლის სფეროში ცალკეული ფუნქციები უზენაეს საბჭოსა და პრეზიდენტს ჰქონდათ მინიჭებული. ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი, 1978 წლის კონსტიტუციაში განხორციელებული ის ცვლილებებია, რომლითაც საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის შექმნა იყო გათვალისწინებული. კომიტეტის უფლებამოსილებების ანალიზმა ცხადყო, რომ ეს ორგანო საკონსტიტუციო ზედამხედველობის გარდა, საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებებითაც იყო აღჭურვილი. მართალია, კომიტეტის ფორმირება არ მომხდარა, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ეს იყო პირველი ჩანაწერი, რომელმაც საკონსტიტუციო კონტროლის და ზედამხედველობის სპეციალიზებული ორგანოს შექმნა გაითვალისწინა. რაც შეეხება 1993-1995 წლების კანონმდებლობას, ამ პერიოდში საქართველოს ფაქტობრივად არ ჰქონია კონსტიტუცია და შესაბამისად, არც საკონსტიტუციო კონტროლის რაიმე მექანიზმი იარსებებდა. დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ 80-იანი წლების ბოლოდან 1995 წლამდე საქართველოში უმძიმესი შიდა პოლიტიკური ვითარება იყო. სახელმწიფო ფაქტობრივად, სამოქალაქო დაპირისპირებისა და საომარი მდგომარეობის პირობებში არსებობდა. ცხადია, ასეთ ვითარებაში საკონსტიტუციო კონტროლის საკითხი ნაკლებად აქტუალური იყო. სახელმწიფო სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული.

§ 4. საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი საქართველოს მოქმედი კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მიხედვით

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით ახალი ერა დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებაში. მოცემულ აქტს უდიდესი ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული

მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის. ქართულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მაშინ როდესაც, საქართველოში მძვინვარე სამოქალაქო ომისა და კონფლიქტების ფონზე, დასავლეთის სამყარო ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებდა ახლად ფორმირებულ რესპუბლიკას, ახალმა კონსტიტუციამ დაანახა მსოფლიო თანამეგობრობას, რომ საქართველო საბოლოოდ დაადგა დემოკრატიული, სუვერენული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზას.¹

1995 წლის საქართველოს კონსტიტუციამ, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებით, არსებითი ცვლილებები შეიტანა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში. მნიშვნელოვანი ცვლილებები, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის სფეროსაც და კერძოდ, საკონსტიტუციო კონტროლის საკითხებსაც შეეხო.

კონსტიტუციით დადგენილ ფუძემდებლურ პრინციპთა შორის, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კონსტიტუციის ტექსტში განმტკიცებული მისი უზენაესობის პრინციპი. კერძოდ, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.“ კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით არსებითია, კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დებულება, რომელიც იმპერატიულად ადგენს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია უზენაესობის უზრუნველსაყოფად აწესებს გარკვეულ ვალდებულებებს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის. ამ მოთხოვნას კონსტიტუცია ავრცელებს როგორც საქართველოს, ისე უცხოელ მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონის დაცვის ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს. კონსტიტუციის დარღვევა საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრების, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების იმპიჩმენტის წესით პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის დასმის ერთ-ერთი საფუძველია (მუხლი 64).

კონსტიტუციის უზენაესობის იდეა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონშიც აისახა.² კერძოდ, მე-19 მუხლის შესაბამისად, საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტთა იერარქიაში პირველ საფეხურზე სწორედ კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონია განთავსებული. ამასთან, ამავე კანონის მე-20 მუხლი იმეორებს კონსტიტუციის უზენაესობის შესახებ საქართველოს ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დებულებას. თუმცა, ამ შემთხვევაში კანონმდებელი კიდევ უფრო განავრცობს მას და დამატებით მიუთითებს,

¹ იხ. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, I ტ., თბ., 2004, გვ. 133.

² იხ. საქართველოს სახელმწიფო სამართალი (საკანონმდებლო აქტების კრებული), თბ., 2004, გვ. 180.

რომ საქართველოს კონსტიტუციას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღებით სახელმწიფო ახალი საკანონმდებლო ბაზის შემუშავების აუცილებლობის წინაშე დადგა, თუმცა იმ დროს არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედი სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა იყო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კონსტიტუციის გარდამავალი დებულებების 106-ე მუხლის პირველი პუნქტი. იგი ადგენდა, რომ კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებდა მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგებოდა. ცხადია, აღნიშნული ნორმა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას ითვალისწინებდა. ვინაიდან, კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კონსტიტუციის მიღებიდან მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ იქნა მიღებული, იმავე მუხლის მეორე პუნქტმა აღნიშნული საკითხის მოგვარება, კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს დააკისრა. ამდენად, სწორედ მათ უნდა უზრუნველყოთ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მოქმედი ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობა.

მოცემული ნორმის არსიდან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს, მართალია დროებით, იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობის საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურავდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი უფლება მათ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში ჰქონდათ მინიჭებული, ხოლო კონსტიტუცია ძალაში შევიდა საქართველოს ახალ-არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან (მუხლი 104), კერძოდ, 1995 წლის ნოემბრიდან, ცხადია, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს ასეთი უფლებამოსილებით შეეძლოთ 1997 წლის ნოემბრამდე ესარგებლათ. ეს მაშინ, როდესაც 1996 წლის 24 ივლისიდან უკვე ამოქმედდა საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად სწორედ მოქმედი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის დადგენა განისაზღვრა. ამ დროს, კონსტიტუციის გარდამავალი დებულებები, მას პრეზიდენტთან და პარლამენტთან ერთად, კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედი სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საქმიანობაში უშუალო მონაწილედ არ მოიაზრებდა. მართალია, თეორიულად საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო გამხდარიყო ამგვარი საქმიანობის მონაწილე, თუ მისთვის მიმართვის უფლებით აღჭურვილი რომელიმე სუბიექტი მოსთხოვდა მას კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედი ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, რაიმე ფორმით ამ პროცესში ჩართვა, პროცესსაც დააჩქარებდა და ამ მიმართულებით გაწეულ საქმიანობასაც ბევრად უფრო ეფექტურს გახდიდა.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის არსებითი ნოვაცია საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნებაა. კონსტიტუციის 82-ე მუხლის

თანახმად, საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. 83-ე მუხლი კი ადგენს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოა, რომლის უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.

საქართველოს კონსტიტუციის 88-ე და 89-ე მუხლები მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებენ. კერძოდ, ისინი ზოგადად განსაზღვრავენ საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესს, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატთათვის დადგენილ ცენზებს, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ხელშეუხებლობის გარანტიებს, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შემავალ უფლებამოსილებათა ნუსხას და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ მუხლებში თავმოყრილ ამ დებულებებს ფუძემდებლური ხასიათი აქვთ და ჩარჩო პრინციპებს ამკვიდრებენ საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული მთელი კანონმდებლობისათვის.

რაც შეეხება „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მიღების საკითხს, საქართველოს კონსტიტუციის გარდამავალი დებულებების 107-ე მუხლი იმპერატიულად ადგენდა, რომ მოცემული კანონი 1996 წლის 1 თებერვლამდე უნდა ყოფილიყო მიღებული. მართლაც, საქართველოს პარლამენტმა ზუსტად დაიცვა ძირითადი კანონის მოთხოვნა თარიღთან დაკავშირებით და 1996 წლის 31 იანვარს მიიღო ორგანული კანონი "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ". ო. მელქაძე, იყო რა იმ დროს პარლამენტის წევრი, აღნიშნავს, რომ კანონპროექტი პარლამენტის დღის წესრიგში განსახილველად მხოლოდ 31 იანვარს დადგა. ბუნებრივია, ერთი დღე საკმარისი არ იყო პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული ტექნოლოგიური პოცედურებით ორგანული კანონპროექტის განხილვისათვის. გამომდინარე აქედან, კანონის მიღებასთან დაკავშირებული მთელი პროცესი შემჭიდროვებული სამუშაო გრაფიკით, ე.წ. „გამარტივებული“ წესით ჩატარდა. თუმცა, მაინც იყო გამოთქმული არსებითი შენიშვნები კანონში არსებულ ხარვეზებზე, მაგრამ რაიმე კონსტრუქციული პოზიციით კამათში ჩაბმას აზრიც არ ჰქონდა. უბრალოდ, შეზღუდული რეგლამენტის გამო მათი გათვალისწინება სამომავლოდ გადავადდა.¹ შედეგად კი ამას ის მოჰყვა, რომ კანონში არსებულმა ხარვეზებმა დროთა განმავლობაში იჩინეს თავი, რის გამოსასწორებლადაც მოგვიანებით მასში მრავალი ცვლილება განხორციელდა, რის შესახებაც დაწვრილებით შემდეგ თავში ვისაუბრებთ. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ორგანული კანონის მიღებას, როგორც ფაქტს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან დეტალურად შემოსაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის, სტრუქტურისა და კომპეტენციის საკითხები, დაადგინა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საერთო წესი და სხვ.

¹ იხ. ო. მელქაძე, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხისთვის, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბ., 2001, მეორე კვარტალი, გვ. 72.

1996 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ". კანონი განამტკიცებს სამართალწარმოების პრინციპებს, არეგულირებს სამართალწარმოების დაწყების, საქმის მომზადებისა და არსებითად განხილვასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს. ხოლო, 1996 წლის 25 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ", რომელმაც შექმნა საკონსტიტუციო სასამართლოსა და მისი წევრების დამოუკიდებლობის სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების სისტემა.

ამდენად, ზემოთ აღნიშნული კანონების პაკეტის მიღებით, რეალურად შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლები და გარანტიები. ამას მოჰყვა უფლებამოსილი სუბიექტების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევა და სრული ფორმირება. კერძოდ კი, 1996 წლის 24 ივლისს, 9 მოსამართლის მიერ, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი ელიტის თანდასწრებით, განხორციელდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ ფიცის დადების ცერიმონიალი. შედეგად, საქართველოს ისტორიაში პირველად, საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის ნიმუშზე, შეიქმნა კონსტიტუციური იუსტიციის ორგანო – საკონსტიტუციო სასამართლო, რომელზეც დაწვრილებით მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, იმთავითვე, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ერთადერთ ორგანოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მიიხსენიდა, მაგრამ 2004 წლის თებერვალში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციურ არსენალშიც გაჩნდა. ამ დროს, მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება იმის დასტურია, რომ პრეზიდენტების საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვა იშვიათი გამონაკლისია. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ რუსეთის კონსტიტუცია (115-ე მუხლის მე-3 პუნქტი),¹ რომლის თანახმად ფედერაციის პრეზიდენტი სარგებლობს უფლებამოსილებით, გააუქმოს რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილებები და განკარგულებანი, მათი რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან, ფედერალურ კანონებთან და პრეზიდენტის ბრძანებულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში, ანუ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ფედერალური მთავრობის აქტების მიმართ, საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი.

კანონმდებლობის კონსტიტუციურობის დაცვის მიზნით, ქვეყნების უმრავლესობაში პრეზიდენტები უშუალოდ თვითონ არ ახორციელებენ საკონსტიტუციო კონტროლს, თუმცა გარკვეული როლი ამ სფეროში აკისრიათ. ასე მაგალითად, ისინი სარგებლობენ ამა თუ იმ აქტის

¹ იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), Т.3, М., 2001, с. 44.

კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით. ესეც არ იყოს, სწორედ კანონის ან მისი ცალკეული ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამობა შეიძლება გახდეს პრეზიდენტის მიერ ვეტოს უფლების განხორციელების საფუძველი.

საქართველოს პრეზიდენტი იმ იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც კონსტიტუცია საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით აღჭურავს. საქართველოს ძირითადი კანონის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის თავდაპირველი რედაქციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო გაეუქმებინა მისდამი ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტები. ამ შემთხვევაში, მოცემული ნორმა არ განიხილებოდა პრეზიდენტის საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით აღმჭურველ ნორმად. ჯერ ერთი, მოცემულ ნორმაში არ იყო მითითება კონსტიტუციურობის მოტივაციაზე, და მეორეც, იმ დროს პრეზიდენტი თავად იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, რის გამოც შეიძლება ითქვას, ამგვარ კონტროლს საქვეუწყებო ხასიათი ჰქონდა.

2004 წლის თებერვალში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტი შემდგენაირად ჩამოყალიბდა: „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს.“ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტების მიმართ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. მოცემული დებულება კანონმდებლობაშიც არის განმტკიცებული. კერძოდ, “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი¹ სიტყვასიტყვით იმეორებს საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსს.

აღნიშნული ნორმა ქართულ კანონმდებლობაში ერთადერთი არ არის, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებას ანიჭებს. ამგვარი ნორმა 2004 წლის პირველ ივლისს მიღებულ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონშიც განმტკიცდა.² კერძოდ, აღნიშნული აქტის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტის მოქმედება ან გააუქმოს ეს აქტი თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებსა და საქართველოს პრეზიდენტის

¹ იხ. საქართველოს სახელმწიფო სამართალი (საკანონმდებლო აქტების კრებული), თბ., 2004, გვ. 63.

² იხ. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ, გამომც. „ბონაკაუზა“, თბ., 2005, გვ. 60-72.

სამართლებრივ აქტებს. იმავე კანონის მე-18 მუხლი, კონტროლის ანალოგიური უფლებებით აღჭურავს საქართველოს პრეზიდენტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის აქტების მიმართაც. ამრიგად, როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტის როლი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების სფეროში საკმაოდ ფართოა. ო.მელქაძე აღნიშნავს, რომ ფაქტობრივად, საქართველოს პრეზიდენტმა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის აქტებზე საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები შეითვისა და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის ახალი მოდელის პირობებში იგი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური აღარ არის.¹

ამდენად, საქართველოს პრეზიდენტი საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი როგორც საქართველოს ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტების მიმართ. ჩვენი აზრით, პრეზიდენტის აღჭურვა ამ უფლებამოსილებით არ არის მიზანშეწონილი, რადგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში მას სხვაგვარად შეუძლია ამ აქტებზე კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ზეგავლენის მოხდენა. ასე მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა მას უფლებამოსილებას ანიჭებს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც საქართველოს ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით. ამასთან, მიგვაჩნია, რომ მისი ადგილი სახელისუფლებო სისტემაში ავადდებულებს მას არა იმ პირის როლში ყოფნას, რომელიც აუქმებს ამა თუ იმ აქტებს, არამედ იმ არბიტრის როლის შესრულებას, რომელიც საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ უზრუნველყოფს სხვადასხვა პოზიციათა შეჯერებას და კომპრომისულ გადაწყვეტილებათა მოძებნას, ხელისუფლებათა შტოებს შორის ბალანსის დაცვას და სახელმწიფო ორგანოთა ნორმალურ ფუნქციონირებას. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტების მიმართ პრეზიდენტის საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვა, ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლების ცენტრალიზაციის ტენდენციაზე მიანიშნებს, რაც ვთვლით, რომ არ შეიძლება დადებითად შეფასდეს, რადგან კონსტიტუციონალიზმში პროგრესირებად მიმართულებად სახელისუფლებო სისტემის გამარტივებაა აღიარებული მისი დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის გააქტიურების გზით.

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაში პრეზიდენტის როლზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იგი ამ ახალ შექმნილ უფლებასთან ერთად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასაც ინარჩუნებს. “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის თანახმად,² მას შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვადასხვა

¹ იხ.: ო. მელქაძე, საკონსტიტუციო თვითშემოქმედება გრძელდება!, გაზ. „24 საათი“, 2004, 24 ივნისი; ო. მელქაძე, საკონსტიტუციო ქართველოლოგიის საშიშროება!?, თბ., 2005, გვ. 44.

² იხ. სასამართლო ხელისუფლება საქართველოში (საკანონმდებლო აქტების კრებული), თბ., 2002, გვ. 81-112.

ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით (მუხლი 33), კომპეტენციურ დაგების განხილვის მოთხოვნით (მუხლი 34), მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით (მუხლი 35) და სხვ. პრეზიდენტის როლი ამ თვალსაზრისით იმდენად მრავლის მომცველია, რომ მას საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა, ამ უკანასკნელის კომპეტენციაში არსებულ თითქმის ყველა საკითხთან დაკავშირებით შეუძლია, თუმცა, რიგ შემთხვევებში კანონმდებლობა გარკვეულ დათქმებს აწესებს. ასე მაგალითად, რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება პრეზიდენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ იგი მიიჩნევს, რომ რეფერენდუმი ჩატარებულია საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით; სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის ფარგლების შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი მიიჩნევს, რომ დარღვეულია მისი კომპეტენცია ან დაირღვა სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები და სხვ.

აქვე ყურადღებას გავამახვილებთ ჩვენი კვლევისთვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობების ანალიზი იმას ადასტურებს, რომ როდესაც საკანონმდებლო პროცესის ბოლო სტადიაზე, პარლამენტის მიერ ხელმოსაწერად გადაცემულ კანონპროექტს პრეზიდენტი არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, სხვადასხვა სახელმწიფოებში პრეზიდენტები რეაგირების ორი განსხვავებული უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი. კერძოდ, ზოგიერთ სახელმწიფოში მათ შეუძლიათ კანონპროექტის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით მიმართონ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებულ ორგანოს (გერმანია, პოლონეთი), ზოგიერთ სახელმწიფოში კი, ისინი სარგებლობენ რა ვეტოს უფლებით, არაკონსტიტუციურობის მოტივით ხელახლა განსახილველად უბრუნებენ კანონპროექტს პარლამენტს (რუსეთი, ფინეთი). ჩვენი აზრით, გარკვეული უპირატესობა, რეაგირების პირველ ფორმას უნდა მივაკუთვნოთ, რადგან თავისთავად ცხადია, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალიზებული ორგანოს დასკვნა კანონპროექტის კონსტიტუციურობის თაობაზე, უფრო კომპეტენტური და სრულყოფილი იქნება, ვიდრე პრეზიდენტის მიერ ცალსახად მიღებული ამდაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ვეტოს უფლებით სარგებლობს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი ზოგადად განსაზღვრავს, რომ პრეზიდენტი უფლებამოსილია კანონპროექტი მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს. თუმცა, ქართულ კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი, კონკრეტულად თუ რა მოტივებზე დაყრდნობით შეუძლია პრეზიდენტს ისარგებლოს ვეტოს უფლებით. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა პრეზიდენტს, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კანონპროექტის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით მიმართვის უფლებამოსილებასაც არ ანიჭებს. თეორიულად, საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტისგან მიღებული კანონპროექტის ხელმოწერამდე, მისი კონსტიტუციურობის შემოწმებაც შეუძლია და

შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, არაკონსტიტუციურობის მოტივით ვეტოს უფლების გამოყენებაც. მაგრამ, ვეტოს მექანიზმის ამოქმედებისას, თუ პარლამენტი არ გაითვალისწინებს ვეტოს არსს და მაინც დაძლევეს მას, ეს უბრალოდ პროცესის გაჭიანურებას გამოიწვევს, ვინაიდან პრეზიდენტი იძულებული იქნება მოახდინოს კანონპროექტის პრომულგირება და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით.

მართალია, ქართულ პრაქტიკაში ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ თეორიულად მაინც არსებობს საკანონმდებლო პროცესის გაჭიანურების ამგვარი შესაძლებლობა. ამიტომ, საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის სრულყოფის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მსგავს შემთხვევებში, კანონპროექტების ხელმოწერამდე, საქართველოს პრეზიდენტის საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მათი კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით მიმართვის უფლებამოსილებით აღჭურვა, რის შედეგადაც, წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი დამკვიდრებოდა ქართულ კანონმდებლობაში.

მნიშვნელოვანია პრეზიდენტის როლი საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში. საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა წევრიდან სამს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. ამასთან დაკავშირებით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას (მუხლი 7). ნიშანდობლივია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თანამდებობის დაკავებამდე საქართველოს პრეზიდენტის, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანდასწრებით საკონსტიტუციო სასამართლოში დებს ფიცს (მუხლი 9).

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით საკონსტიტუციო სასამართლო და პრეზიდენტი არიან აღჭურვილნი. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულ ფუნქციას ახორციელებს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანო, რომელიც შექმნილია უშუალოდ საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად და ეს მისი ერთადერთი და ძირითადი საქმიანობაა. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, მართალია მას კანონმდებლობა საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურავს, თუმცა, ეს მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებას არ წარმოადგენს. სხვა ფუნქციებთან ერთად, მას კონტროლის ფუნქციებიც ეკისრება, რომელთაგან ერთ-ერთი როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე აჭარის ა/რ მთავრობისა და მისი თავმჯდომარის აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებაა. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტი საკონსტიტუციო კონტროლის არასპეციალიზებული სუბიექტია.

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ იმ სუბიექტებზე, რომლებსაც საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილება კონსტიტუციური ნორმებით აქვთ მინიჭებული. თუმცა ჩვენი აზრით, საქართველოს კანონმდებლობაში საკონსტიტუციო კონტროლის შემცველი პროცედურები კონსტიტუციური ნორმების გარდა სხვა საკანონმდებლო

აქტებშიც ამოიკითხება. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ერთგვარ თავისებურებებზე. საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. პარლამენტის სტატუსის განმსაზღვრელ მოცემულ ნორმაში არაფერია ნათქვამი პარლამენტის უფლებამოსილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში, თუმცა 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის ამოქმედებიდან მოყოლებული, საქართველოს პარლამენტი თავისი საქმიანობის მარეგულირებელი უმთავრესი ნორმატიული აქტის – რეგლამენტის მეშვეობით, საკანონმდებლო პროცესში მეთოდურად ამკვიდრებს კანონპროექტების განხილვისას მათი კონსტიტუციურობის წინასწარი შეფასების მექანიზმს.

საქართველოს პარლამენტის 1997 წლის რეგლამენტის 85-ე მუხლის შესაბამისად, თუ პარლამენტის სხდომაზე წარდგენილი კანონპროექტი ან მისი ცალკეული დებულებები არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციას ან ჰქონდა სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზები, შესაბამის კანონპროექტზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირები ახსნა-განმარტებით წარსდგებოდნენ პარლამენტის ბიუროს ან პლენარული სხდომის წინაშე. მოცემული ნორმის რეალიზაცია სამსაფეხუროვან მოქმედებას ითვალისწინებდა. პირველ რიგში, უნდა მომხდარიყო კანონპროექტის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმება და შეუსაბამობის გამოვლენა. ამის შემდეგ, „კანონპროექტზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი“ შესაბამისი ახსნა-განმარტებით უნდა წარმდგარიყო პარლამენტის ბიუროს ან პლენარული სხდომის წინაშე. დაბოლოს, ცხადია, ბიუროს ან პარლამენტს უნდა ემსჯელა კანონპროექტის კონსტიტუციურობის თაობაზე და შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში მიეღო შესაბამისი ზომები აღნიშნული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2004 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი რეგლამენტი, რომელიც დღესაც მოქმედებს. მისი 149-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, პარლამენტის ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ბიუროს სხდომაზე წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთვოდეს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა, შეესაბამება თუ არა, ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. ცხადია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს კანონმდებლობაში საქართველოს კონსტიტუციაც მოიაზრება, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში, იურიდიული დეპარტამენტი კანონპროექტების, როგორც კონსტიტუციურობას, ასევე კანონიერებასაც ამოწმებს, ყოველ შემთხვევაში უნდა ამოწმებდეს.

ამრიგად, საქართველოს პარლამენტი შინაგან საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს, ანუ ამოწმებს მისივე მისაღები აქტების კონსტიტუციურობას, რასაც პრევენციული ხასიათი აქვს. კონტროლის ეს

ფორმა საკანონმდებლო პროცესის შემადგენელი ნაწილია, ხოლო კანონპროექტების კონსტიტუციურობის წინასწარი შეფასება პარლამენტის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ფუნქციაა. მიგვაჩნია, რომ ასეთი მექანიზმის მოქმედებას გარკვეული პროფილაქტიკური დატვირთვა ენიჭება და თუ იგი სრულფასოვნად იქნება გამოყენებული, მაშინ ეს მნიშვნელოვანი შედეგათი იქნებოდა, საერთოდ კანონების შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლის საჭიროების თვალსაზრისით.

საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში პარლამენტის როლზე საუბრისას აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტი, ისევე როგორც საქართველოს პრეზიდენტი, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. ამ უფლებით საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მესუთედი სარგებლობს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაშიც მონაწილეობს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მესუთედით.

ყურადღებას გავამახვილებთ ერთ მნიშვნელოვან ნორმაზე, რომელიც “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ” კონსტიტუციურ კანონში არის განმტკიცებული და პარლამენტს ფაქტობრივად საკონსტიტუციო ზედამხედველობის უფლებამოსილებით აღჭურავს. აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია, დადგენილების საფუძველზე, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აქტის გაუქმება, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და საქართველოს კანონებს. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხვადასხვა სუბიექტს შეუძლია და ეს მათი, როგორც მოსარჩელის (წარდგინების ავტორის) უფლებაა. თუმცა მითითებულ ნორმაზე ყურადღება გავამახვილეთ იმიტომ, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენი აზრით, პარლამენტი მხოლოდ წარდგინების ავტორი არ არის. კერძოდ კი, ვგულისხმობთ იმას, რომ ვინაიდან ზემომითითებული ნორმა აზუსტებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი აქტის მოქმედების შეჩერებას, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ დათქმას, პარლამენტის ეს უფლებამოსილება ფაქტობრივად საკონსტიტუციო ზედამხედველობის რანგში აყავს, გამომდინარე იქიდან, რომ წარდგინების მიღება სადავო აქტის მოქმედების ავტომატურ შეჩერებას იწვევს. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სარჩელის (წარდგინების) მიღება, იმავდროულად სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას განაპირობებს. როგორც წესი, აქტის მოქმედების შეჩერებაზე გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლო ცალკე დებულობს და ეს მხოლოდ მის ნებაზეა დამოკიდებული. მოცემულ შემთხვევაში კი, საკონსტიტუციო

სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების მიღება-არმიღების საკითხზე, სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას კი, წარდგინების მიღება ავტომატურად იწვევს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანო როგორც წესი, თავად სარგებლობს უფლებამოსილებით შეაჩეროს სხვა ორგანოს აქტის მოქმედება და საკითხი განსახილველად კონტროლის ორგანოს გადასცეს, რომლის გადაწყვეტილებაზეც არის დამოკიდებული აქტის საბოლოო გაუქმება. მოცემულ შემთხვევაში კი, მართალია პარლამენტი თვითონ ვერ აჩერებს სადავო აქტის მოქმედებას, მიუხედავად ამისა, ზემომითითებული ნორმების ანალიზი საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ეს ფაქტობრივად მაინც პარლამენტის ნებიდან გამომდინარეობს. ნიშანდობლივია ისიც, რომ კანონმდებლობა მხოლოდ საქართველოს პარლამენტს ანიჭებს ზემოთ განხილულ უფლებამოსილებას. ამდენად, ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აქტების მიმართ საქართველოს პარლამენტი ფაქტობრივად საკონსტიტუციო ზედამხედველობას ახორციელებს.

საკონსტიტუციო კონტროლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებასა და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებული საკითხიც. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი ადგენს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას იღებს უზენაესი საბჭო და იგი ძალაში შედის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედებისთანავე (23-ე მუხლი), ანუ შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუცია ძალაში შედის საქართველოს პარლამენტის მიერ მისი დამტკიცების შემთხვევაში. იგივე ეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესსაც. ეს პროცედურები დეტალურად არის გაწერილი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3¹ თავში. კონსტიტუციის დამტკიცებისას საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია შეამოწმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა, თუმცა პირდაპირ ამის შესახებ არაფერია ნათქვამი კანონმდებლობაში, ეს ჩვენი აზრით, კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარეობს. ამასთან, წინააღმდეგობის გამოვლენის შემთხვევაში პარლამენტი უფლებამოსილია უარი თქვას მის დამტკიცებაზე და მიიღოს დადგენილება შესაბამისი შენიშვნებით (52² მუხლის მე-3 პუნქტი). ამდენად, ჩვენი აზრით, თუ საქართველოს პარლამენტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების მიმართ საზედამხედველო ფუნქცია გააჩნია, კონსტიტუციაზე საკონსტიტუციო კონტროლი შეუძლია განახორციელოს.

დაბოლოს, ყურადღებას გავამახვილებთ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში არსებულ კონტროლის ერთ უფლებამოსილებაზე. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად, კანონქვემდებარე აქტების პროექტი უნდა გადაეცეს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც იძლევა დასკვნას უპირატესი

იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან მისი შესაბამისობის თაობაზე (33-ე მუხლის მე-4 პუნქტი).¹ ეს ნიშნავს, რომ ეს აქტები ვერ შევა ძალაში იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დასკვნის გარეშე. უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება, თეორიულად, საქართველოს კონსტიტუციასთან ამ აქტების შესაბამისობის შემოწმებასაც გულისხმობს, რადგან კონსტიტუციას მისი უზენაესობიდან გამომდინარე, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ყველა სხვა აქტთან მიმართებაში. ამდენად, ამ თვალსაზრისით, იუსტიციის სამინისტროს რიგ კანონქვემდებარე აქტებზე წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება შეუძლია. ამასთან, კონტროლს დამდგენი ხასიათი აქვს. კერძოდ, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი განსაზღვრავს, რომ იუსტიციის სამინისტროს დასაბუთებული უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებთან, რის შემდეგაც იგი საჭიროებს იუსტიციის სამინისტროს ხელახალ დასკვნას უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებთან შესაბამისობის თაობაზე (33-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

ამდენად, ქართული კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება საქართველოში არაერთ ორგანოს შეუძლია, თუმცა განსხვავებული მოცულობით და ფორმებით. ცხადია, უმთავრესი როლი ამ სფეროში საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სპეციალიზებულ ორგანოს აკისრია. დანარჩენ ორგანოთა კომპეტენციაში კი, კონსტიტუციურობის შემოწმება მათი საქმიანობის ერთ-ერთი არაძირითადი ფუნქციაა, შესაბამისად ეს მათი საქმიანობის მთავარ მიმართულებას არ წარმოადგენს.

¹ ეს დათქმა არ ეხება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებს.

კარი II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო – საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანო

თავი I. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და ორგანიზაცია

§1. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება მისი განსაკუთრებული სტატუსით არის განპირობებული. საქართველოს ძირითად კანონში განმტკიცებული დებულებები ზოგადად განსაზღვრავენ მის სტატუსს. კერძოდ, კონსტიტუციის 83-ე მუხლის თანახმად, იგი საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა. აღნიშნული დებულება კი, თავის მხრივ განვრცობილია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველივე მუხლით, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიზნები და ამოცანები არის ჩამოყალიბებული. კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაოსაბას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“. შეიძლება ითქვას, რომ მოცემული დებულებით, არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მიზნები და ამოცანებია განსაზღვრული, არამედ იმავედროულად, მისი არსიც არის წარმოჩენილი. თუმცა, ჩვენი აზრით, აღნიშნული მუხლი კიდევ უფრო სრულად წარმოაჩენდა საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ ბუნებას, თუ მასში საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანაზე, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაციის უზრუნველყოფაზეც იქნებოდა მითითებული, რასაც ეს უკანასკნელი კომპეტენციური დავების გადაჭრის გზით უნდა ახორციელებდეს.

ამდენად, ქართული კანონდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო ხელისუფლების შემადგენელ ნაწილად განიხილავს. ზოგადად, საკითხი იმის შესახებ ხელისუფლების რომელ შტოს მიეკუთვნება საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო განსხვავებულად წყდება საზღვარგარეთის სახელმწიფოებში. უპირველესად, არსებითია საკონსტიტუციო კონტროლის რომელი მოდელი ფუნქციონირებს ცალკე აღებულ ქვეყანაში. ამერიკულ მოდელში საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ და ამ შემთხვევაში, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეს საქმიანობა სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივაა. ევროპულ მოდელში კი, საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებენ სპეციალიზებული ორგანოები, რომელთა ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში პირობითია. ზუსტ პასუხს დასმულ საკითხზე ამ ქვეყნების კანონმდებლობა არ იძლევა. ზოგიერთ ქვეყანაში საკითხები საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ ჩართულია კონსტიტუციის თავში საერთო სასამართლოთა სისტემის შესახებ (გერმანია, რუსეთი), ხოლო ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში

ისინი ცალკე თავების სახით განიხილება (ავსტრია, ესპანეთი). საქართველოს კონსტიტუციაში საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი განსაზღვრულია მე-5 თავში, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას ეხება. კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. ეს გვაძლევს საფუძველს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოში სასამართლო ხელისუფლების ორგანოდ განვიხილოთ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ რეალურად განსხვავება საკონსტიტუციო კონტროლსა და მართლმსაჯულებას შორის არსებითია. მაგალითისთვის თუნდაც იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ საკონსტიტუციო კონტროლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები განსხვავებით ჩვეულებრივი სამართალწარმოების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებებისგან, როგორც წესი, საერთო ნორმატიულ ხასიათს ატარებენ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ ბუნებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იგი სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციური ორგანოა. მისი საქმიანობის ჩარჩო პრინციპები საქართველოს კონსტიტუციით არის დადგენილი. კონსტიტუციის 88-ე და 89-ე მუხლები მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებენ. ისინი განსაზღვრავენ საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესს, ადგენენ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევ ცენზებს, განამტკიცებენ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ხელშეუხებლობის გარანტიებს, აყალიბებენ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შემავალ უფლებამოსილებათა ნუსხას და სხვ. მთლიანობაში კი, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ მუხლებში თავმოყრილ ნორმათა კომპლექსს ფუძემდებლური ხასიათი აქვს და საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული მთელი კანონმდებლობისათვის ჩარჩო პრინციპებს ამკვიდრებს.

საკონსტიტუციო დანაწესის შესრულების ორგანიზაციული და ფუნქციური საკითხების რეგლამენტაცია ორი კანონისგან შემდგარ პაკეტს ეკისრება. პირველ რიგში, ეს არის ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“¹ და შემდეგ, კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“². ნიშანდობლივია, რომ პირველი მათგანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მაღალი სტატუსიდან გამომდინარე, კანონმდებელს ორგანული კანონის რანგში ჰყავს აყვანილი. თავად კონსტიტუციური დებულებაც ამას განსაზღვრავს: საკონსტიტუციო სასამართლოს „უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით“ (მუხლი 83). ამდენად, ზემოთ მითითებული საკანონმდებლო აქტები, ყოველი თავისი დანიშნულებისამებრ, ქმნიან სამართლებრივ სივრცეს, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლო ავლენს თავის იურიდიულ შესაძლებლობებს. ამასთან, ამ აქტების გარდა საკონსტიტუციო

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, პასუხისმ. ჯ. ხეცურიანი, თბ., 2005, გვ. 57-91.

² იხ. იქვე, გვ. 92-119.

სასამართლოს აქვს თავისი რეგლამენტი,¹ რომელიც აღნიშნული კანონების შესაბამისად აწესრიგებს სასამართლოს ორგანიზაციის, საქმეთა განსახილველად მომზადების, განხილვის, გადაწყვეტისა და კონსტიტუციური სამართალწარმოების სხვა საკითხებს.

კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებულ ორგანოდ არის აღიარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შექმნილია უშუალოდ საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად და მას სხვა დანიშნულება არ აქვს. გამომდინარე აქედან, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ერთადერთი მიმართულება საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაა. შედეგად კი, საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების ძლიერი უფლებამოსილებებით, რისი ნუსხაც საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლში არის მოცემული.

§2. საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაცია

2.1 სასამართლოს ფორმირების წესი და შემადგენლობა

მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები რეგულირებულია კონსტიტუციებით და შემდეგ კონკრეტიზებულია კანონებით. უმეტეს შემთხვევაში კონსტიტუციებში განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობაც.

საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისგან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა ექვსიდან ცხრამეტამდე მერყეობს, შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საშუალო რიცხოვნობის ორგანოა. ცხრა მოსამართლით არის დაკომპლექტებული რუმინეთის, სლოვენის, მაკედონიის, მონღოლეთის, სამხრეთ კორეის, სომხეთის საკონსტიტუციო სასამართლოებიც. ცხრა წევრისგან შესდგება საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოც.

სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულია საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების წესი. ზოგ სახელმწიფოში საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობს ხელისუფლების სამივე შტო (ბუღარეთი, ესპანეთი, იტალია, სამხრეთ კორეა, მონღოლეთი, პერუ, უკრაინა), ზოგშიც – მხოლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები (ავსტრია, რუმინეთი, ჩეხეთი, სომხეთი, ალბანეთი). ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა (დანიშვნა) ხდება მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლების ან სახელმწიფოს მეთაურის მიერ. მაგალითად, მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები

¹ იხ. http://www.constcourt.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=21&info_id=106.

აირჩევიან (ინიშნებიან) უნგრეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ლიტვაში, ესტონეთში, შვეიცარიაში, ხოლო მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის მიერ – ავსტრიაში, ბელგიაში, დანიაში, ესპანეთში, თურქეთში და სხვა. თუმცა ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევებში მოსამართლეები ინიშნებიან (აირჩევიან) ხელისუფლების მხოლოდ ერთი კონკრეტული შტოს მიერ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლის კანდიდატთა შერჩევაში ხელისუფლების სხვა შტოები არ მონაწილეობენ. ასე მაგალითად: ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური (პრეზიდენტი), თუმცა კანდიდატებს წარადგენენ ფედერალური მთავრობა და პარლამენტის პალატები; ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თორმეტივე წევრს თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური (მეფე), კანდიდატურების წარდგენაში კი, მონაწილეობს როგორც პარლამენტი, ასევე მთავრობა და სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო.

საქართველოში, ისე როგორც ესპანეთსა და ავსტრიაში, საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობს ხელისუფლების სხვადასხვა შტო, თუმცა იმ განსხვავებით რომ თითოეული შტო მოსამართლეთა დანიშვნის თუ არჩევის უფლებამოსილებით თავად სარგებლობს. საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით და სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების ამგვარი მოდელი პარიტეტულობის პრინციპს ეფუძნება და საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში ამ პროცესში ხელისუფლების სამივე – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოს მონაწილეობას ითვალისწინებდა. თუმცა, ვფიქრობთ, 2004 წლის თებერვალში განხორციელებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, რამაც სახელმწიფოს მართვის მოდელის შეცვლა გამოიწვია, საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობა კითხვის ქვეშ დააყენა. საქმე იმაშია, რომ ადრე საქართველოს პრეზიდენტი თავად იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და შესაბამისად, მის მიერ მოსამართლეების ერთპიროვნულად დანიშვნა სასამართლოს ფორმირებაში აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობად განიხილებოდა. ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად კი, საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. საქართველოს კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს მთავრობა, რომელსაც თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი (78-ე და 79-ე მუხლები). აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მთავრობის მონაწილეობას საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში, შეიძლება ითქვას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება არ მონაწილეობს ამ პროცესში. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის ამა თუ იმ ფორმით მასში ჩართვა. ასე მაგალითად, თუ მოქმედი ნორმებით პრეზიდენტი ერთპიროვნულად წყვეტს ვინ დანიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ცვლილებებით შეიძლება განისაზღვროს, რომ მისთვის კანდიდატურების წარდგენის უფლება საქართველოს მთავრობას

განეკუთვნება. მიგვაჩნია, რომ მმართველობის მოქმედი მოდელის პირობებში, ორგანოსათვის, რომელიც უფლებამოსილია ხელისუფლების ერთი შტოს წარმომადგენელი სუბიექტის სარჩელის საფუძველზე არაკონსტიტუციურად ცნოს ხელისუფლების მეორე შტოს აქტი, და რომლის ერთ-ერთი ფუნქცია კომპეტენციური დავების განხილვით ხელისუფლების შტოთა შორის ბალანსისა და თანასწორობის უზრუნველყოფაა, პარიტეტულობის პრინციპის სრული რეალიზაცია, მისი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტიაა, რაც კიდევ უფრო გამორიცხავდა ამ ორგანოს რომელიმე ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა-დანიშვნასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი, განვრცობილია “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 7 მუხლებით. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დანიშვნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას. საქართველოს პარლამენტში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ასარჩევი კანდიდატურების დასახელების უფლება აქვთ პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო ფრაქციასა და პარლამენტის წევრთა არანაკლებ ათკაციან ჯგუფს, რომელიც არ შედის არცერთ ფრაქციაში, ხოლო უზენაესი სასამართლოს პლენუმზე დასანიშნ კანდიდატებს ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. პარლამენტში კენჭისყრის შედეგად არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედისა, ხოლო უზენაეს სასამართლოში დანიშნულად ჩაითვლება ის სამი კანდიდატი, რომელსაც ხმას მიცემს პლენუმის დამსწრე წევრთა არანაკლებ ორი მესამედი.

კანონმდებლობა ითვალისწინებს იმასაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად გამწესებისას საჭიროა მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თანამდებობის დაკავებამდე დებს ფიცს, რაც არის მისი უფლებამოსილების დაწყების საფუძველი. ყველა წევრის მიერ აღნიშნული პროცედურის გავლით, ფაქტობრივად ფორმდება მათი ერთიანობაც და პირობითად შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების ძირითადი ეტაპი ამით სრულდება. მომდევნო ეტაპზე, უფლებამოსილი წევრები თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარეს, შემდეგ კი, თავმჯდომარის მოადგილეებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ერთობ თავისებური წესით შეირჩევა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეთა არჩევის (დანიშვნის) ორი ძირითადი მოდელი მოქმედებს. პირველი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს თავად სასამართლოს შემადგენლობა ირჩევს (იტალია, პორტუგალია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, რუსეთი, ბელგია) და მეორე, როდესაც იგი აირჩევა (ინიშნება) განსაკუთრებული წესით, სასამართლოს „გარედან“. ამ უკანასკნელი მოდელის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე შეიძლება დაინიშნოს სახელმწიფოს მეთაურის მიერ, ან აირჩეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ. მაგალითად: გერმანიაში ფედერალური

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, მორიგეობით ირჩევენ ბუნდესტაგი და ბუნდესრატი, ანუ, თუ თავმჯდომარეს ირჩევს ბუნდესტაგი, მოადგილეს ირჩევს ბუნდესრატი და პირიქით; საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს პრეზიდენტი; სლოვენიაში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, სასამართლოს შემადგენლობიდან ნიშნავს პრეზიდენტი; სომხეთში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, სასამართლოს შემადგენლობიდან ნიშნავს ეროვნული ყრილობა; ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს სეიმი და ა.შ.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა (დანიშვნა) არა თავად სასამართლოს მიერ უარყოფითად არის შეფასებული. კერძოდ, აღნიშნულია, რომ, როდესაც თავმჯდომარე აირჩევა (ინიშნება) სასამართლოს გარედან ამა თუ იმ კომპეტენტური ორგანოს მიერ, ეს ხდება სხვა მოსამართლეებთან შედარებით მისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების საფუძველი. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარეს, არის რა მის ამრჩევ (დამნიშვნელ) პოლიტიკურ ორგანოზე ორიენტირებული, შეუძლია გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სხვა მოსამართლეებზე, მითუმეტეს თუ, კანონმდებლობა მისი გადარჩევის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს.¹ ამიტომ, თავმჯდომარის არჩევა თავისივე შემადგენლობიდან თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოსამართლეთა უფლებრივი თანასწორობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი გარანტიაა. ამგვარი წესი გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პოლიტიზირებას.²

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა თავად საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის მიერ ხდება, მხოლოდ კანდიდატურის შერჩევის ჩვენეული ვარიანტით, რომელმაც სახელმწიფო მართვის ფორმის შეცვლის მიუხედავად, ძველი სახე შეინარჩუნა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. თუმცა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ ფარული კენჭისყრის დროს მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ ხუთი წევრი. ჩვენი აზრით და ზემოგანხილული შეფასებების გათვალისწინებით, თავმჯდომარის არჩევის ამგვარი ფორმა ამ პროცესის პოლიტიზირების გამომრიცხველ და საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს.

¹ იხ. Витрук Н.В. Конституционное правосудие, М., 1998, с. 117.

² იხ. იქვე, გვ. 117.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე აირჩევა ხუთი წლის ვადით, თანაც იმ პირობით, რომ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია. ამგვარი დებულების სასარგებლოდ, კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თავმჯდომარის უფლებამოსილების შედარებით მოკლე ვადა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა თანასწორობის პრინციპს ამაგრებს. მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა განუსაზღვრელია, თანაც იგი „გარედან“ არის დანიშნული, ეს ქმნის იმის საშიშროებას, რომ თანასწორთა შორის პირველ პირად დანიშნული თავმჯდომარე, მოცემული ორგანოს უფროსად (მმართველად) შეიძლება გარდაიქმნას, რაც მას პოლიტიკურ დატვირთვასაც მისცემს.¹ ამგვარ მოსაზრებას ჩვენც ვეთანხმებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილებათა საკმაოდ ფართო სპექტრით არის აღჭურვილი. მნიშვნელოვანია მისი როლი საკონსტიტუციო სასამართლოსა და მისი აპარატის საქმიანობის ორგანიზებაში. კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იგი აღჭურვილია უფლებამოსილებებით, რომლებიც მთლიანობაში ხელს უწყობს მოცემული ორგანოს საქმიანობაში კოლექტიურობის პრინციპის პრაქტიკაში უზრუნველყოფას.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე: საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს დასამტკიცებლად წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტს და აპარატის დებულებას; ანაწილებს საქმეებს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დადგენილი წესით; წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის კანდიდატურებს; საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დადგენილი წესით იწვევს პლენუმს, უძღვება მის სხდომებს, ხელს აწერს პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას, განიხილებას, დასკვნას, საოქმო ჩანაწერსა და სხდომის ოქმს; საერთო ხელმძღვანელობას უწევს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის საქმიანობას; კანონმდებლობის შესაბამისად სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ათავისუფლებს აპარატის მუშაკებს; განკარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს საბიუჯეტო ასიგნებებს; ახორციელებს კანონმდებლობით და რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს; საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარუდგენს ინფორმაციას საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მიერ დადგენილი უფლებამოსილებების გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი დამატებით განსაზღვრავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე: წარმოადგენს

¹ იხ. Конституционное (государственное) право зарубежных стран, отв. ред. Б.А. Страшун, М., 1995, Т. 2, с. 339-340.

საკონსტიტუციო სასამართლოს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ; იწვევს პრესკონფერენციებს, ბრიფინგებს, აკეთებს საჯარო განცხადებებს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით; ამტკიცებს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის შინაგანაწესს, სტრუქტურული ქვედანაყოფების, საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის კომისიის, საკონსტიტუციო სასამართლოს მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულებებს; ახორციელებს კანონმდებლობით, ამ რეგლამენტიტა და საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დაფუძნებულია თავმჯდომარის ორი მოადგილისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის თანამდებობები. თავმჯდომარის მოადგილეების კანდიდატურებს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე ასახელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე (ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი), ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის კანდიდატურის წარდგენა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმზე (ორგანული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, რეგლამენტის მე-4 მუხლი). ორივე შემთხვევაში კანდიდატები არჩეულად ჩაითვლებიან თუ მათ მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ ხუთი წევრი. მათი ამ თანამდებობებზე გამწესების უფლებამოსილების ვადა, ისე როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა, 5 წელია, თუმცა იმ განსხვავებით, რომ თავმჯდომარის მოადგილის განმეორებით არჩევა კანონით დაუშვებელია, ხოლო მდივანთან მიმართებაში კანონმდებლობაში ამგვარი აკრძალვა არ არსებობს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციები ზოგადად არის განსაზღვრული. ორგანული კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, თავმჯდომარის მოადგილე უძღვება კოლეგიის სხდომას; საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ ფუნქციებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანი როლი აკისრია საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს. ორგანული კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს წევრის უფლებამოსილების გარდა, მდივანი: ახორციელებს პლენუმისა და კოლეგიების სხდომების მოსამზადებელ ღონისძიებებს; ორგანიზებას უწევს პლენუმისა და კოლეგიების სხდომათა ოქმების წარმოებასა და გაფორმებას; ხელს აწერს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით; იღებს ზომებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის და თვეში ერთხელ მოახსენებს პლენუმს მათი აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე; ხელს უწყობს საჭირო ინფორმაციის კომპიუტერული წესით დამუშავების სისტემის ჩამოყალიბებას; ორგანიზებას უწევს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური დოკუმენტაციის დაგზავნას.

კანონმდებლობა არეგულირებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამონაცვლეობის საკითხებსაც. კერძოდ, ორგანული კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს

თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას, თავმჯდომარის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე, ასეთი დავალების არარსებობისას კი – უხუცესი მოადგილე.

კანონმდებლობა ასევე აწესრიგებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის მონაცვლის საკითხსაც. კერძოდ, მოადგილის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შესრულებისას ან იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სხვა გარემოებათა გამო ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, მის მოვალეობას ასრულებს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის უხუცესი მოსამართლე (ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი, რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი), ხოლო მდივნის მიერ თავისი უფლებამოსილებების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით დროებით ასრულებს ერთ-ერთი მოსამართლე, რომელიც იმავდროულად არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე (საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-7 მუხლი). აღნიშნული მექანიზმით უზრუნველყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელობის უწყვეტობა, რაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სასამართლოს რეალური და ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

2.2 სასამართლოს სტრუქტურა

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოების სტრუქტურისა და ორი ძირითადი მოდელი არსებობს. პირველ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო გამოდის როგორც ერთიანი სასამართლო კოლეგია და საქმეებს განიხილავს ყველა მოსამართლის მონაწილეობით (ავსტრია, იტალია, ბულგარეთი), ხოლო, მეორე შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო შედგება სპეციალური სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან (კოლეგია, პალატა, სენატი). უმეტეს შემთხვევაში, მაგალითად, გერმანიაში, ესპანეთში, პოლონეთში, რუსეთში, უნგრეთში, რუმინეთში, უკრაინაში და მათ შორის საქართველოშიც, ეს უკანასკნელი მოდელი ფუნქციონირებს.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-11 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმის შემადგენლობაშია სასამართლოს ცხრავე წევრი, ხოლო კოლეგია შედგება ოთხი მოსამართლისგან, რომლის შემადგენლობასაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პლენუმი. პლენუმის სხდომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო კოლეგიის სხდომებს თავმჯდომარის მოადგილე. ჩვენი აზრით, მთავარი ფაქტორი ამ შემთხვევაში ის არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ პლენუმი თავის შემადგენლობაში მოსამართლეთა მთელ კორპუსს მოიცავს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, იქნება ის პლენარულ თუ კოლეგიის სხდომაზე მიღებული, თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, ორივე შემთხვევაში იგი მიიღება საქართველოს სახელით, საბოლოო და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება. კანონმდებლობა მხოლოდ აკონკრეტებს თუ რა კატეგორიის საქმეების განხილვა ხდება პლენარულ სხდომებსა

და კოლეგიის სხდომებზე, რასაც დაწერილებით შემდეგ პარაგრაფებში განვიხილავთ.

კოლეგიათა ფორმირების დროს პარიტეტულობის, ანუ იმ პრინციპის უზრუნველსაყოფად, რომელზეც იმთავითვე, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი იყო დაფუძნებული, კანონმდებლობაში ჩადებულია დებულება, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები კოლეგიებში რაც შეიძლება თანაბრად უბდა იყვნენ წარმოდგენილი („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი ითვალისწინებს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის შექმნას.

საკონსტიტუციო სასამართლოს კომისია იქმნება სამართლებრივი, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური, ორგანიზაციული, საინფორმაციო და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მომზადების მიზნით. მას ქმნის პლენუმი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ან არანაკლებ ორი მოსამართლის ინიციატივით. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მოსამართლეები და საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის მოსამსახურეები. კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება მოსამართლე. კომისიის მუშაობისათვის ხელშეწყობის მიზნით კომისიასთან შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები, რომელთა სახელწოდება, შემადგენლობა, ამოცანები და საჭიროების შემთხვევაში, საქმიანობის წესი განისაზღვრება პლენუმის დადგენილებით შესაბამისი კომისიის შექმნის შესახებ (რეგლამენტის მე-13 მუხლი).

საკონსტიტუციო სასამართლოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისია იქმნება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით, მოსამართლის ხელშეუხებლობასთან და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული, კანონით განსაზღვრული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნის პლენუმისთვის წარსადგენად. მის შემადგენლობაში შედის საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს მიერ განწესებული თითო მოსამართლე. ამასთან, კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და სასამართლოს მდივანი. კომისიის შემადგენლობა განახლდება ყოველწლიურად. კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება ორი წევრი მაინც. კომისიის დასკვნა მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს უჭერს კომისიის წევრთა უმრავლესობა (რეგლამენტის მე-14 მუხლი).

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სამართლებრივი, ორგანიზაციული, საკადრო, საფინანსო და მატერიალური მხარეების უზრუნველსაყოფად სასამართლოში ფუნქციონირებს აპარატი, რომლის დებულებას თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პლენუმი. დებულება აწესრიგებს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის სტრუქტურასთან, უფლებამოსილებებთან, ორგანიზაციასთან და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს (ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი). დებულების თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის

სტრუქტურაში შემდეგი დანაყოფებია: ა)თავმჯდომარის სამდივნო; ბ)სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტი; გ)საორგანიზაციო სამსახური; დ)საფინანსო სამსახური. საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის სტრუქტურაში შედის ასევე მანდატურის სამსახური, რომლის ამოცანაა სასამართლოს შენობაში და ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა (ორგანული კანონის 32¹ მუხლი).

ამდენად, ზემოთ განვიხილეთ საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებასა და სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები. კანონმდებლობის ანალიზმა არსებითი შენიშვნები არ გაგვიჩინა სასამართლოს ფორმირების წესთან ან მის სტრუქტურასთან მიმართებით, ამიტომ ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით კანონმდებლობა შეიძლება დადებითად შეფასდეს. ერთადერთი შენიშვნა დაკავშირებული იყო სასამართლოს ფორმირების საკითხთან. კერძოდ, კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ სასამართლოს ფორმირებაში მონაწილეობას არ ღებულობს აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო საქართველოს მთავრობა. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის ამა თუ იმ ფორმით ამ პროცესში ჩართვა. ასე მაგალითად, თუ მოქმედი ნორმებით პრეზიდენტი ერთპიროვნულად წყვეტს ვინ დანიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ცვლილებებით შეიძლება განისაზღვროს, რომ მისთვის კანდიდატურების წარდგენის უფლება საქართველოს მთავრობას განეკუთვნება.

თავი II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსი

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სტატუსი არის კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, მოსამართლისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების, ვალდებულებებისა და გარანტიების ერთობლიობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სტატუსის განმსაზღვრელი ნორმათა სისტემა საქართველოს ძირითადი კანონით არის განმტკიცებული, ხოლო მათი რეგულირება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით ხორციელდება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსის დამდგენ კანონთა პაკეტში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საქართველოს კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სოციალურ-ეკონომიკური გარანტიებია განმტკიცებული.

§1. ცენზები

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებისთვის საზღვარგარეთის სახელმწიფოების კანონმდებლობები, როგორც წესი, საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს ითვალისწინებენ და მთელ რიგ ცენზებს აწესებენ. ეს შეეხება მათ მოქალაქეობას, ასაკს, განათლებას, პროფესიულ კვალიფიკაციას, გამოცდილებას, მორალურ თვისებებს. ამ თვალსაზრისით საქართველოს კანონმდებლობა არც თუ ისე მკაცრი გამოდგა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა მიმართ. საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. ამგვარი რედაქციით მოცემული ნორმა 2005 წლის დეკემბერში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილების¹ შედეგად ჩამოყალიბდა, რადგან მანამდე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლისთვის 35 წლიანი ქვედა ზღვარი იყო დადგენილი.

საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტი განამტკიცებს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, ... საკითხები განისაზღვრება კანონით“. დანიშვნისა და არჩევის საკითხები ჩვენ წინა პარაგრაფში განვიხილეთ. რაც შეეხება შერჩევას, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატისადმი საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული მოთხოვნების შევსება კანონმდებელმა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონს დააკისრა, რომლის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

¹ იხ. სსმ, 2006, №1, მე-2 მუხლი.

წევრთა შერჩევას, საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო ითვალისწინებენ კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას, რომელიც უნდა შეეფერებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს”. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციურ დებულებაში განმტკიცებულ სამ საცენზო მოთხოვნას (ასაკობრივი, მოქალაქეობის, განათლების), ორგანული კანონით დაემატა მოთხოვნები, კანდიდატების შერჩევას პროფესიული კვალიფიკაციისა და მორალური მახასიათებლების მნიშვნელობის თაობაზე. თუმცა, როგორც პროფესორი ო. მელქაძე აღნიშნავს, ეს უკანასკნელი ფორმულა, უბრალოდ, აქცენტირებას ახდენს შერჩევის აუცილებელ პირობაზე, არცთუ სავალდებულო მოთხოვნის სახით, ვინაიდან, ის, რომ „ითვალისწინებენ კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას, რომელიც უნდა შეეფერებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს”, ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს „შერჩევის” ტერმინოლოგიურ დატვირთვას.¹

მიუხედავად სხვადასხვა ცენზებისა და მოთხოვნების არსებობისა, მიგვაჩნია, რომ ქართული კანონმდებლობა არ ადგენს კრიტერიუმების იმ სისტემას, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევისათვის, თანაც იქამდე, რომ იგი საერთო სასამართლოების რიგითი მოსამართლეებისადმი წაყენებულ მოთხოვნებსაც კი არ ეთანადება. ასე მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში ჩვეულებრივი მოსამართლის კანდიდატურის შერჩევის პრინციპების პარამეტრიზებისას სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლიანი გამოცდილების აუცილებლობაა დადგენილი, მაშინ როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლესთან მიმართებაში ქართული კანონმდებლობა ამგვარ ცენზს საერთოდ არ ითვალისწინებს. ამ დროს, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში, პროფესიული სტაჟის მიმართ საკმაოდ მაღალი მოთხოვნებია გათვალისწინებული. კერძოდ, რუმინეთში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 18 წლის გამოცდილება, ესპანეთში, რუსეთში, მოლდავეთში, ალბანეთში, ბულგარეთში, სლოვაკეთში – 15 წლის, ჩეხეთში, ლიტვაში, უკრაინაში – 10 წლის, აზერბაიჯანში და ლატვიაში – 5 წლის და ა.შ.

ჩვენი აზრით, ცალკე განხილვის საგანია ქართული კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ასაკობრივი ცენზი, რომლის შესაბამისადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მინიმალური ზღვარი 30 წლამდეა დაყვანილი. ზოგადად, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში მინიმალური ასაკობრივი ცენზის დადგენის მიზანი, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ მაღალი კვალიფიკაციისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე პირების არჩევაა. ამ მიზნის მიღწევას ზოგი სახელმწიფო მაღალი ასაკობრივი ცენზის დადგენით ცდილობს (უნგრეთი – 45 წელი, უკრაინა, თურქეთი, რუსეთი, სლოვაკეთი – 40 წელი), ხოლო ზოგ სახელმწიფოში ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებისთვის სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი ცენზის

¹ იხ. ო. მელქაძე, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხისთვის, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბ., 2001, მეორე კვარტალი, გვ. 74.

დაწესებით არის გადაწყვეტილი, რაც თავისთავად გამოორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ, თუნდაც ოცდაათ წელს მიღწეული პიროვნების გამწესებას. იტალიაში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები აირჩევიან საერთო და ადმინისტრაციული იურისდიქციის უმაღლესი ორგანოების მაგისტრატებისგან, მათ შორის ყოფილი მაგისტრატებისგანაც, ასევე უნივერსიტეტის სამართლის პროფესორებისგან და ოცწლიანი სტაჟის ადვოკატებისგან (იტალიის კონსტიტუციის 135-ე მუხლი)¹. საქართველოში კი, 2005 წლის დეკემბერში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილების შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისთვის მინიმალური ასაკობრივი ცენზი 35-დან 30 წლამდე შემცირდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ცვლილება მაშინ განხორციელდა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობას უფლებამოსილების ვადა რამდენიმე თვეში ეწურებოდათ. ყოველივე ზემოაღნიშნულს ალბათ ის ახსნა აქვს, რომ კანონმდებელს, საკადრო რესურსი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობისთვის, 35 წელზე უფროს იურისტებში არასაკმარისად მიაჩნდა და ამ პრობლემის გადაჭრა ასაკობრივი ცენზის შემცირებით შეეცადა.

ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული ადგილისა და ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში მისი მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატები, უფრო მაღალ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ. მინიმალური ასაკობრივი ცენზის დადგენა შესაძლოა საერთოდ არ იყოს საჭირო, რადგან ამ საკითხის რეგულირება სხვა ცენზების გამკაცრებით არის შესაძლებელი. თუმცა, თუ ასაკობრივი ცენზის ქვედა ზღვარი მაინც იქნება დადგენილი, იგი ჩვენი აზრით, მინიმუმ 35 წლით მაინც უნდა განისაზღვროს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შერჩევას, საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო ითვალისწინებენ კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას. ჩვენი აზრით, აუცილებელია „პროფესიული გამოცდილების“ განმსაზღვრელი კრიტერიუმების კონკრეტიზირება. კერძოდ, კანონმდებლობამ უნდა დაადგინოს სპეციალობით მუშაობის ცენზი, რაც შეიძლება განისაზღვროს მინიმუმ 12 წლიანი ვადით. ცხადია, ამ ცენზის დაკმაყოფილება 30 წლის ასაკში შეუძლებელია. ამიტომ ვთვლით, რომ ასეთი ცენზის დათქმა თავისთავად გამოორიცხავს მინიმალური ასაკობრივი ცენზის არსებობის საჭიროებას. ასევე ვფიქრობთ, შეიძლება გამკაცრდეს განათლების ცენზიც და მოთხოვნას უმაღლესი იურიდიული განათლების შესახებ დაემატოს ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება გახდეს მხოლოდ სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასეთი კანდიდატების შერჩევა შესაძლოა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პროფესორთა რიგებშიც. ხშირია შემთხვევები, როდესაც ეს პირები მხოლოდ სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობით არიან დაკავებული. ამიტომ ცხადია, ეს საქმიანობა მათ საკონსტიტუციო

¹ იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.2, с. 128.

სასამართლოს მოსამართლისათვის განსაზღვრულ სპეციალობით მუშაობის სტაჟში უნდა ჩაეთვალოთ.

§ 2. უფლებამოსილების ვადა

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა სტატუსის დამდგენ კრიტერიუმთა სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკითხს უფლებამოსილების ვადის შესახებ. მსოფლიოს სხვასხვა სახელმწიფოებში განსხვავებული ვადებია დადგენილი. კერძოდ, პორტუგალიაში, მაროკოში, მოლდავეთში, სამხრეთ კორეაში, მონღოლეთში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები აირჩევიან 6 წლით, სლოვაკეთში – 7 წლით, ხორვატიაში, პოლონეთში, კოლუმბიაში – 8 წლით, ესპანეთში, ბულგარეთში, იტალიაში, უნგრეთში, სლოვენიაში, მაკედონიაში, ლიტვაში, უკრაინაში – 9 წლით, ლატვიაში – 10 წლით, გერმანიაში, რუსეთში, ალბანეთში – 12 წლით და ა.შ.

კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ უფლებამოსილების ვადას საკონსტიტუციო სასამართლოსათვის (საბჭოსათვის) და მისი წევრებისათვის. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ უფლებამოსილების ხანგრძლივობა საკონსტიტუციო სასამართლოს ან საბჭოს მიმართ არის დადგენილი, როგორც ამას ადგილი აქვს პოლონეთში ან საფრანგეთში, მისი რომელიმე წევრის მიერ თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში, ახლად დანიშნული (არჩეული) წევრის უფლებამოსილება განისაზღვრება დარჩენილი ვადით.¹ საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა უფლებამოსილების ვადას აწესებს მოსამართლეთათვის და არა სასამართლოსათვის.

ცალკეულ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ინიშნებიან განუსაზღვრელი ვადით (ავსტრია, ბელგია, ბრაზილია და სხვ.), თუმცა, ავსტრიის მაგალითზე, ამ უვადო მოსამართლეობას მაინც აქვს ზედა ზღვარი. ავსტრიის კანონმდებლობა განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა მაქსიმალურ ასაკობრივ ცენზს (70 წელი). ამგვარი ცენზი დადგენილია ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობითაც (თურქეთი, უკრაინა – 65 წელი, გერმანია – 68 წელი, რუსეთი, ლატვია, უნგრეთი, სომხეთი – 70 წელი).

საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთათვის მაქსიმალურ ასაკობრივ ცენზს არ აწესებს. საპენსიო ასაკის მიღწევა მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი არ არის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მოსამართლეები განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული

¹ იხ. Конституционное (государственное) право зарубежных стран, отв. ред. Б.А. Страшун, М., 1995, Т. 2, с. 337.

კანონის 54-ე მუხლის¹ შესაბამისად, 65 წლის ასაკის მიღწევა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი ხდება.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ზემოაღნიშნული ერთადერთი მაგალითი არ არის იმისა, რომ მოსამართლის სტატუსის განმსაზღვრელი ერთგვაროვანი საკითხები, საკონსტიტუციო კონტროლისა თუ მართლმსაჯულების განხორციელების სფეროებში არაერთგვაროვნად არის დარეგულირებული. განსხვავებით საერთო სასამართლოს მოსამართლისაგან, რომელიც შეიძლება ხელმეორედ იქნეს არჩეული მოსამართლის თანამდებობაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს გადარჩევის უფლება არა აქვს. საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-3 პუნქტით და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა“. მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა განმეორებით არჩევის (დანიშვნის) აკრძალვის პრინციპი, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ერთგვარი გარანტიაა, რადგან იგი გამორიცხავს მოსამართლეების რაიმე ფორმით გავლენის ქვეშ მოქცევას დამნიშნელი (ამრჩევი) ორგანოს მხრიდან, რასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი მოსამართლის სურვილის შემთხვევაში, ხელმეორედ იქნეს არჩეული (დანიშნული) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე განმწესებამდე დებს ფიცს. კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში ფიცი განიხილება როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების საზეიმო აქტი, საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების შემადგენელი პროცედურა. იგი ახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსაკუთრებული სტატუსის, მისი მაღალი მოქალაქეობრივი და პროფესიული ვალდებულებების სიმბოლიზირებას.² ამასთან, ფიცის დადების უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ის არის, რომ სწორედ ამ მომენტიდან იწყება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თანამდებობის დაკავებამდე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანდასწრებით საკონსტიტუციო სასამართლოში დებს ფიცს: „ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ კეთილსინდისიერად აღვასრულო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მოვალეობა და მისი აღსრულებისას დავემორჩილო მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, არავის და არაფერს სხვას, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება იწყება მის მიერ ფიცის დადების დღიდან.

¹ იხ. საქართველოს სამართალდამცავი, უფლებადამცავი, სასამართლო და მაკონტროლებელი ორგანოები, კანონთა კრებული, თბ., 2004, გვ. 106-107.

² იხ. Витрук Н.В., Конституционное правосудие, М., 1998, с. 104.

§3. დამოუკიდებლობის გარანტიები

იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სრულყოფილად და ეფექტურად იფუნქციოს, აუცილებელი პირობაა თავად სასამართლოს და მისი მოსამართლეების დამოუკიდებლობა. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ფართოდ არის რეგლამენტირებული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია კანონმდებლობაში მოსამართლეთა ხელშეუხებლობის, შეუცვლელობის, მათ საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპების განმტკიცება, მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფის მიზნით მოსამართლეთა შესაბამისი უფლებებით აღჭურვა, ასევე მათთვის უსაფრთხოების გარანტიების მინიჭება და სხვ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს ...სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობის, ხელშეუხებლობის და შეუცვლელობის საწყისებზე“ (მუხლი 2).

განსხვავებით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დამოუკიდებლობის სხვადასხვა გარანტიებისგან, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობაში ორგანულ თუ ჩვეულებრივ კანონებშია დამკვიდრებული, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ხელშეუხებლობის პრინციპმა კონსტიტუციურ ნორმაშიც კპოვა ასახვა. საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია, ანუ, იგი სარგებლობს მოსამართლის იმუნიტეტით. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყონებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყონებლივ უნდა განთავისუფლდეს. მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება შეჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან მარეაბილიტირებელ საფუძველზე საქმის შეწყვეტის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება აღდგება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესი დაწვრილებით არის აღწერილი საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-17 და მე-18 მუხლებით.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თავის მოვალეობათა შესრულებისას დამოუკიდებელია. იგი ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის

შესაბამისად. მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონით. ფიცის დადების დროსაც კი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ამბობს ტექსტს, სადაც განმარტავს, რომ მოვალეობის აღსრულებისას დაემორჩილება „მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, არავის და არაფერს სხვას, გარდა კონსტიტუციისა“. თავის მხრივ სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შეუქმნას მოდვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობები, უზრუნველყოს მისი და მისი ოჯახის უსაფრთხოება (მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები).

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის დებულება, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ არავის აქვს უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს მოსთხოვოს ანგარიში ან განმარტება კონკრეტულ საქმეზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილია მათი შეუცვლელობის პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის საქმისგან ჩამოცილება (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ან მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანა მისივე თანხმობის გარეშე. მართალია, აღნიშნული პრინციპი ამგვარი ფორმით პირდაპირ არცერთ ნორმაში არ არის განვრცობილი, მაგრამ იგი ზოგადად, კანონმდებლობის სხვადასხვა დებულებებიდან გამომდინარეობს. აქვე აღვნიშნავთ, რომ რეალურად, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია გამოირიცხოს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადად შეჩერების თუ შეწყვეტის საჭიროება.

საქართველოს კანონმდებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეჩერების ერთადერთ შემთხვევას ითვალისწინებს. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან თანხმობის მიცემის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება შეჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. რაც შეეხება უფლებამოსილების შეწყვეტას, ზემოაღნიშნული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი უფლებამოსილების ვადად შეწყვეტის საფუძვლების ამომწურავ ნუსხას ადგენს. აღნიშნული მუხლის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება ვადად შეუწყდება, თუ:

ა) ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა ან წელიწადში სამი თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებდა თავის მოვალეობას;

ბ) დაიკავა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა კანონით აკრძალულ საქმიანობას;

გ) გაამუდგანა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის არსი ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია;

დ) ჩაიდინა მოსამართლისთვის შეუფერებელი საქციელი;

ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ვ) სასამართლომ ცნო ქმედუნაროდ;

ზ) მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

თ) გარდაიცვალა, ან სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ი) გადადგა თანამდებობიდან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების თითქმის ცამეტი წლის განმავლობაში მოსამართლეებისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის სამივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოსამართლეთა თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგომას (1999წ. – გ.მეფარიშვილი, 2001წ. – ა.დემეტრაშვილი, 2003წ. – ა.აბაშიძე).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნაში მონაწილეობენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოები (სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი და სამ წევრსაც ნიშნავს უზენაესი სასამართლო), საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პროცედურა წარიმართება მათი ჩარევის გარეშე. აღნიშნული საკითხები დეტალურად არის დარეგულირებული საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-19 – 24-ე მუხლებით.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ზემომითითებული მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ დადგენილების მიღების საკითხს, ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის დასკვნის ან ინფორმაციის მოსმენის საფუძველზე, დახურულ სხდომაზე, ფარული კენჭისყრით, საკონსტიტუციო სასამართლოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, წყვეტს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. მითითებული მუხლის „ე“ – „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისას, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ დახურულ სხდომაზე ღია კენჭისყრით შესაბამისი ფაქტის დადასტურებიდან ერთი დღის ვადაში, გამოსცემს განკარგულებას მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. თუ, უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი თავად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ეხება, აღნიშნულ საკითხზე განკარგულებას გამოსცემს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე. საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში მონაწილე სუბიექტების სასარგებლოდ კანონი ითვალისწინებს მხოლოდ იმას, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების შესახებ დაუყონებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს და უზენაეს სასამართლოს (ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი). ამდენად, ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისათვის

უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს თავად საკონსტიტუციო სასამართლო წვეტს, ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა.

საქართველოს კანონმდებლობაში განმტკიცებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შეუთავსებლობის ინსტიტუტი. მართალია, საქართველოს კონსტიტუციის ტექსტში ვერ ვხვდებით ნორმებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სხვა თანამდებობასთან თუ ანაზღაურებად საქმიანობასთან შეუთავსებლობის შესახებ, თუმცა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, ადემეტრაშვილი განმარტავს, ეს არ უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციის ხარვეზად, რადგან, ჯერ ერთი, სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ერთიანობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც „მოსამართლის შეუთავსებლობის“ საკითხს ეხება, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზეც ვრცელდება, და მეორე, შეუთავსებლობის შესახებ ნორმა გათვალისწინებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-17 მუხლში.¹ აღნიშნული ნორმის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს არა აქვს უფლება ეკავოს რაიმე სხვა თანამდებობა, ეწოდეს ანაზღაურებად საქმიანობას – გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა, იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. ფიცის დადების დღიდან იგი უნდა გადადგეს სხვა თანამდებობიდან ან/და შეწყვიტოს ამ მუხლით აკრძალული საქმიანობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დამოუკიდებლობის დამცავ ნორმათა სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ შესაბამისი სოციალური პირობებით უზრუნველყოფას, მათთვის მოღვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნას. საქართველოში მოსამართლეთა სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები 1996 წლის 25 ივნისს მიღებული „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონით რეგულირდება. კანონის თანახმად: საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური დანამატის ოდენობას განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში; საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის მიეცემა თანხები; საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები სარგებლობენ შეღავათებით; საზღვარგარეთ მივლინებისას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და სასამართლოს წევრებს მიეცემათ დანამატი; საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი სარგებლობს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით, რომლის ხანგრძლივობაა 30 კალენდარული დღე. კანონი ასევე განსაზღვრავს, რომ საკონსტიტუციო

¹ იხ. კონსტიტუციური სამართალი (სახელმძღვანელო), პასუხ. რედ. ა. დემეტრაშვილი, თბ., 2005, გვ. 458.

სასამართლოს წევრისთვის, მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში დაუშვებელია შრომის ანაზღაურების¹ შემცირება.

კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“, მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი განამტკიცებს არა მარტო მოქმედი, არამედ ყოფილი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სოციალური დაცვის გარანტიებს. მოცემული კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან საპენსიო ასაკის მიღწევისას ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია 1200 ლარის ოდენობით (1-ლი პუნქტი), ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლოში სულ ცოტა სამი წლის განმწესების შემდეგ პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდათ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება, ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შესაბამისი ხელფასის სრული ოდენობით იმ ვადით, რა ვადაშიც მათ უნდა განეხორციელებინათ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება (მე-2 პუნქტი).

კანონი განსაკუთრებულ შემთხვევებში ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ოჯახის წევრების სოციალური დაცვის პირობებსაც. მე-9 მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის გარდაცვალებისას, აგრეთვე უზოუკველოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობისას, მის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე, შრომისუუნარო მეუღლეს და შვილებს (ასაკის მიუხედავად) ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია (მე-3 პუნქტი), ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ან ყოფილი წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული თავდასხმის შედეგად მისი დაღუპვისას, მის შრომისუუნარო მეუღლეს ან/და შვილებს ზემომითითებული სახელმწიფო კომპენსაციის ნაცვლად შეიძლება მიეცეთ ერთჯერადი ფულადი დახმარება გარდაცვლილის 10 წლის ფულადი გასამრჯელოს სრული ოდენობით, მათივე არჩევით (3 პუნქტი). გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, რომელიც დაინვალიდა მის საქმიანობასთან დაკავშირებული თავდასხმის შედეგად ეძლევა დახმარება: ა) შრომისუუნარიანობის ნაწილობრივად დაკარგვისას – 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით და ბ) შრომისუუნარიანობის სრულად დაკარგვისას – 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით (მე-4 პუნქტი).

დაბოლოს, ყურადღებას გავამახვილებთ კანონმდებლობაში არსებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნორმაზე, რომელიც ერთი მხრივ, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს, მეორე მხრივ კი, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად უნდა მივიჩნიოთ, რადგან სასამართლოს დამოუკიდებლობა იმავდროულად მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზეც მიგვანიშნებს. საუბარია ნორმაზე, რომელიც ფინანსურ თუ მატერიალურ-ტექნიკურ ურთიერთობებში საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა ორგანოებისგან დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი განისაზღვრება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონით.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს დაფინანსება განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე მუხლით. აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გარანტიად უნდა მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ მოცემული ნორმის თანახმად, სავალდებულოა საკონსტიტუციო სასამართლოს დაფინანსება იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს მისი ფუნქციების განხორციელებასა და მოსამართლის დამოუკიდებლობას. კანონმდებლობით დადგენილია ასევე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები არ შეიძლება იყოს წინა წლის ხარჯებზე ნაკლები. დაფინანსების მოცულობა და სტრუქტურა განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის კანონით დადგენილი წესით წარდგენილი პროექტის საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი განმტკიცებულია იმითაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით გათვალისწინებული საბიუჯეტო ხარჯების შემცირება არ შეიძლება.

ამდენად, ზემოთ განვიხილეთ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები და მოვახდინეთ შესაბამისი ნორმების ანალიზი. ვფიქრობთ ქართული კანონმდებლობა სრულად წარმოგვიდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დამოუკიდებლობის დამცავ ნორმათა სისტემას. თუმცა, ჩვენი აზრით, ცვლილებას საჭიროებენ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ცენზების მარეგულირებელი ნორმები, რადგან ვთვლით, რომ ქართული კანონმდებლობა არ ადგენს კრიტერიუმების იმ სისტემას, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევისათვის. კონკრეტულად კი, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი უნდა იყოს სპეციალობით მუშაობის ცენზის დადგენა, რაც შეიძლება განისაზღვროს მინიმუმ 12 წლიანი ვადით. ასევე ვფიქრობთ, უნდა გამკაცრდეს განათლების ცენზიც და მოთხოვნას უმაღლესი იურიდიული განათლების შესახებ უნდა დაემატოს ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება გახდეს მხოლოდ სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

თავი III. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია

ხელისუფლების ყოველი ორგანოს როლს სახელისუფლებო სისტემაში, უპირველეს ყოვლისა, მის განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხთა მნიშვნელობა და მოცულობა განაპირობებს. ამ საკითხთა გადასაწყვეტად ყოველი ორგანო შესაბამისი პროცესუალური, მატერიალურ-სამართლებრივი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი, რომელთა ერთობლიობა მოცემული ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენს.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ცნებები „კომპეტენცია“ და „უფლებამოსილება“. თუმცა, ფაქტია, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში მათ ხშირად ერთი მნიშვნელობით ხმარობენ. ასე მაგალითად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მესამე თავს, რომელშიც მოცემულია სასამართლოს განსჯადი საკითხებისა და დავების ნუსხა, ჰქვია „საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“¹, მაშინ, როდესაც „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის ანალოგიური შინაარსის თავის სათაურია „მთავრობის კომპეტენცია“.²

ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ ა. დემეტრაშვილის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს, რომ კომპეტენცია არის სამართლებრივად დადგენილი საჯარო საქმეების მოცულობა, რომელსაც ასრულებს უფლებამოსილი სუბიექტი. კომპეტენციის ელემენტებია: გამგებლობის საგანი – როგორც ზემოქმედების ობიექტი და უფლებამოსილება – როგორც ამ ობიექტზე ზემოქმედების ლეგალური შესაძლებლობა.³ მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს პროფესორი ჯ. ხეცურიანი. იგი აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოს აღჭურვა სათანადო უფლებამოსილებით ხდება ამ ორგანოთა გამგებლობის საგნის მიხედვით. უფლებამოსილებაში იგულისხმება სუბიექტისათვის (ორგანოს ან თანამდებობის პირისათვის) კანონმდებლობით მინიჭებული უფლება, განახორციელოს გარკვეული მოქმედება, მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე, ხოლო სახელმწიფო ორგანოს კომპეტენცია არის ამ ორგანოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე კანონმდებლობით დადგენილი სახელისუფლებო უფლებამოსილებათა ერთობლიობა.⁴ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში იგულისხმება მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე მისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით დადგენილი უფლებამოსილებების ერთობლიობა.

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, ჯ. ხეცურიანის პასუხისმგებლობით, თბ., 2006, გვ. 68.

² იხ. საქართველოს სახელმწიფო სამართალი (საკანონმდებლო აქტების კრებული), გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბ., 2004, გვ. 74.

³ იხ. კონსტიტუციური სამართალი (სახელმძღვანელო), პასუხისმგებელი რედ. ა. დემეტრაშვილი, თბ., 2005, გვ. 458-459.

⁴ იხ. ჯ. ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, ჟურნ. „აღამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №3, გვ. 31.

§1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა კლასიფიკაცია

საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენცია, როგორც წესი, კონსტიტუციებით არის განსაზღვრული. უმეტეს შემთხვევაში კონსტიტუციები სპეციალიზებული ორგანოების უფლებამოსილებების სრულ ჩამონათვალს მოიცავენ. ამავდროულად მათი ასახვა კანონებშიც ხდება, თუმცა იმ დათქმით, რომ კანონით არ შეიძლება საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოსათვის კონსტიტუციით დადგენილი კომპეტენციის ფარგლების შეცვლა. ზოგიერთი სახელმწიფოს კონსტიტუციაში კი, არ არის მოცემული საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოების უფლებამოსილებების სრული ჩამონათვალი. ასეთ შემთხვევაში, მათი უფლებამოსილებათა მოცულობა შესაძლებელია კანონებითაც გაიზარდოს. ასე მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას არამარტო კონსტიტუციის ტექსტში მითითებული, არამედ ორგანული კანონებით განსაზღვრული საკითხებიც განეკუთვნება (161-ე მუხლი).¹ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 125-ე მუხლი მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალს. ამავდროულად, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება განისაზღვრება ფედერალური კონსტიტუციური კანონით². მსგავსი დებულება გერმანიის ძირითად კანონშიც გვხვდება. კერძოდ, 93-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხთა ნუსხა, ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ასევე მოქმედებს ფედერალური კანონით მის გამგებლობას მიკუთვნებულ სხვა შემთხვევებშიც.³

ცნობილი კონსტიტუციონალისტი პროფესორი ჰ. შვარცი აღნიშნავს, რომ ასეთ ღია დებულებებთან დაკავშირებული პრობლემა ისაა, რომ იგი არა მარტო სასამართლოსათვის დამატებითი უფლებამოსილების მიცემის საკითხის წამოჭრის უფლებას ანიჭებს საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტებს, არამედ შესაბამისად მისი გაუქმების ინიცირების უფლებასაც გულისხმობს. როგორც ამერიკის გამოცდილება ცხადყოფს, როდესაც სასამართლოს იურისდიქცია საკანონმდებლო კონტროლს ექვემდებარება, სასამართლოს ამა თუ იმ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო საკანონმდებლო ხელისუფლებამ იურისდიქციის გაუქმების მუქარა შეიძლება სასამართლოს დამოუკიდებლობის შეზღუდვისთვისაც გამოიყენოს.⁴ რუსი კონსტიტუციონალისტის ი. იუდინის აზრით, კონსტიტუციური მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს სტატუსის სტაბილურობის განმტკიცების თვალსაზრისით, უმჯობესი იქნებოდა

¹ იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.2, с. 89-90.

² იხ. იქვე, ტ. 3, გვ. 46-47.

³ იხ. იქვე, ტ. 1, გვ. 612-613.

⁴ იხ. ჰ. შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, 2003, გვ. 98.

კონსტიტუცია მის უფლებამოსილებათა სრულ ჩამონათვალს მოიცავდეს, იმ დათქმით, რომ კანონით მისი შეცვლა არ უნდა შეიძლებოდეს.¹

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს რა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებულ უფლებამოსილებათა ნუსხას, იმავდროულად განსაზღვრავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო „ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“ (89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი). გამომდინარე აქედან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია განსაზღვრულია, როგორც კონსტიტუციით, ასევე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით:

1) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე („ა“ ქვეპუნქტი);

2) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ („ბ“ ქვეპუნქტი);

3) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს („გ“ ქვეპუნქტი);

4) იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას („დ“ ქვეპუნქტი);

5) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს („ე“ ქვეპუნქტი);

6) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით („ვ“ ქვეპუნქტი);

7) იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე („ვ“ ქვეპუნქტი);

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, კონსტიტუციურად განმტკიცებული უფლებამოსილებების გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ოთხ უფლებამოსილებას ანიჭებს. კერძოდ, ზემოაღნიშნულის გარდა საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს:

1) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი (მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი);

¹ იხ. Сравнительное конституционное право, отв. ред. В.Е. Чиркин, М., 2002, с. 107.

2) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი (მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი);

3) საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი (მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი);

4) საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იმ კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად უნდა გამოიყენოს სასამართლომ კონკრეტული საქმის განხილვისას (მე-19 მუხლის მე-2 ნაწილი).

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ არსენალს თერთმეტი განსხვავებული სახის უფლებამოსილებით ავსებს. თითოეული უფლებამოსილების რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცედურა თავისებურებებით ხასიათდება. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ უფლებამოსილებას საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის განსხვავებული ფორმით ახორციელებს. ამასთან, თითოეული უფლებამოსილების ფარგლებში სხვადასხვა საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი. ასევე, სხვადასხვა არიან ის სუბიექტებიც, რომლებსაც ცალკეული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით (წარდგინებით) მიმართვა შეუძლიათ.

აქვე ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ საკითხზე. როგორც პროფესორი ჰ. შვარცი აღნიშნავს, სხვადასხვა ქვეყანას შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, იმ საკითხთა წრე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების სფეროში შედის, შეიძლება შემდეგ ნაწილებად დაიყოს:

1. ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მიერ მიღებული კანონების, დეკრეტებისა და სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუ ისინი ადამიანის უფლებებს ეხება;

2. შიდა სამართლის ნორმების საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის საკითხი, როდესაც ასეთი ხელშეკრულებები კონსტიტუციურად შიდა კანონმდებლობაზე მაღლა დგას;

3. დავა კომპეტენციასა და სხვა საკითხებზე ეროვნულ და ადგილობრივ ორგანოთა შორის, ასევე ეროვნულ ორგანოთა შორის;

4. არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხები;

5. პრეზიდენტისა და სხვა აღმასრულებელ მოხელეთა იმპიჩმენტისა და გადაყენების საკითხი;

6. პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის საკითხი.¹

¹ იხ. მითითებული წყარო, ჰ. შვარცი, გვ. 65.

იურიდიულ ლიტერატურაში ასევე არსებობს მოსაზრება, რომ მრავალი სახელმწიფოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს კონსტიტუციური მართლმსაჯულების განმასორციელებელი ორგანოების უფლებამოსილებების ოთხი ძირითადი ჯგუფი:

1. უფლებამოსილებები, რომლებიც ეროვნული სამართლის წყაროების სისტემაში კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფასთან არიან დაკავშირებული: ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობაზე კონტროლი, კონსტიტუციისა და კანონების ოფიციალური განმარტება;

2. უფლებამოსილებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უზრუნველყოფასთან;

3. უფლებამოსილებები, რომლებიც ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას უკავშირდებიან;

4. უფლებამოსილებები, რომელთა საშუალებით უზრუნველყოფილია კონსტიტუციური ნორმების დაცვა უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ დარღვევებისგან.¹

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ მიუხედავად იმ განსხვავებებისა, რომლებზეც ზოგადად ზემოთ ვისაუბრეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიკუთვნებული უფლებამოსილებებიც, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ემსახურებიან ისინი შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დავყოთ:

1) უფლებამოსილებები, რომელთა ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციასთან ნორმატიული აქტების შესაბამისობაზე აბსტრაქტულ კონტროლს ახორციელებს, რაც კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად;

2) უფლებამოსილებები, რომლებიც ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისაკენ არის მიმართული;

3) უფლებამოსილებები, რომელთა მიზანია სახელმწიფო ორგანოთა შორის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ტრილებში კონსტიტუციური უფლებამოსილებების გამიჯვნა-დანაწილების უზრუნველყოფა, ამ ორგანოებს შორის კომპეტენციური მნიშვნელობის და სხვა სახის საკითხების გადაჭრა;

4) უფლებამოსილებები, რომელთა მიზანია კონსტიტუციურ ურთიერთობათა სუბიექტების ქმედებათა კონსტიტუციურობის დადგენა;

5) უფლებამოსილებები, რომელთა მიზანია საქართველოში წარმომადგენლობითი მმართველობის უზრუნველყოფა.

§2. კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები

ამ ჯგუფს მივაკუთვნეთ უფლებამოსილებები, რომელთა საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციასთან ნორმატიული აქტების შესაბამისობაზე აბსტრაქტულ კონტროლს ახორციელებს და რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფასთან არიან დაკავშირებული. საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა საკონსტიტუციო

¹ იხ. მითითებული წყარო, Сравнительное конституционное право, с. 107.

სასამართლოს უმთავრესი ამოცანაა, რაც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის პირველივე მუხლით არის აღიარებული. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი უფლებამოსილების რეალიზაციის პროცესში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის უზენაესობას უზრუნველყოფს და როგორც წესი, ეს ამა თუ იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებაში აისახება. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგ საქმიანობას მოვიაზრებთ:

ა) აბსტრაქტული ნორმატიული საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტების შესაბამისად;

ბ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა კონსტიტუციურობის შემოწმება (კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი).

ორივე შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას ამოწმებს, თუმცა განსხვავებულია საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების ფორმები. განვიხილოთ თვითეული მათგანი.

2.1 აბსტრაქტული ნორმატიული კონტროლი

ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე ზოგადი კონტროლი მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომლის განხორციელებისას უზრუნველყოფილია კონსტიტუციის, როგორც ძირითადი კანონის უზენაესობა. ისტორიულად კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელება სწორედ პარლამენტის მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის შემოწმებასთან არის დაკავშირებული.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე“.

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება კიდევ უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს: საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების

მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხები.

მოცემულ უფლებამოსილებას საკონსტიტუციო სასამართლო შემდგომი (რეპრესიული) აბსტრაქტული კონტროლის ფორმით ახორციელებს. ამასთან, ზემოთხსენებული ნორმების საფუძველზე შესაძლებელია როგორც მატერიალური ასევე, ფორმალური კონტროლის განხორციელებაც.

ა) *მატერიალური კონტროლის ობიექტები.* საკონსტიტუციო კონტროლს დაქვემდებარებული ნორმატიული აქტების მოცულობის თვალსაზრისით განასხვავებენ უნივერსალურ და შეზღუდულ საკონსტიტუციო კონტროლს.¹ პირველ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლს ექვემდებარება ნებისმიერი ნორმატიული აქტი, ხოლო მეორე შემთხვევაში, კონტროლს ექვემდებარებიან მხოლოდ კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრული ნორმატიული აქტები. ამ თვალსაზრისით, განსახილველი უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელებადი საკონსტიტუციო კონტროლი შეზღუდული ხასიათისაა, რადგან კონსტიტუცია ზუსტად განსაზღვრავს იმ ნორმატიულ აქტთა ნუსხას, რომლებიც ამგვარი კონტროლის ობიექტი შეიძლება გახდეს. კერძოდ კი, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი შეიძლება გახდეს: კონსტიტუციური შეთანხმება, კანონი, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტები. ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამ ჩამონათვალს საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებებით განავრცობს. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1) საქართველოს კანონმდებლობა *კონსტიტუციური შეთანხმების* ერთადერთ შემთხვევას ითვალისწინებს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. მოცემული ნორმის შესაბამისად, კონსტიტუციური შეთანხმება დაიდო 2002 წლის 14 ოქტომბერს.²

2) შემდეგი ნორმატიული აქტი, რომელზეც განსახილველ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაა შესაძლებელი არის *კანონი*. ქართული სამართლის სივრცეში კანონი სამი სახის შეიძლება იყოს: კონსტიტუციური, ორგანული და ე.წ. „ჩვეულებრივი“. არც კონსტიტუცია და არც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი არ აზუსტებენ კონკრეტულად რომელ მათგანზე შეიძლება გავრცელდეს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია. ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი სამივე სახის კანონი შეიძლება გახდეს. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს ასე არ არის.

¹ იხ. მითითებული წყარო, Сравнительное конституционное право, с. 108.

² იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002, №108, 954-ე მუხლი.

ნიშანდობლივია, რომ საკითხი იმის შესახებ თუ რომელი სახის კანონზე შეიძლება საკონსტიტუციო კონტროლის გავრცელება აქტუალურია საზღვარგარეთის სახელმწიფოებშიც. განსაკუთრებით კი, ეს ეხება კონსტიტუციურ კანონებს (კანონებს, რომლებითაც ცვლილებები შედის კონსტიტუციაში). ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ რიგ შემთხვევაში კონსტიტუციურ კანონებზე შესაძლებელია საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება. ი. იუდინი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თანამედროვე კონსტიტუციონალიზმს ახასიათებს პარლამენტის დამფუძნებელი ხელისუფლების სხვადასხვა გარემოებებით შეზღუდვის ტენდენცია. ამდენად, სახელმწიფოებში, რომლებშიც ეს შეზღუდვები დადგენილია, მათი დამრღვევი კონსტიტუციური კანონის მიღება, შეიძლება გახდეს კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოს მიერ ამ კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების საფუძველი. ასე მაგალითად, რუსეთის კონსტიტუცია ადგენს, რომ კონსტიტუციის პირველი, მე-2 და მე-9 თავის დებულებები არ შეიძლება გახდნენ გადასინჯვის საგანი. აქედან გამომდინარე, თუ დაუშვებთ, რომ საკანონმდებლო ორგანო მიიღებს კანონს, რომელიც ცვლილებებს შეიტანს მითითებული თავების დებულებებში, ესეთი კანონი შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.¹ მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ვ. მაკლაკოვიც. მისი აზრით, ახალი კონსტიტუციური ნორმა, რომელიც არღვევს კონსტიტუციის მოთხოვნებს, შესაძლებელია გახდეს საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი. ასე მაგალითად, გერმანიის ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი კრძალავს ძირითადი კანონის შეცვლას იმ საკითხთან მიმართებით, რომელიც ეხება კანონმდებლობაში მიწების მონაწილეობის პრინციპს. აქედან გამომდინარე, თუ ძირითად კანონში შეტანილი ცვლილება წინააღმდეგობაში იქნება მოცემულ პრინციპთან, ავტორის აზრით, იგი შესაძლებელია ცნობილი იქნეს არაკონსტიტუციურად.²

ვფიქრობთ, ზემომითითებული მოსაზრებები ყურადსადებია, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად პარლამენტის დამფუძნებელი ხელისუფლების შემზღუდველი დებულებები მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციაში არსებობენ. ასე მაგალითად, საბერძნეთის კონსტიტუციის 110-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არ შეიძლება კონსტიტუციის იმ დებულებების გადასინჯვა, რომლებიც მმართველობის ფორმად განსაზღვრავენ საპარლამენტო რესპუბლიკას.³ საფრანგეთის კონსტიტუციის 89-ე მუხლის თანახმად, მმართველობის რესპუბლიკური ფორმა არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი.⁴ იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ იტალიის კონსტიტუცია შეიცავს ზოგად პრინციპებს, რომელთა შეცვლა ან გაუქმება, მათი არსებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე არ შეიძლება კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონითაც. ამ შემთხვევაში საუბარია არა მარტო იმ პრინციპებზე, რომელთა გადასინჯვა არ შეიძლება თავად კონსტიტუციის ნორმებიდან

¹ იხ. მითითებული წყარო: Сравнительное конституционное право, с. 110.

² იხ. Конституционное (государственное) право зарубежных стран, отв. ред. Б.А. Страшун, Т. 2, М., 1995, с. 326.

³ იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, პასუხისმგებელი რედ. ვ. გონაშვილი, ნაწილი II, თბ., 2005, გვ. 558.

⁴ იხ. იქვე, გვ. 605.

გამომდინარე (მმართველობის რესპუბლიკური ფორმა), არამედ იმ პრინციპებზეც, რომლებიც შესაძლოა პირდაპირ არ არიან ასახული კონსტიტუციის ტექსტში, მაგრამ თავისი შინაარსით კონსტიტუციის საფუძველში არსებულ უმაღლეს ღირებულებებს მიეკუთვნებიან.¹

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს. ასე მაგალითად, მ. მიტიუკოვი აღნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონები კონსტიტუციაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, არ შეიძლება შემდგომი (რეპრესიული) საკონსტიტუციო კონტროლის საგანი გახდეს. რამდენადაც ამ კანონებით ცვლილებები შედის კონსტიტუციაში, ისინი კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი არიან. კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმება კი შეუძლებელია. სახელმწიფოს ყველა სხვა აქტი მათ უნდა შეესაბამებოდეს.² ლ. ლაზარევის აზრით, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია კონსტიტუციაში ცვლილებების შემტანი კანონის კონსტიტუციურობის შემოწმება, თუმცა ავტორი აზუსტებს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ კანონის მიღების შემდეგ და მისი ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებისთვის დასამტკიცებლად გადაცემამდე. დამტკიცების შემდეგ კანონი ხდება კონსტიტუციის ნაწილი, კონსტიტუციის კონსტიტუციურობის შემოწმება კი რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუძლია.³

ცხადია, ზემოთ მოყვანილი განსხვავებული მოსაზრებების სიმრავლე თავისთავად მეტყველებს მოცემული საკითხის აქტუალობაზე.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, მსოფლიოს ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობაში განმტკიცებულია ნორმები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოებს კონსტიტუციურ კანონებზე წინასწარი (პრევენციული) კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებას ანიჭებენ. ასე მაგალითად, რუმინეთის კონსტიტუციის 144-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია თავისი აზრი გამოთქვას კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის კონსტიტუციურობაზე. ამასთან, ასეთი კონტროლი სავალდებულო ხასიათს ატარებს.⁴ მოლდავეთის კონსტიტუციის 135-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო თავის აზრს გამოთქვამს წინადადებებზე კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ. ამასთან, 141-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ პარლამენტის წინაშე წარდგენილ კონსტიტუციური კანონის პროექტს თან აუცილებლად უნდა ახლდეს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა.⁵ უკრაინის კონსტიტუციის 159-ე მუხლის თანახმად, უკრაინის უმაღლესი საბჭო კონსტიტუციაში ცვლილებების

¹ იხ. Бриксов В.В. Конституционный Суд России и законы о конституционных поправках, Академический юридический журнал, 2001, №4 (6) (октябрь-декабрь).

² იხ. Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии, отв. ред. М.А. Митюков, М., 1998, с. 59-60.

³ იხ. Кряжков В.А., Лазарев Л.В., Конституционная юстиция в Российской Федерации, М., 1998, с. 79-80.

⁴ იხ. მითითებული წყარო: საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, გვ. 593-594.

⁵ იხ. იქვე, ნაწილი IV, გვ. 644, 646.

შესახებ კანონპროექტს განიხილავს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.¹

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება შესაძლებელია კანონებზე და ორგანულ კანონებზე. რაც შეეხება კონსტიტუციურ კანონს, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფესორი ჯ. ხეცურიანი აღნიშნავს მასზე საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვერ გავრცელდება, რადგან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.² აღნიშნულ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ. ამავდროულად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე.

საქართველოს კანონმდებლობა კონსტიტუციური კანონის მიღებას ოთხ შემთხვევაში ითვალისწინებს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციური კანონი მიიღება საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას (კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრისას (კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრისას (კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი) და კონსტიტუციის გადასინჯვისას (კონსტიტუციის 102-ე მუხლი; „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი).

1995 წლიდან 2008 წლის ნოემბრამდე საქართველოში მიღებულია კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ და 20 კონსტიტუციური კანონი, რომლებითაც ცვლილებები ან/და დამატებებია შეტანილი კონსტიტუციის ტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური კანონის მიღების წესი საერთოა ყველა შემთხვევისთვის, ჩვენი აზრით, კონსტიტუციური კანონი, რომლითაც ცვლილებები და დამატებები შეიტანება კონსტიტუციის ტექსტში და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი, სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კერძოდ, კონსტიტუციური კანონი, რომლითაც მოქმედი კონსტიტუციის ტექსტში შედის ცვლილებები ან დამატებები, ძალაში შესვლის მომენტიდან წყვეტს დამოუკიდებელი ნორმატიული აქტის სახით არსებობას და კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი ხდება.³ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი კი, რომელიც ასევე საქართველოს კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია, შეიძლება ითქვას, რომ ძალაში შესვლის მომენტიდანაც განაგრძობს დამოუკიდებელი ნორმატიული აქტის სახით არსებობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, პირველ შემთხვევაში შეუძლებელია კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შემოწმება, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ძალაში შესვლის მომენტიდან იგი წყვეტს დამოუკიდებელი ნორმატიული აქტის

¹ იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.3, с. 351.

² იხ. ჯ. ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №3, გვ. 18.

³ იხ. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტომი I, თბ., 2004, გვ. 40.

სახით არსებობას. ხოლო, რაც შეეხება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონს, ჩვენი აზრით, თეორიულად მისი კონსტიტუციურობის შემოწმება შესაძლებელია, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიგვაჩნია, რომ მასზე საკონსტიტუციო კონტროლის იურისდიქცია ვერ გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობაში არსებული იმ მნიშვნელოვანი დათქმის გამო, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში კონსტიტუციური კანონი საკონსტიტუციო კონტროლს ვერ დაექვემდებარება, თუმცა, ჩვენი აზრით, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში შესაძლებელია მათზე წინასწარი (პრევენციული) კონტროლის განხორციელება. კერძოდ, კანონმდებელს შეუძლია დაადგინოს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუციური კანონის პროექტი, მის პრომულგირებამდე, კონსტიტუციურობის თაობაზე შესაბამისი დასკვნისთვის სავალდებულო წესით უნდა გადაეცემოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს და მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში იყოს შესაძლებელი პროექტის პრომულგირებისათვის გადაცემა პრეზიდენტისთვის.

ჩვენი აზრით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური კანონების პროექტებზე წინასწარი (პრევენციული) კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით აღჭურვა მიზანშეწონილია სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ, ამჟამად საქართველო არის სახელმწიფო, რომელშიც საპრეზიდენტო ბლოკი საკანონმდებლო ორგანოში „კონსტიტუციური უმრავლესობით“ არის წარმოდგენილი, ანუ დეპუტატთა იმ რაოდენობით, რომელსაც კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა თავად შეუძლია.¹ ეს თავისთავად მოიცავს რისკის ფაქტორს და ქმნის საშიშროებას, რომ ასეთი გაბატონებული მდგომარეობა, ხელისუფლებაში მყოფი პარტიის მხრიდან არ გახდეს თვითნებობის და უკონტროლო მოქმედების საფუძველი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცესს, როგორც წესი, თან ახლავს კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართ განსხვავებული პოზიციების არსებობა პარლამენტში ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებში. ამასთან, ეს როგორც წესი, ხდება საზოგადოების მსჯელობის და ხშირად პოლიტიკური დაძაბულობის საგანიც. ჩნდება შეფასებები, რომ ესა თუ ის კონსტიტუციური კანონის პროექტი არ შეესაბამება კონსტიტუციით აღიარებულ ამა თუ იმ პრინციპს და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული უფლებამოსილებით აღჭურვა, გარკვეულად წილად, შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის როლს შეასრულებს ხელისუფლების დანაწილების – როგორც სახელმწიფოს დემოკრატიული ორგანიზაციის ფუძემდებლური პრინციპის რეალიზაციაში. ამასთან, ეს გახდება დამატებითი გარანტი იმისა, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტი შესაბამისობაში იქნება

¹ ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა ამგვარი თანაფარდობაა 1995 წლის კონსტიტუციის ამოქმედებიდან დღემდე.

როგორც კონსტიტუციის ნორმებთან, ასევე კონსტიტუციით პირდაპირ თუ არაპირდაპირ აღიარებულ პრინციპებთან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ პროცედურაში ჩაბმა დამატებით უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის – როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონის სიმყარეს.

3) პარლამენტის აქტებიდან კანონის გარდა აბსტრაქტულ საკონსტიტუციო კონტროლს ასევე ექვემდებარებიან: ა) *პარლამენტის რეგლამენტი*, რადგან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5¹ პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტია, რომლის მომზადება და მიღება ხდება საქართველოს კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად¹ და ბ) *პარლამენტის ნორმატიული დადგენილებები*. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, არანორმატიულია საქართველოს პარლამენტის მხოლოდ ის დადგენილება, რომელიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხება, ანუ, აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ საკადრო და პერსონალურ საკითხებთან დაკავშირებული დადგენილებების გარდა, პარლამენტის ყველა სხვა დადგენილება ნორმატიულია. თუმცა, რეალურად ეს ესე არ არის. ჩვენ ვიზიარებთ პროფესორი ჯ. ხეცურიანის მოსაზრებას, რომელიც მითითებულ ნორმას აფასებს როგორც არასრულყოფილს და აღნიშნავს, რომ იგი სათანადო ცვლილებებს საჭიროებს, რადგან საკადრო და პერსონალურ საკითხებთან დაკავშირებული დადგენილებების გარდა პარლამენტი სხვა ისეთ დადგენილებებსაც იღებს, რომლებიც „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად ვერ ჩაითვლება ნორმატიულ სამართლებრივ აქტად (მაგალითად, დადგენილება ამა თუ იმ კანონპროექტის გამარტივებული ან დაჩქარებული პროცედურით განხილვისა და მიღების შესახებ).²

4) აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტია *პრეზიდენტის ნორმატიული აქტებიც*. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებია ბრძანებულება³ და დეკრეტი (მე-11 მუხლის პირველი პუნქტი; მე-12 მუხლის პირველი პუნქტი; მე-13 მუხლის პირველი პუნქტი). რაც შეეხება პრეზიდენტის ბრძანებას, იგი შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი („ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი). ამდენად, ბრძანებულებებთან და დეკრეტებთან ერთად საკონსტიტუციო კონტროლს ექვემდებარებიან საქართველოს პრეზიდენტის მხოლოდ ის ბრძანებები, რომლებიც თავისი შინაარსით ნორმატიულ სამართლებრივ აქტთა კატეგორიას განეკუთვნებიან.

¹ იხ. საქართველოს სახელმწიფო სამართალი (საკანონმდებლო აქტების კრებული), გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2004, გვ. 141.

² დაწვრილებით იხ. მითითებული წყარო: ჯ. ხეცურიანი, გვ. 19-20.

³ გამონაკლისია ბრძანებულებები საქართველოს მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, მოპოვების, შეწყვეტისა და აღდგენის თაობაზე, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის შესახებ.

5) საქართველოს მთავრობის ერთადერთი აქტი, რომელზეც საკონსტიტუციო იურისდიქცია ვრცელდება არის მთავრობის დადგენილება, რადგან საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს მთავრობას სხვა ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილებით არ აღჭურავს („ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-13¹ მუხლის პირველი პუნქტი).

6) დაბოლოს, აბსტრაქტული კონტროლის ობიექტია *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტები*. იმისათვის, რომ დავასახელოთ ეს აქტები, პირველ რიგში უნდა განვმარტოთ კონკრეტულად რომელი ორგანოები მიეკუთვნებიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა წრეს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, ხოლო 111-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო¹. რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს აღსანიშნავია, რომ არც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი² და არც სხვა რომელიმე ნორმატიული აქტი მათზე პირდაპირ მითითებას არ მოიცავს. როგორც პროფესორი ჯ. ხეცურიანი აღნიშნავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის აზრიდან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ აჭარის ავტონომიის ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (მე-10 მუხლის პირველი პუნქტი), ხოლო უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა (მე-15 მუხლის პირველი პუნქტი).³

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტებია: ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, კანონი, უმაღლესი საბჭოს დადგენილება და მინისტრთა საბჭოს (მთავრობის) დადგენილება. სწორედ ამ აქტებზე ვრცელდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია.

ამდენად, საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აბსტრაქტული მატერიალური საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტები არიან შემდეგი ნორმატიული აქტები: კონსტიტუციური შეთანხმება, ორგანული კანონი, კანონი,

¹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტი იხ.: გ. გიორგაძე, ვ. თორდია, ვ. ხმაღაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2001, გვ. 279-307.

² კონსტიტუციური კანონის ტექსტი იხ.: სსმ, 2004, №16, 53-ე მუხლი.

³ იხ. მითითებული წყარო: ჯ. ხეცურიანი, გვ. 23.

პარლამენტის რეგლამენტი, პარლამენტის ნორმატიული დადგენილება, პრეზიდენტის ბრძანებულება (ზემოთითებული გამონაკლისების გარდა), პრეზიდენტის დეკრეტი, პრეზიდენტის ნორმატიული ბრძანება, მთავრობის დადგენილება, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, კანონები, უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და მინისტრთა საბჭოს (მთავრობის) დადგენილებები.

ბ) *ფორმალური კონტროლის ობიექტები.* თუ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი მხოლოდ მატერიალური კონტროლის განხორციელებას ითვალისწინებს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმალური კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებითაც აღჭურავს.¹ ორგანული კანონის მითითებული ნორმის შესაბამისად ფორმალურ კონტროლს ექვემდებარებიან მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტები და საქართველოს პარლამენტის დადგენილებები. საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლშია მოცემული. ესენია: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი.

ფორმალური კონტროლის არსიდან გამომდინარე, მისი განხორციელება მხოლოდ იმ აქტებზეა შესაძლებელი, რომელთა მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნების ან ამოქმედების წესები დადგენილია თავად კონსტიტუციით. საქართველოს კონსტიტუცია კონსტიტუციური კანონის, ორგანული კანონის, კანონის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების წესებთან დაკავშირებულ სხვადასხვა დებულებებს მეტ-ნაკლებად შეიცავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია ეს აქტები ფორმალურ საკონსტიტუციო კონტროლს ექვემდებარებიან.

რაც შეეხება თავად კონსტიტუციაზე ფორმალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. პროფესორი ჯ. ხეცურიანი აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუცია ვერ იქნება ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი, რადგან არც საქართველოს კონსტიტუცია და არც სხვა საკანონმდებლო აქტი არ ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის მიღების პროცედურებს², ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, პროფესორ ა. დემეტრაშვილის მოსაზრებიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია შესაძლებელია ფორმალურ საკონსტიტუციო კონტროლს დაექვემდებაროს.³

¹ ფორმალური კონტროლის უფლებამოსილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2004 წლის 25 ნოემბერს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიძინა.

² იხ. მითითებული წყარო: ჯ. ხეცურიანი, გვ. 25.

³ იხ. კონსტიტუციური სამართალი, პასუხისმგ. რედაქტორი ა. დემეტრაშვილი, თბ., 2005, გვ. 93.

მითითებულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებების არსებობას საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის დებულება განაპირობებს, რომელიც ქვეყნის ძირითადი კანონის „ზოგად“ ან „ნაწილობრივ“ გადასინჯვას ითვალისწინებს. კონკრეტულად კი, სადაც საკითხი თუ რას ნიშნავს კონსტიტუციის მითითებულ მუხლში რეგლამენტირებული ტერმინი „ზოგადი გადასინჯვა“. ა. დემეტრაშვილი აღნიშნავს, რომ „ზოგადი გადასინჯვა“ ახალი კონსტიტუციის მიღებას უნდა ნიშნავდეს, რადგან თუ ეს ასე არ არის, მაშინ კანონმდებლობაში უნდა იყოს დადგენილი გადასინჯვის მოცულობა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გადასინჯვის რომელ სახესთან გვაქვს საქმე – ზოგადთან თუ ნაწილობრივთან.¹ ჯ. ხეცურიანის აზრით კი, კონსტიტუციის „ზოგადი გადასინჯვა“ არა ახალი კონსტიტუციის მიღებას, არამედ კონსტიტუციური კანონის მიღებას ნიშნავს, ანუ კანონის, რომლითაც ცვლილება ან დამატება შედის კონსტიტუციაში. ამის არგუმენტად იგი „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლს ასახელებს, რომლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ კონსტიტუციის გადასინჯვისას მიიღება კონსტიტუციური კანონი, ხოლო პირველ პუნქტში მოცემულია იმ ნორმატიული აქტების სრული ჩამონათვალი რომელთა მიღება შეუძლია საქართველოს პარლამენტს. ამ ჩამონათვალში კი, საქართველოს კონსტიტუცია არ არის მოხსენიებული.²

კონსტიტუციის ერთი დებულების განსხვავებული ინტერპრეტაცია ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, მითითებული ნორმის ბუნდოვანებაზე მიუთითებს. ცხადია, გასათვალისწინებელია ჯ. ხეცურიანის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ „ზოგადი გადასინჯვა“ ახალი კონსტიტუციის მიღებას არ ნიშნავს, თუმცა ასეთ შემთხვევაში იბადება კითხვა როგორ უნდა გავიგოთ ეს ტერმინი? თუ იგი ახალი კონსტიტუციის მიღებას არ ნიშნავს, მაშინ სამართლებრივად რა განსხვავებაა კონსტიტუციის „ზოგად გადასინჯვასა“ და „ნაწილობრივ გადასინჯვას“ შორის? „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში ტერმინები „ზოგადი“ ან „ნაწილობრივი“ საერთოდ არ არის მოხსენიებული. მასში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ კონსტიტუციის გადასინჯვისას მიიღება კონსტიტუციური კანონი და არ არის დაზუსტებული „ზოგად“ თუ „ნაწილობრივ“ გადასინჯვაზე საუბარი. თუ გამოვალთ იმ პოზიციიდან, რომ „ზოგადი გადასინჯვა“ ახალი კონსტიტუციის მიღებას ნიშნავს, მაშინ ის გარემოება, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში არაფერია ნათქვამი კონსტიტუციის მიღებაზე, ამ კანონის ხარვეზზე თუ კანონმდებლობაში არსებულ კოლიზიაზე მიუთითებს. ამდენად, მიგვაჩნია რა, რომ კონსტიტუცია ახალი კონსტიტუციის მიღების პროცედურას უნდა ითვალისწინებდეს, ვთვლით, რომ საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლი დაზუსტებას საჭიროებს. ამასთან ცხადია, შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაშიც უნდა აისახოს.

გ) *სასამართლო პრაქტიკა.* „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. აღნიშნულ საფუძველზე მას

¹ იხ. იქვე, გვ. 93.

² იხ. მითითებული წყარო: ჯ. ხეცურიანი, გვ. 25-26.

განხილული აქვს 4 კონსტიტუციური სარჩელი. მათგან ერთ-ერთი ფორმალური კონტროლის განხორციელების მოთხოვნით იყო წარდგენილი.

საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ 59 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (2002 წლის 5 ნოემბრის განჩინება) მოსარჩელე ითხოვდა 2001 წლის 2 აგვისტოს საქართველოს ორგანული კანონების – (1) „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ და (2) „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მიღების კონსტიტუციურობის დადგენას, კერძოდ, აღნიშნული ნორმატიული აქტების მიღების პროცედურის კონსტიტუციურობის შემოწმებას. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიჩნია, რომ სარჩელი არ პასუხობდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც სარჩელში აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის აზრით ადასტურებენ სარჩელის საფუძვლიანობას და განმწესრიგებელ სხდომაზე არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად.

საქმეზე საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (1997 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება) საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა „განათლების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და 48-ე მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო მოცემული კანონის 47-ე მუხლის პირველი წინადადების სიტყვები „... და საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით“¹.

საინტერესოა ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2004 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ 67 დეპუტატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან, 46-ე მუხლთან, 48-ე მუხლთან და 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო აჭარის ა/რ 2003 წლის 22 დეკემბრის ორგანული კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“².

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ნორმატიულ აქტებზე აბსტრაქტული კონტროლის განხორციელება მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმთავრესი ფუნქციაა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ამ სფეროში უმნიშვნელოა. კონკრეტულად კი, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციის 89-ე

¹ გადაწყვეტილება იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 1996-1997, პასუხისმგ. ჯ. ხეცურიანი, თბ., 2002, გვ. 95-106.

² გადაწყვეტილება იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2004, პასუხისმგ. ჯ. ხეცურიანი, თბ., 2005, გვ. 44-55.

მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის) საფუძველზე შემოსული კონსტიტუციური სარჩელების რაოდენობა არ აღემატება საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსული კონსტიტუციური სარჩელებისა თუ წარდგინებების საერთო რაოდენობის 1 %-ს. ჩვენი აზრით, ამას სხვადასხვა ობიექტური ფაქტორი განაპირობებს. თეორიულად, განხილულ საქმეთა დაბალი რიცხოვნების მთავარი მიზეზი სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტთა პასიურობა უნდა იყოს, რადგან სასამართლო ვერ განიხილავს საქმეს თუ შესაბამისი სუბიექტი არ მიმართავს მას ამგვარი მოთხოვნით. თუმცა, ცხადია ამ სუბიექტთა პასიურობასაც ლოგიკური ახსნა უნდა მოეძებნოს.

დ) საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტები. კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ სუბიექტებს, რომლებიც აბსტრაქტული მატერიალური თუ ფორმალური კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლებით სარგებლობენ. ესენი არიან: 1)საქართველოს პრეზიდენტი, 2)საქართველოს მთავრობა და 3)საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი.

საქართველოს პრეზიდენტი საკანონმდებლო პროცესის დასკვნითი ეტაპის მონაწილეა. იგი, ან ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს და აქვეყნებს კანონს, ან სარგებლობს რა ვეტოს უფლებით, მოტივირებული შენიშვნებით უკან უბრუნებს კანონპროექტს პარლამენტს. თეორიულად, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვეტოს უფლებით სარგებლობა პრეზიდენტს კანონპროექტის არაკონსტიტუციურობის საბაბითაც შეუძლია. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტი, თავად არის საკანონმდებლო პროცესის მონაწილე და კანონის მიღების პროცესშივე შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს კანონის საბოლოო სახით ფორმირებაზე. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ 1995 წლის კონსტიტუციის ამოქმედებიდან დღემდე საქართველოს პარლამენტში საპრეზიდენტო ბლოკი „კონსტიტუციური უმრავლესობით“ არის წარმოდგენილი და ამ პერიოდის განმავლობაში პრეზიდენტს ვეტოს უფლებით სარგებლობაც კი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში მოუწია. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს პრეზიდენტს დღემდე არ უსარგებლია საქართველოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით და არ მიუმართავს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ამა თუ იმ კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით. თეორიულად, შეიძლება დაუშვათ, რომ ვეტოს შემთხვევაში პარლამენტმა არ გაითვალისწინოს პრეზიდენტის შენიშვნები და არაკონსტიტუციურობის მოტივით ვეტოდადებული კანონპროექტი მაინც მიიღოს. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტმა შეიძლება ისარგებლოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუმცა ფაქტია, რომ ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა რომ ჰქონდეს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით პრეზიდენტს შეუძლია როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტების გაუქმება მათი არაკონსტიტუციურობის მოტივით, ანუ საქართველოს პრეზიდენტი აღჭურვილია უფლებამოსილებით თავად შეამოწმოს მითითებული აქტების კონსტიტუციურობა, შესაბამისად, არც ამ შემთხვევაში უნდება პრეზიდენტს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საჭიროება. ფაქტია ისიც, რომ საქართველოს პრეზიდენტს დღემდე არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი დაუსვია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტს აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საჭიროება თითქმის არ აქვს. მისი კომპეტენციური არსენალი იმდენად დიდია, რომ მას სხვაგვარადაც შეუძლია გავლენა იქონიოს აბსტრაქტულ კონტროლს დაქვემდებარებული აქტების კონსტიტუციურობაზე. ამდენად, მიგვაჩნია რომ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი იმთავითვე პასიური სუბიექტია.

საქართველოს მთავრობას საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება მას შემდეგ გაუჩნდა, რაც საქართველოში 2004 წელს განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად იგი კოლეციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანოდ ჩამოყალიბდა. ეს ერთადერთი სამართლებრივი იარაღია მთავრობის ხელში, რომლის საშუალებითაც მთავრობას შეუძლია პრეზიდენტის და პარლამენტის აქტებზე, ან თუნდაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიულ აქტებზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა. კერძოდ, მთავრობის კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე პრეზიდენტის ან პარლამენტის აქტები, ისე როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტები საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა ცნოს არაკონსტიტუციურად, ანუ ძალადაკარგულად. მიუხედავად ამისა, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამ უკანასკნელი თითქმის ოთხი წლის განმავლობაში მთავრობას არ უსარგებლია აღნიშნული უფლებამოსილებით.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში საქართველოს მთავრობას საკმაოდ მოკრძალებული ადგილი უკავია.¹ უფრო მეტიც, ზოგიერთ მკვლევართა აზრით, „მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი პრეზიდენტის დამხმარე ორგანოა და არა დამოუკიდებელი აღმასრულებელი

¹ დაწვრილებით საქართველოს მთავრობის სტატუსის შესახებ იხ.: ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2008, გვ. 315-330.

ხელისუფლება”.¹ ამდენად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ: 1) საქართველოში მთავრობის ფორმირება პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ ხდება, 2) მთავრობა პასუხისმგებელია როგორც პრეზიდენტის, ასევე პარლამენტის წინაშე, 3) პრეზიდენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი ინიციატივით გადააყენოს მთავრობა და ყოველივე ეს იმ ვითარებაში, როდესაც პრეზიდენტი და პარლამენტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები არიან, ალბათ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მთავრობამ საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე პრეზიდენტის, ან თუნდაც პარლამენტის აქტების არაკონსტიტუციურად ცნობის საკითხის დაყენება გადაწყვიტოს. მიგვაჩნია, რომ მთავრობას რომც გაუჩნდეს ასეთი სურვილი, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში მისი მოკრძალებული ადგილის გათვალისწინებით, ძნელად წარმოსადგენია, რომ მან საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა „გაბედოს”. შესაძლოა ვითარება შეიცვალოს პარლამენტში პრეზიდენტის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური სპექტრის უმრავლესობაში მოსვლის შემთხვევაში. თუმცა, ჩვენი აზრით, ხელისუფლების დანაწილების ქართული მოდელის პირობებში, ვერც ეს გარემოება შეცვლის მნიშვნელოვნად მთავრობის დამოუკიდებლობის ხარისხს.

მესამე სუბიექტი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა” ქვეპუნქტითა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის უფლებამოსილებით სარგებლობს არის *საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი*. საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის თანახმად პარლამენტი შედგება 150 წევრისგან. აქედან გამომდინარე, ცნება „საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი” გულისხმობს არანაკლებ 30 წევრს, ანუ, ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით შეიძლება მიმართოს პარლამენტის არანაკლებ 30-მა წევრმა.² როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა” ქვეპუნქტისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე შემოსული ოთხივე კონსტიტუციური სარჩელი სწორედ საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს ეკუთვნის.

ლოგიკურად, პარლამენტის კანონი ან ნორმატიული დადგენილება, ისევე როგორც პრეზიდენტისა თუ მთავრობის ნორმატიული აქტი საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლოა გასაჩივრდეს ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატების ჯგუფის

¹ იხ. საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები, თბ., 2005, გვ. 21.

² 2008 წლის 12 მარტის კონსტიტუციური ცვლილებით საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 150 დეპუტატით. მანამდე საქართველოს პარლამენტი შედგებოდა 235 წევრისგან, შესაბამისად, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი შეადგენდა არანაკლებ 47 დეპუტატს.

მიერ და არა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ. ბუნებრივია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებისგან შემდგარმა 30 კაციანმა ჯგუფმა ეჭვქვეშ დააყენოს ამ უმრავლესობისვე მიღებული კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა. ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ პრეზიდენტის ან თუნდაც მთავრობის ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქართველოს პოლიტიკური რეალობა ისეთია, რომ პარლამენტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა, პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობის ყველა წევრი ერთი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები არიან. ამდენად, რეალურად, აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიმართოს საპარლამენტო ოპოზიციის წევრებისგან შემდგარმა დეპუტატთა ჯგუფმა, თუმცა ქართული პარლამენტარიზმის უახლესი წარსული იმის დასტურია, რომ საქართველოს პარლამენტში ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის თავმოყრა არც თუ ისე იოლი საქმეა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სამივე სუბიექტი იმთავითვე პასიური სუბიექტები არიან, რადგან:

1) საქართველოს პრეზიდენტს აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საჭიროება თითქმის არ აქვს, რადგან მისი კომპეტენციური არსენალი იმდენად ფართოა, რომ მას სხვაგვარადაც შეუძლია გავლენა იქონიოს აბსტრაქტულ კონტროლს დაქვემდებარებული აქტების კონსტიტუციურობაზე;

2) საქართველოს მთავრობას რომც გაუჩნდეს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სურვილი ან საჭიროება, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში მისი მოკრძალებული ადგილის გათვალისწინებით, ძნელად წარმოსადგენია, რომ მან ეს „გაბედოს“;

3) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი კი, თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ ეს არის სუბიექტი, რომელიც პარლამენტის ოცდაათი წევრისგან მაინც უნდა შედგებოდეს და ამ წევრებში ფაქტობრივად საპარლამენტო ოპოზიციის წევრები უნდა ვიგულისხმოთ, შეიძლება ითქვას, რომ ამ სუბიექტის არსებობაც კი სირთულესთან არის დაკავშირებული, რადგან საქართველოს პარლამენტში ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის თავმოყრა არც თუ ისე იოლი საქმეა.

ამდენად, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ანალიზი ცხადყოფს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლებამოსილება მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს ხელისუფლების დანაწილების სისტემაში ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის უზრუნველსაყოფად, ქართული რეალობის გათვალისწინებით იგი „მიძინებული“ უფლებამოსილებაა და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ამ უფლებამოსილების რეალიზაციის თვალსაზრისით

უმნიშვნელოა. შესაძლოა ვითარება შეიცვალოს, თუ დაუშვებთ, რომ საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი გუნდი უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ 1995 წლის კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე ამგვარ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელიც 2008 წლის მაისში ჩატარდა, საქართველოს პარლამენტში ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილმა პარტიებმა ჯამში მხოლოდ 30 ადგილის მოპოვება შეძლეს, ამასთან, მათგან 12 წევრმა უარი თქვა საპარლამენტო მანდატზე. საბოლოოდ კი, არჩევნების შედეგად ოპოზიციური სპექტრი იმდენად მცირე ოდენობით იქნა წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში, რომ ორი ოპოზიციური ფრაქციის შექმნაც კი ვერ ხერხდებოდა. ამიტომ უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საპარლამენტო ფრაქციის შესაქმნელად დადგენილი მინიმალური სავალდებულო ქვოტის შევიდნად ექვსამდე შემცირება.¹

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ხელისუფლების მოწყობის ქართული მოდელის პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ საპრეზიდენტო გუნდი პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობით არის წარმოდგენილი, ზემოაღნიშნული უფლებამოსილება უპირველეს ყოვლისა, საპარლამენტო უმცირესობისთვის განკუთვნილ მნიშვნელოვან იარაღად უნდა მოვიაზროთ, რომლის მეშვეობითაც უმცირესობას შეეძლება გარკვეული ზემოქმედების მოხდენა როგორც პარლამენტის, ასევე პრეზიდენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რაც საშუალებას მისცემს უმცირესობის წარმომადგენლებს ეფექტურად ისარგებლონ უფლებით აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. კერძოდ, კი ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის წევრთათვის დადგენილი კვოტის – ერთი მეხუთედის შეცვლა პარლამენტის წევრთა არანაკლებ 20 წევრით. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად გაზრდიდა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში აბსტრაქტული კონტროლის განხორციელების როლს, რაც საბოლოო ჯამში, ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოებისადმი მიმართვის უფლებამოსილებით პარლამენტართა კონკრეტული რაოდენობის ჯგუფები რიგ სახელმწიფოებში სარგებლობენ. ასე მაგალითად, საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოსადმი მიმართვა ეროვნული კრების 60 წევრს შეუძლია, მაშინ როდესაც მისი მთლიანი რაოდენობა 577 წევრს შეადგენს, ხოლო ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიმართოს დეპუტატთა კონგრესის 50 წევრმა, მაშინ როდესაც კონგრესის წევრთა რაოდენობა 350-იდან 400-მდეა.

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2008 წლის 10 ოქტომბერი.

2.2 საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა კონსტიტუციურობის შემოწმება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება საქართველოს ნორმატიული აქტებია, თუმცა მათზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება, ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტებისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკე უფლებამოსილების სახით აქვს მიკუთვნებული. ამას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე განხორციელებადი საკონსტიტუციო კონტროლის სპეციფიურობა განაპირობებს, რაც უპირველეს ყოვლისა, მათზე წინასწარი (პრევენციული) კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებაში გამოიხატება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ არსენალში ეს არის ერთადერთი უფლებამოსილება, რომლის ფარგლებშიც მას წინასწარი (პრევენციული) კონტროლი შეუძლია განახორციელოს.

საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ყოველი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ აქტებით სახელმწიფოებს შორის, ისე როგორც სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული საკითხები რეგულირდება. ბუნებრივია, საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების დადებისას სახელმწიფო მისი შესრულების ვალდებულებასაც იღებს თავის თავზე. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება ძალაში შესვლის მომენტშივე სრულ შესაბამისობაში იყოს სახელმწიფოს კანონმდებლობასთან, უპირველეს ყოვლისა კი, ძირითად კანონთან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას – ქვეყნის ძირითად კანონს. ამავდროულად, საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წელს რატიფიცირებული „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ ვენის 1969 წლის საერთაშორისო კონვენციის 27-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს არ შეუძლია უარი თქვას საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებაზე იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება მის ეროვნულ კანონმდებლობას. მითითებული ნორმების დანაწესებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ქართული სამართლის სივრცეში ისეთი შემთხვევის დადგომა, რომლის დროსაც უკვე რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება თუ შეთანხმება წინააღმდეგობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციასთან, მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წარმოშობს, რადგან ერთი მხრივ, კონსტიტუციური დებულების თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს არ შეუძლია უარი თქვას

საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებაზე იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება მის ეროვნულ კანონმდებლობას. სწორედ ასეთი შემთხვევების გამორიცხვას უნდა უზრუნველყოფდეს საქართველოში საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე წინასწარი კონტროლის მექანიზმის საკანონმდებლო რეგლამენტაცია. ყოველივე ეს კი, კონტროლის ამ ფორმის მნიშვნელობასა და საჭიროებაზეც მიუთითებს.

ა) *პრევენციული კონტროლის ობიექტები.* „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, წინასწარი (პრევენციული) კონტროლის განხორციელება შესაძლებელია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე, რომლებიც ექვემდებარებიან რატიფიცირებას. იმას, თუ რომელი საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება ექვემდებარება რატიფიცირებას განსაზღვრავს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი.¹ მითითებული კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულება² შესაძლოა თავად ითვალისწინებდეს მისი რატიფიცირების აუცილებლობას, ხოლო თუ ესეთი დათქმა საერთაშორისო ხელშეკრულებაში არ არის, მაშინ სავალდებულოა ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია რომელიც: ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას; ბ) სამხედრო ხასიათისაა; გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას; დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან; ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას; ვ) რატიფიკაციას საჭიროებს სხვა საკანონმდებლო აქტის თანახმად.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წინასწარი (პრევენციული) კონტროლს ადგილი აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირებამდე. აქვე მიუთითებთ, რომ კონტროლის ეს სახე ფაქულტატიური ხასიათისაა.

საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე წინასწარი კონტროლი ხორციელდება გერმანიაში, ესპანეთში, ლიტვაში, ალბანეთში, რუსეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, მოლდოვაში. შემდგომ კონტროლს ადგილი აქვს ავსტრიაში, საბერძნეთში, ფილიპინებში. საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე როგორც წინასწარი, ასევე შემდგომი კონტროლის განხორციელებასაც ითვალისწინებს.

¹ კანონის ტექსტი იხ.: საერთაშორისო სამართალი, საკანონმდებლო აქტების კრებული, თბ., 2001, 5-24.

² შენიშვნა: „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „საერთაშორისო ხელშეკრულების“ ცნებაში იგულისხმება როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ასევე საერთაშორისო შეთანხმება და სხვა სახისა და სახელწოდების საერთაშორისო ხელშეკრულება (მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

ბ) შემდგომი კონტროლის ობიექტები. შემდგომი (რეპრესიული) საკონსტიტუციო კონტროლი შესაძლებელია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება რატიფიცირებას. აგრეთვე: 1) რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა დენონსირებაზე ან გაუქმებაზე საქართველოს პარლამენტის მიერ უარის თქმიდან 30 დღის ვადაში; 2) რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა დენონსირების ან გაუქმების საკითხის საქართველოს პარლამენტის წინაშე დასმიდან არა უადრეს 31-ე და არა უგვიანეს მე-60 დღისა, თუ პარლამენტმა 30 დღეში არ გადააწვიტა საკითხი (ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე წინასწარი (პრევენციული) კონტროლის განხორციელების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით სარგებლობს მხოლოდ პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი, ხოლო მოცემულ აქტებზე შემდგომი კონტროლის განხორციელების მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას და პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. დღემდე არსებული მდგომარეობით, საკონსტიტუციო სასამართლოში აღნიშნული საფუძველით საკითხი განსახილველად არ დამდგარა.

§3. ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისაკენ მიმართული უფლებამოსილებები

უფლებამოსილებათა ეს ჯგუფი დაკავშირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციასთან – ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან, რასაც ეს უკანასკნელი ა) პირის კონსტიტუციური სარჩელის (კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი) ან ბ) საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების (ორგანული კანონის მე-19 მუხლის მეორე ნაწილი) საფუძველზე განახორციელებს.

3.1 საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ყოველი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა. სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანო ამ ამოცანის გადაჭრისკენ არის მოწოდებული. განსაკუთრებულ როლს ამ საქმიანობაში საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოები, უპირველეს ყოვლისა კი, საკონსტიტუციო სასამართლოები თამაშობენ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო

სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს „... ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საკონსტიტუციო სასამართლოები სხვადასხვა უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. მაგალითად, ნორმატიულ აქტებზე ზოგადი კონტროლის განხორციელებისას. თუმცა, ამ პროცესის ეფექტურობა საგრძნობლად მაღლდება, როდესაც კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს მოქალაქეთა ინდივიდუალური საჩივრების განხილვის უფლებამოსილებით აღჭურავს.

ა) *საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტები.* საქართველოს კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების თანახმად, „პირს“, რომელიც მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მისი უფლებები ან თავისუფლებები შეუძლია პირდაპირ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის დადგენის მოთხოვნით. კონსტიტუციური ნორმა ზოგადად ადგენს, რომ აღნიშნული უფლებით „პირი“ სარგებლობს, თუმცა, თუ რომელი სუბიექტები მოიაზრებიან მასში ამას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი აკონკრეტებს. კერძოდ, კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვთ: საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს (უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს), საქართველოს იურიდიულ პირებს. ამ უფლებით სარგებლობს საქართველოს სახალხო დამცველიც (39-ე მუხლის პირველი პუნქტი). 2008 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობით, საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შემოსული სარჩელების 83% (338 სარჩელი) ეკუთვნის ფიზიკურ პირებს, 13% (53 სარჩელი) – იურიდიულ პირებს, 4% (15 სარჩელი) – სახალხო დამცველს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს უცხო ქვეყნის მოქალაქის სარჩელის საფუძველზეც აქვს განხილული.¹

მოქალაქეთა კონსტიტუციური სარჩელების განხილვის უფლებამოსილებით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლო არის აღჭურვილი (მაგ. ავსტრია, გერმანია, ესპანეთი, მალტა, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია). ყოველ სახელმწიფოში ამ კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებული პროცედურები რიგი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდებიან. მოქალაქეთა კონსტიტუციურ სარჩელებს განიხილავს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოც. თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით, კონსტიტუციური სარჩელი დასაშვებია მხოლოდ საერთო იურისდიქციის სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვის შემთხვევაში. კერძოდ, რუსეთის

¹ წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სტატისტიკური მონაცემი ეფუძნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციას, იხ.: http://www.constcourt.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=243.

ფედერაციის კონსტიტუციის 125-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ საჩივრებისა და სასამართლოების წარდგინებების საფუძველზე ამოწმებს კონკრეტულ საქმეში გამოყენებული ან გამოყენებას დაქვემდებარებული კანონის კონსტიტუციურობას ფედერალური კანონით დადგენილი წესით“.¹

ბ) მოთხოვნები კონსტიტუციური სარჩელის მიმართ. როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობების ანალიზი ცხადყოფს, იმისათვის რომ კონსტიტუციური სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღოს იგი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მთელ რიგ დათქმებს უნდა აკმაყოფილებდეს. პროფესორი ჰ. შვარცი აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპაში კონსტიტუციური სარჩელები მძიმე ტვირთად დააწვა საკონსტიტუციო სასამართლოს. ამიტომ, საქმეთა რაოდენობის შემცირების მიზნით ყველა სახელმწიფოში განსხვავებული წესი მოქმედებს. მაგალითად, გერმანიაში, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე საჭიროა ყველა სხვა სამართლებრივი საშუალების ამოწურვა (გამონაკლისია, თუ სახეზეა მოსარჩელისათვის სერიოზული და გარდაუვალი ზიანი). უნგრეთში მიღებული *actio popularis* სარჩელის აღძვრის წესი იყო თავდაპირველად საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა მოზღვაების მიზეზი: „ყველას“ განურჩევლად იმისა, მიადგა თუ არა პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანი, უფლება ჰქონდა წარედგინა სარჩელი კანონის კონსტიტუციურობის შესახებ. თავდაპირველად ამან გამოიწვია ზედაპირული და უსაფუძვლო სარჩელების მოზღვაება, თუმცა მათ საფუძველზე მიიღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მათ შორის გადაწყვეტილება სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. მას შემდეგ, შედარებით უმნიშვნელო საქმეების თაროზე შემოდებამ, პროცესუალური მექანიზმების დახვეწამ და საზოგადოებრივი შეგნების დონის ამაღლებამ იმასთან დაკავშირებით, რომ უსაფუძვლო სარჩელები უბრალოდ იგნორირებული იქნება, საქმეთა დიდი რიცხვი გონივრულ და მიზანშეწონილ ოდენობამდე შეამცირა.²

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფესორი ო. მელქაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მოქალაქეთა ინდივიდუალური საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის მექანიზმის კონსტრუქციული მოქმედებისათვის აუცილებელია საჩივრების მიღებისა და გადაწყვეტის რაციონალური საპროცესო ფორმების დამკვიდრება. წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი უფლებების დაცვის მსურველ პირთა მოქმედება სტიქიურ ხასიათს მიიღებს და საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანოს მუშაობა, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდება.³ ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა „პირის“ კონსტიტუციური სარჩელის მიმართ სამ სავალდებულო დათქმას აწესებს:

¹ იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, თბ., 2004, გვ. 319.

² იხ. ჰ. შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, 2003, გვ. 81-82.

³ იხ. ო. მელქაძე, ბ. დვალი, საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენცია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1999, №3, გვ. 64.

1) პირველი არის ის, რომ კონსტიტუციური სარჩელი დასაშვებია თუ, სადავო სამართლებრივი აქტი ნორმატიული ხასიათისაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო კონტროლს დაქვემდებარებული ნორმატიული აქტების მოცულობის თვალსაზრისით განასხვავებენ უნივერსალურ და შეზღუდულ საკონსტიტუციო კონტროლს. მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლი უნივერსალური ხასიათისაა, რადგან კონტროლს ექვემდებარება ნებისმიერი ნორმატიული აქტი (ან მისი ცალკეული ნორმა), რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება გამოიცეს (გამონაკლისია საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კონსტიტუციური კანონი). ესენია, როგორც საქართველოს, ასევე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა და თანამდებობის პირთა ნორმატიული აქტები. მათი ზუსტი ჩამონათვალი მოცემულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლში;

2) მეორე არის ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ სადავო ნორმატიული აქტი უშუალოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით (საქართველოს კონსტიტუციის მე-12 – 47-ე მუხლები) აღიარებულ უფლებას ან თავისუფლებას ეწინააღმდეგება;

3) დაბოლოს, სადავო ნორმატიული აქტი უშუალოდ მოსარჩელის უფლებას უნდა არღვევდეს, ანუ ეს ნორმა გამორიცხავს პირის უფლებას, იდაოს სხვა პირის უფლების დარღვევის შემთხვევაში (აღნიშნული არ ვრცელდება საქართველოს სახალხო დამცველზე).

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის თავდაპირველი რედაქციით, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდათ მოსარჩელებს, თუ მათ მიაჩნდათ, რომ სადავო აქტით უკვე დარღვეული იყო კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლება ან თავისუფლება. აღნიშნული დებულება გამორიცხავდა არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის მოქმედებით პირთა უფლებების რეალურად მოსალოდნელი დარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას. ამჟამად მოქმედი ნორმა კი, მოსარჩელებს აღჭურავს უფლებით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ თუნდაც მომავალში, შესაძლებელია დაირღვეს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლება ან თავისუფლება.

აღნიშნულ უფლებამოსილებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შემდგომი (რეპრესიული) კონტროლის ფორმით განახორციელებს. ამასთან, კონტროლის ამ ფორმას საქართველოში ხშირად კონკრეტულ კონტროლს უწოდებენ. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ როგორც წესი, იურიდიულ ლიტერატურაში კონკრეტულ კონტროლად მიჩნეულია კონტროლის სახე, რომლის დროსაც საკითხი ამა თუ იმ აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში დგება, განიხილება და წყდება მხოლოდ საერთო სასამართლოში

კონკრეტული სასამართლო დავის შემთხვევაში.¹ რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებულ საკონსტიტუციო კონტროლს, მისი გარკვეული მსგავსება კონკრეტული კონტროლის ფორმასთან განპირობებულია იმით, რომ კონსტიტუციური სარჩელი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმატიული აქტი უშუალოდ (კონკრეტულად) მოსარჩელის უფლებას არღვევს.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება სწორედ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზაციაში აისახება. კონკრეტულად კი, 2008 წლის პირველი იანვრისათვის, აღნიშნული უფლებამოსილების საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილული აქვს 406 კონსტიტუციური სარჩელი, რაც განხილული ყველა სარჩელის თუ წარდგინების 90%-ია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მსგავსად, ფიზიკური თუ იურიდიული პირების კონსტიტუციური სარჩელების განხილვა ევროპის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვისაც საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა. ასე მაგალითად, 1951 წლიდან 1990 წლამდე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ წელს 2,5-დან 3,7 ათასამდე კონსტიტუციურ სარჩელს განიხილავდა. 1999 წელს ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული ყველა საქმის 73%, ავსტრიის კონსტიტუციის 144-ე მუხლის საფუძველზე შეტანილი კონსტიტუციური სარჩელებით აღძრული საქმეებია.²

3.2 საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების განხილვა

საქართველოს კანონმდებლობა ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით აღჭურავს. პროფესორი ა. დემეტრაშვილი მას მოქალაქეთა უფლებების საკონსტიტუციო სასამართლოში დაცვის ირიბ პროცედურას უწოდებს.³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ

¹ იხ. მითითებული წყარო: პ. შვარცი, გვ. 79-80.

² იხ. Сравнительное конституционное право, отв. ред. В.Е. Чиркин, М., 2002, с. 128.

³ იხ. კონსტიტუციური სამართალი (სახელმძღვანელო), პასუხისმგებელი რედაქტორი ა. დემეტრაშვილი, თბ., 2005, გვ. 461.

საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეული იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

ა) მოთხოვნები კონსტიტუციური წარდგინების მიმართ და პრაქტიკის ანალიზი. აღნიშნული ნორმა რამდენიმე სავალდებულო ელემენტს შეიცავს. ზოგიერთ მათგანზე საკონსტიტუციო სასამართლომ 1999 წლის 22 აპრილის განჩინებაში მიუთითა. კერძოდ, აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, ზემომითითებული ნორმიდან სამი იმპერატიული მოთხოვნა გამომდინარეობს: 1) კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება მაშინ, როცა საქმე განიხილება შესაბამის სასამართლოში; 2) კონსტიტუციური წარდგინება უნდა შეიტანოს სასამართლომ; 3) კონსტიტუციური წარდგინების შეტანისას სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა.¹

1) „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ფორმით ახორციელებს. ამდენად, პირველი მოთხოვნის არსი სწორედ კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საერთო სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა, თუ იგი თავად განიხილავს საქმეს, რომელშიც სადავო აქტი უნდა იქნეს გამოყენებული. ეს მოთხოვნა კიდევ უფრო დაკონკრეტებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით. აღნიშნული ნორმა ადგენს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქმის განმხილველ სასამართლოს“.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „სასამართლოში საქმის განხილვად“. კერძოდ:

1997 წლის 27 მაისის განჩინების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს მოსამართლემ მ. კოტრიკაძემ. წარდგინებაში მოსამართლე აღნიშნავდა, რომ მის წარმოებაში იყო სარჩელი ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართ წინასწარი გამოძიების სტადიაზე შერჩეული აღკვეთის ღონისძიების – დაპატიმრების და წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების კანონიერების და დასაბუთებულობის შესახებ. მოსამართლემ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი ნორმა, რომელიც უნდა გამოყენებინა მას გადაწყვეტილების მისაღებად შეიძლებოდა ყოფილიყო არაკონსტიტუციური, რის გამოც, აღნიშნული ნორმის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად მან წარდგინებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. 1997 წლის 27 მაისის განჩინებით

¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის განჩინება, საქმე №1/3/99, თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული წარდგინება არ მიიღო არსებითად განსახილველად, რის ერთ-ერთ მოტივადაც განჩინებაში მიუთითა, რომ ბრალდებულის დაპატიმრების და ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შესახებ სარჩელის განხილვისას, სასამართლოში მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს არა მთლიანად „საქმეს“, არამედ მხოლოდ საჩივარს¹. ანუ, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ბრალდებულის დაპატიმრების და ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შესახებ სარჩელის განხილვა არ ნიშნავს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებულ „საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვას“;

თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე საკონსტიტუციო სასამართლომ 1999 წლის 22 აპრილის განჩინებაში მიუთითა, რომ „კონსტიტუციური წარდგინება შემოტანილია ისე, რომ შესაბამის სასამართლოში არ დაწყებულა საქმის განხილვა. საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე შეტანილია საჩივარი ზედამხედველობის წესით ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 24 აპრილის განჩინებაზე, მაგრამ არ არის შედგენილი პროტესტი, არაა იგი შეტანილი შესაბამის სასამართლოში და, ცხადია, არც საქმის განხილვა არ არის დაწყებული.“² აღნიშნული გარემოება კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განხილვაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

2) მეორე იმპერატიული მოთხოვნაა, რომ კონსტიტუციური წარდგინება უნდა შეიტანოს სასამართლომ. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვის უფლება პირველად 1929 წელს ავსტრიის სასამართლო სისტემაში დაინერგა, თუმცა ამ უფლებით მაშინ მხოლოდ უზენაესი სასამართლო სარგებლობდა. მოგვიანებით, ავსტრიის მოდელი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა სახელმწიფომ გაიზიარა. ამასთან, ეს უფლება გავრცელდა დაბალი ინსტანციების სასამართლოებზეც.³ ამჟამად იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც საკონსტიტუციო კონტროლის ეს ფორმა დამკვიდრდა, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარდგინებით მიმართვის უფლებით, როგორც წესი, ყველა ინსტანციის საერთო სასამართლო სარგებლობს (უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ლიტვა, სლოვაკეთი), თუმცა არის იშვიათი შემთხვევებიც, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვა მხოლოდ უზენაეს სასამართლოს შეუძლია. მაგალითად, ბულგარეთის კონსტიტუციის 150-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ კანონსა და კონსტიტუციას შორის დადგენილია

¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 მაისის განჩინება, საქმე №2/49/1, ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს წარდგინება.

² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის განჩინება, საქმე №1/3/99, თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება.

³ იხ. მითითებული წყარო: პ. შვარცი, გვ. 79.

შეუსაბამობა, უზენაესი საკასაციო სასამართლო ან უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო წყვეტს საქმეზე წარმოებას და შეკითხვით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.¹

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა საერთო სასამართლოების სისტემის ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, დღეის მდგომარეობით კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ყველა ინსტანციის სასამართლოს აქვს მიმართული.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება გაგამახვილოთ ერთ საკითხზე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქმის განმხილველი სასამართლოს წარდგინებად ითვლება საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის ან საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის გადაწყვეტილებით მიღებული წარდგინება. მოცემული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა შეუძლია როგორც მოსამართლეს ერთპიროვნულად, ისე, სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას. მითითებული პუნქტი, 42-ე მუხლს 2002 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაემატა. ამის მიზანშეწონილობა კი, განპირობებული იყო იმით, რომ მანამდე კანონმდებლობა მხოლოდ ზოგადად ადგენდა, რომ კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლებით „სასამართლო“ სარგებლობდა, ანუ მხოლოდ „სასამართლო“ იყო საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტი, „სასამართლოს“ ცნებაში, კი საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე არ მოიაზრებოდა. ამგვარი სამართლებრივი პოზიცია საკონსტიტუციო სასამართლომ, 1999 წლის 22 სექტემბრის განჩინებაში ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილ კონსტიტუციურ წარდგინებაზე დააფიქსირა. კერძოდ, განჩინებაში მითითებულია, რომ „საერთო სასამართლოების სისტემა განსაზღვრულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლით. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოებია რაიონული (საქალაქო) სასამართლო, საოლქო სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო. კონსტიტუციური წარდგინებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის განმხილველი სასამართლოა რაიონული სასამართლო და სწორედ იგია უფლებამოსილი, რომ წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის ვითარებას არ ცვლის ის გარემოება, რომ რაიონულ სასამართლოში საქმე მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად განიხილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოში შემოტანილი უნდა იყოს არა „ხაშურის რაიონის მოსამართლე კუკური კოჟორიძის“, არამედ ხაშურის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება. საკუთრივ მოსამართლე

¹ იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.1, с. 419.

კონსტიტუციურ წარდგინებასთან მიმართებით უფლებამოსილ სუბიექტად ვერ ჩაითვლება”.¹

პრაქტიკაში იყო სხვა შემთხვევებიც, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მოსამართლეები თავის სახელით მომართავდნენ, რაც წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი ხდებოდა. ასე მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის განჩინებაში აღნიშნულია, რომ „კონსტიტუციური წარდგინების ავტორობა სასამართლო ორგანოს პრეროგატივაა. წარდგინების შეტანა მოსამართლის სახელით არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და სასამართლო ორგანოს ერთგვარი ფუნქციური შეზღუდვის მანქანებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოში შემოტანილი უნდა იყოს არა „თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის ა. დურგლიშვილის”, არამედ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება. სასამართლო კოლეგია კვლავ მიუთითებს, რომ საკუთრივ მოსამართლე კონსტიტუციურ წარდგინებასთან მიმართებით უფლებამოსილ სუბიექტად ვერ ჩაითვლება”.²

ამდენად, 2002 წლის თებერვლის ცვლილებების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა შეუძლია, როგორც საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეს ასევე, საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას.

3) ზემოთხსენებული ნორმის მე-3 იმპერატიული მოთხოვნაა ის, რომ კონსტიტუციური წარდგინების შეტანისას სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა.

მოცემული ნაშრომის პირველ თავში აღვნიშნეთ, რომ ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში, სადაც საკონსტიტუციო კონტროლის ე.წ. „ამერიკული მოდელი“ ფუნქციონირებს, საკონსტიტუციო კონტროლი ყოველთვის კონკრეტული კონტროლის ფორმით ხორციელდება, ანუ, ყველა კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში. ამ თვალსაზრისით, ამერიკული მოდელის საკონსტიტუციო კონტროლის ფორმა წააგავს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებად კონტროლს. თუმცა, მათ შორის არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკული მოდელის პირობებში, თუ კონკრეტული საქმის განხილვისას საერთო იურისდიქციის სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ კონკრეტული კანონი ან მისი ნორმა, რომლის საფუძველზეც მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, არ შეესაბამება კონსტიტუციას, იგი წყვეტს საქმის განხილვას და თავადვე მსჯელობს საეჭვო ნორმის

¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის განჩინება, საქმე №1/6/115, ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება.

² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის განჩინება, საქმე №1/8/116, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება.

კონსტიტუციურობაზე¹, საქართველოში კი, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ცნობილი რუსი კონსტიტუციონალისტი მ. მიტიუკოვი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების კანონმდებლობების ანალიზის საფუძველზე გამოყოფს საერთო სასამართლოების მოქმედების სამ შესაძლო ვარიანტს კონსტიტუციური წარდგინების საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანისას. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში (ბელორუსი, ესტონეთი), თუ კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო მივა გადაწყვეტილებამდე, რომ ნორმატიული აქტი არ შეესაბამება კონსტიტუციას, იგი ღებულობს გადაწყვეტილებას კონსტიტუციის შესაბამისად და შემდეგ დადგენილი წესით აყენებს საკითხს ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე. სხვა სახელმწიფოებში (საქართველო, ყაზახეთი, ლიტვა, მოლდავეთი, უკრაინა, ტაჯიკეთი) თუ, მოსამართლეს გაუჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, იგი წყვეტს საქმის განხილვას და სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. დაბოლოს, რუსეთში შესაძლებელია ალტერნატიული მოქმედება: სასამართლო, ან პირდაპირ განიხილავს საქმეს კონსტიტუციის შესაბამისად, ან თუ, გაურკვეველია საკითხი კონკრეტულ საქმეში გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე, სასამართლო წყვეტს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.² მიგვაჩნია, რომ საერთო სასამართლოების მოქმედების ზემომითითებული ვარიანტებიდან, ყველაზე გამართლებული ქართული კანონმდებლობით დადგენილი პროცედურაა, რადგან ამა თუ იმ აქტის კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევა, სახელმწიფოში რომელშიც ფუნქციონირებს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანო, სწორედ ამ უკანასკნელს უნდა მივანდოთ. ამ მოსაზრების არგუმენტად, ჩვენი აზრით, ისიც საკმარისია, რომ თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას გადავხედავთ, დღევანდელი მდგომარეობით, სასამართლოში შემოსული 16 კონსტიტუციური წარდგინებიდან დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთი.

ზემოთ დასახელებული სამი მოთხოვნის გარდა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მეორე ნაწილი კიდევ ორ სავალდებულო დანაწესს შეიცავს. კერძოდ:

1) კონსტიტუციური წარდგინების ობიექტი მხოლოდ ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიძლება იყოს. ამასთან აუცილებელია, რომ ამ აქტს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს საქმის გადაწყვეტისათვის, ანუ, უნდა არსებობდეს ვარაუდი, რომ საეჭვო ნორმის არ არსებობის, ან მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემთხვევაში, სასამართლო საქმეზე სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა. ქ. თბილისის კრწანისის რაიონის

¹ შენიშვნა: ზოგიერთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო კონტროლი მხოლოდ უზენაესი სასამართლოს პრეროგატივაა, ამიტომ, თუ ქვედა ინსტანციის სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას წამოიჭრება ამგვარი საკითხი, საქმე ამ საკითხთა გადასაწყვეტად გადაეცემა უმაღლეს სასამართლო ინსტანციას.

² იხ. Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии, отв. редактор М.А. Митюков, М., 1998, с. 118.

სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1998 წლის 28 ოქტომბრის განჩინებაში მიუთითა, რომ ვინაიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1998 წლის 5 მარტის №85 ბრძანება მოქმედი კანონებისა და კანონმქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე გამოცემული ერთჯერადი, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია, იგი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯად აქტად ვერ მიიჩნევა¹;

2) საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება უნდა იყოს საფუძველიანი და დასაბუთებული. ამ მოთხოვნის შესახებ პირდაპირ არის მითითებული „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტში. აღნიშნული ნორმის თანახმად, „კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. მასში აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი ის მტკიცებულებები, რომლებიც წარდგინების ავტორის აზრით, ადასტურებენ წარდგინების საფუძველიანობას.“ ეს ნიშნავს, რომ წარდგინებაში სრულად უნდა იყოს მოყვანილი ყველა არგუმენტი, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ ივარაუდა, რომ ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი არაკონსტიტუციურია. აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთ გადაწყვეტილებაშიც არის ყურადღება გამახვილებული. მაგალითად: 1999 წლის 22 აპრილის განჩინებაში აღნიშნულია, რომ „თბილისის საქალაქო სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება არსებითად დაუსაბუთებელია. მასში მხოლოდ ზოგადად არის ნათქვამი, რომ სადავო დადგენილება თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს“²; 1999 წლის 30 ნოემბრის განჩინებაში მითითებულია, რომ „კონსტიტუციური წარდგინება საერთო სასამართლოში არსებული საქმის სათანადო მონაცემებით უნდა იყოს დასაბუთებული“.³

ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსული საერთო სასამართლოს ყოველი კონსტიტუციური წარდგინება სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ დასახელებულ მოთხოვნებს. ამასთან, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულია, თუ როგორი ფორმით უნდა იყოს იგი შედგენილი. ზემოთ ჩამოთვლილი თუნდაც ერთ-ერთი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა შეიძლება გახდეს კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

აქვე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე. საერთო სასამართლოდან შემოსული კონსტიტუციური წარდგინების განხილვის პროცედურა გარკვეული თავისებურებით გამოირჩევა. კერძოდ, მისი სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ საქმის განხილვა წარდგინების ავტორისა და იმ ორგანოს დაუსწრებლად მიმდინარეობს, რომლის აქტიც გახდა დავის საგანი („საქართველოს

¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის განჩინება, საქმე №1/8/90, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება.

² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის განჩინება, საქმე №1/3/99, თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება.

³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის განჩინება, საქმე №1/8/116, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება.

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამგვარი პროცედურა კი, თუ დაუშვებთ, რომ წარდგინება არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რომელიმე მოთხოვნას, გამორიცხავს ხარვეზის თუნდაც, გამწვესრიგებელ სხდომაზე გამოსწორების შესაძლებლობას.¹ ნიშანდობლივია ის სტატისტიკური მონაცემიც, რომლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსული 16 კონსტიტუციური წარდგინებიდან 11 არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად. ჩვენი აზრით, ყოველივე აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებას განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. 2008 წლის 1 იანვრისათვის საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსულია საერთო სასამართლოების 16 კონსტიტუციური წარდგინება, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული ყველა სარჩელის თუ წარდგინების 4%-ია. მათგან 11 არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად, ერთზე შეწყდა სამართალწარმოება განმწვესრიგებელ სხდომაზე, 3 არ დაკმაყოფილდა და მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა.

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინებების საფუძველზე განხილული საქმეებიდან აღსანიშნავია საქმე №1/51 – ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება. წარდგინებაში ჩუღურეთის რაიონის სასამართლო მიუთითებდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე და 96-ე მუხლებში დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაციის არსებობა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 1997 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მე-5 ნაწილის პირველი პუნქტი და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის სანქციის ის ნაწილი, რომელშიც დამატებითი სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო ქონების კონფისკაცია. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებული კონფისკაცია არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ საკუთრების ჩამორთმევას, რომლისთვისაც ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სათანადო ანაზღაურება. ამასთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქონების კონფისკაცია თავისი შედეგებით არ შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალობის ძირითად პრინციპს, რადგანაც იგი ჩვეულებრივ მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავეს, არამედ მისი უდანაშაულო ოჯახის წინააღმდეგ.”²

¹ შენიშვნა: პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც „პირთა“ კონსტიტუციურ სარჩელებში არსებული ხარვეზების გამოსწორება განმწვესრიგებელ სხდომაზე ხდება.

² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №1/51, ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება.

§4. კომპეტენციური და სხვა სახის დავების გადაჭრასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები

ამ ჯგუფს მივაკუთვნებთ უფლებამოსილებებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთ ფუნქციასთან – ხელისუფლების ორგანოებს შორის, ასევე ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოებს შორის კომპეტენციური მნიშვნელობისა და სხვა სახის საკითხების გადაჭრასთან არიან დაკავშირებული. კერძოდ, აღნიშნულ ჯგუფში, ჩვენი აზრით, უნდა გავაერთიანოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, რომელთა თანახმად საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს:

ა) დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე (საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);

ბ) დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე (საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი);

გ) საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი).

4.1 დავა სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციის თაობაზე

სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ კომპეტენციის შესახებ დავების განხილვა მრავალი სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ასე მაგალითად, კომპეტენციური დავების განხილვა შეუძლიათ ავსტრიის, რუსეთის, იტალიის, ალბანეთის, ესპანეთის, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოებს.

კომპეტენციური დავების განხილვა უშუალო კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრეს ატრიბუტთან – ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ სხვადასხვა თეორიები ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის სწავლულთა ნაშრომებში გვხვდება (პლატონი, არისტოტელე).¹ განსაკუთრებული როლი ხელისუფლების დანაწილების შესახებ მოძღვრების ჩამოყალიბებაში შარლ მონტესკიეს მიუძღვის. თავის წიგნში „კანონთა გონი“ იგი წერს, რომ სახელმწიფოში თავისუფალი წყობისა

¹ იხ. История политических учений, под ред. О.В. Мартышина, М., 2002, с. 43-61.

და პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ხელისუფლებათა განაწილება.¹ ხელისუფლების დანაწილება კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, რომლის თანახმად ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება განაწილებულია ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის. ამასთან, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ქმედითობის უზრუნველსაყოფად, ხელისუფლების სამი განშტოების მხოლოდ დამოუკიდებლობა და შეუვალობა საკმარისი არ არის, აუცილებელია სამივე მათგანი ადჭურვილი იყოს ურთიერთკონტროლისა და ურთიერთბოჭვის პროცედურებით.² ანუ, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მხოლოდ იმას კი არ გულისხმობს, რომ ხელისუფლება დანაწილებული იყოს სამ შტოდ, არამედ იგი ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების შესაბამისი მექანიზმების არსებობასაც ითვალისწინებს. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვან როლს ამ მექანიზმების ფუნქციონირებაში, კომპეტენციური მნიშვნელობის მქონე დაგების გადაჭრის გზით საკონსტიტუციო სასამართლოც თამაშობს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ხელისუფლების დანაწილების პრინციპს განამტკიცებს. კერძოდ, მოცემული ნორმის თანახმად, „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“, კერძოდ კი, საქართველოში ხელისუფლება დაყოფილია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად. პროფესორი ა. დემეტრაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სახელმწიფო ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური გამიჯვნა-გადანაწილებაა, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება იერარქიულად დამოუკიდებელი (უფლებამოსილების გამიჯვნა), საკუთარი კომპეტენციის მქონე (უფლებამოსილების გადანაწილება) სხვადასხვა განშტოებების მიერ.³ პროფესორი ჯ. ხეცურიანი აღნიშნავს, რომ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება დანაწილებულია როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ დონეზე.⁴ აქედან გამომდინარე, კომპეტენციური დაგების განხილვა ზოგადად, ორ დონეზეა შესაძლებელი – 1) ჰორიზონტალურ და 2) ვერტიკალურ დონეებზე.

ა) *კომპეტენციური დაგები ჰორიზონტალურ ჭრილში.* პირველ შემთხვევაში, კომპეტენციური მნიშვნელობის მქონე დაგებს თეორიულად შესაძლოა ადგილი ჰქონდეთ ხელისუფლების სამივე შტოს – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებების წარმომადგენელ ორგანოებს შორის. ეს საკითხი მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულად არის რეგულირებული. კერძოდ,

¹ იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994, წიგნი XI.

² იხ. ს. ჯორბენაძე, რ. კნიპერი, ლ. ჭანტურია, სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994, გვ. 32.

³ იხ. კონსტიტუციური სამართალი (სახელმძღვანელო), პასუხისმგებელი რედაქტორი ა. დემეტრაშვილი, თბ., 2005, გვ. 266.

⁴ იხ. ჯ. ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №3, გვ. 31.

ზოგიერთ სახელმწიფოში კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოებს ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენელ ორგანოებს შორის შეუძლიათ კომპეტენციური დავების განხილვა, ზოგში – მხოლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელ ორგანოებს შორის, ზოგშიც – სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელ ორგანოებს შორის. ასე მაგალითად: ხორვატიის კონსტიტუციის 125-ე მუხლის ადგენს, რომ ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს დავებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს შორის;¹ ანალოგიურად, აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხი (კონსტიტუციის 130-ე მუხლის, მე-3 ნაწილის მე-9 ქვეპუნქტი);² აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ბულგარეთში კომპეტენციური დავების განხილვა შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოებს შორის;³ ავსტრიაში, კი საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს დავები სასამართლოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს შორის, ასევე, სასამართლოებს შორის.⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია უფლებამოსილებით კომპეტენციური დავები განიხილოს ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენელ ორგანოებს შორის. ამასთან, საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ ამ ხელისუფლებებს. კერძოდ, საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი (მუხლი 48), აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა (მუხლი 78), ხოლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ სასამართლოები (მუხლი 82).

ბ) *კომპეტენციური დავები ვერტიკალურ ჭრილში.* მეორე შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოთა შორის ვერტიკალურ დონეზე უფლებამოსილებათა გამიჯვნის საფუძველი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობაა. კონსტიტუციური სამართლის თეორიაში განასხვავებენ ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ორ ძირითად ფორმას: უნიტარულს და ფედერაციულს. არსებითი განსხვავება მათ შორის გამოიხატება დეცენტრალიზაციის ხარისხში, ასევე ტერიტორიული ერთეულების ავტონომიურობაში. როგორც წესი, უნიტარული სახელმწიფო დაყოფილია ცენტრიდან ადმინისტრირებად ერთეულებად, ხოლო ფედერაციული სახელმწიფოს ერთეულები წარმოდგენენ სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნებს. ყოველ სახელმწიფოში, ცენტრსა და რეგიონებს (ფედერაციასა და მის სუბიექტებს) შორის კომპეტენციათა გამიჯვნის თავისებური მოდელი ფუნქციონირებს. ასეთი გამიჯვნის შედეგად, როგორც წესი,

¹ იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.3, с. 469.

² იხ. იქვე, Т.1, с. 162.

³ იხ. იქვე, Т.1, с. 419.

⁴ იხ. იქვე, Т.1, с. 99.

განსახელებენ: 1) ცენტრის (ფედერაციის) განსაკუთრებულ კომპეტენციას, 2) რეგიონის (ფედერაციის სუბიექტის) განსაკუთრებულ კომპეტენციას, 3) ერთობლივ (თანხვედნილ) კომპეტენციას და 4) ე.წ. ნარჩენ კომპეტენციას.¹ კომპეტენციას.¹

ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი საქართველოში დღემდე არ არის საბოლოოდ რეგულირებული. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა უნდა განისაზღვროს კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, თუმცა ეს, მხოლოდ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ გახდება შესაძლებელი. მანამდე კი, საქართველოს კონსტიტუცია: 1) ადგენს მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს (მე-3 მუხლის პირველი პუნქტი); 2) ითვალისწინებს, რომ ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე უნდა განისაზღვროს, თუმცა ეს მოთხოვნა ჯერჯერობით არ არის შესრულებული (მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი) და 3) განსაზღვრავს, რომ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი განისაზღვრება ცალკე კონსტიტუციური კანონებით. ამჟამად, მხოლოდ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი² მიღებული. ამდენად, არსებული მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს განსაზღვრავს. ცენტრსა და რეგიონს შორის კომპეტენციათა ამგვარი გამიჯვნა ითვალისწინებს იმას, რომ ისე როგორც, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არა აქვს უფლება მითთვისოს ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება, ასევე, არც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს აქვთ უფლება ჩაერიონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაჭრაში. აქედან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებს შორის კომპეტენციური დავის წარმოშობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად მიიჩნევს აქტს, რომელიც კონსტიტუციური ნორმებით გათვალისწინებულ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციურ ფარგლებს დაარღვევს.

გ) კომპეტენციური დავების მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს, რომ კომპეტენციური დავების განხილვის მნიშვნელობა და შესაბამისად, მათი სიხშირე, უნიტარულთან შედარებით უფრო მაღალია ფედერალურ სახელმწიფოებში. ამ უფლებამოსილებით, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ყოველი ფედერალური სახელმწიფოს კონსტიტუციური მართლმსაჯულების სპეციალიზებული ორგანო არის აღჭურვილი. კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში მოსაზრებაც კი

¹ დაწვრილებით იხ.: ო. მეღვაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბ., 2005, გვ. 157-158; Чиркин В.Е., Конституционное право зарубежных стран (третье издание), М., 2002, 190-193.

² კონსტიტუციური კანონის ტექსტი იხ.: სსმ, 2004, №16, 53-ე მუხლი.

არსებობს, რომ საკონსტიტუციო კონტროლი, პირველ რიგში, სწორედ ფედერალურ სახელმწიფოებში წარმოიშვა,¹ რაც ფედერალური კავშირების რაციონალიზაციის და ჰარმონიზაციის აუცილებლობით იყო განპირობებული. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითზე, პროფესორი ა. დემეტრაშვილი აღნიშნავს, რომ ეს არის სახელმწიფო, რომელიც კანონის საფუძველზე იმართება და ასეთი მდგომარეობის შენარჩუნების გარანტს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს.²

თუმცა, კომპეტენციური დაგების განხილვის უფლებამოსილებით საკონსტიტუციო სასამართლოების აღჭურვა საკმაოდ მნიშვნელოვანია უნიტარული სახელმწიფოებისთვისაც. განსაკუთრებით ეს ეხება რეგიონალურ და რთულ უნიტარულ სახელმწიფოებს, ანუ სახელმწიფოებს, რომლებშიც ავტონომიური წარმონაქმნები არსებობენ (იტალია, ესპანეთი, პორტუგალია). ამ სახელმწიფოებში, ცენტრსა და ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის ხშირია კომპეტენციური მნიშვნელობის მქონე კონფლიქტები. მათი გადაჭრით კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოები უზრუნველყოფენ, როგორც ავტონომიური წარმონაქმნების სამართლებრივი სტატუსის ხელშეუხებლობას, ასევე, სახელმწიფოს ერთიანობასა და მთლიანობას.

საქართველოში, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა კომპეტენციური დაგების განხილვის სფეროში უმნიშვნელოა. დღემდე, აღნიშნული საფუძველით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მხოლოდ ოთხი კონსტიტუციური საჩხელია შესული. მათგან სასამართლომ არსებითად ორი განიხილა და არცერთი არ დააკმაყოფილა.

ამდენად, აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ ცენტრსა და რეგიონებს შორის სხვადასხვა კომპეტენციური კონფლიქტის აღმოფხვრა უნდა იყოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ამ ამოცანის გადაჭრაში დღეის მდგომარეობით უმნიშვნელოა, თუმცა ვთვლით, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ კომპეტენციური დაგების განხილვის საკითხი მეტად აქტუალური გახდება. ამჟამად, საქართველო არის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს შემადგენლობაში ორი ავტონომიური რესპუბლიკის – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების არსებობას ითვალისწინებს, თუმცა, აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია დღემდე ვერ ვრცელდება. სავარაუდოდ, ავტონომიური წარმონაქმნი შიდა ქართლის ტერიტორიაზეც გაჩნდება. ამდენად, მომავალში როგორც არ უნდა განისაზღვროს საქართველოს ტერიტორიული მოწყობა, იქნება ის ფედერაციული თუ უნიტარული სახელმწიფო, მასში იქნება

¹ იხ. Овсеян Ж.И., Судебный конституционный контроль в зарубежных странах, Правовая защита Конституции, Ростов, 1992, с. 12.

² იხ. ა. დემეტრაშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის შესავალი სიტყვა საერთაშორისო სემინარზე „კონსტიტუციური კონტროლი ფედერალურ და უნიტარულ სახელმწიფოებში“, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2000, №1, გვ. 15.

განსაკუთრებული სტატუსის მქონე რეგიონალური ერთეულები თუ ავტონომიური წარმონაქმნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ასეთ ვითარებაში ბევრად გაიზრდება საკონსტიტუციო სასამართლოს როლი კომპეტენციური დაგების გადაჭრის საქმეში, რადგან სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს ფუნქცია უნდა იქცეს როგორც ტერიტორიული ერთეულების სამართლებრივი სტატუსის ხელშეუხებლობის, ასევე, სახელმწიფოს ერთიანობისა და მთლიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტად.

დ) საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტები. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კომპეტენციური დაგების განხილვა საქართველოში შესაძლებელია ხელისუფლების სამივე შტოს – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებების წარმომადგენელ ორგანოებს შორის. კონსტიტუციური ნორმა ადგენს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს კომპეტენციურ დაგებს მხოლოდ „სახელმწიფო ორგანოებს“ შორის. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს „სახელმწიფო ორგანოს“ დეფინიცია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის დაზუსტება, თუ რომელი ორგანოები უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფო ორგანოებად. ამასთან დაკავშირებით პროფესორი ჯ. ხეცურიანი განმარტავს, რომ „სახელმწიფო ორგანო, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი დაწესებულებაა (ან თანამდებობის პირია). ამდენად, ისინი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებია, ისინი აღჭურვილი არიან სახელისუფლებო უფლებამოსილებით, მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით და ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მხოლოდ ამ ნიშნების ერთობლიობა გამოარჩევს სახელმწიფო ორგანოებს არასახელმწიფო ორგანოებისაგან, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, აგრეთვე მთელი რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან.¹

აქვე ყურადღებას გავამახვილებთ ერთ საკითხზე. თეორიულად, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ნორმატიული აქტი შეიძლება გახდეს. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კომპეტენციის ფარგლების შესახებ კონსტიტუციური სარჩელით მიმართვა ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოს შეუძლია. საქართველოს კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს განსახილველ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტებს.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის ფარგლების შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენს, თუ იგი მიიჩნევს, რომ

¹ იხ. მითითებული წყარო: ჯ. ხეცურიანი, გვ. 34.

დარღვეულია მისი კომპეტენცია ან დაირღვა სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები; ასევე საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, თუ მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს პარლამენტის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს იდავოს არა მარტო საკუთარი კომპეტენციის თუ კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლების დარღვევაზე, არამედ „სხვა სახელმწიფო ორგანოს“ კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლების დარღვევის თაობაზეც. ანალოგიური უფლებით სარგებლობს საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედიც.

ამავდროულად, ზემომითთებული ნორმა განსაზღვრავს, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილებით საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფო ორგანოებიც სარგებლობენ, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევენ, რომ დარღვეულია უშუალოდ მათი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები, ანუ, პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედისგან განსხვავებით, მათ „სხვა სახელმწიფო ორგანოს“ კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლების დარღვევის თაობაზე არ შეუძლიათ იდავონ. კონსტიტუციის 89-ე მუხლში კი, პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის გარდა, ჩამოთვლილია შემდეგი სახელმწიფო ორგანოები: საქართველოს მთავრობა, სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები (აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოები).

დაბოლოს, კონსტიტუციური სარჩელი ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: პირველი არის ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი მხოლოდ ნორმატიული აქტი შეიძლება იყოს, ანუ კომპეტენციის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადავო სამართლებრივი აქტი ნორმატიული ხასიათისაა და მეორეც, არის ის, რომ უფლებამოსილების ფარგლები რომელსაც არღვევს სადავო ნორმატიული აქტი კონსტიტუციური ნორმებით უნდა იყოს გათვალისწინებული.

ე) *სასამართლო პრაქტიკა.* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც კომპეტენციური დავის განხილვისას „უარყოფილ იქნა“ კონსტიტუციური სარჩელი იმ მოტივით, რომ სადავო აქტი არ იყო ნორმატიული აქტი. კერძოდ, საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ“¹ დავის საგანი იყო „სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 1997 წლის 30 სექტემბრის №469 ბრძანების გამოცემით საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლთან მიმართებით. საქმის არსებითი განხილვისას გამოვლინდა, რომ დარღვეული იყო მითითებული სადავო აქტის მომზადების,

¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის განჩინება, საქმე №1/1/72-73, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ.

გამოქვეყნების, რეგისტრაციისა და ძალაში შესვლის წესები. აღნიშნულის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ აღარ შეაფასა საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებანი და არ შეეხო საკითხს იმის თაობაზე, დაირღვა თუ არა საქართველოს პარლამენტის კომპეტენცია სადავო აქტით. საბოლოოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით დაადგინა „უარყოფილი იქნეს საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ „სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 1997 წლის 30 სექტემბრის №469 ბრძანებით საქართველოს პარლამენტის კომპეტენციის დარღვევის თაობაზე იმის გამო, რომ აღნიშნული ბრძანება ვერ ჩაითვლება ნორმატიულ აქტად, ვინაიდან დარღვეულია მისი მომზადების, გამოქვეყნების, რეგისტრაციისა და ძალაში შესვლის წესები“.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია.

ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ საკითხზე. იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ხშირად, საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოები კომპეტენციური დავების განხილვის უფლებამოსილების რეალიზაციას, ირიბი ფორმით – სხვა უფლებამოსილებების რეალიზაციის პროცესში ახდენენ.¹ აღნიშნულ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ და ამის არგუმენტად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას მოვიშველიებთ.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2004 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ 67 დეპუტატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ აღნიშნულია, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ...საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება.“ გადაწყვეტილებაში ასევე მითითებულია, რომ „...რადგან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის განსაზღვრა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობის პრეროგატივად განისაზღვრა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის მიერ ამ საკითხის გადაწყვეტა ნიშნავს საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის მითვისებას და წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას“.² ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თავისი შინაარსით მოცემული საქმე კომპეტენციური დავა იყო საქართველოს

¹ იხ. Федерализм. Теория. Институты. Отношения (сравнительно-правовое исследование), отв. ред. В.Н. Топорнин, М., 2001, с. 304.

² გადაწყვეტილება იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2004, პასუხისმგ. ჯ. ხეცურიანი, თბ., 2005, გვ. 44-55.

ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის. თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იგი განიხილა არა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში, არამედ მითითებული კონსტიტუციური ნორმის „ა“ (საქართველოს კონსტიტუციასთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი) და „ვ“ (პირის სარჩელის საფუძველზე საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის საკითხებთან მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

4.2 დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე

2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონის¹ მიღებით საქართველოს კონსტიტუციაში ახალი ჩანაწერი გაჩნდა. კერძოდ, კონსტიტუციის მე-3 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი, რომელმაც დაადგინა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი უნდა განისაზღვროს საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“. კონსტიტუციის ამ მოთხოვნის შესრულება საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ 2004 წლის პირველი ივლისს შეძლო და მიიღო კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“.² იმავდროულად ახალი ჩანაწერი გაჩნდა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლში. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველ პუნქტს დაემატა „ვ“ ქვეპუნქტი, რომელმაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციური არსენალი კიდევ ერთი უფლებამოსილებით შეავსო. მას მიენიჭა უფლებამოსილება განიხილოს დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე³. აღნიშნული დებულება ოდნავ მოგვიანებით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონშიც აისახა⁴ (მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი).

ა) კონსტიტუციური კანონი, როგორც კონტროლის წყარო. შემომითითებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღიჭურვა უფლებამოსილებით განიხილოს დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე. უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ მითითებული ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების განმსაზღვრელ ნორმათა შორის განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ თუ სხვა შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივი ნორმების ან ქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე მსჯელობს, მოცემულ შემთხვევაში,

¹ კონსტიტუციური კანონის ტექსტი იხ.: სსმ, 2000, №15, 36-ე მუხლი.

² კონსტიტუციური კანონის ტექსტი იხ.: სსმ, 2004, №16, 53-ე მუხლი.

³ კონსტიტუციური კანონის ტექსტი იხ.: სსმ, 2004, №16, 54-ე მუხლი.

⁴ იხ. 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონი, სსმ, №37, 171-ე მუხლი.

შესაბამისობის დადგენა კონსტიტუციურ კანონთან მიმართებით ხდება,¹ ანუ კონტროლის წყარო ამ შემთხვევაში კონსტიტუციური კანონია. ნიშანდობლივია, რომ ერთი მხრივ, საქართველოს კანონმდებლობა კონსტიტუციურ კანონს კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად განიხილავს, თუმცა ამ შემთხვევაში, კანონმდებელმა კონსტიტუციური კანონის დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკე უფლებამოსილების სახით დააკისრა.

ბ) *კონტროლის სფერო.* შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ზოგადი ხასიათის ნორმაა, რადგან მისი შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება გახდეს ნებისმიერი საკითხი, რომელიც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევას შეეხება. იმისათვის, რომ ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნას კონკრეტულად რა სახის დავები შეიძლება წარმოიშვას მოცემული კონსტიტუციური კანონის დარღვევით, გადავხედოთ თავად კონსტიტუციურ კანონს.

კანონი შედგება 25 მუხლისგან. პირველი მუხლი ზოგად დებულებებს შეიცავს იმის თაობაზე, თუ რა საკითხები არის რეგულირებული ამ კანონით. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად კონსტიტუციური კანონი განსაზღვრავს: 1) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივ სტატუსს; 2) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების განხორციელების ძირითად ფორმებსა და პრინციპებს; 3) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებებსა და მათი განხორციელების წესს და 4) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის ტერიტორიული ერთეული, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილია. მას აქვს თავისი დროშა და გერბი. კანონში მოცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა ნუსხა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებათა საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, მოცემული კანონი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე. დასაშვებია მხოლოდ მოცემული კანონით გათვალისწინებული ხელისუფლების ორგანოების შექმნა. კანონი კი ადგენს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას. ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო კი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. იგი ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ

¹ შენიშვნა: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმატიული აქტების კანონიერების შემოწმებაც შეუძლია. დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

ხელისუფლებას და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. კანონი განამტკიცებს უმაღლესი საბჭოს არჩევნების პრინციპებს და არეგულირებს არჩევნებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს, ასევე, განსაზღვრავს მთავრობის ფორმირების წესს, მის უფლებამოსილებებს. კონსტიტუციური კანონით დადგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნისა და მთავრობის გადაყენების წესი, ასევე განსაზღვრულია რიგი სხვა საკითხებიც.

ამდენად, როგორც ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონით კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობათა საკმაოდ ფართო სპექტრი არის რეგულირებული. აქედან გამომდინარე, თეორიულად, მოცემული კონსტიტუციური კანონის დარღვევით მრავალი სახის დავა შეიძლება წარმოიშვას. თუმცა, კანონმდებლობა ორ დათქმას მაინც აწესებს:

პირველი არის ის, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. აღნიშნული ნორმის აზრიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი მხოლოდ სამართლებრივი აქტი შეიძლება გახდეს, ანუ ქმედება კონტროლის ობიექტი ვერ გახდება. თუმცა, ნორმა არ აზუსტებს რა სახის სამართლებრივ აქტებზე შეიძლება საკონსტიტუციო იურისდიქციის გავრცელება. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი აქტი ორი სახისაა – ნორმატიული და ინდივიდუალური. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლს დაექვემდებარება ნებისმიერი ნორმატიული ან ინდივიდუალური აქტი, რომელიც დაარღვევს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მოთხოვნას;

მეორეც არის ის, რომ კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს იმ სუბიექტთა წრეს, რომლებიც კონსტიტუციური კანონის დარღვევის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 41¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ეს სუბიექტები არიან: 1) საქართველოს პრეზიდენტი, 2) საქართველოს მთავრობა, 3) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი და 4) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. დღემდე, აღნიშნული

საფუძვლით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელი არ განუხილავს.

4.3 საქართველოს კონსტიტუციასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი

2004 წლის 25 ნოემბერს, ზემოთ მითითებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველ ქვეპუნქტს „კ“ ქვეპუნქტიც დაემატა¹. აღნიშნული ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო აღიჭურვა უფლებამოსილებით განიხილოს საქართველოს კონსტიტუციასთან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ არსენალში ეს არის მეორე უფლებამოსილება, რომელიც უშუალოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან მიმართებით სხვადასხვა სახის საკითხების გადაჭრასთან არის დაკავშირებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცენტრსა და რეგიონებს შორის კომპეტენციური დავების გადაჭრის უფლებამოსილებით მრავალი სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლო არის აღჭურვილი. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა გამოირჩევა იმით, რომ იგი საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკე ანიჭებს კომპეტენციური დავების გადაწყვეტის უფლებამოსილებას, რაც ცენტრსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის კომპეტენციური დავების განხილვასაც ითვალისწინებს და ცალკე ადგენს უფლებამოსილებებს, რომლებიც უშუალოდ ცენტრსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის სხვადასხვა სახის საკითხების გადაჭრასთან არიან დაკავშირებული² (მათ შორის ეს შეიძლება იყოს კომპეტენციური დავის შინაარსის მქონე საკითხიც). აღსანიშნავია, რომ მსგავსად არის რეგულირებული აღნიშნული საკითხი აზერბაიჯანშიც. კერძოდ, აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკე უფლებამოსილებების სახით აქვს მიკუთვნებული ერთი მხრივ, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის კომპეტენციური დავების განხილვის უფლება (კონსტიტუციის 130-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-9 ქვეპუნქტი) და მეორე მხრივ, ნახიფვანის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების აქტების აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობის საკითხის განხილვის უფლება (კონსტიტუციის 130-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 ქვეპუნქტი).³

¹ იხ. 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონი, სსმ, №37, 171-ე მუხლი.

² შენიშვნა: ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით დადგენილ უფლებამოსილებებს.

³ იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.1, с. 161-162.

ა) კანონიერების კონტროლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან მიმართებით სხვადასხვა სახის საკითხების გადასაჭრელად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია ორი უფლებამოსილებით. კერძოდ, იგი განიხილავს: 1) დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე და 2) საკითხს საქართველოს კონსტიტუციასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის შესახებ. თუ, პირველ შემთხვევაში, სადავო აქტის შემოწმება ხდება კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით, მეორე შემთხვევაში შეიძლება შემოწმდეს სადავო აქტის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან.

ზოგადად აღვნიშნავთ, რომ როგორც წესი, თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს ქმედებების ან სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობას. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მას შეუძლია შეამოწმოს სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობაც. ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი კი, მნიშვნელოვანია იმით, რომ მან საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციური ჩარჩოები კიდევ უფრო გაზარდა და მას ნორმატიული აქტების კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან შესაბამისობის შემოწმების უფლებაც მიანიჭა. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ კანონიერებაზე კონტროლის უფლებაც შეიძინა.

კანონიერებაზე კონტროლის უფლებამოსილებით კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოების აღჭურვას საზღვარგარეთის ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს. ასე მაგალითად: ლიტვის კონსტიტუციის 105-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის აქტების კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობის საკითხს;¹ სლოვაკეთის კონსტიტუციის 125-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს მთავრობის განკარგულებების, სამინისტროებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ცენტრალური ორგანოების ზოგადსაგადადებულო სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან, კონსტიტუციურ კანონებთან და კანონებთან შესაბამისობის თაობაზე;² ჩეხეთის კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ადგენენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იღებს

¹ იხ. იქვე, T. 2, c. 353.

² იხ. იქვე, T. 3, c.144.

გადაწყვეტილებას კანონის ან მისი ცალკეული დებულებების გაუქმების შესახებ, თუ ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ კანონს; ასევე, სხვა სამართლებრივი აქტის ან მისი ცალკეული დებულებების გაუქმების შესახებ, თუ ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ კანონს ან კანონს.¹ პოლონეთის კონსტიტუციის 188-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო ტრიბუნალი წყვეტს ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან, რატიფიცირებულ საერთაშორისო ხეკშეკრულებებთან და კანონებთან.²

ბ) *კონტროლის ობიექტები.* ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის იურისდიქცია ნებისმიერ ნორმატიულ ან ინდივიდუალურ აქტზე ვრცელდება, თუ ეს აქტი არღვევს კონსტიტუციური კანონის მოთხოვნას. ამისგან განსხვავებით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი პირდაპირ ადგენს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტები შეიძლება გახდნენ.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი ზოგადად ადგენს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიულ აქტთა ნუსხას, ხოლო კონკრეტულად რომელი ნორმატიული აქტების მიღება შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს განსაზღვრულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით. აღნიშნული კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი ნორმატიული აქტები: კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კანონი, უმაღლესი საბჭოს დადგენილება (მე-10 მუხლის პირველი პუნქტი). ამასთან, უმაღლესი საბჭოს ყველა დადგენილება როდი ჩაითვლება ნორმატიულ აქტად. საკადრო და პერსონალურ საკითხებთან დაკავშირებული დადგენილებები არანორმატიული აქტებია (მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი).

გ) *საქართველოს პარლამენტი – კონსტიტუციური წარდგინების ერთადერთი სუბიექტი.* განსახილველი უფლებამოსილების ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლებით სარგებლობს ერთადერთი სუბიექტი – საქართველოს პარლამენტი. აღსანიშნავია, რომ სხვა შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით ან წარდგინებით მიმართვის უფლებას პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს ან პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს³ ანიჭებს. მოცემულ შემთხვევაში,

¹ იხ. იქვე, T. 3, c. 514.

² იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები (ნაწილი II), პასუხისმგ. რედაქტორი ვ. გონაშვილი, თბ., 2006, გვ. 662.

³ შენიშვნა: საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტისა და კანონით გათვალისწინებული

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი განსაზღვრავს, რომ კონსტიტუციური წარდგინების შეტანის თაობაზე პარლამენტი დებულობს დადგენილებას (41^ე მუხლის პირველი პუნქტი). აღნიშნული დადგენილების მიღების წესზე პარლამენტის რეგლამენტის¹ 247-ე მუხლის 4^ე პუნქტი ადგენს, რომ იგი მიიღება საერთო წესით. საერთო წესს კი, საქართველოს კონსტიტუცია ამკვიდრებს. კერძოდ, 66-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პარლამენტში დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

ყურადღებას გავამახვილებთ განსახილველი უფლებამოსილების რეალიზაციასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ სპეციფიკურ გარემოებაზე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 41^ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს სადავო ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების უფლებას ცალკე დებულებითაც ანიჭებს. კერძოდ, ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები, მას შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება. თუმცა, ასეთ დროს სასამართლოს პრეროგატივაა განსაზღვროს საჭიროა თუ არა სადავო აქტის მოქმედების შეჩერება. არსებითი განსხვავება ზემოაღნიშნულ ორ შემთხვევას შორის არის ის, რომ საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღებისას სასამართლო ცალკე არ მსჯელობს სადავო აქტის შეჩერების თაობაზე, არამედ წარდგინების განსახილველად მიღება ავტომატურად იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებას. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ დათქმას, პარლამენტის ეს უფლებამოსილება ფაქტობრივად საკონსტიტუციო ზედამხედველობის რანგში აყავს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანო როგორც წესი, თავად სარგებლობს უფლებამოსილებით შეაჩეროს სხვა ორგანოს აქტის მოქმედება და საკითხი განსახილველად კონტროლის ორგანოს გადასცეს, რომლის გადაწყვეტილებაზეც არის დამოკიდებული აქტის საბოლოო გაუქმება. მოცემულ შემთხვევაში კი, მართალია პარლამენტი თვითონ ვერ აჩერებს სადავო აქტის მოქმედებას, მიუხედავად ამისა, ზემომითითებული ნორმების ანალიზი საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ეს ფაქტობრივად მაინც პარლამენტის ნებიდან გამომდინარეობს. ნიშანდობლივია ისიც, რომ კანონმდებლობა მხოლოდ საქართველოს

თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციის დარღვევის შესახებ დასკვნისათვის მიმართვისას („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 41-ე მუხლი).

¹ პარლამენტის რეგლამენტის ტექსტი იხ.: სსმ, 2004, №8, 38-ე მუხლი.

პარლამენტს ანიჭებს ზემოთ განხილულ უფლებამოსილებას. ამდენად, ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა პარლამენტს არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტად მოიზარებს, არამედ იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიულ აქტებზე საკონსტიტუციო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს რანგში აყავს.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკითხს საქართველოს კონსტიტუციასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის თაობაზე განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. დღემდე, აღნიშნული საფუძველით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საკითხი განსახილველად არ დამდგარა.

§5. კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ქმედებათა კონსტიტუციურობის დამდგენი უფლებამოსილებები

ზემოთ განვიხილეთ უფლებამოსილებები, რომელთა ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სხვადასხვა სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობას ამოწმებს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ არსენალში არის უფლებამოსილებები, რომელთა შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია ქმედებების კონსტიტუციურობაზეც იმსჯელოს. ამ შემთხვევებში საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი ქმედებაა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ ნიშნით, შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებიდან გამოვყოფთ ორი მათგანი. კონკრეტულად კი, ეს არის უფლებამოსილებები რომელთა ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს:

- 1) საქართველოს პრეზიდენტის და ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხს;
- 2) მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხს.

5.1 საქართველოს პრეზიდენტის და ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები სახელმწიფოს მეთაურისა და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენების სხვადასხვა პროცედურებს ითვალისწინებენ. მათ შორის ერთ-ერთია იმპიჩმენტის პროცედურა. იურიდიულ ლიტერატურაში იმპიჩმენტი განმარტებულია, როგორც მაღალი თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენების განსაკუთრებული წესი.¹ აღსანიშნავია, რომ იმპიჩმენტის ინსტიტუტი მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს

¹ იხ. ა. შუშანაშვილი, იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2000, გვ. 124-125.

კანონმდებლობაში არის განმტკიცებული. ეს ეხებათ როგორც საპრეზიდენტო ასევე, საპარლამენტო რესპუბლიკებს. ამასთან, სახელმწიფოებში, რომლებშიც კონსტიტუციური მართლმსაჯულების სპეციალიზებული ორგანოები ფუნქციონირებენ, ამ უკანასკნელთ, როგორც წესი, მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებაში. ასე მაგალითად, აღნიშნულ პროცედურაში მონაწილეობენ ავსტრიის, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის, იტალიის, ლიტვის, რუსეთის, სლოვაკეთის, სლოვენის, თურქეთის, ხორვატიის, ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოები.

იმპიჩმენტის ინსტიტუტი განმტკიცებულია საქართველოს კანონმდებლობაშიც. კონსტიტუციურად იგი აღიარებულია ძირითადი კანონის 63-ე, 64-ე და 75-ე მუხლებით, ხოლო განმარტებას იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს ეს ინსტიტუტი, გვთავაზობს საქართველოს ორგანული კანონი „იმპიჩმენტის შესახებ“.¹ კერძოდ, იმპიჩმენტი არის კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს დაღატაცისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადაყენების წესი (მუხლი 1).

„იმპიჩმენტის შესახებ“ ორგანული კანონით, ასევე, დაწვრილებით არის რეგულირებული იმპიჩმენტის პროცედურასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. განსახილველი საკითხის ინტერესიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგადად აღვწეროთ აღნიშნული პროცედურა.

ორგანული კანონის თანახმად, თუ არსებობს იმის საფუძველი, რომ ზემოთ მითითებულმა რომელიმე თანამდებობის პირმა ჩაიდინა ისეთი ქმედობა², როგორც არის კონსტიტუციის დარღვევა, სახელმწიფოს დაღატი ან სისხლის სამართლის სხვა დანაშაული, საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს უფლება აქვს აღძვრას პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი. თუ საკითხის აღძვრის საფუძველი თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევაა, მაშინ იგი დასკვნისათვის გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო თუ, მისი საფუძველი თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს დაღატაცის ან

¹ იხ. საქართველოს სახელმწიფო სამართალი (საკანონმდებლო აქტების კრებული), გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2004, გვ. 208-212.

² იმპიჩმენტის პროცედურასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის რეგულირებისას საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტში „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტსა და „იმპიჩმენტის შესახებ“ ორგანული კანონის ტექსტში იხმარება სიტყვა „ქმედობა“. მითითებულ შემთხვევებში საუბარია საქართველოს პრეზიდენტის ან ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირის „ქმედობაზე“, როგორც კონსტიტუციური სამართალდარღვევის ობიექტური მხარის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტზე. ვფიქრობთ, საქართველოს კანონმდებლობა არათანმიმდევრულია იმ თვალსაზრისით, რომ სხვა შემთხვევაში, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 248-ე მუხლის მე-3 პუნქტში, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის აღწერისას იყენებს სიტყვა „ქმედებას“ და არა „ქმედობას“ (იხ. სსმ, 2004, №8, 38-ე მუხლი, გვ. 67). ნიშანდობლივია ისიც, რომ სისხლის სამართლის დანაშაულზე საუბრისას კანონმდებელი ხმარობს არა სიტყვა „ქმედობას“ არამედ, სიტყვა „ქმედებას“ (სსკ-ის მე-7 მუხლი). ამ ნაშრომში ორივე სიტყვა ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება.

სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენაა მაშინ საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. მას შემდეგ, რაც უზენაესი სასამართლო დასკვნით დაადასტურებს თანამდებობის პირის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობას, ან საკონსტიტუციო სასამართლო – კონსტიტუციის დარღვევას, პარლამენტი შეუდგება დასკვნის განხილვას. თუ საქმე საქართველოს პრეზიდენტს ეხება, პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის კენჭისყრაზე დასმის შესახებ და თუ ეს საკითხი დაისვა, საქართველოს პრეზიდენტი ჩაითვლება თანამდებობიდან გადაყენებულად, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა. ხოლო, თუ საქმე ეხება კანონით განსაზღვრულ სხვა თანამდებობის პირებს, შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ კენჭისყრაზე საკითხი ავტომატურად დაისმება და თანამდებობის პირი ჩაითვლება თანამდებობიდან გადაყენებულად, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

ამდენად, მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს მსგავსად, საქართველოშიც იმპიჩმენტის პროცედურის ერთ-ერთი მონაწილე სუბიექტი, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოა. მისი ეს უფლებამოსილება, ზოგადად, კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებიდან გამომდინარეობს, თუმცა, პირდაპირ ამის თაობაზე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში არის მითითებული. აღნიშნული ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი.¹

ზოგადად, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იმპიჩმენტის პროცედურაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოები, როგორც წესი, ორი ძირითადი ფორმით მონაწილეობენ. კერძოდ, სახელმწიფოთა ერთ ნაწილში ისინი თავად ღებულობენ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე (გერმანია, ავსტრია, სლოვენია, იტალია, უნგრეთი, ხორვატია, ჩეხეთი). მაგალითად, გერმანიის ძირითადი კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ ფედერალური პრეზიდენტი ბრალეულია ძირითადი კანონის ან რომელიმე ფედერალური კანონის განზრახ

¹ 2008 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მიღებამდე იმპიჩმენტის პროცედურა ვრცელდებოდა საქართველოს გენერალურ პროკურორზეც. მითითებული კონსტიტუციური კანონის მიღებით პროკურატურის ორგანოები შევიდნენ იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, მათ საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი. ამ ცვლილების შედეგად გენერალური პროკურორი იმპიჩმენტის პროცედურას აღარ ექვემდებარება.

დარღვევაში, მას შეუძლია მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების შეწყვეტა.¹ სახელმწიფოთა მეორე ნაწილში, კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოები მხოლოდ დასკვნებს იძლევიან იმპიჩმენტის პროცედურასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე (რუმინეთი, რუსეთი, ბულგარეთი, სომხეთი). მაგალითად, რუმინეთის კონსტიტუციის 144-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გასცეს საკონსულტაციო დასკვნა რუმინეთის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე,² რუსეთის კონსტიტუციის 125-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო იძლევა დასკვნას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდების წაყენების დადგენილი წესის დაცვის თაობაზე.³

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე, 64-ე და 75-ე მუხლების, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 41-ე მუხლის, ასევე, „იმპიჩმენტის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იძლევა დასკვნებს პრეზიდენტისა და კანონით დადგენილი ზოგიერთი თანამდებობის პირის ქმედობის კონსტიტუციურობაზე, ხოლო საბოლოო დასკვნას ღებულობს საქართველოს პარლამენტი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია უფლებამოსილებით შეამოწმოს თანამდებობის პირთა ქმედებების მხოლოდ კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი (ლიტვა, გერმანია), ზოგი – აფასებს თანამდებობის პირთა ქმედებებს, მასში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის თვალსაზრისით (ჩეხეთი, თურქეთი, სომხეთი, სლოვაკეთი), ზოგიც მსჯელობს როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივ ისე სისხლის-სამართლებრივ საკითხებზე (იტალია, ბულგარეთი).

საქართველოში იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი არის თანამდებობის პირის ისეთი ქმედობა, როგორც არის: ა) კონსტიტუციის დარღვევა, ბ) სახელმწიფოს ღალატი ან სისხლის სამართლის სხვა დანაშაული. აქედან, საქართველოს კანონმდებლობამ კონსტიტუციის დარღვევის დადასტურება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დააკისრა, ხოლო სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების – საქართველოს უზენაეს სასამართლოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა კონსტიტუციური სამართალდარღვევის (დელიქტის) ჩადენის თაობაზე დასკვნის გაკეთება, ხოლო უზენაესი სასამართლო სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნების არსებობას აფასებს.

ამდენად, განსახილველი უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო აკეთებს დასკვნას ქმედობის

¹ იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.1, с. 598.

² იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები (ნაწილი III), პასუხისმ. რედაქტორი ვ. გონაშვილი, თბ., 2006, გვ. 594.

³ იხ. იქვე, ნაწილი I, გვ. 319-320.

კონსტიტუციურობაზე, ანუ მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი თანამდებობის პირთა ქმედობაა.

თანამდებობის პირთა ქმედობების კონსტიტუციურობის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს არის თუ არა ქმედობებში კონსტიტუციური სამართალდარღვევის ნიშნები, ანუ, ჩაიდინა თუ არა თანამდებობის პირმა კონსტიტუციური დელიქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ თანამდებობის პირთა როგორი ქმედობა ჩაითვლება კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, ანუ კონსტიტუციურ სამართალდარღვევად (დელიქტად).

იურიდიულ ლიტერატურაში კონსტიტუციური სამართალდარღვევის (დელიქტის) ცნების სხვადასხვა განმარტება არსებობს. პ. ცნობილადის აზრით, ეს არის კონსტიტუციური სამართლის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) ქცევა, რომელიც არღვევს კონსტიტუციური სამართლის ნორმებს და ამასთანავე არ წარმოადგენს არც სისხლისსამართლებრივ, არც ადმინისტრაციულ, არც სამოქალაქო ან დისციპლინურ სამართალდარღვევას და რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.¹ პასუხისმგებლობა.¹ ვ. ლუჩინი აღნიშნავს, რომ კონსტიტუციური დელიქტი არის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც არ შეესაბამება სათანადო ქცევას და იწვევს კონსტიტუციური პასუხისმგებლობის ზომების მიღებას.² ამასთან, იურიდიულ ლიტერატურაში კონსტიტუციური სამართალდარღვევის ოთხ სტრუქტურულ ერთეულზეა მითითებული. ესენია: 1) სუბიექტი, 2) ობიექტი, 3) სუბიექტური მხარე და 4) ობიექტური მხარე.³

ა) *კონსტიტუციური სამართალდარღვევის სუბიექტი.* კონსტიტუციური სამართალდარღვევის (დელიქტის) შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია მისი სუბიექტი. სუბიექტი არის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელმაც ჩაიდინა კონსტიტუციურ-სამართლებრივი დელიქტი, ანუ ქმედება, რომელიც არღვევს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმის დისპოზიციით განსაზღვრულ ქცევის წესს და უნარი აქვს კონსტიტუციური სამართლის ნორმების შესაბამისად იყოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის მატარებელი.⁴

როდესაც ვსაუბრობთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს ქმედობების კონსტიტუციურობას, ანუ იმას, არის თუ არა ქმედობებში კონსტიტუციური სამართალდარღვევის ნიშნები, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რომელი სუბიექტების ჩადენილ ქმედობებზე ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ერთ ნაწილში კონსტიტუციური მართლმსაჯულების იურისდიქციას მხოლოდ

¹ იხ. პ. ცნობილადი, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი (ტომი I), თბ., 2004, გვ. 67.

² იხ. Лучин В.О., Конституционные деликты, журн. Государство и право, 2000, №1, с. 12.

³ იხ. Лучин В.О., Конституция Российской Федерации, проблемы реализации, М., 2002, с. 290.

⁴ იხ. Виноградов В.А., Понятие и особенности конституционно-правовой ответственности: Проблемы России, опыт зарубежных стран, М., 2003, с. 54-55.

სახელმწიფოს მეთაურის მიმართ სხვადასხვა ბრალდებების განხილვა ექვემდებარება. ჩეხეთში საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სენატის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის წაყენებული კონსტიტუციური ბრალდების თაობაზე (ჩეხეთის კონსტიტუციის 87-ე მუხლი).¹ ხორვატიის კონსტიტუციის 128-ე მუხლის თანახმად, ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის შესაბამისად წყვეტს რესპუბლიკის პრეზიდენტის იმპინმენტის საკითხს.²

რიგ სახელმწიფოებში კი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოები ამოწმებენ როგორც სახელმწიფოს მეთაურის, ასევე სხვა თანამდებობების პირთა ქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობას, მათ ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობას. ასე მაგალითად, ბულგარეთის კონსტიტუციის 149-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სახალხო ყრილობის მიერ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის მიმართ წარდგენილ ბრალდებებზე.³ ლიტვის კონსტიტუციის 105-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ იმპინმენტის წესით სეიმის წევრებისა და სახელმწიფო პირების მიმართ საქმის აღძვრის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო განსაზღვრავს თუ რამდენად შეესაბამება დასახელებულ პირთა კონკრეტული ქმედებები კონსტიტუციას.⁴ სხვადასხვა თანამდებობის პირთა ვრცელ ჩამონათვალს მოიცავს თურქეთის კონსტიტუციის 148-ე მუხლი. კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც უზენაესი სასამართლო, განიხილავს რესპუბლიკის პრეზიდენტის, მინისტრთა საბჭოს წევრების, საკონსტიტუციო სასამართლოს, უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს, სახელმწიფო საბჭოს, უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოს, უმაღლესი სამხედრო ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეებისა და წევრების, მათი მთავარი პროკურორების, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეების, ასევე მოსამართლეების და პროკურორების, უზენაესი საბჭოსა და აუდიტორული სასამართლოს თავმჯდომარეებისა და წევრების საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულის საქმეებს.⁵

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება გახდეს, როგორც პრეზიდენტის ასევე სხვა თანამდებობის პირთა ქმედობები. კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში, პრეზიდენტის გარდა, კონსტიტუციური მართლმსაჯულების იურისდიქცია ვრცელდება:

1) სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელ თანამდებობის პირზე – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე („საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის⁶ 23-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები);

¹ იხ. მითითებული წყარო: საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, გვ. 514.

² იხ. იქვე, ნაწილი III, გვ. 852.

³ იხ. მითითებული წყარო: Конституции государств Европы, Т. 1, с. 419.

⁴ იხ. იქვე: Т. 2, с. 353.

⁵ იხ. მითითებული წყარო: საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, გვ. 369.

⁶ ორგანული კანონის ტექსტი იხ.: საქართველოს სამართალდამცავი, უფლებადამცავი, სასამართლო და მაკონტროლებელი ორგანოები (კანონთა კრებული), გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2004, გვ. 134-148; სსმ, 1999, №14, 62-ე მუხლი.

2) აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირებზე – საქართველოს მთავრობის წევრებზე („საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” კანონის¹ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე” ქვეპუნქტი, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტი). საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები).

3) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეზე („საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ” კანონის² მე-10 მუხლი);

4) საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებზე („საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” ორგანული კანონის³ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციის 96-ე მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკის საბჭო ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა. „ეროვნული ბანკის შესახებ” ორგანული კანონის მე-7 მუხლი ადგენს, რომ საბჭო შედგება 5 წევრისგან – თავმჯდომარის (ეროვნული ბანკის პრეზიდენტი), ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის და სხვა წევრებისგან.

ბ) კონსტიტუციური სამართალდარღვევის ობიექტი. კონსტიტუციური სამართალდარღვევის (დელიქტის) მნიშვნელოვანი ელემენტია მისი ობიექტი, რაც არის ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლებსაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი დელიქტის ჩადენით ხელყოფს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი.⁴ ეს ნიშნავს, რომ ქმედება, რომელიც შეიცავს კონსტიტუციური სამართალდარღვევის ნიშნებს აუცილებლად ხელყოფს კონსტიტუციური ნორმებით დაცულ ამა თუ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ანუ დელიქტის ობიექტს.

პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირების ქმედებებით, კონსტიტუციური ნორმებით დაცული მრავალი საზოგადოებრივი ურთიერთობა შეიძლება დაირღვეს, რაც მათი იმპინჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საფუძველიც შეიძლება გახდეს. ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დავაზუსტოთ თუ რა ნორმებზეა საუბარი და რა საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ ისინი?

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში კონსტიტუციური სამართლის ნორმების კლასიფიკაცია სხვადასხვა საფუძველით ხდება. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კლასიფიკაციაა ნორმის შინაარსის ხასიათი, რომელიც კონსტიტუციური ნორმის მარეგულირებელი ზემოქმედების მექანიზმზე მიუთითებს. ამ ნიშნის მიხედვით განასხვავებენ აღმჭურველ, მავალეებელ და ამკრძალავ

¹ კანონის ტექსტი იხ.: საქართველოს სახელმწიფო სამართალი (საკანონმდებლო აქტების კრებული), გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2004, გვ. 74-93; სსმ, 2004, №3, მე-7 მუხლი.

² კანონის ტექსტი იხ.: საქართველოს კანონთა წიგნი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური გამოცემა), ტ. I, საკონსტიტუციო კანონმდებლობა, თბ., 2003, გვ. 108-200.

³ ორგანული კანონის ტექსტი იხ.: საქართველოს საბანკო კანონმდებლობა (ნორმატიული აქტების კრებული), გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2001, გვ. 7-43; პარლამენტის უწყებანი, 1996, №17, გვ. 15.

⁴ იხ. მითითებული წყარო: Виноградов В.А., с. 40.

ნორმებს.¹ აღმჭურველი ნორმები კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს ანიჭებენ უფლებებს შეასრულონ გარკვეული მოქმედებები. ასეთი ნორმები ფაქტიურად განსაზღვრავენ მათი უფლებამოსილებების ფარგლებს. მავალბელი კონსტიტუციური ნორმები ადგენენ განსაზღვრული მოქმედების შესრულების მოვალეობას, ხოლო ამკრძალავი კონსტიტუციური ნორმები კრძალავენ განსაზღვრული მოქმედების შესრულებას. მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირების მიერ მავალბელი ან ამკრძალავი კონსტიტუციური ნორმების დარღვევა, ანუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების ხელყოფა, რომლებიც ამ ნორმებით არიან დაცული, თეორიულად ყოველთვის შესაძლებელია მათი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი გახდეს. ასე მაგალითად:

საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ზოგადად ადგენს, რომ საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად. შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი დებულება ერთი მხრივ, აღჭურავს პრეზიდენტს გარკვეული უფლებებით და მეორე მხრივ, ავალდებულებს შეასრულოს გარკვეული მოქმედებები. ასე მაგალითად, თუ ერთი მხრივ, პრეზიდენტი უფლებამოსილია უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და მთლიანობა, მეორე მხრივ, იგი ვალდებულიც არის შეასრულოს ეს. აქედან გამომდინარე, თუ პრეზიდენტის რაიმე ქმედობა საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას, იგი დაარღვევს კონსტიტუციის ზემომითითებული ნორმის მოთხოვნას, რაც მისი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი შეიძლება გახდეს. სამართალდარღვევის ობიექტი კი ამ შემთხვევაში იქნება საქართველოს ერთიანობა და მთლიანობა;

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პრემიერ-მინისტრი პარლამენტის მოთხოვნით წარუდგენს მას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს. მოცემულ შემთხვევაში კონსტიტუციური ნორმა მავალბელი ხასიათისაა, რადგან პარლამენტის მოთხოვნის შემთხვევაში იგი პრემიერ-მინისტრს აკისრებს ვალდებულებას შეასრულოს შესაბამისი მოქმედება – წარადგინოს ანგარიში სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. აქედან გამომდინარე, თუ პრემიერ-მინისტრი არ შეასრულებს კონსტიტუციის ზემომითითებული ნორმის მოთხოვნას, მისი ქმედება არაკონსტიტუციური იქნება, რაც მისი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი შეიძლება გახდეს;

საქართველოს კონსტიტუციის 81² მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მთავრობის წევრს უფლება არ აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, დააფუძნოს საწარმო, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს რაიმე სხვა საქმიანობიდან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი საქმიანობისა. მოცემული ნორმა ამკრძალავი ხასიათისაა. იგი უკრძალავს მთავრობის წევრებს კონკრეტული მოქმედებების შესრულებას. ამიტომ თუ, მთავრობის წევრი

¹ იხ. პ. ცნობილადე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი (სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის), ტომი I, თბ., 2004, გვ. 33.

დააფუძნებს საწარმოს, იგი დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციის მითითებული ნორმის მოთხოვნას, რაც შეიძლება გახდეს მის მიმართ იმპინჩმენტის პროცედურის განხორციელების საფუძველი.

საქართველოს პრეზიდენტის იმპინჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი შეიძლება მის მიერ ფიცის დარღვევაც გახდეს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს კონსტიტუციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ პრეზიდენტის მიერ ფიცის დარღვევა შესაძლოა გახდეს მისი თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი. ასე მაგალითად, ლიტვის კონსტიტუციის 86-ე მუხლის თანახმად, ფიცის უხეში დარღვევის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება ვადამდე იქნას თანამდებობიდან გადაყენებული.¹ საქართველოს კონსტიტუციაში ამგვარი დათქმა არ არსებობს, მაგრამ ვინაიდან, ფიცის ტექსტი კონსტიტუციური ნორმით არის განმტკიცებული (მუხლი 71), მისი დარღვევა თავისთავად კონსტიტუციის დარღვევას გულისხმობს.

საქართველოს პრეზიდენტის ფიცის ტექსტიდან კი, პრეზიდენტის შემდეგი ვალდებულებები გამომდინარეობს: 1) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, 2) დაიცვას ქვეყნის დამოუკიდებლობა, ერთიანობა და განუყოფლობა, 3) კეთილსინდისიერად აღასრულოს პრეზიდენტის მოვალეობა, 4) უზრუნველყოს ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა, 5) იზრუნოს ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის.

გ) *კონსტიტუციური სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე.* კონსტიტუციური სამართალდარღვევის (დელიქტის) შემდეგი ელემენტია სუბიექტური მხარე. სუბიექტური მხარე ასახავს სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას სათანადო ქცევის შეუსაბამო ქმედებასთან და მისგან გამოწვეულ შედეგთან.² სუბიექტური მხარის აუცილებელი ელემენტია ბრალი. სისხლის სამართლისგან განსხვავებით, კონსტიტუციურ სამართალში ბრალი სპეციფიკურობით ხასიათდება. ამას, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციური სამართლის ნორმებით რეგულირებადი ურთიერთობების თავისებურება განაპირობებს. სისხლის სამართალში დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციისას მნიშვნელოვანია ბრალის ფორმის განსაზღვრა, კონსტიტუციურ სამართალში კი, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან უმეტეს შემთხვევაში, პასუხისმგებლობისათვის ბრალის ნებისმიერი ფორმის არსებობაა საკმარისი. მიუხედავად ამისა მიგვაჩნია, რომ თანამდებობის პირთა ქმედობების კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლომ ბრალეულობის საკითხზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება.

თანამდებობის პირთა ბრალეულობა, ჩვენი აზრით, შეიძლება განვიხილოთ ზოგადი წესის შესაბამისად, როგორც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებასა და მისგან გამომდინარე შედეგთან. სისხლის სამართლის მსგავსად კონსტიტუციურ სამართალშიც უნდა განვასხვავოთ ბრალის ორი ფორმა: განზრახვა და გაუფრთხილებლობა.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი დელიქტი განზრახვია, თუ მისი ჩამდენი პირი აცნობიერებდა მოქმედების თუ უმოქმედობის არამართლზომიერ ხასიათს, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და

¹ იხ. მითითებული წყარო: Конституции государств Европы, Т. 2, с. 348.

² იხ. მითითებული წყარო: Лучин В.О., Конституция Российской Федерации..., с. 292.

სურდა ან შეგნებულად უშვებდა ამ შედეგების დადგომას. გაუფრთხილებლობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დელიქტის ჩამდენი პირი ითვალისწინებდა მისი ქმედებების მავნე ან სახიფათო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა მათ თავიდან აცილებას, ან ვერ ითვალისწინებდა ამგვარი შედეგების დადგომას, მაგრამ უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა იგი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტიტუციურ-სამართლებრივი დარღვევების შემცველი სამართლებრივი ნორმების უმრავლესობა არ აკონკრეტებს ბრალის რა ფორმით უნდა იქნეს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება. მათი ჩადენა შესაძლებელია როგორც განზრახვით, ასევე გაუფრთხილებლობით. ასე მაგალითად, სომხეთის კონსტიტუციის 57-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან მის მიერ სახელმწიფო დალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.¹ ლიტვის კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაზე ადრე გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ მის მიერ კონსტიტუციისა და ფიცის უხეში დარღვევისას, ასევე, დანაშაულის ჩადენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში.²

ზემომოყვანილი მაგალითების მსგავსად, არც საქართველოს კანონმდებლობა მიუთითებს ბრალის კონკრეტულ ფორმაზე, რომელიც შეიძლება გახდეს თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი. კონსტიტუციური ნორმები ზოგადად ადგენენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის და ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია მათ მიერ „კონსტიტუციის დარღვევის“ შემთხვევაში (75-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 64-ე მუხლის პირველი პუნქტი), ანუ არა აქვს არსებითი მნიშვნელობა თანამდებობის პირი კონსტიტუციას დაარღვევს განზრახი თუ გაუფრთხილებელი ქმედებით.

მსოფლოს სხვადასხვა სახელმწიფოს მაგალითზე აღვნიშნავთ, რომ რიგ შემთხვევებში, ბრალის ფორმა ნორმაში პირდაპირ არ არის მითითებული, თუმცა იგი თავისთავად გამომდინარეობს ნორმის შინაარსიდან. ასე მაგალითად, სლოვაკეთის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაზე უარი ან ფიცის დადება შენიშვნებით (დათქმებით) იწვევს პრეზიდენტის არჩევნების გაუქმებულად ცნობას.³ ცხადია, პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაზე უარი შეუძლებელია გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება იყოს, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ნორმა სამართალდარღვევის (დელიქტის) განზრახ ჩადენას ითვალისწინებს.

ამავდროულად, ზოგიერთ შემთხვევაში ნორმა პირდაპირ მიუთითებს ბრალის ფორმაზე. გერმანიის ძირითადი კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ თუ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს ფედერალური პრეზიდენტის

¹ იხ. მითითებული წყარო: Конституции государств Европы, Т. 1, с. 271.

² იხ. იქვე, Т. 2, с. 348.

³ იხ. იქვე, Т. 3, с. 140.

ბრალეულობას ძირითადი ან რომელიმე ფედერალური კანონის განზრახ დარღვევაში, სასამართლოს შეუძლია პრეზიდენტის თანამდებობიდან ჩამოცილება.¹ უნგრეთის კონსტიტუციის §31-ის მე-4 პუნქტის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება განთავისუფლდეს თანამდებობიდან, თუ უფლებამოსილებების განხორციელებისას შეგნებულად დაარღვევს კონსტიტუციას ან სხვა რომელიმე კანონს.² საბერძნეთის კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი აკონკრეტებს, რომ პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი დგება მხოლოდ მის მიერ სახელმწიფო ღალატის ჩადენის ან კონსტიტუციის წინასწარი განზრახვით დარღვევის შემთხვევაში.³

საინტერესო ნორმაა განმტკიცებული გერმანიის ძირითად კანონში. ბრალის ფორმიდან გამომდინარე იგი განსხვავებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სანქციებს ადგენს. კერძოდ, 98-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ ფედერალური მოსამართლე თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას ან არასამსახურებრივი საქმიანობისას დაარღვევს ძირითადი კანონის პრინციპებს ან ხელყოფს რომელიმე მიწის კონსტიტუციურ წყობას, ბუნდესტაგის შუამდგომლობის საფუძველზე ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია შესაბამისი ზომების მიღება რათა მოსამართლე გადაყვანილ იქნეს სხვა თანამდებობაზე ან განთავისუფლდეს თანამდებობიდან, ხოლო მოსამართლის მიერ განზრახ ჩადენილი დარღვევის შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მისი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.⁴

დ) *კონსტიტუციური სამართალდარღვევის ობიექტური მხარე.* კონსტიტუციური სამართალდარღვევის (დელიქტის) მნიშვნელოვანი ელემენტია მისი ობიექტური მხარეც, რომელიც კონსტიტუციურ-სამართლებრივი დარღვევის გარეგნულ მხარეს წარმოაჩენს. იგი შეიცავს სამართალდარღვევის გარეგანი ნიშნების დახასიათებას, თვით ქმედებისა და იმ შედეგის აღწერას, რომელიც ზიანს აყენებს კონსტიტუციურ-სამართლებრივი დელიქტის ობიექტს. თავის მხრივ, ობიექტური მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ქმედება.⁵

ქმედება შეიძლება აისახოს როგორც მოქმედებაში ასევე უმოქმედობაში, რომელიც უშუალოდ აყენებს ზიანს კონსტიტუციურ-სამართლებრივი დელიქტის ობიექტს. მოქმედება არის სუბიექტის აქტიური ქცევა, ხოლო უმოქმედობა – პასიური ქცევა, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების დანაწესების შეუსრულებლობა, რასაც საზოგადოებისათვის მავნე შედეგი მოჰყვება.⁶ ამდენად, საქართველოს პრეზიდენტმა, ისე როგორც სხვა თანამდებობის პირებმა, საქართველოს კონსტიტუცია შეიძლება დაარღვიონ როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ასე მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 72-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო

¹ იხ. იქვე, T. 1, c. 598.

² იხ. იქვე, T. 1, c. 549.

³ იხ. იქვე, T. 1, c. 665.

⁴ იხ. იქვე, T. 1, c. 614.

⁵ იხ. მითითებული წყარო: Виноградов В. А., с. 43-44.

⁶ იხ. იქვე, c. 44.

საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის. ამიტომ თუ, პრეზიდენტი ჩაებმევა სამეწარმეო საქმიანობაში, იგი მოქმედებით დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციის მითითებული ნორმის მოთხოვნას, რაც შეიძლება გახდეს მის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელების საფუძველი.

კონსტიტუციის დარღვევა შესაძლებელია უმოქმედობითაც. ასე მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, კონტროლის პალატა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს. ამდენად, აღნიშნული ნორმა ავალდებულებს კონტროლის პალატას შეასრულოს კონკრეტული მოქმედებები. „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ კანონის¹ მე-11 მუხლის თანახმად, მითითებულ მოქმედებებს კონტროლის პალატის სახელით განახორციელებს კონტროლის პალატის თავმჯდომარე. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ განსაზღვრულ ვადაში კონტროლის პალატის თავმჯდომარე პარლამენტს არ წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ან თავისი საქმიანობის შესახებ, იგი უმოქმედობით დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციის ზემომითითებული ნორმის მოთხოვნას, რაც შეიძლება გახდეს მის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელების საფუძველი.

ხშირად, კონსტიტუციური სამართალდარღვევის ობიექტური მხარის დასახასიათებლად მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი. საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მთავრობის წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის ახალ წევრს, ანუ, პრემიერ-მინისტრმა მთავრობის ახალი წევრი ორი კვირის ვადაში უნდა დანიშნოს. ვადის გადაცდენა კონსტიტუციის დარღვევად ჩაითვლება.

აქვე ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ საკითხზე. მართალია, კონსტიტუციური ნორმა ზოგადად ადგენს, რომ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა შეიძლება გახდეს მის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელების საფუძველი, მაგრამ კონსტიტუცია ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც პრეზიდენტმა რომც დაარღვიოს კონსტიტუციური ნორმა, მის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა ვერ განხორციელდება. ასე მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის მე-2 პუნქტი პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უპირობო უნდობლობის გამოცხადების ინსტიტუტს ამკვიდრებს. მოცემული ნორმა ადგენს, რომ თუ პარლამენტი უპირობო უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას, „პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას“, ანუ ამ შემთხვევაში პრეზიდენტი ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული მოქმედება. აქედან გამომდინარე, თუ პრეზიდენტი არ გადააყენებს მთავრობას იგი უმოქმედობით დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციის მითითებული მუხლის მოთხოვნას, თუმცა, მოცემული შემთხვევა პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი ვერ

¹ კანონის ტექსტი იხ.: საქართველოს კანონთა წიგნი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური გამოცემა), ტ. I, საკონსტიტუციო კანონმდებლობა, თბ., 2003, გვ. 108-200.

გახდება, რადგან კონსტიტუციის 81-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ზემომითითებული პროცედურის მიმდინარეობისას დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა.

ე) *გადაწყვეტილების საკონსულტაციო თუ დამდგენი ხასიათი.* მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ხაზი გაუუსვათ ერთ საინტერესო გარემოებას. როგორც წესი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები დამდგენი ხასიათისაა. ეს ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილება სავალდებულო ხასიათს ატარებს. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა შეიძლება იყოს როგორც დამდგენი, ასევე, საკონსულტაციო ხასიათის. კერძოდ კი, თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით არ დაადასტურა კონსტიტუციის დარღვევა, მაშინ თანამდებობის პირის მიმართ ავტომატურად წყდება იმპიჩმენტის პროცედურა, ანუ, ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა დამდგენი ხასიათისაა, ხოლო თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა კონსტიტუციის დარღვევა, შესაბამისი დასკვნის მიღებიდან ათი დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი იწყებს დასკვნის განხილვას. ამ დროს პარლამენტი ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თანამდებობის პირი აუცილებლად იქნება გადაყენებული თანამდებობიდან, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა საკონსულტაციო ხასიათისაა.

ვ) *სასამართლო პრაქტიკა.* ზოგადად აღენიშნავთ, რომ იმპიჩმენტის წესით სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურა, სამართლებრივი თუ პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულად რეალიზებადი პროცედურაა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ევროპაში, პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების მხოლოდ ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული. კერძოდ, 2004 წლის 6 აპრილს კონსტიტუციის უხეში დარღვევისათვის თანამდებობიდან იქნა გადაყენებული ლიტვის პრეზიდენტი როლანდას პაკსასი.

საქართველოში იყო პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის წამოწყების მცდელობა, თუმცა იგი უშედეგოდ დამთავრდა. კერძოდ, 2001 წლის 27 აპრილს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საქართველოს პარლამენტის 91 წევრისგან შემდგარმა ჯგუფმა. კონსტიტუციურ წარდგინებაში ავტორები აყენებდნენ მოთხოვნას შემოწმებულიყო საქართველოს პრეზიდენტის ქმედობების კონსტიტუციურობა 69-ე და 72-ე მუხლებთან მიმართებით. კონკრეტულად კი, ავტორები წარდგინებაში მიუთითებდნენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ბ-ნი ელუარდ შევარდნაძე, იმავდროულად იყო რა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე, თავისი ქმედობით არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 72-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტს ეკრძალება დაიკავოს

ნებისმიერი სხვა თანამდებობა. ამავდროულად, წარდგინების ავტორების აზრით, პრეზიდენტის ქმედობით ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მოთხოვნაც, რომლის თანახმად, „...საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად...”. წარდგინებაში აღნიშნული იყო, რომ პრეზიდენტი, რომელიც მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ხელმძღვანელობს, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების საწინააღმდეგოდ ემსახურება მხოლოდ ერთი პარტიის ინტერესებს.

კონსტიტუციურ წარდგინებაში დასმულ საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია, რადგან 2001 წლის 5 ივნისის განჩინებით¹ წარდგინება არ იქნა არსებითად განსახილველად მიღებული. ამის მიზეზი კი, სასამართლოს აზრით იყო ის, რომ კონსტიტუციური წარდგინება შემოტანილი იყო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დარღვევით. კერძოდ, განჩინებაში სასამართლომ მიუთითა, რომ „იმპიჩმენტის შესახებ” კანონიდან გამომდინარე, იმპიჩმენტის პროცედურა, პირველ რიგში, ითვალისწინებს საკითხის აღძვრას პარლამენტში. თანამდებობის პირის მიმართ იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის პროცედურის გავლის შემდგომ, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა წერილობით უნდა მიმართოს პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია აღნიშნული საკითხი დასკვნისათვის გადასცეს შესაბამის სასამართლოს 3 დღის ვადაში. კონსტიტუციური წარდგინება კი, შემოტანილი იყო ამ პროცედურების გვერდის ავლით. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციური წარდგინებით უშუალოდ საკონსტიტუციო სასამართლოზე მიმართვისა და დამოუკიდებელ მოთხოვნად განხილვის უფლებამოსილება კანონით გათვალისწინებული არ არის.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის და ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევის საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.

5.2 მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი

პოლიტიკური პარტიების კონტროლის უფლებამოსილებით მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოა აღჭურვილი. ასე მაგალითად, პოლიტიკურ პარტიებზე კონტროლს ახორციელებენ ალბანეთის, სომხეთის, ბულგარეთის, მოლდოვეთის, რუმინეთის, სლოვაკეთის, სლოვენის, ხორვატიის, ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოები, ასევე, პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალი.

¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 5 ივნისის განჩინება, საქმე №2/159/1, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის (სულ 91 დეპუტატი), კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის ქმედობის კონსტიტუციურობის დადგენის მოთხოვნით.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს უფლებამოსილება სხვადასხვა სახელმწიფოში არაერთგვაროვანია და განსხვავდება მისი შინაარსით და მეთოდებით. კერძოდ, სახელმწიფოთა ერთ ნაწილში იგი განიხილება, როგორც პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლების ერთ-ერთი გარანტია. ამ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო სასამართლოები ამოწმებენ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ პოლიტიკური პარტიების აკრძალვის თუ მათი საქმიანობის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობას.¹ ასე მაგალითად, ჩეხეთის კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას პოლიტიკური პარტიის დათხოვნის ან პოლიტიკური პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილების კონსტიტუციურ და სხვა კანონებთან შესაბამისობის თაობაზე.² მსგავსი ნორმა სლოვაკეთის კონსტიტუციაშიც არსებობს. კერძოდ, 129-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური მოძრაობის საქმიანობის აკრძალვის ან შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების კონსტიტუციურ და სხვა კანონებთან შესაბამისობის თაობაზე.³

სხვა სახელმწიფოებში კი, პირიქით, საქმე გვაქვს გაერთიანებების შექმნის თავისუფლების შეზღუდვასთან, კონსტიტუციის დარღვევისათვის პოლიტიკური პარტიის პასუხისმგებლობის საკითხთან. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედის პოლიტიკური პარტიის კონსტიტუციურობის ან არაკონსტიტუციურობის დადგენა.⁴ ასე მაგალითად, სომხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით გამოაქვს გადაწყვეტილება პარტიის საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესახებ (კონსტიტუციის მე-100 მუხლის მე-9 პუნქტი);⁵ ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას პოლიტიკურ პარტიათა და გაერთიანებათა კონსტიტუციურობის შესახებ დაგვბზე (კონსტიტუციის 149-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-5 ქვეპუნქტი)⁶; სლოვენის საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას პოლიტიკურ პარტიათა აქტებისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის შესახებ (კონსტიტუციის 160-ე მუხლი)⁷; იუგოსლავიის საკავშირო საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკე-ცალკე უფლებამოსილებების სახით აქვს მინიჭებული ერთი მხრივ, პოლიტიკური პარტიების და მოქალაქეთა გაერთიანებების აქტების საკავშირო კონსტიტუციასთან და საკავშირო კანონებთან შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტა (კონსტიტუციის 124-ე მუხლის მე-5 პუნქტი) და მეორე მხრივ,

¹ იხ. Сравнительное конституционное право, отв. ред. В.Е. Чиркин, М., 2002, с. 130.

² იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები (ნაწილი I), პასუხისმ. რედაქტორი ვ. გონაშვილი, თბ., 2004, გვ. 515.

³ იხ. Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.3, с. 148.

⁴ იხ. მითითებული წყარო: Сравнительное конституционное право, с. 130.

⁵ იხ. მითითებული წყარო: საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, გვ. 359.

⁶ იხ. მითითებული წყარო: Конституции государств Европы, Т.1, с. 419.

⁷ იხ. იქვე, Т. 3, с. 197.

პოლიტიკური პარტიების და მოქალაქეთა გაერთიანებების საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება (კონსტიტუციის 124-ე მუხლის მე-8 პუნქტი);¹ პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალი უფლებამოსილია განსაზღვროს პოლიტიკური პარტიის მიზნისა და საქმიანობის შესაბამისობა კონსტიტუციასთან (კონსტიტუციის 188-ე მუხლის მე-4 პუნქტი).² პროფესორი ჯ. ხეცურიანი აღნიშნავს, რომ სასამართლო კონტროლის ეს ბოლო მოდელი უფრო მეტ გარანტიებს იძლევა პოლიტიკური პარტიების შექმნასა და მათ საქმიანობაში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების ჩარევის და უკანონო ზემოქმედების ფაქტების თავიდან ასაცილებლად.³

საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა კონტროლის ზემომითითებული ორი მოდელიდან, მეორეა დამკვიდრებული. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს. იგივე დებულებაა განმტკიცებული „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით არის უზრუნველყოფილი. ეს უფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანების თვითგანვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. მრავალპარტიული სისტემა საქართველოს კონსტიტუციით შექმნილი თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების არსებითი შემადგენელი ნაწილი და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპია. მრავალპარტიული სისტემის გარეშე შეუძლებელია რომელიმე სახელმწიფოს დემოკრატიულობაზე ლაპარაკი.⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური პარტიების შექმნის და მათ საქმიანობაში მონაწილეობის უფლებით აღჭურვა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ქვეყანაში დემოკრატიული წესრიგის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს კონსტიტუცია ამ უფლების მიმართ გარკვეულ შეზღუდვებსაც აწესებს. კერძოდ:

1) დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამსობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს (26-ე მუხლის მე-3 პუნქტი);

¹ იხ. იქვე, T. 3, c. 781.

² იხ. მითითებული წყარო: საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II, გვ. 662.

³ იხ. ჯ. ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №3, გვ. 36.

⁴ იხ. ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 224.

2) დაუშვებელია პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა (26-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

აწესებს რა შეზღუდვებს, საქართველოს კონსტიტუცია იმასაც განსაზღვრავს, რომ პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით (26-ე მუხლის მე-6 პუნქტი). ამდენად, მითითებული ნორმა მხოლოდ ზოგადად ადგენს, რომ პოლიტიკური პარტიების მიმართ ზემოაღნიშნული სანქციების შეფარდება მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. როგორც პროფესორი ჯ. ხეცურიანი აღნიშნავს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კანონიერების საკითხი საერთო სასამართლოების განსჯადია.¹

კონსტიტუციური ნორმა ადგენს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა „შექმნისა და საქმიანობის“ კონსტიტუციურობის საკითხებს (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). ჩვენი აზრით, აღნიშნული ნორმა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ამ კატეგორიის საქმეების განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია ერთდროულად იმსჯელოს, როგორც პოლიტიკური პარტიის „შექმნის“, ასევე „საქმიანობის“ კონსტიტუციურობის საკითხებზე. მიგვაჩნია, რომ მოცემული საკითხები შესაძლებელია ცალ-ცალკეც განდევს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი.

ა) *პოლიტიკური პარტიის შექმნა – საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი.* როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის არა მარტო „საქმიანობა“, არამედ „შექმნაც“. ამდენად, მოცემული ნორმა მოქალაქეთა ამ უფლებაში ჩარევას პოლიტიკური პარტიის შექმნის ეტაპზეც ითვალისწინებს. საქმე იმაშია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის დისპოზიციით გათვალისწინებული კონსტიტუციური სამართალდარღვევა დელიქტთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა დასადგომად მავნე შედეგის² არსებობა არ არის აუცილებელი. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ კონსტიტუციური სამართალდარღვევის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში აისახება, ანუ, კონსტიტუციურ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედება იწვევს, ხოლო მავნე შედეგების დადგომა ყოველთვის არ წარმოადგენს აუცილებლობას. ყოველი სახელმწიფოს პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას რეალურად არ მოჰყვება მავნე შედეგი და მხოლოდ მისი დადგომის საფრთხე იქმნება. თუმცა, ყოველი კონსტიტუციურ-სამართლებრივი დარღვევა,

¹ იხ. მითითებული წყარო: ჯ. ხეცურიანი, გვ. 35-36.

² საზოგადოებრივად მავნე შედეგი კონსტიტუციურ-სამართლებრივი დარღვევის ობიექტური მხარის ერთ-ერთი ელემენტია. ეს არის ის ზიანი, რომელსაც აყენებს ქმედება კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებს, კონსტიტუციურ-სამართლებრივი დარღვევის ობიექტს.

მიუხედავად იმისა მოჰყვა თუ არა მას მავნე შედეგი, არღვევს სახელმწიფოში განმტკიცებულ მართლწესრიგს, ხელს უშლის სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების ცალკეული ფუნქციების განხორციელებას, ხელყოფს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

ამდენად, ქმედება, როგორც არის პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამსობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მისი ჩადენის ფაქტითაც კი საფრთხეს უქმნის საქართველოს დემოკრატიული წესწყობილების საფუძვლებს და ამ შემთხვევაში დელიქტის შემადგენლობისთვის მხოლოდ ქმედებაც საკმარისია, რეალურად კი, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს რაიმე მავნე შედეგი მოჰყვა მას თუ არა.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის დებულების შესაბამისად, პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის აკრძალვის წესს, ასევე პოლიტიკური პარტიების შექმნასთან და საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს, 1997 წლის 31 ოქტომბერს მიღებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არეგულირებს.¹ აღნიშნული კანონის 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლებით პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები არის რეგულირებული. კერძოდ, 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ პარტიის რეგისტრაცია ხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარტიის მარეგისტრირებელი ორგანო წარდგენილი დოკუმენტების განხილვის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) რეგისტრირებულ იქნეს ან ბ) უარი ეთქვას რეგისტრაციაზე. ამასთან, იმავე მუხლის მეოთხე პუნქტი განსაზღვრავს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს. კერძოდ, პარტიას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ მისი წესდება ან სარეგისტრაციოდ წარდგენილი სხვა დოკუმენტები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან მოცემული კანონის მოთხოვნას (მე-4 პუნქტი).

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონი პარტიას უფლებას ანიჭებს რეგისტრაციაზე უარი ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში (23-ე მუხლის მე-6 პუნქტი). ცხადია, ამ შემთხვევაში საერთო სასამართლო იგულისხმება, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება პოლიტიკურ პარტიას არ აქვს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლებით მხოლოდ შემდეგი სამი სუბიექტი სარგებლობს: 1) საქართველოს პრეზიდენტი; 2) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედი; 3) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობითი ორგანოები. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა მხოლოდ ამ სუბიექტებს შეუძლიათ. ამასთან, ჩვენი აზრით,

¹ ორგანული კანონის ტექსტი იხ.: საქართველოს კანონთა წიგნი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური გამოცემა), ტ. I, საკონსტიტუციო კანონმდებლობა, თბ., 2003, გვ. 103-230.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მეხამე პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს მიერ პოლიტიკური პარტიის დარეგისტრირების შემთხვევაში, რადგან მითითებული ნორმის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის აქტის გაუქმებას. იგივე აზრი გამომდინარეობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 35-ე მუხლის მეორე პუნქტის დებულებიდანაც. აღნიშნული ნორმა ადგენს, რომ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოში საკითხის განხილვისას მოპასუხეა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება და მისი მარეგისტრირებელი ორგანო. ამდენად, როგორც პროფესორი ა. დემეტრაშვილი აღნიშნავს, ზემომითითებულ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლის სივრცეში მოექცევა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება პარტიისათვის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის შესახებ, ანუ საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი ამ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს აქტია, რომლითაც დარეგისტრირდა პარტია.

ბ) *პოლიტიკური პარტიის საქმიანობა – საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი.* საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია პარტიის საქმიანობაზეც ვრცელდება. ასე მაგალითად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 22-ე მუხლი მოიცავს იმ დოკუმენტთა ნუსხას, რომლებიც პოლიტიკურმა პარტიამ რეგისტრაციისათვის უნდა წარუდგინოს იუსტიციის სამინისტროს. დოკუმენტთა ნუსხაშია პარტიის წესდება, რომელშიც აღინიშნება პარტიის საქმიანობის მიზნები (ამოცანები) და მათი განხორციელების ფორმები (მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტისას იუსტიციის სამინისტრო გადაწყვეტილებას ამ დოკუმენტების საფუძველზე დებულობს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტიის წესდებაა. ზემომითითებული ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ პარტიას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ მისი წესდება ან სარეგისტრაციოდ წარდგენილი სხვა დოკუმენტები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ან მოცემული კანონის მოთხოვნებს. თუ, წარდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს კონსტიტუციისა და კანონის მოთხოვნებს ხდება პარტიის რეგისტრაცია. თეორიულად, შეიძლება დაუშვათ, რომ კანონმდებლობის სრული დაცვით „შექმნილმა“ პოლიტიკურმა პარტიამ, რეგისტრაციიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, არსებითად გადაუხვიოს წესდებაში დასახულ მიზნებს, შეუდგეს არაკონსტიტუციურ საქმიანობას და ამით დაარღვიოს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის დებულებები. ცხადია, ასეთ ვითარებაში, უფლებამოსილი სუბიექტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვისას, ეს უკანასკნელი იმსჯელებს არა პოლიტიკური პარტიის „შექმნის“, არამედ მისი საქმიანობის კონსტიტუციურობაზე, ანუ ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი პოლიტიკური პარტიის ქმედება (საქმიანობა) გახდება. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ

თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე „თურქეთის კომუნისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ“, დასაშვებად მიიჩნია თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ პარტიის წესდება და საპროგრამო დოკუმენტები შესაძლებელია კი არ ასახავდეს, არამედ ნიღბავდეს მის ნამდვილ განზრახვებს, რაც ევროპული სასამართლოს აზრით, შეიძლება შეფასდეს მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტებისა და რეალური ქმედებების გაანალიზების საფუძველზე.¹

საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურავს ისეთი რადიკალური სანქციის გამოყენების უფლებამოსილებით როგორც არის პოლიტიკური პარტიის აკრძალვა. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 35-ე მუხლის თანახმად, პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. იმავე კანონის 36-ე მუხლში აკრძალვის საფუძველზეა მითითებული. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამსობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში პოლიტიკური პარტიების „აკრძალვაზე“ პირდაპირ არაფერია ნათქვამი. 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი მხოლოდ იმას ითვალისწინებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის შესახებ საკითხის განხილვისას კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის აქტის გაუქმებას. არსობრივად, „რეგისტრაციის აქტის გაუქმება“ და „პოლიტიკური პარტიის აკრძალვა“ განსხვავებული სანქციებია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ საქმე გვაქვს ტექნიკურ უზუსტობასთან, რომელიც კანონმდებელმა უნდა გამოასწოროს.²

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია. დღემდე, აღნიშნული საფუძველით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელი არ განუხილავს.

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „თურქეთის კომუნისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ“, №133/1996/752/951 (CASE OF UNITED COMMUNIST PARTY OF TURKEY AND OTHERS v. TURKEY).

² დაწვრილებით იხ.: მ. შარაშიძე, პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოში, საარჩევნო უფლებებისა და პოლიტიკური გაერთიანების თავისუფლების დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოში (საერთაშორისო კონფერენციის მასალები), თბ., 2006, გვ. 94-96.

§6. წარმომადგენლობითი მმართველობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები

დაბოლოს, ამ ჯგუფში, ჩვენი აზრით, შესაძლებელია გავაერთიანოთ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, რომლებიც დაკავშირებულია: ა) რეფერენდუმსა და არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტასთან და ბ) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხთან.

6.1 საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი

ზოგიერთი სახელმწიფოს კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანო აღჭურვილია უფლებამოსილებით გადაწყვიტოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობასა თუ შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. აღნიშნული უფლებამოსილება აქვს ავსტრიის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, თურქეთის, გერმანიის, ბულგარეთის, მონღოლეთის საკონსტიტუციო სასამართლოებს, საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს. ასე მაგალითად, ავსტრიის კონსტიტუციის 141-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საქმეს საერთო წარმომადგენლობითი ორგანოს შუამდგომლობაზე მისი წევრისთვის მანდატის ჩამორთმევის თაობაზე¹; სლოვაკეთის კონსტიტუციის 129-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სარჩელზე, რომელიც ეხება სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს დეპუტატისათვის მანდატის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას². ჩეხეთის კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას დეპუტატისა და სენატორის მიმართ ამ კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების შეუთავსებლობასთან დაკავშირებით ეჭვის წარმოშობისას. 25-ე მუხლი კი განსაზღვრავს, რა შემთხვევებშია დეპუტატისა და სენატორისთვის შესაძლებელი მანდატის შეწყვეტა³.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობასა თუ შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა შეუძლია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც. აღსანიშნავია, რომ ზოგ სახელმწიფოში, საკონსტიტუციო სასამართლოებს პარლამენტის მომართვის საფუძველზე თავად შეუძლიათ შეუწყვიტონ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება. საქართველოში კი, პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ცნობა ან შეწყვეტა საქართველოს პარლამენტის

¹ იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები (ნაწილი II), პასუხისმ. რედაქტორი ვ. გონაშვილი, თბ., 2005, გვ. 199.

² იხ.: Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.3, с. 147.

³ იხ. მითითებული წყარო: საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, გვ. 514, 497.

პრეროგატივაა (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის¹ მე-3 მუხლის „შ“ ქვეპუნქტი), საკონსტიტუციო სასამართლოში კი, მხოლოდ პარლამენტის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებაა შესაძლებელი.

საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველ უფლებამოსილებაზე მითითება არის საქართველოს კონსტიტუციის ტექსტში, თუმცა, მასზე არაფერია ნათქვამი კონსტიტუციის 89-ე მუხლში, – ნორმაში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალს მოიცავს. საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ „პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს საქართველოს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში“.

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული უფლებამოსილება განმტკიცებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველ პუნქტშიც. ამ ნორმის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი („ზ“ ქვეპუნქტი). როგორც მოცემული ნორმის შინაარსიდან ჩანს, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება გახდეს ერთი მხრივ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობასთან, მეორე მხრივ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. განვიხილოთ ორივე შემთხვევა ცალ-ცალკე.

ა) *პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი.* საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა მის პარლამენტის წევრად აღიარებას გულისხმობს. იგი პარლამენტის წევრთა არჩევნებთან არის დაკავშირებული. ეს შეიძლება იყოს საერთო არჩევნები (მორიგი, რიგგარეშე), ხელახალი არჩევნები, ან არჩევნები პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება მისი მიერ ფიცის დადებისთანავე, ხოლო რეგლამენტის 124-ე მუხლის მე-7 პუნქტი ადგენს, რომ ახალარჩეული პარლამენტის წევრები ქვეყნისადმი ერთგულების ფიცს დებენ პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, ანუ ფიცის დადება ხდება მხოლოდ უფლებამოსილების ცნობის შემდეგ. რაც შეეხება პარლამენტის წევრს, რომლის უფლებამოსილების ცნობა გადაიდო ან რომელიც პარლამენტის წევრად აირჩიეს მეორე ტურში ან პარლამენტის გამოკლებული წევრის ნაცვლად, ფიცს დადებს უფლებამოსილების ცნობისთანავე (124-ე მუხლის მე-8 პუნქტი). ამდენად, უფლებამოსილების ცნობა უმნიშვნელოვანესი ფაქტია იმისათვის, რომ პარლამენტის წევრი თავისი ფუნქციების განხორციელებას შეუძლებს.

¹ რეგლამენტის ტექსტი იხ.: საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, გაეროს განვითარების პროგრამის გამოცემა, თბ., 2006.

პარლამენტის რეგლამენტში აღწერილია პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის პროცედურაც. კერძოდ, ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარლამენტს აცნობებს არჩევნების შედეგებს და პარლამენტის დროებით სამანდატო კომისიას გადასცემს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაციას (რეგლამენტის 124-ე მუხლის პირველი პუნქტი). დროებითი სამანდატო კომისია შეისწავლის მას და შედეგებს მოახსენებს პარლამენტს, რომელიც დადგენილებით (დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედით) ცნობს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილებას დროებითი სამანდატო კომისიის მიერ წარდგენილი ერთიანი სიით (რეგლამენტის 124-ე მუხლის მეორე პუნქტი). რაც შეეხება პარლამენტის წევრს, რომლის უფლებამოსილების ცნობა ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დასკვნის საფუძველზე პარლამენტის წევრად არჩეული პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხს პარლამენტი განიხილავს უახლოეს პლენარულ სხდომაზე (რეგლამენტის 124-ე მუხლის მე-4 პუნქტი; მე-8 მუხლის მე-10 პუნქტი).

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობისას კენჭი ეყრება დადგენილებას უფლებამოსილების ცნობის შესახებ. თუ ეს დადგენილება არ იქნა მიღებული, კენჭისყრის გარეშე ფორმდება დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ (რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი). ამდენად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხთან დაკავშირებით პარლამენტი იღებს ორი სახის გადაწყვეტილებას: 1) დადგენილებას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ და 2) დადგენილებას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ.

ორივე შემთხვევაში პარლამენტის დადგენილება შეიძლება დაექვემდებაროს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას. ამასთან, კანონმდებლობა აკონკრეტებს თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება, რომელიც ეხება საქართველოს პარლამენტის დადგენილებას „პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ“, იწვევს პარლამენტის ამ დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და მოქალაქის, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობას (23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება, რომელიც ეხება საქართველოს პარლამენტის დადგენილებას „პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“, იწვევს აღნიშნული დადგენილების (ან მისი ნაწილის) ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი).

პირველ შემთხვევაში, ავტომატურად ხდება მოქალაქის პარლამენტის წევრად აღიარება. ამასთან, აღნიშნული საკითხი აღარ

საჭიროებს პარლამენტში დამატებით განხილვას, ხოლო მეორე შემთხვევაში, ადგილი აქვს პარლამენტის წევრის სტატუსის დაკარგვას.

დღემდე, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსულია ხუთი კონსტიტუციური სარჩელი. ხუთივე სარჩელი „საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 20 ნოემბრის №3-1ს დადგენილების სხვადასხვა ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა. ხუთივე სარჩელს არსებითად განხილვაზე ეთქვა უარი.¹

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ“, დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი არ გამხდარა.

ბ) *პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი.* საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებზეც. პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა, შეიძლება ითქვას, რომ ნიშნავს მისთვის პარლამენტის წევრის სტატუსის ჩამორთმევას. საქართველოს კანონმდებლობა პარლამენტის წევრს განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს და მას შესაბამისი იმუნიტეტით აღჭურავს. ამავდროულად, კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეიძლება ვადაზე ადრეც შეუწყდეს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყდება, თუ: 1) პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოეხსნა; 2) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი; 3) სასამართლომ ცნო ქმედუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად; 4) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას; 5) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა; 6) არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში; 7) გარდაიცვალა.

პარლამენტის რეგლამენტი დეტალურად განსაზღვრავს თუ რა პროცედურები ხორციელდება ზემოთ მითითებული თითოეული შემთხვევის არსებობისას. ასე მაგალითად, თუ პარლამენტის წევრი არასაპატიო მიზეზით 4 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში, შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი ინფორმაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოარკვევს გაცდენის მიზეზს და თუ დადასტურდა, რომ მიზეზი არასაპატიოა, ამზადებს შესაბამის დასკვნას (მე-8 მუხლის პირველი პუნქტი). ან, თუ, პარლამენტის წევრი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, საპროცედურო

¹ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 მარტის განჩინება, საქმე №1/2/122,134,139,140, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის განჩინება, საქმე №2/1/181, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საკითხთა და წესების კომიტეტი აღნიშნული ფაქტის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში გამოითხოვს დოკუმენტურ მასალას, ჩამოართმევს მას ახსნა-განმარტებას და ამზადებს შესაბამის დასკვნას (მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი). აღნიშნულ ორივე შემთხვევაში, დასკვნები გადაეცემა პარლამენტის ბიუროს, რომელსაც პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. პარლამენტი ვალდებულია დაუყონებლივ განიხილოს აღნიშნული საკითხი, რადგან დაუშვებელია დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე კენჭისყრა პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე (მე-8 მუხლის მე-11 პუნქტი).

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას კენჭი ეყრება დადგენილებას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. თუ ეს დადგენილება არ იქნა მიღებული, კენჭისყრის გარეშე ფორმდება დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე არშეწყვეტის შესახებ¹ (რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი). ამდენად, მოცემულ შემთხვევაშიც, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით პარლამენტს შეუძლია მიიღოს ორი სახის გადაწყვეტილება: 1) დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და 2) დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არშეწყვეტის შესახებ.

ორივე სახის დადგენილებაზე ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი დეტალურად აღწერს რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას თითოეულ შემთხვევაში. კერძოდ, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდება კონსტიტუციური სარჩელი „პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“ პარლამენტის დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, ეს გამოიწვევს ამ დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას (23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი), ხოლო თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა კონსტიტუციური სარჩელი „პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არშეწყვეტის შესახებ“ პარლამენტის დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, ეს გამოიწვევს პარლამენტის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას (23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

¹ პარლამენტის რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადებაში მითითებულია, რომ კენჭისყრის გარეშე ფორმდება დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე „შეწყვეტის“ შესახებ (იხ.: სსმ, 2004, №8, 38-ე მუხლი, გვ. 4). ჩვენი აზრით, აქ დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა, რადგან ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კენჭისყრის გარეშე უნდა ფორმდებოდეს დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე „არშეწყვეტის“ შესახებ, ან „უფლებამოსილების შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ“. წინამდებარე ნაშრომში ვხმარობთ სიტყვათწყობას – „უფლებამოსილების ვადამდე არ შეწყვეტის შესახებ“.

დღემდე, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსულია მხოლოდ სამი კონსტიტუციური სარჩელი. სამივე სარჩელი საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის სხვადასხვა დადგენილებებზე იყო შემოტანილი. ამ სარჩელებიდან ერთი, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა¹, ერთზე, საქმის წარმოება შეწყდა არსებითი განხილვის დროს² და ერთზეც, საქმის წარმოება შეწყდა გამწესრიგებელ სხდომაზე³.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არშეწყვეტის შესახებ“, დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი არ გამხდარა.

გ) *ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი* – *საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი*. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი საქართველოს პარლამენტის დადგენილებაა. საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს აღნიშნული აქტის კონსტიტუციურობას. მართალია, ამის შესახებ პირდაპირი მითითება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში არ არის, მაგრამ ეს თავისთავად გამომდინარეობს აღნიშნული ნორმატიული აქტის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის და მე-40 მუხლის პირველი პუნქტის დებულებებიდან. პირველზე, ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რაც შეეხება მე-40 მუხლის პირველ პუნქტს მისი შინაარსიდან ირკვევა, რომ კონსტიტუციური სარჩელი პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობას ეხება. ეს იმაზეც მიუთითებს, რომ კონსტიტუციურ სარჩელში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული კონსტიტუციური ნორმა (ნორმები), რომელსაც ავტორის აზრით, არ შეესაბამება პარლამენტის დადგენილება.

განსახილველი უფლებამოსილების სპეციფიკურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობას აფასებს, ვინაიდან, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საკადრო და პერსონალურ საკითხებზე მიღებული საქართველოს პარლამენტის დადგენილება არანორმატიულია. ამ თვალსაზრისით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ არსენალში ეს არის ერთადერთი უფლებამოსილება, რომლის რეალიზებისას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებაა შესაძლებელი.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი ასახელებს იმ სუბიექტებს, რომლებსაც პარლამენტის

¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №1/2/378, საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის განჩინება, საქმე №2/2/394, საქართველოს მოქალაქე ბადრი ნანეტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 თებერვლის განჩინება, საქმე №2/5/211, საქართველოს მოქალაქე სერგო რიგვავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრება შეუძლიათ. კერძოდ, ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: 1) საქართველოს პრეზიდენტს, 2) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მესუთედს, 3) იმ მოქალაქეს, ვისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა.

დ) *სასამართლო პრაქტიკა*. კანონმდებლობა აწესებს კიდევ ერთ სავალდებულო დათქმას. კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შესაძლებელია პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ამოქმედების დღიდან მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი). ამდენად, აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვაზე უარის თქმის საფუძველი გახდება. ასე მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ განმწესრიგებულ სხდომაზე განიხილა რა 122-ე, 134-ე, 139-ე და 140-ე ნომრებით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელები, 2002 წლის 5 მარტის განჩინებაში მიუთითა, რომ ოთხივე სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, სადავოა საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი. ეს საკითხი მოწესრიგებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-40 მუხლით. ამ მუხლის მე-3 პუნქტის ძალით, სათანადო „კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას საქართველოს პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან“. „საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 20 ნოემბრის დადგენილების მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“. დადგენილება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა და მაშასადამე, ამოქმედდა 1999 წლის 24 ნოემბერს. კანონით დადგენილ ორკვირიან ვადაში მხოლოდ 122-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელია შემოტანილი (1999 წლის 3 დეკემბერს). 139-ე და 140-ე ნომრებით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელები შემოტანილია 2000 წლის 17 ივლისს, ე.ი. კანონით დადგენილი ვადის ამოწურვიდან 7 თვეზე მეტის გასვლის შემდეგ. 134-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელთან მიმართებით შესაბამისი შუამდგომლობა აღიძრა 2002 წლის თებერვალს, ანუ 2 წლისა და 2 თვის დაგვიანებით. აღნიშნული გარემოებით – „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის უხეში დარღვევით გამოირიცხება 134-ე, 139-ე და 140-ე ნომრებით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების

შესაძლებლობა იმ ნაწილში, რომელიც შეეხება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობას.¹

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია. აღნიშნული საფუძველით, დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსულია 8 კონსტიტუციური სარჩელი. მათგან საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განიხილა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის ვალერი გელაშვილის კონსტიტუციური სარჩელი „ვალერი გელაშვილისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 31 მარტის დადგენილების კონსტიტუციურობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით აღნიშნული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საინტერესოა გადაწყვეტილებაში მოცემული საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის დებულებაზე, რომლის თანახმად, პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მიზანმიმართულებიდან გამომდინარე, მისი გონივრული განმარტება უნდა გულისხმობდეს დეკუტატის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დაუშვებლობას არა მარტო ფორმალური – კანონის მოთხოვნათა საფუძველზე დანიშნული დირექტორის სახით, არამედ იმ პირის მიერაც, რომელიც, მართალია, არ არის დირექტორი, მაგრამ ფაქტობრივად ახორციელებს დირექტორის ფუნქციას.“ „საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მიზანმიმართულება ისეთია, რომ პარლამენტის წევრმა არ გამოიყენოს თავისი ძალაუფლება პირადი ინტერესების სასარგებლოდ და საზოგადო ინტერესების საზიანოდ. კონსტიტუციურ-სამართლებრივად შეფასებას მოკლებული ვერ იქნება საწარმოს ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფაქტობრივი განხორციელება. როცა საუბარია დეკუტატის მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობაზე, მართლწესრიგისათვის მიუღებელია ამ საქმიანობის არა მარტო ჩვეულებრივი სახით (ფორმალური ნიშნების დაცვით) განხორციელება, არამედ ფაქტობრივი განხორციელებაც. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სამართალში ფორმას არა აქვს დამოუკიდებელი დატვირთვა და ამდენად, ფორმა არ არსებობს ფორმისათვის. ნებისმიერი ფორმის უკან დგას კონკრეტული შინაარსი და მართლწესრიგისათვის მთავარია ამ შინაარსის განხორციელება ან არგანხორციელება. როცა ეს შინაარსი სინამდვილედ იქცევა ფორმის გარეშე, ის, ცხადია, ვერ იქნება მოკლებული შეფასებაუნარიანობას. როცა დაუშვებელ საქმიანობაზეა საუბარი, საჯარო წესრიგისათვის საშიში იქნება ფაქტობრივი სინამდვილის იგნორირება და არსებულად მხოლოდ იმისი აღიარება, რაც მხოლოდ ფორმალურად არსებულა.

¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 მარტის განჩინება, საქმე №1/2/122,134,139,140, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

ასეთი მიდგომა ხელ-ფეხს გაუხსნიდა თანამდებობის პირებს, განეხორციელებინათ სამეწარმეო საქმიანობა და ფორმის არარსებობის მოტივით ემართლებინათ თავი. ამდენად, ის, რაც ფორმის დაცვითაც მიუღებელია, ივარაუდება, რომ ფაქტობრივადაც მიუღებელია. როცა თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს სამეწარმეო საზოგადოების დირექტორი, ივარაუდება, რომ მას ეკრძალება შესაბამისი ფაქტობრივი ხელმძღვანელობითი საქმიანობაც.”¹

6.2 რეფერენდუმსა და არჩევნებთან დაკავშირებული საკითხი

რეფერენდუმი და არჩევნები უშუალო დემოკრატიის უმთავრესი ფორმებია. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამტკიცებს, რომ ხალხი თავის ძალაუფლებას რეფერენდუმისა და არჩევნების გზით ახორციელებს. რეფერენდუმის საშუალებით ხალხი განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებს წყვეტს, ხოლო არჩევნების მეშვეობით ირჩევს თავის წარმომადგენლებს და ანიჭებს მათ თავის სუვერენულ უფლებათა განხორციელების მანდატს. აღნიშნული თავისთავად მიუთითებს დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში ამ ორი ინსტიტუტის უმნიშვნელოვანეს როლზე. თუმცა, არჩევნები და რეფერენდუმები მხოლოდ მაშინ ასრულებენ თავიანთ ნამდვილ სოციალურ ფუნქციას, როდესაც ისინი საერთაშორისო ნორმებით დადგენილი პრინციპების საფუძველზე ტარდებიან. ასე მაგალითად, გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის თანახმად, ხალხის „ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას“. არჩევნებთან და რეფერენდუმთან დაკავშირებული ეს პრინციპები ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციაში არის ასახული. ამ პრინციპების უზრუნველსაყოფად კი, მეტად მნიშვნელოვანია, რომ მათი შესრულება შესაბამისი საკონტროლო მექანიზმებით იყოს გარანტირებული. მრავალი სახელმწიფოს მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ ამ ფუნქციის რეალიზებაში უდიდესი როლი კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოებს აკისრიათ. ასე მაგალითად, რეფერენდუმის ჩატარებაზე კონტროლი მსოფლიოს ოცზე მეტი სახელმწიფოს კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოს პრეროგატივაა, არჩევნებზე კონტროლს კი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოები ოცდაათზე მეტ სახელმწიფოში ახორციელებენ.

საქართველო იმ სახელმწიფოთა რიცხვშია, რომლებშიც საკონსტიტუციო კონტროლი ვრცელდება როგორც რეფერენდუმთან, ასევე, არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება კონსტიტუციურად არის განმტკიცებული, ხოლო ამ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად

¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №1/2/378, საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

სხვადასხვა კანონით რეგულირდება. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონს.

მიუთითეთ რა ზემოთ, რეფერენდუმისა და არჩევნების უდიდეს როლზე ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩვენი აზრით, მხოლოდ პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის რეფერენდუმსა და არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების ფაქტი. მით უმეტეს, ქართულ რეალობასაც თუ გავითვალისწინებთ და აღვნიშნავთ, რომ საქართველოში არჩევნები როგორც წესი, პოლიტიკური დესტაბილიზაციის მიზეზი ხდება და ამ ფონზე, ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მასტაბილიზირებელი ფაქტორის მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება. თუმცა, აღნიშნულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებულმა საქართველოში განხორციელებულმა ბოლო კონსტიტუციურმა ცვლილებამ, ჩვენი აზრით, გარკვეული ბუნდოვანება წარმოშვა კანონმდებლობაში და გარკვეულ წილად ეჭვის საფუძველიც კი შექმნა, ხომ არ არის ეს კანონმდებლის მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოსათვის რეფერენდუმსა და არჩევნებთან დაკავშირებული უფლებამოსილების ფარგლების შემცირების მცდელობა. ამასთან, ცხადია მითითებულ კონსტიტუციურ ცვლილებას შესაბამისი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაშიც, რაც დღემდე არ მომხდარა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეფერენდუმისა და არჩევნების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა, დღესდღეობით არ არის სამართლებრივად გამართული და სრულყოფას საჭიროებს. ამ მიზეზის გამო, ამ თავში განხილული საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილებებისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოცემულ უფლებამოსილებაზე დეტალურად ვერ ვისაუბრებთ და ჩვენს მოსაზრებას, მხოლოდ, კონსტიტუციურ ცვლილებასა და მისგან გამომდინარე შედეგებზე გამოვთქვამთ.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს „რეფერენდუმისა და არჩევნების მომწვესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავა“. ამგვარი რედაქციით, მოცემული ნორმა 2005 წლის 27 დეკემბერს მიღებული კონსტიტუციური კანონით¹ ჩამოყალიბდა. ადრინდელი ნორმა კი, ზოგადად ადგენდა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავდა „რეფერენდუმებისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დავას“. ამდენად, როგორც აღნიშნულიდან ჩანს, მოქმედი კონსტიტუციური ნორმა განსხვავდება ადრე მოქმედი ნორმისგან. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ ზემომითითებულ კონსტიტუციურ ცვლილებას, იმავდროულად, შესაბამისი ცვლილებები უნდა მოყოლოდა

¹ იხ. სსმ, 2006, №1, მე-2 მუხლი.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონშიც. სხვა ნორმებზე რომ არაფერი ვთქვათ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი მაინც უნდა მოსულიყო შესაბამისობაში ახალ კონსტიტუციურ ნორმასთან, რადგან იგი ფაქტობრივად ძველი კონსტიტუციური ნორმის შინაარსს სიტყვა-სიტყვით იმეორებს: საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს „დავა რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ“.

2005 წლის კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ დღემდე ხუთჯერ განხორციელდა ცვლილებები ორგანულ კანონში, თუმცა, ეს არ შეხებია რეფერენდუმსა და არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელ ნორმებს, რის გამოც, ეს საკითხები დღემდე მოუწესრიგებელია ქართულ კანონმდებლობაში. ყოველივე ეს ცხადია ბადებს კითხვას რატომ არ ჩქარობს კანონმდებელი ორგანულ კანონში შესაბამისი ცვლილებების ასახვას. უფრო მეტიც, აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ საქართველოში ჩატარდა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებაც და ყველაფერი ეს გაუმართავი კანონმდებლობის ფონზე. შედეგად კი, მივიღეთ ის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სრულად იზოლირებული აღმოჩნდა ამ პროცესებისგან, მაშინ, როდესაც იგი შეიძლებოდა ყოფილიყო არჩევნების კონსტიტუციურობის მთავარი გარანტი.

ამჟამად ჩვენს მოსაზრებებს გამოვთქვამთ მოქმედ კონსტიტუციურ ნორმასა და კანონმდებლობაში არსებულ შეუსაბამობებზე. ჩვენი აზრით, მოცემული ნორმა სავალდებულო პირობას ითვალისწინებს. კერძოდ, მისი შინაარსიდან გამომდინარეობს ის, რომ კონსტიტუციური სარჩელი დასაშვებია, თუ მასში ერთდროულად ორი საკითხია დასმული. კერძოდ, 1) შეესაბამებია თუ არა კონსტიტუციას რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმები და 2) კონსტიტუციურია თუ არა ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნები ან რეფერენდუმი.

ამგვარ დათქმას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი არ ითვალისწინებს. აღნიშნული აქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ცალ-ცალკე შეიძლება გახდეს რეფერენდუმის ან არჩევნების დანიშვნა/არდანიშვნის საკითხი, ასევე რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურ ნორმათა დარღვევით ჩატარება/გამართვის საკითხი. უფრო მეტიც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ორგანული კანონით ზუსტად არის გათვალისწინებული კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადები, ცხადი გახდება, რომ ერთ კონსტიტუციურ სარჩელში ერთდროულად რეფერენდუმისა ან არჩევნების დანიშვნა/არდანიშვნის საკითხის და მათი კონსტიტუციურ ნორმათა დარღვევით ჩატარება/გამართვის საკითხის დაყენება თეორიულადაც კი შეუძლებელია. ასე მაგალითად:

ორგანული კანონის 36-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ-მეხუთედს რეფერენდუმის აკრძალვის მოთხოვნით კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის დანიშვნის თარიღიდან 15 დღის განმავლობაში, ხოლო რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შედეგების გამოქვეყნებიდან 7 დღის განმავლობაში;

ორგანული კანონის 37-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ-მეხუთედს დანიშნული არჩევნების გაუქმების მოთხოვნით კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ არჩევნების დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან 7 დღის განმავლობაში, ხოლო არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში;

ვადებზეც რომ არაფერი ვთქვათ, კონსტიტუციურ სარჩელში ერთდროულად შემომთითებული ორი საკითხის დასმის იმპერატიული მოთხოვნა, თუნდაც იმით არის გაუმართლებელი, რომ თოვრიულად შესაძლებელია, რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმები სრულ შესაბამისობაში იყვნენ კონსტიტუციასთან, ხოლო არჩევნები ან რეფერენდუმი კონსტიტუციურ ნორმათა მოთხოვნების დარღვევით ჩატარდეს. მოქმედი კონსტიტუციური ნორმის შინაარსიდან გამომდინარე კი, ამგვარ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის გათვალისწინებული.

ამდენად, მიგვაჩნია რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის რიგი დებულებები, იყვნენ რა სრულ შესაბამისობაში ძველ კონსტიტუციურ ნორმასთან, არ შეესაბამებიან მოქმედ კონსტიტუციურ ნორმას, ანუ, კანონმდებლობაში წარმოიშვა კოლიზია. ცხადია, კოლიზია კონსტიტუციის, როგორც უზენაესი კანონის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, მას ხომ უპირატესი იურიდიული ძალა აქვს სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მხოლოდ კონსტიტუციური ნორმით შეუძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მოცემულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების მოწესრიგება. ეს საკითხები, უპირველეს ყოვლისა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით უნდა იყოს გადაწყვეტილი. საბოლოოდ კი, შედეგად მივიღეთ ის, რომ კონსტიტუციური ნორმა, რომლითაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რეფერენდუმსა და არჩევნებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით არის აღჭურვილი, მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ ნორმად იქცა, რადგან ამ ეტაპზე, პრაქტიკაში მისი რეალიზება მთელ რიგ წინააღმდეგობებთან იქნება დაკავშირებული.

2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონის პროექტის მოხსენებით ბარათში მითითებულია, რომ კონსტიტუციური ცვლილება მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების დაკონკრეტებას. მართალია, კონსტიტუციური ნორმის თავდაპირველი რედაქცია ზოგად დებულებას შეიცავდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაზე გადაწყვიტოს რეფერენდუმთან და არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა მიგვაჩნია, რომ მისი დაკონკრეტების საჭიროებაც არ იყო, რადგან უფლებამოსილების „დაკონკრეტების“ ფუნქციას ორგანული კანონიც უნაკლოდ ასრულებდა. ორგანულ კანონში 2002 წლის 12 თებერვალს განხორციელებული ცვლილებების¹ ერთ-ერთი მთავარი მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო.

¹ იხ. სსმ, 2002, №4, მე-14 მუხლი.

თავი IV. საკონსტიტუციო სამართალწარმოება საქართველოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი უფლებამოსილებების რეალიზებას საქართველოს კანონმდებლობაში განმტკიცებული მთელი რიგი პროცესუალური ნორმების საფუძველზე ახორციელებს. ეს ნორმები, ერთობლიობაში, სამართალწარმოების დამოუკიდებელი სახის – საკონსტიტუციო სამართალწარმოების ინსტიტუტს ქმნიან. საკონსტიტუციო სამართალწარმოებას ბევრი საერთო აქვს სამართალწარმოების სხვა ფორმებთან, თუმცა იგი მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნებითაც ხასიათდება, რასაც, უპირველეს ყოვლისა, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხთა თავისებურება განაპირობებს. ყოველივე ეს კი, საფუძველს გვაძლევს საკონსტიტუციო სამართალწარმოება სამართალწარმოების დამოუკიდებელ სახედ განვიხილოთ.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების დეფინიციას საქართველოს კანონმდებლობა არ გვთავაზობს, თუმცა, საქართველოს კონსტიტუცია მის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს. კერძოდ კი, იმაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით ახორციელებს (88-ე მუხლის პირველი პუნქტი).

ჩვენი აზრით, ზოგადად საკონსტიტუციო სამართალწარმოების ცნება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხთა განხილვის და გადაწყვეტის კანონით დადგენილი წესი. იმას, რომ ეს წესი კანონით უნდა იყოს რეგულირებული საქართველოს კონსტიტუცია ციფრულია. კერძოდ, 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების საკითხები განისაზღვრება კანონით. აღნიშნული დებულების მოთხოვნის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის რეგულირება „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონით¹ ხდება. ამასთან, სამართალწარმოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონითაც² არის მოწესრიგებული. მნიშვნელოვანი როლი სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის რეგულირებაში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტსაც“³ აკისრია. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციული, ფუნქციური და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების რეგლამენტაცია ორი კანონისგან შემდგარ პაკეტს ეკისრება, საზღვარგარეთის სახელმწიფოებში კი, აღნიშნული საკითხები, როგორც წესი, ერთი კანონით არის რეგულირებული.

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, პასუხისმგებელი ჯ. ხეცურიანი, თბ., 2006, გვ. 93-121.

² იხ. იქვე, გვ. 58-92.

³ იხ. იქვე, გვ. 127-162.

§ 1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი

სამართალწარმოების ყოველ სახეს სამართალწარმოების მონაწილეთა საკუთარი წრის არსებობა ახასიათებს. ზოგადად, სამართალწარმოების მონაწილე შეიძლება უწოდოთ საქმის განხილვაში მონაწილე ყოველ პირს, რომელიც ხარისხისა და მოტივის მიუხედავად, იურიდიულად უშუალოდ არის დაინტერესებული საქმის არსებითად განხილვაში, ამასთან, სასამართლო პროცესში მონაწილეობს თავისი სახელით და გავლენას ახდენს პროცესის მსვლელობაზე იმ პროცესუალური უფლებების მეშვეობით, რომლებიც კანონმდებლობით აქვს მას მინიჭებული.¹ ამდენად, ფართო გაგებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილე შეიძლება უწოდოთ, როგორც მხარეს, იქნება ეს მოსარჩელე თუ მოპასუხე, ასევე, სამართალწარმოების პროცესში მონაწილე ნებისმიერ სხვა სუბიექტს, მაგალითად, ადვოკატს, სპეციალისტს, თარჯიმანს. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა, ტერმინს – „საკონსტიტუციო სასამართლოს მონაწილენი“, განსხვავებულ დატვირთვას ანიჭებს და ამ ტერმინის ქვეშ კონკრეტულ სუბიექტებს მოიაზრებს.

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ კანონმდებლობა მოცემულ ტერმინში იმ სამართალწარმოების მონაწილეებს გულისხმობს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანით არის აღძრული. სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანითაც შეიძლება აღიძრას („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი), თუმცა ამ შემთხვევაში, კანონმდებლობა კონსტიტუციური წარდგინების განხილვის განსხვავებულ პროცედურას ადგენს. კერძოდ იმას, რომ კონსტიტუციურ წარდგინებებს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს წარდგინების ავტორთა და მათ წარმომადგენელთა გარეშე. ამასთან, კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას მისი შეხედულებისამებრ, განმარტებების მოსასმენად მიიწვიოს კონსტიტუციური წარდგინების ავტორები, ასევე თანამდებობის პირები, რომელთა მიმართაც აღძრულია იმპიჩმენტის პროცედურა, თუმცა ამ პირებს კანონმდებლობა მხარის სტატუსს არ ანიჭებს, ანუ სამართალწარმოების მონაწილეებად არ მიიჩნევს („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტი).

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა სამ კატეგორიას ასახელებს: 1) მხარეებს, 2) მხარეთა წარმომადგენლებს, 3) მხარეთა ინტერესების დამცველებს. ამასთან, აღნიშნული მუხლი აკონკრეტებს ვინ მოიაზრება თითოეული კატეგორიის სუბიექტებად. კერძოდ:

მხარეები არიან პირები და ორგანოები, რომლებიც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისი

¹ იხ.: Конституционный судебный процесс (учебник для вузов), отв. ред. М.С. Саликов, М., 2003, с. 81.

მუხლების თანახმად, ითვლებიან მოსარჩელებად ან მოპასუხეებად („ა” ქვეპუნქტი);

მხარეთა წარმომადგენლები არიან ნდობით აღჭურვილი პირები, რომელთათვისაც მხარეებს კანონით დადგენილი წესით გადაცემული აქვთ თავიანთი უფლებამოსილება („ბ” ქვეპუნქტი);

მხარეთა ინტერესების დამცველნი არიან ადვოკატები, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილნი არიან განახორციელონ საადვოკატო საქმიანობა, ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირები, რომლებიც სამართალწარმოებაში მონაწილეობენ მხოლოდ მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან ერთად („გ” ქვეპუნქტი).

ამდენად, ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი არიან მოსარჩელები, მოპასუხეები, მხარეთა წარმომადგენლები, ადვოკატები და უმაღლესი განათლების მქონე სხვა პირები. თუმცა, ფაქტია, რომ ორგანული კანონისა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონის სხვადასხვა ნორმებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობა შეიძლება სხვა სტატუსის მქონე პირებმაც მიიღონ. კერძოდ, მოწმეებმა, ექსპერტებმა, სპეციალისტებმა, თარჯიმნებმა. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა ამ უკანასკნელთ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილის” სტატუსს არ ანიჭებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა მათი სტატუსის განმსაზღვრელ დებულებებს საერთოდ არ შეიცავს, რაც ჩვენი აზრით, კანონმდებლობის ხარვეზზე მიუთითებს.

1.1 სამართალწარმოების სავალდებულო და ფაკულტატიური მონაწილეები

ჩვენი აზრით, საქართველოში საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი, პირობითად შეიძლება დავყოთ სამართალწარმოების სავალდებულო და ფაკულტატიურ (არასავალდებულო) მონაწილეებად.¹ სავალდებულო არიან მონაწილენი, რომელთა გარეშე საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა შეუძლებელია. ესენი არიან მხარეები – მოსარჩელები და მოპასუხეები. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, პროცესის სავალდებულო მონაწილეები არიან მხარეთა წარმომადგენლებიც. მაგალითად, თუ მხარე ორგანოა, ცხადია მას აუცილებლად უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი, რადგან მისი მონაწილეობა სასამართლო პროცესში მხოლოდ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დანიშნული წარმომადგენლით არის შესაძლებელი. გარდა ამისა, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლის დანიშვნა სავალდებულოა. კერძოდ, წარმომადგენლის დანიშვნა სავალდებულოა, თუ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შემტან პირთა რაოდენობა ორზე მეტია, აგრეთვე თუ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შემტანი პირი მოთავსებულია

¹ საუბარია საქმის ზეპირი მოსმენით განხილვაში მონაწილეობაზე.

სასჯელადსრულების დაწესებულებაში¹ (მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფაკულტატიური მონაწილეები არიან მხარეთა წარმომადგენლები (ზემოთ მითითებული შემთხვევების გარდა), ადვოკატები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები, თარჯიმნები. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ სამართალწარმოების მონაწილეთა ამგვარი კლასიფიკაცია ხშირ შემთხვევაში პირობითია, რადგან იოლად შესაძლებელია, რომ ფაკულტატიური მონაწილე გახდეს სავალდებულო მონაწილე. მაგალითად, თუ მოსარჩელე გადაწყვეტს რომ მისი ინტერესები უნდა დაიცვას ადვოკატმა, ან მას უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი, ეს უკანასკნელი, პროცესის სავალდებულო მონაწილეები გახდებიან.

ჩვენი აზრით, სამართალწარმოების ფაკულტატიური მონაწილეები შეიძლება უწოდოთ კონსტიტუციური წარდგინებების ავტორებსაც. ერთი მხრივ, ისინი სამართალწარმოების ინიციატორები არიან და ამ თვალსაზრისით მათი მონაწილეობა სამართალწარმოებაში აუცილებელია, თუმცა, მეორე მხრივ, ზოგადი წესის თანახმად, საქმის არსებითად განხილვაში მათი უშუალო მონაწილეობის აუცილებლობას, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი).

სამართალწარმოების ფაკულტატიური მონაწილეები არიან ასევე, თანამდებობის პირები, რომელთა მიმართაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს კონსტიტუციის დარღვევის საკითხს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განმარტებების მოსასმენად მიიწვიოს წარდგინების ავტორები, ასევე თანამდებობის პირები, რომელთა მიმართაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს კონსტიტუციის დარღვევის საკითხს. ასეთ შემთხვევებში ისინი პროცესის სავალდებულო მონაწილეები გახდებიან.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 29 დეკემბერს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის არსებითად განხილვის ინსტიტუტი დამკვიდრდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთ შემთხვევაში საქმე არსებითად განიხილება მოსარჩელისა და მოპასუხის უშუალო მონაწილეობის გარეშე. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ასეთ პირობებში, მოსარჩელეც და მოპასუხეც საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფაკულტატიური მონაწილეები არიან.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეებს საქართველოს კანონმდებლობა მთელი რიგი უფლებებით აღჭურავს. ასე მაგალითად, მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ მათგან ამონაწერები, გადაიღონ ასლები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა

¹ ამ ნორმაში, ჩვენი აზრით, დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირი საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით ვერ მიმართავს. კონკრეტულად ვის შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა, იხილეთ ქვემოთ.

გამოკვლევაში, წარადგინონ მტკიცებულებანი, დაუსვან კითხვები ერთმანეთს, მოწმეებს, ექსპერტებს და სპეციალისტებს, მიმართონ შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლოს, მისცენ მას ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გამოვიდნენ დასკვნითი სიტყვით („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი).

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილე პირების მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი სავალდებულო ქცევის წესებსაც განსაზღვრავს. ასე მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომათა დარბაზში საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს შემოსვლისას და გასვლისას დარბაზში მყოფი პირები წამოდგებიან. სამართალწარმოების მონაწილე, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი სიტყვით გამოდის, შეკითხვებს სვამს და პასუხობს ფეხზე დგომით (თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლევა ამის შესაძლებლობას) და სხდომის თავმჯდომარის მიერ სიტყვის მიცემის შემდეგ. გადაწყვეტილება და დასკვნა ცხადდება და მოისმინება ფეხზე დგომით (44-ე მუხლის 1-3 პუნქტები). რეგლამენტით დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის ფორმებიც. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის (მოსამართლისათვის) მიმართვის შემთხვევაში გამოიყენება ოფიციალური მიმართვის ფორმები: „პატივცემულო სასამართლო“, „პატივცემულო მოსამართლენო“, „ბატონო მოსამართლე“, „პატივცემულო მოსამართლე“, „ბატონო თავმჯდომარე“, „პატივცემულო თავმჯდომარე“ (44-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

სხდომის დარბაზში მყოფი პირები მოვალენი არიან დაემორჩილონ სხდომის თავმჯდომარის მითითებებს, დაიცვან წესრიგი, არ იმოძრაონ დარბაზში სხდომის მიმდინარეობისას, ისაუბრონ, გააკეთონ რეპლიკები ან სხვაგვარად შეუშალონ ხელი სხდომის ნორმალურ მიმდინარეობას. სხდომის დარბაზში წესრიგის დამრღვევ პირს სხდომის თავმჯდომარე აძლევს გაფრთხილებას. წესრიგის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში მხარე, წარმომადგენელი, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი შეიძლება გაძევდეს სხდომის დარბაზიდან სასამართლოს მიერ ადგილზე მოთათბირებით მიღებული გადაწყვეტილებით, ხოლო სხდომის დარბაზში მყოფი სხვა პირი – სხდომის თავმჯდომარის მითითებით (რეგლამენტის 44-ე მუხლის 5-6 პუნქტები).

1.2 მხარეები საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები არიან „პირები და ორგანოები, რომლებიც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე – მე-40 მუხლებისა და 41¹ მუხლის შესაბამისად ითვლებიან მოსარჩევეებად ან მოპასუხეებად“. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ტერმინ „მხარეებში“ მოიაზრებიან მოსარჩელე და მოპასუხე.

ა) მოსარჩელე. შეიძლება გახდეს პირი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. მოსარჩელე საკონსტიტუციო სამართალწარმოების სავალდებულო მონაწილეა. მასზე შეიძლება ითქვას, რომ იგი სასამართლო პროცესის ინიციატორია. მას პირობითად სამართალწარმოების აქტიური მონაწილეც შეიძლება უწოდოთ, თუნდაც იმიტომ, რომ იგი უფრო ადრე ერთეუბა სამართალწარმოების პროცესში, ვიდრე მოპასუხე.

მოსარჩელეს ეკისრება ვალდებულება კონსტიტუციური სარჩელი წარადგინოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. სარჩელი უნდა იყოს დასაბუთებული და მასში აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის აზრით, ადასტურებენ სარჩელის საფუძვლიანობას. ამასთან, სარჩელს უნდა ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტები. მოსარჩელე ვალდებულია გადაიხადოს კონსტიტუციური სარჩელისთვის დადგენილი სახელმწიფო ბაჟი.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 29 დეკემბრამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა შეეცვალა თავდაპირველი მოთხოვნის საგანი და საფუძველი და გაეზარდა მოთხოვნის მოცულობა. აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სამართალწარმოების პროცესში მოსარჩელე ზრდიდა მოთხოვნის საგანს. თუმცა, 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებების შედეგად, მოსარჩელეს მოთხოვნის მოცულობის გაზრდის უფლება აღარ აქვს, იგი მხოლოდ მოთხოვნის მოცულობის შემცირების უფლებით სარგებლობს. მასვე შეუძლია უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი).

ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. საკონსტიტუციო სასამართლოში ხშირია შემთხვევები, როდესაც განსახილველად შემოსულ სხვადასხვა კონსტიტუციურ სარჩელებში ერთი და იგივე დავის საგანია მითითებული, ამასთან, ერთია მოპასუხეც. ცხადია, კონსტიტუციური მართლმსაჯულების ეკონომიური და სრული რეალიზების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილი უნდა იყოს ასეთი სარჩელების ერთობლივად განხილვა. თუმცა, შესაბამისი პროცედურის საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ არსებობს, რაც ჩვენი აზრით, კანონმდებლობის ხარვეზზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოში დანერგილია ამ სარჩელების ერთობლივად არსებითად განხილვის მიზნით, ერთ საქმედ გაერთიანების პრაქტიკა. ეს, როგორც წესი, განმწესრიგებელ სხდომაზე ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ზემომითითებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით, შესაბამისი პროცედურული ნორმები საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში უნდა აისახოს.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლი განსაზღვრავს იმ სუბიექტთა წრეს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილებით სარგებლობენ. ესენი არიან: საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი, სასამართლო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი

ორგანოები, სახალხო დამცველი და მოქალაქე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი მიმართვის უფლებით ასევე აღჭურავს საქართველოს იურიდიულ პირებსა და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე საქართველოში მცხოვრებ ფიზიკურ პირებს (მუხლი 39), საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს (მუხლი 41) და საქართველოს პარლამენტს (მუხლი 41²).

თუმცა, „საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტის“ გაგების ქვეშ მხოლოდ კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტები არ უნდა წარმოვიდგინოთ, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა კონსტიტუციური წარდგინებითაც არის შესაძლებელი. ამდენად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტთა წრის დასაზუსტებლად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე – მე-40 და 41¹ მუხლები უნდა მოვიშველიოთ. ამ ნორმებიდან კი გამომდინარეობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვა შეუძლიათ:

1) საქართველოს პრეზიდენტს (ორგანული კანონის 33-ე – 38-ე, მე-40, 41¹ მუხლები). საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის დებულებიდან გამომდინარე, ამ უფლებით პრეზიდენტს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ფიცის დადების შემდეგ. ამ უფლებით შეიძლება ისარგებლოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმაც;¹

2) საქართველოს მთავრობას (ორგანული კანონის 33-ე, 34-ე, 38-ე, 41¹ მუხლები). მას საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება გაუჩნდა, 2004 წლის თებერვლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად. ამ ცვლილებების შემდეგ საქართველოს მთავრობა კოლეგიალური პასუხისმგებლობის მქონე ერთიან ორგანოდ ჩამოყალიბდა. ცვლილება შეეხო საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველ პუნქტსაც და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტთა ნუსხას საქართველოს მთავრობაც დაემატა. იმავე წლის ნოემბერში შესაბამისი ცვლილებები ორგანულ კანონშიც აისახა;

3) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს (ორგანული კანონის 33-ე – 38-ე, მე-40, 41¹ მუხლები). საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის თანახმად პარლამენტი შედგება 150 წევრისგან. აქედან გამომდინარე, ცნება „საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი“ გულისხმობს არანაკლებ 30 წევრს, ანუ, ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით შეიძლება მიმართოს პარლამენტის არანაკლებ 30-მა წევრმა.

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ ერთ საკითხზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე აღძრული

¹ დაწვრილებით იხ.: ჯ. ხეცურიანი, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2002, №4, გვ. 17-18.

სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე, ცალკეული დეპუტატები უარს ამბობდნენ კონსტიტუციურ სარჩელზე, რის გამოც პარლამენტის წევრთა ჯგუფი ერთ მეხუთედზე ნაკლები რჩებოდა¹. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პარლამენტართა ეს ჯგუფი ვეღარ ჩაითვლება საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტად, რაც განმწესრიგებელი სხდომის სტადიაზე კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღებაზე უარის თქმის, ხოლო არსებითი განხილვის სტადიაზე საქმის შეწყვეტის საფუძველია. 2004 წლის 17 თებერვალს მიღებული საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 245-ე მუხლში განმტკიცდა დებულება, რომლის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წევრთა მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შეტანის შემდეგ მასზე ხელმოწერ პარლამენტის წევრთა მიერ უარის თქმა კონსტიტუციურ სარჩელზე ან წარდგინებაზე არ იწვევს მის განხილვაზე უარის თქმას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საქმის არსებით განხილვამდე მასზე უარს არ იტყვის კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შემტანი ყველა პარლამენტის წევრი“. ამდენად, ამ ნორმის თანახმად, სამართალწარმოების დაწყების შემდეგ, ცალკეული დეპუტატის უარი სარჩელზე (პარლამენტის წევრთა ჯგუფის რაოდენობა 30-ზე ნაკლებიც რომ დარჩეს) ვეღარ გახდება პარლამენტართა ჯგუფის არაუფლებამოსილ სუბიექტად ცნობის საფუძველი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ დათქმას არ ითვალისწინებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მოქმედი კანონმდებლობა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი უნდა იყოს პარლამენტის რეგლამენტის 245-ე მუხლში განმტკიცებული დებულების „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში, ან თუნდაც, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონში ასახვა.

პარლამენტის რეგლამენტი განსაზღვრავს კონსტიტუციურ სარჩელზე ხელმოწერათა დამოწმების წესსაც. კერძოდ, ეს ხდება სანოტარო წესით ან შემდგენაირად: კონსტიტუციური სარჩელის შედგენის შემდეგ პარლამენტის წევრი, ფრაქცია აკეთებს განცხადებას ხელმოწერათა შესრულების ადგილთან დაკავშირებით და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში შესაბამისი სარჩელის გადაცემიდან 3 დღის ვადაში კომიტეტის თავმჯდომარე ამოწმებს ხელმოწერების ნამდვილობას (რეგლამენტის 247-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 246-ე მუხლი);

4) სასამართლოს. სასამართლოს ეს უფლებამოსილება გამომდინარეობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტიდან, რომელშიც აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის ფარგლების შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლში ჩამოთვლილ სახელმწიფო ორგანოებს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ დარღვეულია მათი კონსტიტუციური

¹ მაგალითისთვის იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2001 წლის 6 თებერვლის განმწესრიგებელი სხდომის განხილვა, საქმე №2/134-139-140-142-151/1, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2001, №1, გვ. 116-135.

უფლებამოსილების ფარგლები. კონსტიტუციის მითითებულ მუხლში კი, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად სასამართლოც არის დასახელებული.

საერთო სასამართლოების სისტემა დადგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. ამ კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო. სწორედ მათ შეუძლიათ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა. საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-3 პუნქტი საომარ პირობებში სამხედრო სასამართლოს შექმნის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. იმავე ნორმის შესაბამისად, სამხედრო სასამართლოები საერთო სასამართლოების სისტემაში მოექცევიან, ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა სამხედრო სასამართლოსაც შეუძლია;

5) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს (ორგანული კანონის 34-ე, 35-ე მუხლები). ამასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილებით სარგებლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (ორგანული კანონის 41¹ მუხლი).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, ხოლო 104-ე მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედ ორგანოს – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის შინაარსიდან გამომდინარე აჭარის ავტონომიის ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (მე-10 მუხლის პირველი პუნქტი). ამდენად, სწორედ ის არის უფლებამოსილი კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამაზე შესაბამისი მითითება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 135-ე მუხლშიც არის. კერძოდ, აღნიშნული ნორმის პირველი პუნქტის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია შეიტანოს კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის თაობაზე საკითხის დასმის უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს კომიტეტს, ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა ხუთკაციან ჯგუფს (მეორე პუნქტი). საკითხს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, კონსტიტუციური სარჩელის შეტანის თაობაზე, უმაღლესი საბჭო დებულობს დადგენილებით, სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედით (მესამე პუნქტი);

6) სახალხო დამცველს (ორგანული კანონის 36-ე და 37-ე მუხლები, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);

7) საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე საქართველოში მცხოვრებ ფიზიკურ პირებს, კერძოდ კი, საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს (ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა შეუძლია ასევე მოქალაქეს, ვისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა (ორგანული კანონის მე-40 მუხლი);

8) საქართველოს იურიდიულ პირებს (ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი). იმისათვის, რომ დავაზუსტოდ კონკრეტულად რომელი იურიდიული პირები ჩაითვლებიან საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაუნარიან სუბიექტებად პასუხი უნდა გავცეთ ორ კითხვას: პირველი, – რომელი იურიდიული პირები არიან საქართველოს იურიდიული პირები და მეორე – ყველა სახეობის იურიდიული პირი არის თუ არა უფლებამოსილი კონსტიტუციური სარჩელთ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებების დასაცავად. ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ ჯ. ხეცურიანის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს, რომ აუცილებელი და საკმაო ნიშანი, რაც უნდა გააჩნდეს იურიდიულ პირს, რათა იგი ჩაითვალოს საქართველოს იურიდიულად პირად, მდგომარეობს იმაში, რომ მისი ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) უნდა იყოს საქართველოში. რაც შეეხება მეორე კითხვას, თავიანთი უფლებების დასაცავად საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილებით სარგებლობენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, ასევე, საჯარო სამართლის ისეთი იურიდიული პირები, როგორებიც არიან არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური გაერთიანებები და სხვა), ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფოებრივ საქმიანობას, ვერ იქნებიან ძირითადი უფლებების სუბიექტები თუნდაც იმ მოსაზრების გამო, რომ ძირითადი უფლებები, როგორც წესი, გააჩნიათ ინდივიდებს და არა სახელმწიფოებრივი საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებს. აქედან გამომდინარე, საჯარო სამართლის ამ იურიდიულ პირებს არა აქვთ უფლება, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შეუძლებელია იმის დაცვა, რაც არ გააჩნია.¹

ბ) *მოპასუხე*. ეს არის საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხარე, რომელიც სამართალწარმოების პროცესში ჩაბმულია მოსარჩელის მიერ წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე და იცავს მოსარჩელის საწინააღმდეგო პოზიციას. მოპასუხე, მოსარჩელის მსგავსად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების სავალდებულო მონაწილეა, თუმცა, მოსარჩელისგან განსხვავებით, მას პირობითად, სამართალწარმოების პასიური მონაწილე შეიძლება უწოდოთ. თუ, მოსარჩელე თავად არის სასამართლო პროცესის ინიციატორი, მოპასუხე თავისი ნების გარეშე ხდება სამართალწარმოების მონაწილე.

¹ დაწვრილებით იხ. მითითებული წყარო: ჯ. ხეცურიანი, გვ. 10-17.

მოპასუხე სარგებლობს უფლებებით დაასაბუთოს თავისი პოზიცია, უარყოს ან გააქარწყლოს მოსარჩელის მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები. ამავდროულად, მას შეუძლია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მოპასუხე როგორც წესი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო ან თანამდებობის პირია¹. იმისათვის, რომ დავაზუსტოთ მოპასუხე სუბიექტა წრე, ანუ, ვინ შეიძლება იყოს მოპასუხე საკონსტიტუციო სასამართლოში, ისევ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე – მე-40 და 41¹ მუხლების მოშველიება დაგეჭირდება. ზოგიერთ ამ მუხლში პირდაპირ არის მითითებული ვინ იქნებიან მოპასუხეები ამ მუხლებით გათვალისწინებული დავის შემთხვევაში, ხოლო ზოგიერთი მუხლი არ აკონკრეტებს მოპასუხის ვინაობას და მხოლოდ ზოგადად განსაზღვრავს, რომ მოპასუხე შეიძლება იყოს ესა თუ ის ორგანო ან თანამდებობის პირი. აღნიშნულის გათვალისწინებით, თავდაპირველად დავასახელებთ სუბიექტებს, რომელთა მოპასუხე მხარედ მონაწილეობის შესაძლებლობა საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში, პირდაპირ არის გათვალისწინებული „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე – მე-40 და 41¹ მუხლებით. ესენი არიან:

- 1) საქართველოს პრეზიდენტი (ორგანული კანონის 33-ე, 34-ე, 36-ე – 39-ე, 41¹ მუხლები)²;
- 2) საქართველოს მთავრობა (ორგანული კანონის 33-ე, 34-ე, 38-ე, 39-ე, 41¹ მუხლები);
- 3) საქართველოს პარლამენტი (ორგანული კანონის 33-ე, 34-ე, 37-ე – მე-40, 41¹ მუხლები);
- 4) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები (ორგანული კანონის 33-ე, 34-ე, 38-ე, 39-ე, 41¹ მუხლები);

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

5) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ორგანული კანონის 36-ე, 37-ე მუხლები). ამასთან, ორგანული კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში, მოპასუხე შეიძლება იყოს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიაც;

¹ ერთდერთი გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მოპასუხე პოლიტიკური პარტია შეიძლება იყოს.

² ამ შემთხვევაში ასევე ქვემოთ, ფრჩხილებში, ვუთითებთ ორგანული კანონის ყველა მუხლს, რომელთა თანახმად, ესა თუ ის სუბიექტი შესაძლებელია გახდეს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მოპასუხე მხარე, განურჩევლად იმისა, პირდაპირ არის ამის თაობაზე ამ ნორმებში მითითებები, თუ ეს ზოგადი ფორმულირებებიდან გამომდინარეობს.

6) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (ორგანული კანონის 35-ე მუხლი). ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მოპასუხე მხარე საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში არასახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეიძლება იყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ არ სახელდება მოპასუხეები, მათზე მხოლოდ ზოგადი მითითებებია. კერძოდ:

1) ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე დავის შემთხვევაში მოპასუხეა ის სახელმწიფო ორგანო, რომლის ნორმატიულმა აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა, ანუ თეორიულად, ამ შემთხვევაში, მოპასუხე შეიძლება ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო გახდეს, რომელიც სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლების დამრღვევ ნორმატიულ აქტს გამოსცემს;

2) ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების კონსტიტუციურობის საკითხის დადგენისას, რომელიც არ ექვემდებარება რატიფიცირებას, მოპასუხეა საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების დამდები ორგანო/თანამდებობის პირი. ამდენად, ამ შემთხვევაში მოპასუხე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება;

3) ორგანული კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმებისას, მოპასუხეა ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომლის ნორმატიულმა აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა. ანუ, ამ შემთხვევაში მოპასუხე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ნორმატიული აქტი;

4) ორგანული კანონის 41^ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ დავის შემთხვევაში მოპასუხეა ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომელმაც, მოსარჩელის აზრით, დარღვია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი.

ამდენად, ზემოთ მითითებული მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თეორიულად, მოპასუხეთა წრე საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ასე მაგალითად, როდესაც ვამბობთ, რომ ზოგადად, მოპასუხე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ნორმატიული აქტი (ორგანული კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში), ეს ნიშნავს, რომ მასში 30-ზე მეტი სუბიექტი მოიაზრება, რადგან „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტის გამოცემა 30-ზე მეტ სუბიექტს (ორგანოს თუ თანამდებობის პირს) შეუძლია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ორ შემთხვევაში, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი პირდაპირ არ მიუთითებს მოპასუხეებზე, თუმცა ნორმის შინაარსიდან გამოიკვეთება მათი ვინაობა. კერძოდ:

ა) ორგანული კანონის 33-ე მუხლის მეორე პუნქტი ადგენს, რომ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვისას, მოპასუხეა ის ორგანო, რომლის ნორმატიული აქტის გამოც არის შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი, ხოლო პირველ პუნქტში ჩამოთვლილია ნორმატიული აქტები, რომელთა კონსტიტუციურობასაც მოცემული უფლებამოსილების ფარგლებში ამოწმებს საკონსტიტუციო სასამართლო. ამდენად, ცხადია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მოპასუხე ერთ-ერთი ამ აქტის მიმღები ორგანო უნდა იყოს, ანუ, ორგანული კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამ უფლებამოსილების ფარგლებში საქმეთა განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლოში მოპასუხე შეიძლება იყოს: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ან მინისტრთა საბჭო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ან მთავრობა;

ბ) ორგანული კანონის 35-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვისას მოპასუხეა პოლიტიკური გაერთიანების მარეგისტრირებელი ორგანო, ანუ, ამ შემთხვევაში საუბარია საქართველოს იუსტიციის სამინისტროზე, რადგან „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაცია ხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მოპასუხე მხარეზე საუბრისას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ საკითხზე. თეორიულად შესაძლებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველად დადგეს საკითხი საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე მიღებული ან გამოცემული ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების თაობაზე, ანუ იმ აქტის, რომლის მიმღები ან გამომცემი ორგანო დღეისთვის აღარ არსებობს. ასეთი შემთხვევების დასარეგულირებლად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი უფლებამონაცვლეობის პრინციპით საქმეში მოპასუხედ მონაწილეობის მექანიზმს ამკვიდრებს. ასე მაგალითად, ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ კონსტიტუციური სარჩელი ეხება საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე მიღებულ/გამოცემულ ნორმატიულ აქტს, მოპასუხეა ამ აქტის მიმღების/გამომცემის უფლებამონაცვლე ორგანო, ამ ორგანოს არარსებობისას კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხენი არიან საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოები. მსგავსი შინაარსის დებულება ორგანული კანონის 38-ე მუხლშიც არის. კერძოდ, მე-6 პუნქტის შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების კონსტიტუციურობის საკითხის დადგენისას, რომელიც არ ექვემდებარება რატიფიცირებას, მოპასუხეა საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების დამდები ორგანო ან თანამდებობის პირი, ხოლო თუ ეს ორგანო ან თანამდებობის პირი აღარ არსებობს, მოპასუხე იქნება მისი უფლებამონაცვლე.

2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსულია 428 კონსტიტუციური სარჩელი. მათგან, 339 (79%) კონსტიტუციური სარჩელი ეკუთვნის ფიზიკურ პირებს, 54 (13%) – იურიდიულ პირებს, 19 (4%) – პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, 16 (4%) – სახალხო დამცველს¹. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური სარჩელით დღემდე არ მიუმართავთ.

შემოსულ კონსტიტუციურ სარჩელებზე დაფიქსირებულ მოპასუხე სუბიექტთა საერთო რაოდენობა 483-ს შედაგენს.² აქედან, საქართველოს პარლამენტი მოპასუხე იყო 287 სარჩელზე, საქართველოს პრეზიდენტი – 98 სარჩელზე, საქართველოს მთავრობა და სხვადასხვა სამინისტრო – 36 სარჩელზე, ცენტრალური საარჩევნო კომისია – 15 სარჩელზე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები – 9 სარჩელზე. ზოგიერთ სარჩელში მოპასუხე სუბიექტებად ფიქსირდებოდნენ საქართველოს კონსტროლის პალატა, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტი, თბილისის მერია, ქუთაისის მერია და სხვები.

1.3 მხარეთა წარმომადგენლები

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება მიანდონ ნდობით აღჭურვილ პირს – წარმომადგენელს. როგორც აღნიშნული ნორმის შინაარსიდან ჩანს, წარმომადგენლის დანიშვნა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მოსარჩელის და მოპასუხის ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა, კანონმდებლობა საერთო წესიდან გამონაკლისსაც ითვალისწინებს. ასე მაგალითად, წარმომადგენლის დანიშვნა სავალდებულოა, თუ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შემტან პირთა რაოდენობა ორზე მეტია, აგრეთვე თუ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შემტანი პირი მოთავსებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს, რომ წარმომადგენლის რწმუნებულება უნდა დამოწმდეს სანოტარო ან შესაბამისი დაწესებულებისათვის დადგენილი წესით. ასე მაგალითად, საქართველოს პარლამენტის სახელით წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოში რწმუნებებს (მინდობილობებს)

¹ ამ თავში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ემყარება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ სტატისტიკურ მასალას. იხ. http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=243.

² საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ერთ სარჩელზე მოპასუხედ ერთგვარადა ორი ან მეტი სუბიექტი.

ანიჭებს პარლამენტის თავმჯდომარე (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 109-ე მუხლის „ჭ“ ქვეპუნქტი).

14 მხარეთა ინტერესების დამცველნი

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მხარეთა ინტერესების დაცვა შეუძლიათ: 1) ადვოკატებს ან 2) უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირებს („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). ამასთან კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ ადვოკატი, შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად არის უფლებამოსილი განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა, ხოლო უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირს სამართალწარმოებაში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან ერთად.

ადვოკატთა საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის თანახმად, ადვოკატი არის „თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“. ამასთან, ადვოკატი შეიძლება გახდეს მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება და აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი (მე-10 მუხლის პირველი პუნქტი).

იმისათვის, რომ პირმა ადვოკატის სტატუსით მიიღოს მონაწილეობა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მან უნდა წარუდგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, აგრეთვე, კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი, ხოლო მხარის ინტერესების დამცველმა უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირმა, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა წარმოუდგინოს უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

1.5 საკონსტიტუციო სამართალწარმოების სხვა მონაწილენი

ამდენად, ზემოთ განვიხილეთ სუბიექტები, რომლებსაც „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის თანახმად, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილის“ სტატუსი აქვთ მინიჭებული. თუმცა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის მონაწილენი სხვა სუბიექტებიც შეიძლება გახდნენ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის დაწყების საფუძველი არა მარტო კონსტიტუციური სარჩელის, არამედ კონსტიტუციური წარდგინების შეტანაც არის. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სამართალწარმოების აქტიური მონაწილე კონსტიტუციური წარდგინების ავტორია. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი შეიძლება ასევე გახდნენ მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები.

ა) კონსტიტუციური წარდგინების ავტორი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საქმის დაწყების ოთხ შემთხვევაში ითვალისწინებს. კერძოდ, როდესაც საქმე ეხება:

1) საქართველოს პრეზიდენტის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხს (ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი);

2) საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს (ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი);

3) იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხს, რომლებიც ექვემდებარებიან რატიფიცირებას (ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

4) საერთო სასამართლოს მიმართვას საკონსტიტუციო სასამართლოსადმი, საქმეში გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების თაობაზე (ორგანული კანონის მე-19 მუხლის მეორე პუნქტი);

ოთხივე შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა თითო სუბიექტს შეუძლია, ამასთან, ამ უფლებამოსილებით ოთხივე შემთხვევაში სხვადასხვა სუბიექტი სარგებლობს. კერძოდ:

საქართველოს პრეზიდენტის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის შესახებ დასკვნების მისაღებად კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს, ანუ პარლამენტის წევრთა ჯგუფს, რომლის რაოდენობა არ არის 50-ზე ნაკლები;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან შესაბამისობის შესახებ კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტს დადგენილებით, დადგენილება კი, მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა;

რატიფიცირებას ქვემდებარე საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მესამედს, ანუ, ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით შეიძლება მიმართოს პარლამენტის წევრთა

ჯგუფმა, თუ ამ ჯგუფის წევრთა რაოდენობა 30 დეპუტატზე ნაკლები არ არის;

დაბოლოს, კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა შეუძლია *საერთო სასამართლოს*. კერძოდ კი, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს. საომარ პირობებში ამ უფლებით ისარგებლებს სამხედრო სასამართლოც.

ბ) *თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს კონსტიტუციის დარღვევის საკითხს*. საქართველოს პრეზიდენტის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხის განხილვისას, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილე შეიძლება თავად გახდეს ის თანამდებობის პირი, რომლის ქმედებების კონსტიტუციურობასაც ამოწმებს საკონსტიტუციო სასამართლო. ამას ითვალისწინებს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი. აღნიშნული ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განმარტებების მოსასმენად მიიწვიოს თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს კონსტიტუციის დარღვევის საკითხს. ამ პირთა ნუსხა კი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტშია მოცემული. ეს თანამდებობის პირები არიან: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს მთავრობის წევრი, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

გ) *მოწმე*. ზოგადად, მოწმე არის პირი, რომლისთვისაც ცნობილია საქმესთან დაკავშირებული რაიმე გარემოება. მოწმეების მონაწილეობა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში საკმაოდ მნიშვნელოვანია საქმეზე მტკიცებულებების მოსაპოვებლად და სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. საკონსტიტუციო სასამართლო თავად განსაზღვრავს ამა თუ იმ საქმეზე მოწმეებად დასაბარებელ პირთა ნუსხას. ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს მხარეთა აზრს. მოსარჩელეს შეუძლია კონსტიტუციურ სარჩელში მიუთითოს იმ პირთა სია, რომლებიც მისი აზრით, მოწმის სახით უნდა გამოიძახოს სასამართლომ. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე არკვევს სურთ თუ არა სამართალწარმოების მონაწილეებს დამატებით მოწმეთა გამოძახება.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, მოწმის ინსტიტუტთან დაკავშირებული რიგი საკითხები სრულყოფილად არ არის რეგულირებული საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობით. არ ზუსტდება ვინ შეიძლება იყოს მოწმე (ან პირიქით, ვინ არ შეიძლება იყოს მოწმე). კანონმდებლობა ერთადერთ შემთხვევაში, ირიბად მიუთითებს, რომ იგი შეიძლება იყოს 16 წელზე უმცროსი ასაკის პირიც (ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტი);

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონში აღნიშნულია, რომ სასამართლო უფლებამოსილია გადადოს ან შეაჩეროს

საქმის განხილვა, თუ აუცილებელია დამატებით მოწმეთა გამოძახება (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი), ანუ, აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება დაეასკვნათ, რომ ასეთ შემთხვევებში, მოწმის საქმის განხილვაში მონაწილეობა სავალდებულოა. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში პირდაპირ არაფერია ნათქვამი მოწმის ვალდებულებაზე დაბარების შემთხვევაში გამოცხადდეს სასამართლოში. ჩვენი აზრით, საჭიროების შემთხვევაში კანონის ანალოგიის პრინციპის საფუძველზე, შესაძლებელი უნდა იყოს „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 145-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებებით ხელმძღვანელობა. მითითებულ ნორმაში აღნიშნულია, რომ „მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. მოწმის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იგი დაჯარიმდება 50 ლარით. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა“. თუმცა, სასამართლოში მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევას საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტი განსხვავებულად არეგულირებს. კერძოდ, მოწმეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო მოისმენს საქმეში მონაწილეთა აზრს ამ მოწმეთა დაუსწრებლად საქმის განხილვის შესაძლებლობის თაობაზე და ადგილზე მოთათბირებით წყვეტს საკითხს განხილვის გაგრძელების ან საქმის განხილვის გადადების შესახებ. განმეორებით დაბარებული მოწმის გამოუცხადებლობა საქმის განხილვას არ აბრკოლებს. ნორმის ამგვარი რეგლამენტაცია, ჩვენი აზრით, არც მოწმეს ავალდებულებს გამოცხადდეს სასამართლოში და არც სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით საჭიროების შემთხვევაში დაადგინოს მოწმის იძულებით მოყვანა.

საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 35-ე მუხლის თანახმად, მოწმეებს, სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლოში გამოსაცხადელი დრო, სხდომის ჩატარებიდან სულ ცოტა სამი დღით ადრე მაინც. ამასთან, უწყებაში აღინიშნება გამოუცხადებლობის შედეგებიც. კერძოდ, ის რაც რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტით არის გათვალისწინებული. რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მოწმეთა საკონსტიტუციო სასამართლოში დაბარება შეიძლება სხვა საშუალებების გამოყენებითაც.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა მოწმეთა დახურულ სხდომაზე დასწრების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს („საკონსტიტუციო სასამართლაწარმოების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი).

მოწმე ვალდებულია მისთვის ცნობილი ფაქტების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს სასამართლოს. პრაქტიკაში ჩვენების მიცემაზე სასამართლო, ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებს მას იმის თაობაზე, რომ ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში დადგება მისი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ეს უკანასკნელი მუხლი კი განსაზღვრავს, რომ მოწმის მიერ სასამართლოში ცრუ ჩვენების მიცემა ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის საჭირო შრომით ვადით ან ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

ამასთან, სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარიც (სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, მოწმე ვალდებულია ჩვენება მისცეს სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება მისი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. აღნიშნულის თაობაზე, სასამართლო ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებს მას.

აღსანიშნავია, რომ ჩვენების მიცემამდე მოწმის გაფრთხილების შესახებ ზემოთ აღწერილი პროცედურა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში რეგლამენტირებული არ არის. ორგანული კანონის 32-ე მუხლი ზოგად დებულებას შეიცავს იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მოწმეთა გაფრთხილება ხდება კანონით დადგენილი წესით. სამართალწარმოების პროცესში მონაწილე სხვადასხვა სუბიექტთა ჩვენების მიცემამდე გაფრთხილების პროცედურა რეგლამენტირებულია „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტში, თუმცა ამ ნორმაში საუბარია არა მოწმეების, არამედ ექსპერტების, სპეციალისტების და თარჯიმნების გაფრთხილებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონმდებლობაში არ არსებობს ნორმა, რომელიც მოწმეს ჩვენების მიცემამდე სასამართლო დარბაზში ყოფნას აუკრძალავს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ჩვენი აზრით, კანონმდებლობის ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას, მოწმეთა ჩვენებებს სასამართლო ისმენს მხარეთა მოსმენის შემდეგ. მოწმეთა ჩვენებები აღინიშნება სასამართლო სხდომის ოქმში.

დ) ექსპერტი, სპეციალისტი. ექსპერტები და სპეციალისტები საკონსტიტუციო სამართალწარმოების ხშირი მონაწილეები არიან. ისინი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ყოველი საქმის გადაწყვეტაში.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა არ იძლევა განმარტებას ექსპერტის თუ სპეციალისტის შესახებ, არ აზუსტებს ვინ შეიძლება იყოს ექსპერტი ან სპეციალისტი. ამის კანონმდებლობაში რეგლამენტირება, საკმაოდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რადგან თუ ზოგადად, ამ ორ სიტყვას (ექსპერტი და სპეციალისტი) სემანტიკური თვალსაზრისით შევადარებთ ერთმანეთს დავრწმუნდებით, რომ მათ შორის არსებითი განსხვავება თითქმის არ არის. კერძოდ, „სპეციალისტი“ ნიშნავს ადამიანს, რომელიც ამა თუ იმ სპეციალობაშია დახელოვნებული,¹ ხოლო „ექსპერტი“ არის სპეციალისტი, რომელიც იძლევა დასკვნას რაიმე საკითხის განხილვისას.²

განსხვავებული აზრის გამოტანა შეიძლება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებიდან. ამ ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო და მისი წევრები უფლებამოსილნი არიან მოიწვიონ სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად, ანუ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ დებულების მიხედვით სპეციალისტი არის პირი, რომელიც საექსპერტო სამუშაოს ასრულებს. ცხადია, ამგვარი ფორმულირებიდან რთულია ექსპერტსა და

¹ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბ., 1986, გვ. 412.

² იხ. იქვე, გვ. 223.

სპეციალისტს შორის რაიმე განსხვავებაზე საუბარი, თუმცა ისიც ფაქტია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის სხვა ნორმებში ექსპერტი და სპეციალისტი განსხვავებულ სუბიექტებად არიან წარმოდგენილი.

ექსპერტთა და სპეციალისტთა მოწვევა სასამართლოს შეუძლია მხარეთა მოთხოვნის საფუძველზეც. მოსარჩელეს შეუძლია კონსტიტუციურ სარჩელში მიუთითოს იმ პირთა სია, რომლებიც მისი აზრით, ექსპერტის ან სპეციალისტის სახით უნდა გამოიძახოს სასამართლომ. ასევე, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე არკვევს სურთ თუ არა სამართალწარმოების მონაწილეებს დამატებით ექსპერტთა ან სპეციალისტთა გამოძახება. ექსპერტთა და სპეციალისტთა საქმის განხილვაში მონაწილეობის მნიშვნელობაზე მეტყველებს თუნდაც ისიც, რომ თუ სასამართლო ჩათვლის, რომ აუცილებელია დამატებით სპეციალისტთა გამოძახება ან ექსპერტიზის ჩატარება, ამ მოტივით მას შეუძლია გადადოს ან სულაც, შეაჩეროს საქმის განხილვა („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი).

აღსანიშნავია, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლი ექსპერტს სასამართლოს დახურულ სხდომაზე დასწრების უფლებას ანიჭებს. ამ უფლებით სარგებლობენ მოწვევები და თარჯიმნებიც, ხოლო სპეციალისტის დახურულ სხდომაზე დასწრების უფლებაზე მითითებულ მუხლში არაფერია ნათქვამი. ვფიქრობთ, ეს ტექნიკური უზუსტობაა.

სასამართლოში გამოსაცხადელი დრო ექსპერტებსა და სპეციალისტებს ეცნობებათ სასამართლო უწყებით. სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევას კი, რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტი არეგულირებს. კერძოდ, სპეციალისტის ან ექსპერტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო მოისმენს საქმეში მონაწილეთა აზრს სპეციალისტთა ან ექსპერტთა დაუსწრებლად საქმის განხილვის შესაძლებლობის თაობაზე და ადგილზე მოთათბირებით წყვეტს საკითხს განხილვის გაგრძელების ან საქმის განხილვის გადადების შესახებ. განმეორებით დაბარებული სპეციალისტის ან ექსპერტის გამოუცხადებლობა საქმის განხილვას არ აბრკოლებს.

ექსპერტებს და სპეციალისტებს სასამართლო ისმენს მხარეთა და მოწმეთა მოსმენის შემდეგ. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა და სპეციალისტთა დაკითხვამდე სხდომის თავმჯდომარე ადგენს მათ ვინაობას და წერილობით აფრთხილებს მათ ჩვენების მიცემაზე უარისა და წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენებების ან ყალბი დასკვნისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. ვფიქრობთ, მიზანშეწონილია დაზუსტდეს კანონით გათვალისწინებული რა პასუხისმგებლობა იგულისხმება ამ შემთხვევაში. სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს ექსპერტის ან სპეციალისტის მიერ ჩვენების მიცემაზე უარისთვის პასუხისმგებლობას. ამგვარი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარისთვის (სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლი). გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის თანახმად, დასჯადია სასამართლოში ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა, ხოლო სპეციალისტის ასეთ

პასუხისმგებლობაზე არც ამ ნორმაში და არც მთლიანად სისხლის სამართლის კოდექსში არაფერია ნათქვამი. ექსპერტისა და სპეციალისტის პასუხისმგებლობაზე გარკვეული მითითება არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. კერძოდ, 203-ე მუხლი ადგენს, რომ გამოცხადებაზე ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე უარის გამო, მათ დაეკისრებათ ფულადი ჯარიმა 500 ლარამდე ოდენობით. თუმცა, ვთვლით, რომ სადავოა ამ ნორმის საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში გამოყენება. ყოველივე ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის დაზუსტების მიზანშეწონილობაზე.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით ექსპერტისა და სპეციალისტის აცილების მექანიზმია განმტკიცებული. აცილების შესახებ საკითხის დასმა მხარეს შეუძლია მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1) თუ, ექსპერტი ან სპეციალისტი მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია და 2) თუ, ექსპერტი ან სპეციალისტი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით. აღნიშნული საფუძვლების არსებობისას ექსპერტს და სპეციალისტს თავად შეუძლიათ განერიდონ საქმის განხილვაში მონაწილეობას. აცილებასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხები მოწესრიგებულია საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 37-ე მუხლით.

ექსპერტთა და სპეციალისტთა ჩვენებები აღინიშნება საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის ოქმში.

დაბოლოს, ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ საკითხზე. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული ექსპერტის თუ სპეციალისტის გასამრჯელოსთან დაკავშირებული საკითხი, არ არის დადგენილი სტანდარტები და პარამეტრები, რომლებითაც უნდა ფასდებოდეს ექსპერტის თუ სპეციალისტის მიერ გაწეული სამუშაო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, ყოველი ექსპერტის თუ სპეციალისტის მიერ გაწეული სამუშაო, განურჩევლად იმისა რა დრო დასჭირდა ექსპერტს/სპეციალისტს კონსტიტუციურ სარჩელზე სამუშაოდ, ფასდება ერთნაირად. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხის პრობლემატურობა კიდევ უფრო აქტუალური გახდება საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადასვლის შემდეგ. ცხადია, დაბალი გასამრჯელო შეიძლება გახდეს ექსპერტის თუ სპეციალისტის მიერ საქმის არსებითად განხილვაში მონაწილეობაზე უარის მიზეზი. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლოა კონსტიტუციური მართლმსაჯულების რეალიზების ხელისშემშლელი ფაქტორიც გახდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ გაწეული სამუშაოს შეფასება არა ზოგადად დადგენილი კვოტით უნდა ხდებოდეს, არამედ თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, გაწეული სამუშაოს შესაბამისად.

ე) *თარჯიმანი.* თარჯიმანი არის საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში მონაწილე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს ქართულ ენას და იმ ენას, რომელზედაც პროცესის მონაწილე იძლევა განმარტებას.

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იგივე შინაარსის დებულება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 28-ე მუხლშიც არის განმტკიცებული. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, პირს, რომელიც ვერ ფლობს ქართულ ენას, საკუთარი სახსრებით მიუჩინოს თარჯიმანი. ამასთან, მოსარჩელეს შეუძლია თავად დააყენოს სასამართლოს წინაშე საკითხი მისთვის თარჯიმნის გამოყოფის თაობაზე. ასეთი მოთხოვნით მან წერილობითი განცხადება უნდა დაურთოს კონსტიტუციურ სარჩელს (საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

კანონმდებლობა ითვალისწინებს თარჯიმნის დახურულ სხდომაზე დასწრების შესაძლებლობასაც. საქმის არსებითად განხილვის დრო, სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 დღისა, თარჯიმნებს ეცნობებათ სასამართლო უწყებით.

თარჯიმანს ეკისრება სწორი თარგმნის ვალდებულება. ამის თაობაზე, სასამართლო მას ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებს საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე. განზრახ არასწორი თარგმნის შემთხვევაში დადგება თარჯიმნის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. დანაშაულის ეს შემადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით არის გათვალისწინებული.

კანონმდებლობა თარჯიმნის აცილებისა და თვითაცილების მექანიზმსაც ამკვიდრებს, რისი საფუძველიც, ექსპერტებისა და სპეციალისტების აცილების შემთხვევაში გათვალისწინებული საფუძვლების იდენტურია („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

§ 2. საკონსტიტუციო სამართალწარმოების სტადიები

საკონსტიტუციო სამართალწარმოება ურთიერთკავშირში მყოფი რამდენიმე სტადიისგან შედგება. თითოეული სტადია, დროის კონკრეტულ მონაკვეთში, საკონსტიტუციო სასამართლოსა და სამართალწარმოების მონაწილეების გარკვეული ქმედებების ერთობლიობას წარმოადგენს. თითოეული სტადიის ფარგლებში განხორციელებული ქმედებების მიზანი კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობების გადაწყვეტაა, საბოლოო ჯამში კი, სამართალწარმოების სტადიების თანმიმდევრობა მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას და მის აღსრულებას.¹

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვყოთ საკონსტიტუციო სამართალწარმოების შემდეგი სტადიები:

- 1) საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა;
- 2) კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების წინასწარი ფორმალური შემოწმება და რეგისტრაცია;

¹ იხ. Витрук Н.В., Конституционное правосудие, М., 1998, с. 218.

- 3) კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტა;
- 4) კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მომზადება;
- 5) სასამართლო განხილვა.

2.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით დაიწყოს სამართალწარმოება. სამართალწარმოების დაწყება მხოლოდ კანონით განსაზღვრული სუბიექტების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაშია შესაძლებელი. კანონმდებლობა მიმართვის ორ ფორმას ითვალისწინებს. კერძოდ, მიმართვას კონსტიტუციური სარჩელით და კონსტიტუციური წარდგინებით. ამასთან, ორივე შემთხვევაში მიმართვა წერილობით ხდება. ყოველივე ზემოაღნიშნული „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლიდან გამომდინარეობს. ამ ნორმის თანახმად, „კონსტიტუციური სამართალწარმოების დაწყების საფუძველია საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების წერილობითი შეტანა“ (პირველი პუნქტი). მსგავსი შინაარსის დებულება განმტკიცებულია „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველ პუნქტშიც.

კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება შედგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. ეს მოთხოვნები რეგლამენტირებულია „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლში. აღნიშნული მუხლი შედგება 11 პუნქტისგან, რომლებიც ცალ-ცალკე ადგენენ მოთხოვნებს:

- 1) ზოგადად, ყველა კონსტიტუციური სარჩელის მიმართ (პირველი და მე-2 პუნქტები);
- 2) კონსტიტუციური სარჩელის მიმართ, რომელიც ეხება დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე (4¹ და 4² პუნქტები);
- 3) კონსტიტუციური წარდგინებების მიმართ, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა კონსტიტუციურობისა და პრეზიდენტის და სხვა თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციის დარღვევის საკითხებს ეხებიან (მე-3 და მე-4 პუნქტები);
- 4) კონსტიტუციური წარდგინების მიმართ, რომელიც საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს ეხება (4³ და 4⁴ პუნქტები);
- 5) საერთო სასამართლოს მიერ შეტანილი კონსტიტუციური წარდგინების მიმართ (მე-5 და მე-6 პუნქტები).

მითითებული მუხლის ანალიზი საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მოთხოვნათა უმრავლესობა საერთოა კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებებისათვის, თუმცა, რიგ შემთხვევაში, სპეციფიკური მოთხოვნებიცაა გათვალისწინებული.

კონსტიტუციური სარჩელი ხელმოწერილი უნდა იყოს მოსარჩელეთა მიერ, ხოლო კონსტიტუციური წარდგინება მისი ავტორების მიერ. ეს მოთხოვნა არ ეხება კონსტიტუციურ წარდგინებას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს ეხება, რადგან მოცემულ შემთხვევაში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტს დადგენილებით, ხოლო წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოს ეგზავნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ან სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერით (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 247-ე მუხლის 4¹ პუნქტი). რაც შეეხება საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებას იგი ხელმოწერილი უნდა იყოს საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის ან საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის წევრთა მიერ („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი).

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად კონსტიტუციურ სარჩელსა და წარდგინებაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;

ბ) მოსარჩელესა და მოპასუხის, ასევე, კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა დასახელება და მისამართები. საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაში აღინიშნება წარდგინების შემტანი სასამართლოსა და მოსამართლის/სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის მოსამართლეთა დასახელება და მისამართები (მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);

გ) სადავო სამართლებრივი აქტის დასახელება, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამომცემის თარიღი. თუ კონსტიტუციური წარდგინება საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხს ეხება მასში უნდა აღინიშნოს სადავო საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების და მისი ხელმომწერის დასახელება, ასევე, ხელმოწერის თარიღი, ხოლო თუ წარდგინება პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციის დარღვევის საკითხებს ეხება, წარდგინებაში აღინიშნება ამ თანამდებობის პირის დასახელება (მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაში აღინიშნება ნორმატიული აქტის დასახელება, რომლის კონსტიტუციურობის საკითხის დადგენასაც ითხოვს საერთო სასამართლო, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამომცემის თარიღი, ხოლო თუ ეს აქტი საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმებაა, – მისი ხელმომწერის დასახელება და ხელმოწერის თარიღი (მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი);

დ) საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი:

რომლებსაც, მოსარჩელის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო აქტი (პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი);

რომელთა დარღვევითაც, მოსარჩელის აზრით, იქნა მიღებული/გამოცემული, ხელმოწერილი, გამოქვეყნებული ან ამოქმედებული საქართველოს საკანონმდებლო აქტი ან პარლამენტის დადგენილება (პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი);

რომლებსაც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება (მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი);

რომლებიც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, დაარღვია თანამდებობის პირმა (მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი);

რომლებსაც, კონსტიტუციური წარდგინების შემტანი სასამართლოს აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს ნორმატიული აქტი (მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი);

ორ შემთხვევაში, კონსტიტუციის გარდა, სხვა აქტების მითითებაც არის სავალდებულო. კერძოდ: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე წარდგინდ კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული უნდა იყოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დებულებანი, რომლებსაც, მოსარჩელის აზრით, არღვევს ან არ შეესაბამება სადავო აქტი (4¹ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი); ხოლო, საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის შემოწმებასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ წარდგინებაში, უნდა იყოს მითითებული საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის, კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ან საქართველოს კანონების დებულებანი, რომლებსაც კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, არღვევს ან არ შეესაბამება სადავო აქტი (4³ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი);

ე) მტკიცებულებანი, რომლებიც, მოსარჩელის ან წარდგინების ავტორის აზრით, ადასტურებენ კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების საფუძვლიანობას;

ვ) მოთხოვნის არსი¹;

ზ) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის დებულებანი, რომლებიც მოსარჩელეს ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორს აძლევს კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების შეტანის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ წარდგინებაში, დამატებით აღინიშნება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დებულებანი, რომლებიც კონსტიტუციური წარდგინების ავტორს აძლევს კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას (4³ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი).

თ) კონსტიტუციურ სარჩელზე ან წარდგინებაზე დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც მოსარჩელის თუ კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლომ. საერთო

¹ აღნიშნული მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების მიმართ.

სასამართლოს წარდგინებაში აღინიშნება მხოლოდ წარდგინებაზე დართული საბუთების ჩამონათვალი (მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი).

მითითებული მოთხოვნების გარდა, კონსტიტუციური სარჩელების მიმართ კანონმდებლობა კიდევ ერთ დამატებით მოთხოვნას ითვალისწინებს. კერძოდ, კონსტიტუციურ სარჩელში უნდა აღინიშნოს მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ, თუ მოსარჩელე მოითხოვს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი და 4¹ პუნქტების „ი“ ქვეპუნქტები).

ამდენად, ზემოთ მიუთითეთ იმ მოთხოვნებზე, რომლებიც კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების ტექსტის შედგენისას უნდა იყვნენ გათვალისწინებულნი. თუმცა, იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება წარმოებაში მიიღოს აუცილებელია, რომ კონსტიტუციურ სარჩელს თუ წარდგინებას კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები ერთვოდეს. კერძოდ კი, კონსტიტუციურ სარჩელს და წარდგინებას უნდა ერთვოდეს: სადავო აქტის ტექსტი¹, ხოლო თუ წარდგინება საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების კონსტიტუციურობის საკითხს ეხება – სადავო საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების ტექსტი; მოსარჩელეთა და კონსტიტუციური წარდგინების ავტორების წარმომადგენელთა, ასევე მოსარჩელეთა ინტერესების დამცველთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთები მათი მისამართების მითითებით;² საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ;³ კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების ელექტრონული ვერსია.

ზემოთითებული საბუთების გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებლობა დამატებით სხვა საბუთების თანდართვის აუცილებლობასაც ითვალისწინებს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ წარდგინებას თან უნდა ერთვოდეს საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილება („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 44 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი), ხოლო საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებას – სასამართლოს აქტი საქმის განხილვის შეჩერების შესახებ („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი, კონსტიტუციური წარდგინება და თანდართული საბუთები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტი).

¹ ამგვარი მოთხოვნა არ ვრცელდება კონსტიტუციურ წარდგინებაზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციის დარღვევის საკითხს ეხება.

² ამგვარი მოთხოვნა არ ვრცელდება საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე.

³ ამგვარი მოთხოვნა არ ვრცელდება საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შედგენისას აუცილებელია ზემოთ მითითებული თითოეული მოთხოვნის სრული დაცვა, რადგან ამ მოთხოვნების დაუცველობა, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, შესაძლოა გახდეს კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების რეგისტრაციაზე უარის თქმის ან, თუნდაც, მათი არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

2.2 კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების წინასწარი ფორმალური შემოწმება და რეგისტრაცია

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შემდგომი ეტაპია კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების რეგისტრაცია („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი). რეგისტრაციამდე კი, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ხდება კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების და მათზე თანდართული საბუთების ფორმალური (და არა შინაარსობრივი) მხარის შემოწმება.

კანონმდებლობა არ აკონკრეტებს თუ რას გულისხმობს საქმის მასალების ფორმალური მხარის შემოწმებაში, თუმცა ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საუბარია კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინებისათვის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ფორმალური მხარის დაცვის შემოწმებაზე. ასე მაგალითად, კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციამდე, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომელი ამოწმებს არის თუ არა კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება, მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება და მისამართები, სადავო სამართლებრივი აქტის დასახელება, საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომელთაც მოსარჩელის აზრით, ეწინააღმდეგება სადავო აქტი, მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ და ა.შ. ამ დროს, ასევე მოწმდება ერთვის თუ არა კონსტიტუციურ სარჩელს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საბუთი. ამდენად, კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციამდელი შემოწმება მხოლოდ საქმის მასალების ფორმალური მხარის შემოწმებას გულისხმობს.

კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების რეგისტრაცია მნიშვნელოვანი იურიდიული ფაქტია, რადგან სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან იწყება კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების განხილვის ვადის ათვლა („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი).

კანონმდებლობა ითვალისწინებს სამ შემთხვევას, რაც შეიძლება მოჰყვეს საქმის მასალების ფორმალური მხარის შემოწმებას.

პირველი არის კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების რეგისტრაცია. რეგისტრაცია უპირობოდ ხდება, როდესაც საქმის მასალების ფორმალური მხარის შემოწმებისას არ გამოვლინდება რაიმე სახის უზუსტობა.

მეორე არის ე.წ. „პირობითი“ რეგისტრაცია. „პირობა“ კი, იმაში მდგომარეობს, რომ თუ საქმის მასალების შემოწმებისას, მათში არააჩვენებული, ფორმალური უზუსტობა აღმოჩნდა, კონსტიტუციური

სარჩელის/წარდგინების რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის თანხმობით. ამასთან, მოსარჩელეს, კონსტიტუციური წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს ეძლევათ 15 დღე უზუსტობის გამოსასწორებლად. თუ ამ ვადაში უზუსტობა არ გამოსწორდა, სარჩელისა და წარდგინების რეგისტრაცია უქმდება.

მესამე შემთხვევაა რეგისტრაციაზე უარი, რასაც ადგილი აქვს საქმის მასალებში არსებითი, ფორმალური უზუსტობების აღმოჩენისას. კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსარჩელეს, წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების ე.წ. „პირობითი“ რეგისტრაციის პროცედურასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, ამ მექანიზმის ფუნქციონირება არ არის მიზანშეწონილი შემდეგი ფაქტორების გამო:

კანონმდებლობის თანახმად, რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი თუ წარდგინება, განურჩევლად იმისა გარკვეული პირობით არის იგი რეგისტრირებული თუ უპირობოდ, დაუყონებლივ უნდა გადაეცეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელმაც სარჩელი თუ წარდგინება სამი დღის განმავლობაში უნდა გადასცეს კოლეგიის თავმჯდომარეს ან მოსამართლეს.¹ კოლეგიის თავმჯდომარეც თავის მხრივ, საქმეს გადასცემს მოსამართლეს. იმ პირობებში, როდესაც მოსამართლე შეზღუდული არ არის კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის რაიმე ვადაში გადაწყვეტის ვალდებულებით, სარჩელის ან წარდგინების „პირობით“ რეგისტრაციის შემთხვევაში მას შეუძლია დაელოდოს მოსარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორის მიერ არაარსებითი, ფორმალური უზუსტობის გამოსწორებას და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საკითხის გადაწყვეტას. ცხადია, ფორმალური უზუსტობის გამოსწორებამდე სარჩელის/წარდგინების განსახილველად მომზადების დაწყებას არ აქვს აზრი, რადგან მოსარჩელემ თუ კონსტიტუციური წარდგინების ავტორმა შესაძლოა 15 დღის განმავლობაში არ გამოასწორონ უზუსტობა, ეს კი, კანონმდებლობის თანახმად, სარჩელის ან წარდგინების რეგისტრაციის გაუქმებას იწვევს. ამდენად, ერთი მხრივ, კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის კონკრეტულ ვადაში გადაწყვეტის სავალდებულო პირობის არარსებობის შემთხვევაში, „პირობითი“ რეგისტრაციის პროცედურა არ წარმოშვებს რაიმე პრობლემებს, თუმცა, მეორე მხრივ,

¹ ჩვენი აზრით, ვადების თვალსაზრისით, ამ დებულებასთან არ არის შესაბამისობაში საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებები, რომელთა მიხედვით, რეგისტრირებულ სარჩელს/წარდგინებას თანდართულ მასალებთან ერთად საორგანიზაციო სამსახურის უფროსი სამი დღის ვადაში წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თავმჯდომარე წარდგინიდან ხუთი დღის ვადაში გადასცემს სარჩელს/წარდგინებას კოლეგიას.

მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობა საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად კონკრეტულ ვადას უნდა ადგენდეს. ასეთ შემთხვევაში კი, „პირობითი“ რეგისტრაციის პროცედურამ შესაძლოა გარკვეული პრობლემები შექმნას.

ადრე მოქმედი კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი და კოლეგია ვალდებული იყვნენ კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების მათთვის გადაცემიდან შვიდი დღის ვადაში გადაეწყვიტათ სარჩელის თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხი. 2006 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი, კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს პლენუმის და კოლეგიის მიერ კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის რაიმე კონკრეტულ ვადაში გადაწყვეტის აუცილებლობას, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ მიგვაჩნია გამართლებულად. ჩვენ ვეთანხმებით საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ჯ. ხეცურიანის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის განსახილველი ვადებით შეზღუდვა, რადგან ვადების არ არსებობის შემთხვევაში ვინმემ შეიძლება ბოროტად ისარგებლოს ამგვარი თავისუფლებით.¹ აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, არც შვიდ დღიანი ვადა იყო ობიექტურად განსაზღვრული, რადგან ვთვლით, რომ რეალურად ეს არ არის საკმარისი ვადა სარჩელის თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად. თანაც, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა შვიდ დღეში მხოლოდ განმწესრიგებელი სხდომა თუ დაინიშნებოდა, გადაწყვეტილების მიღებას კი, როგორც წესი, გაცილებით მეტი დრო სჭირდებოდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს და კოლეგიას კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად განესაზღვროს 20 ან 30 დღიანი ვადა სარჩელის თუ წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან.

ამ შემთხვევაში კი, ცხადია, „პირობითი“ რეგისტრაციის პროცედურა გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს. ამიტომ, ჩვენი აზრით, კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების რეგისტრაციამდე საქმის მასალების შემოწმებისას, მათში თუნდაც არაარსებითი, ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი თუ წარდგინება რეგისტრაციაში არ უნდა ტარდებოდეს. მოსარჩელეს, კონსტიტუციური წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გამოასწორონ უზუსტობა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იყოს შესაძლებელი სარჩელის ან წარდგინების რეგისტრაცია.

¹ იხ. ჯ. ხეცურიანი, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიზეზები და მიზნები, კონფერენცია – „ცვლილებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში და კანონის უზენაესობის ახალი პერსპექტივები“ (სტენოგრაფიული ანგარიში), ბაკურიანი, 2002, 9-11 მაისი, გვ. 14.

2.3 კონსტიტუციური სარჩელის და წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტა

კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების რეგისტრირების მომენტიდან იწყება სამართალწარმოების ახალი სტადია. სამართალწარმოების ეს ეტაპი მნიშვნელოვანია იმით, რომ სწორედ ამ დროს ხდება კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

თავიდანვე აღნიშნავთ, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონსა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონში 2006 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რასაც ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის ინსტიტუტის დამკვიდრება მოჰყვა, რიგი ცვლილებები კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებულ პროცედურასაც შეეხო. ამასთან, ჩვენი აზრით, ამ ცვლილებებმა ზოგიერთი კოლიზია წარმოშვა აღნიშნული პროცედურის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს შორის, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დაუყოვნებლივ გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის განსჯად საქმეს 3 დღის ვადაში გადასცემს კოლეგიას საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად, ხოლო თუ საქმე პლენუმის განსჯადია, იმავე ვადაში ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომისთვის და გადასცემს მას საქმეს. თავის მხრივ, კოლეგიის თავმჯდომარე საქმის მიღებისთანავე კოლეგიის წევრთაგან ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს განმწესრიგებელი სხდომისთვის და გადასცემს მას საქმეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ განმწესრიგებელ სხდომაზე ხდება. ეს დგინდება ასევე, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის 1¹ პუნქტითაც. მოცემულ ნორმაში ერთმნიშვნელოვნად არის განმტკიცებული, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებად ითვლება განმწესრიგებელ სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ან კოლეგიის მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა“.

ადრე მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავდა პირდაპირ მითითებებს განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით თუ ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარების თაობაზე. თუმცა, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის სხვადასხვა ნორმებიდან გამომდინარე, ეს ორივე ფორმით იყო შესაძლებელი. უპირველეს ყოვლისა კი, ეს, ჩვენი აზრით, გამომდინარეობდა მე-20 მუხლის მეორე პუნქტის¹ შინაარსიდან. 2006 წლის დეკემბერში განხორციელებული

¹ აღნიშნული ნორმა მოქმედი რედაქციით 2002 წლის 12 თებერვალს ჩამოყალიბდა.

ცვლილებების შედეგად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონს დაემატა 27¹ მუხლი, რომლის პირველ პუნქტში განმტკიცებულია, რომ „საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე.“ ცვლილება შეეხო „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტსაც. აღნიშნული ნორმის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი/კოლეგია კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხს წყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე“. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 2006 წლის დეკემბრის ცვლილებებით ცალსახად დამკვიდრდა ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტა ხდება ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, ზემომითითებული ნორმები შეიცავენ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ რა შემთხვევაშია შესაძლებელი საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვა.

ამდენად, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-15 მუხლის 1¹ პუნქტის და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27¹ მუხლის პირველი პუნქტის ანალიზის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საკითხი წყდება განმწესრიგებელ სხდომაზე, რომელიც შეიძლება ჩატარდეს როგორც ზეპირი მოსმენის გარეშე, ასევე, ზეპირი მოსმენით. ამასთან, ზოგადი წესის თანახმად, განმწესრიგებელი სხდომა ზეპირი მოსმენის გარეშე ტარდება.

კანონმდებლობა განსაზღვრავს რა შემთხვევაში განიხილება კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხი ზეპირი მოსმენით. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27¹ მუხლის პირველ პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენით, თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებული გარემოებების გამორკვევა“. ამდენად, მოცემული ნორმა ორ დათქმას აწესებს: პირველი არის ის, რომ ზოგადი წესის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე და მეორეც არის ის, რომ განმწესრიგებელი სხდომის ჩატარება ზეპირი მოსმენით საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით, თუ ამის საჭიროებას თავად ხედავს. სხვა პირობას საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის ზეპირი მოსმენით გადაწყვეტის შესახებ არც 27¹ მუხლი და არც მთლიანად ორგანული კანონი არ ითვალისწინებენ.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლი კი, განსხვავებული შინაარსის დებულებას შეიცავს. კერძოდ, აღნიშნული ნორმის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსარჩელის, წარდგინების ავტორის ან მათი წარმომადგენლების წერილობითი განცხადების საფუძველზე სასამართლო ვალდებულია განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოსარჩელე, წარდგინების ავტორი, მათი წარმომადგენლები და ინტერესების დამცველნი, ანუ სასამართლო ვალდებულია ჩაატაროს

განმწესრიგებელი სხდომა ზეპირი მოსმენით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მოცემული დებულება ეწინააღმდეგება ორგანული კანონის 27¹ მუხლის პირველი პუნქტის დანაწესს. ცხადია, აღნიშნული კოლიზია ორგანული კანონის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, რადგან ნორმატიულ აქტთა იერარქიაში („ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი), იურიდიული ძალის მიხედვით, იგი ჩვეულებრივ კანონზე მაღლა მდგომი აქტია. თუმცა, მეორე მხრივ, მიგვაჩნია, რომ მხარე, განსაკუთრებით კი მოსარჩელე, წარდგინების ავტორი ან მათი წარმომადგენლები უნდა სარგებლობდნენ უფლებით სურვილის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ განმწესრიგებელი სხდომის მსვლელობაში. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ შესაბამისი დათქმა მოსარჩელის, წარდგინების ავტორის თუ მათი წარმომადგენლების და ინტერესების დამცველების უფლების შესახებ მოითხოვონ განმწესრიგებელი სხდომის ჩატარება მათი მონაწილეობით, უნდა აისახოს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონშიც. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლი (მუხლი, რომელიც განსაზღვრავს თუ რა მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა იყოს შედგენილი კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება) უნდა ითვალისწინებდეს მოთხოვნას იმის თაობაზეც, რომ თუ მოსარჩელე ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორი ითხოვენ განმწესრიგებელი სხდომის ჩატარებას ზეპირი მოსმენით, ეს უნდა აღნიშნონ კონსტიტუციურ სარჩელში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით ჩატარების შემთხვევაში მიიღება საოქმო ჩანაწერი ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ უზუსტობებზე, რომლებიც ჩვენი აზრით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტში გვხვდება. მითითებულ ნორმაში აღნიშნულია, რომ „თუ მიღებულია საოქმო ჩანაწერი ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ, იმართება განმწესრიგებელი სხდომა.“ მოცემული დებულებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ განმწესრიგებელი სხდომა მხოლოდ შესაბამისი საოქმო ჩანაწერის მიღების შემთხვევაში იმართება. როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტა ყოველთვის განმწესრიგებელ სხდომაზე ხდება. თუმცა, განმწესრიგებელი სხდომა შეიძლება ჩატარდეს ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით. ჩვენი აზრით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის ზემომითითებულ დებულებაში კანონმდებელი მოიაზრებს, რომ თუ მიღებულია საოქმო ჩანაწერი ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ, განმწესრიგებელი სხდომა იმართება ზეპირი მოსმენით, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვევს მოსარჩელეს, წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს. ამდენად, მიგვაჩნია, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის

მე-17 მუხლის მე-4 პუნქტში სიტყვები „იმართება განმწესრიგებელი სხდომა“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით „განმწესრიგებელი სხდომა იმართება ზეპირი მოსმენით“.

პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის თარიღს ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო კოლეგიას – შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარე. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მისთვის რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების გადაცემიდან, ხოლო კოლეგიის თავმჯდომარე – სარჩელის გადაცემიდან 5 დღის ვადაში რეზოლუციით ნიშნავენ განმწესრიგებელი სხდომის თარიღს და მომხსენებელ მოსამართლეს (რეგლამენტის 26-ე და 27-ე მუხლები).

განმწესრიგებელი სხდომის ჩატარებამდე, მომხსენებელი მოსამართლე სწავლობს კონსტიტუციურ სარჩელს ან წარდგინებას და არკვევს, არსებობს თუ არა კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე საფუძველი სარჩელის ან წარდგინების ან მათში მითითებული რომელიმე საკითხის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმისათვის. საჭიროების შემთხვევაში, იგი მხარეებთან, კონსტიტუციური წარდგინების ავტორებთან ან/და მათ წარმომადგენლებთან აზუსტებს საქმესთან დაკავშირებულ საკითხებს, რის საფუძველზედაც განმწესრიგებელი სხდომისათვის ამზადებს განჩინების ან საოქმო ჩანაწერის პროექტს. პროექტი საქმის მასალებთან ერთად გადაეცემა პლენუმის ან შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარეს, რომელიც უზრუნველყოფს განმწესრიგებელ სხდომამდე სულ ცოტა 2 დღით ადრე კოლეგიის წევრებისთვის მათ გადაცემას. თუ კოლეგიის რომელიმე წევრი არ ეთანხმება განმწესრიგებელ სხდომაზე გასატან პროექტს, მას უფლება აქვს წარადგინოს თავისი პროექტი („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტი¹).

ყურადღებას გავამახვილებთ ერთ საკითხზე. კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ განმწესრიგებელი სხდომის გამართვის თარიღი საკონსტიტუციო სასამართლომ წინასწარ უნდა აცნობოს მოსარჩელეს, კონსტიტუციური წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი). თუ რა ვადებში და როგორ უნდა მოხდეს ეს, ამას საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი მხოლოდ ნაწილობრივ აზუსტებს. კერძოდ, იგი ადგენს, რომ განმწესრიგებელი სხდომის თარიღი მისი დანიშვნისთანავე ეცნობება საორგანიზაციო სამსახურს. თუ

¹ მითითებული ნორმის ბოლო ორი წინადადება, ჩვენი აზრით, დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, მათში აღნიშნულია, რომ კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების პროექტი გადაეცემა პლენუმის ან კოლეგიის თავმჯდომარეს, რის შემდეგაც კოლეგიის თავმჯდომარე ვალდებულია, პროექტი გადასცეს კოლეგიის წევრებს, ხოლო პლენუმის თავმჯდომარის ვალდებულებაზე – გადასცეს პროექტი პლენუმის წევრებს – არაფერია ნათქვამი. ასევე, მითითებული ნორმის ბოლო წინადადებიდან არ ჩანს, რომ, თუ პლენუმის წევრი არ ეთანხმება განმწესრიგებელ სხდომაზე გასატან პროექტს, მას აქვს უფლება – წარადგინოს თავისი პროექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო ორი წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „პროექტი საქმის მასალებთან ერთად გადაეცემა პლენუმის ან შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარეს, რომელიც უზრუნველყოფს განმწესრიგებელ სხდომამდე, სულ ცოტა, 2 დღით ადრე პლენუმის ან კოლეგიის წევრებისთვის მათ გადაცემას. თუ პლენუმის ან კოლეგიის რომელიმე წევრი არ ეთანხმება განმწესრიგებელ სხდომაზე გასატან პროექტს, მას უფლება აქვს, წარადგინოს თავისი პროექტი.“

განმწესრიგებელი სხდომა ზეპირი მოსმენით ტარდება საორგანიზაციო სამსახური 3 დღის ვადაში უგზავნის საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეებს შესაბამის საოქმო ჩანაწერს და უზრუნველყოფს მათ მოწვევას განმწესრიგებელ სხდომაზე. ხოლო თუ განმწესრიგებელი სხდომა ზეპირი მოსმენის გარეშე არის დანიშნული ამის თაობაზე მხარეთა ინფორმირებას რეგლამენტი არ ითვალისწინებს (რეგლამენტის 28-ე მუხლი).

აქვე აღვნიშნავთ, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს განმწესრიგებელი სხდომის გამართვის თარიღის შესახებ მოპასუხის ინფორმირებას თუ განმწესრიგებელი სხდომის გამართვა ზეპირი მოსმენის გარეშე არის გათვალისწინებული (მე-20 მუხლის პიველი პუნქტი), ხოლო, თუ მიღებულია გადაწყვეტილება განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით ჩატარების შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი/კოლეგია უფლებამოსილია განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოსარჩელე, მოპასუხე, წარდგინების ავტორი, მათი წარმომადგენლები და ინტერესების დამცველენი („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები).

განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების წესი აღწერილია საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 29-ე მუხლით, რომელიც მოქმედი რედაქციით 2007 წლის 2 ივლისს ჩამოყალიბდა. მანამდე მოქმედი ნორმა მხოლოდ ზეპირი მოსმენით ჩატარებული სხდომის პროცედურულ საკითხებს აწესრიგებდა. ამჟამად კი, ამ ნორმით რეგულირდება როგორც ზეპირი მოსმენის გარეშე, ასევე, ზეპირი მოსმენით წარმართული განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების წესი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განმწესრიგებელ სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს მხოლოდ კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხზე. კანონმდებლობა ითვალისწინებს ყველა იმ გარემოებას, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება არ მიიღება არსებითად განსახილველად. კერძოდ, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ:

ა) ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონით მათთვის დადგენილ მოთხოვნებს¹;

ბ) შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის მიერ)²;

გ) მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი³;

¹ საუბარია „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე, რომლებზეც დაწვრილებით ზემოთ ვისაუბრეთ.

² საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტთა შესახებ იხილეთ წინა პარაგრაფში.

³ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ნუსხა მოცემულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხელში.

დ) მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21 მუხლით¹ გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით;

ვ) არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა².

ფაქტობრივად, ზემომითითებული მუხლი ადგენს ყველა იმ მოთხოვნას, რომელთა დაცვა სავალდებულოა კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მისაღებად. რომელიმე ამ მოთხოვნის დაუცველობა კი, გახდება კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე და კონსტიტუციური წარდგინების ავტორი ვალდებული არიან სრულად დაიცვან კანონმდებლობით გათვალისწინებული ეს მოთხოვნები. თუმცა, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული საქმეების სტატისტიკა ცხადყოფს, პრაქტიკაში ხშირია მათი დაუცველობის შემთხვევები. ასე მაგალითად, 2008 წლის პირველი იანვრისათვის საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა 399 კონსტიტუციური სარჩელი თუ წარდგინება. მათგან არსებითად განიხილა მხოლოდ 130 (32,5%) კონსტიტუციური სარჩელი თუ წარდგინება, 210 (52,5%) – არ მიიღო არსებითად განსახილველად, ხოლო 59-ზე (15%) შეწყდა სამართალწარმოება. ანუ, სარჩელების და წარდგინებების თითქმის ნახევარი ვერ აკმაყოფილებდა მათი არსებითად განსახილველად მიღებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რის გამოც, საკონსტიტუციო სასამართლოს ისინი არ აქვს არსებითად განსახილველად მიღებული.

კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღება, განურჩევლად იმისა, ეს საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე თუ ზეპირი მოსმენით, ფორმდება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ან კოლეგიის საოქმო ჩანაწერით, ხოლო არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმისას პლენუმს/კოლეგიას გამოაქვს დასაბუთებული განჩინება („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 30-ე მუხლით საოქმო ჩანაწერისა და განჩინების მიღების წესია აღწერილი. კერძოდ:

¹ 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებების შედეგად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონს დაემატა 21 მუხლი, რომლითაც ე.წ. „სასამართლო პრაქტიკის შეცვლის მექანიზმი“ დამკვიდრდა. ამ ნორმის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მიიღოს მისი პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილებაც.

² ეს პუნქტი ეხება მხოლოდ იმ კონსტიტუციურ სარჩელებს, რომელთა საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ სპეციალურ ვადებშია შესაძლებელი. კერძოდ, ეს ეხება არჩევნებთან და რეფერენდუმთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ სარჩელებს, ასევე პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ სარჩელს.

სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხს პლენუმი/კოლეგია წყვეტს ღია კენჭისყრით, სათათბირო ოთახში. მომხსენებელი მოსამართლე წარუდგენს პლენუმს ან კოლეგიას საოქმო ჩანაწერის/განჩინების პროექტს. განხილვის მონაწილე მოსამართლე უფლებამოსილია კენჭისყრაზე დააყენოს წინადადება საოქმო ჩანაწერის/განჩინების პროექტში ცვლილების ან დამატების შეტანის შესახებ. წინადადებით გათვალისწინებულ თითოეულ ცვლილებას/დამატებას კენჭი ეყრება ცალ-ცალკე. ცვლილება/დამატება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე მოსამართლეთა ნახევარზე მეტმა. ამის შემდეგ, მიღებული ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით, კენჭი ეყრება მომხსენებელი მოსამართლის მიერ წარდგენილი საოქმო ჩანაწერის/განჩინების პროექტს.

რეგლამენტის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ საოქმო ჩანაწერი/განჩინება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე მოსამართლეთა ნახევარზე მეტი. იმავე ნორმაში განმტკიცებულია, რომ „თუ ხმები თანაბრად გაიყო, საოქმო ჩანაწერი/განჩინება მიღებულად არ ითვლება“. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი დებულება კანონმდებლობაში ხარვეზს წარმოშობს. ასე მაგალითად, აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს, რომ თუ კოლეგია, რომლის შემადგენლობაში ოთხი მოსამართლეა კენჭს უყრის განჩინების პროექტს და ორი მოსამართლე განჩინების მიღების მომხრეა, ხოლო მეორე ნაწილი – საოქმო ჩანაწერის, განჩინება მიღებულად არ ჩაითვლება, ანუ, ლოგიკურად ეს ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში კოლეგია ვალდებულია მიიღოს საოქმო ჩანაწერი. ჩვენი აზრით, მოცემული საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არასწორია.

რეგლამენტის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ წესს, თავის მხრივ, იმავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები განაურცობენ. კერძოდ, თუ მომხსენებელი მოსამართლის მიერ წარდგენილი საოქმო ჩანაწერის პროექტს მხარი არ დაუჭირა მოსამართლეთა საკმარისმა რაოდენობამ, ის მოსამართლეები, რომლებმაც პროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ადგენენ განჩინებას კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის შესახებ, ხოლო თუ მოსამართლეთა საჭირო რაოდენობამ მხარი არ დაუჭირა მომხსენებელი მოსამართლის მიერ წარდგენილ განჩინების პროექტს, ამ შემთხვევაში, მოსამართლეები, რომლებმაც პროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა ადგენენ საოქმო ჩანაწერს კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შესახებ. ცხადია, ეს პროცედურა გამართლებული მხოლოდ მაშინ არის, როდესაც საოქმო ჩანაწერის ან განჩინების პროექტს მხარს არ უჭერს მოსამართლეთა უმრავლესობა, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, ამ პროცედურის რეალიზება, ჩვენი აზრით, ვერ მიგვიყვანს ლოგიკურ სამართლებრივ შედეგამდე.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „თუ კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდება“. ჩვენი აზრით, ანალოგიური შინაარსის მქონე დებულების საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 30-ე მუხლში განმტკიცებით შესაძლებელი გახდება ზემოთ მითითებული ხარვეზის შევსება. კერძოდ, რეგლამენტმა უნდა

გაითვალისწინოს, რომ თუ სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისას პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე მოსამართლეთა ხმები თანაბრად გაიყო, სარჩელი/წარდგინება არსებითად განსახილველად არ მიიღება.

ყურადღებას გავამახვილებთ ჩვენი აზრით, კანონმდებლობაში არსებულ კიდევ ერთ შეუსაბამობაზე. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სხდომის დარბაზში“. 22-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებაზე და საოქმო ჩანაწერზე. ამასთან, ვინაიდან მითითებული ნორმა არანაირ დათქმას არ შეიცავს, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ეს დებულება ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც განჩინება და საოქმო ჩანაწერი მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებულ განმწესრიგებულ სხდომაზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას განჩინება და საოქმო ჩანაწერი არ ცხადდება სხდომის დარბაზში. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. მიგვაჩნია, რომ ვინაიდან, ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული განმწესრიგებელი სხდომის „გადაწყვეტილება“ არ უნდა ცხადდებოდეს სხდომის დარბაზში, ამიტომ, შესაბამის დათქმას უნდა შეიცავდეს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ხოლო 29-ე მუხლში არსებული ჩანაწერი უნდა იყოს ამ ნორმიდან ამოღებული. ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ 29-ე მუხლი შედის თავში, რომელიც საქმის არსებითად განხილვასა და გადაწყვეტას ეხება, რის გამოც, მასში განმწესრიგებელი სხდომის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხის განმტკიცება არ მიგვაჩნია გამართლებულად.

ამდენად, განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით ჩატარების შემთხვევაში, საოქმო ჩანაწერს ან განჩინებას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე/კოლეგიის სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სხდომის დარბაზში. ამასთან, კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ სარჩელის თუ წარდგინების წინასწარი განხილვის შედეგი უნდა ეცნობოთ შესაბამის სუბიექტებს. კერძოდ, თუ ზეპირი მოსმენით ჩატარებულ განმწესრიგებულ სხდომაზე სასამართლო მიიღებს კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საოქმო ჩანაწერს, საკონსტიტუციო სასამართლო 3 დღის ვადაში უგზავნის მოპასუხეს, ან თანამდებობის პირს, რომლის ქმედების კონსტიტუციურობასაც ეხება წარდგინება, საქმის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე შეტყობინებას და საქმის მასალებს („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტი). ხოლო, თუ კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საკითხი ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას, საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება ან საოქმო ჩანაწერი მხარეებს ეგზავნებათ მათი მიღებიდან 2 დღეში („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღება ფორმდება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ან კოლეგიის საოქმო ჩანაწერით, ხოლო არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმისას პლენუმს/კოლეგიას გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. ამასთან, კანონმდებლობა სამართალწარმოების განსახილველ სტადიაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების ორ სხვა შემთხვევასაც ითვალისწინებს. კერძოდ:

პირველ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განმწესრიგებელ სხდომაზე გამოიტანოს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 მუხლი). ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე ცნობილია არაკონსტიტუციურად, ან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან შეუსაბამოდ (ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში), ან, საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან ან საქართველოს კანონებთან შეუსაბამოდ (ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში);

მეორე შემთხვევა კი, ე.წ. „სასამართლო პრაქტიკის შეცვლის მექანიზმის“ რეალიზებას უკავშირდება. ამ მექანიზმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს მისივე პრაქტიკისაგან განსხვავებული აქტი (განჩინება, საოქმო ჩანაწერი, გადაწყვეტილება, დასკვნა). რას ნიშნავს ეს? საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლებელია შევიდეს კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება, რომლის მსგავსი შინაარსის მქონე კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე სასამართლოს ადრე აქვს უარი ნათქვამი, ან თუნდაც, მსგავსი შინაარსის სარჩელი ან წარდგინება სასამართლოს უკვე არსებითად აქვს განხილული. ადრე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მისი პრაქტიკისაგან განსხვავებული პოზიციაც რომ ჰქონოდა, უარი უნდა ეთქვა ამგვარი სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე. 2006 წლის 29 დეკემბერს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს მისივე პრაქტიკისაგან განსხვავებული აქტი. კერძოდ, ამ უფლებით საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი სარგებლობს. ორგანული კანონი განსაზღვრავს, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია განსხვავდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისაგან, ის საქმეს გადასცემს პლენუმს (21 მუხლის პირველი პუნქტი). ამასთან, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს

პლენუმის განჩინება, საოქმო ჩანაწერი, გადაწყვეტილება ან დასკვნა განსხვავდება ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისაგან, მის მისაღებად საჭიროა პლენუმის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი (21 მუხლის მეორე პუნქტი).

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ კონსტიტუციური სარჩელის და წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტის სტადიაზე საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის აქტები:

1) კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საოქმო ჩანაწერი;

2) კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის შესახებ განჩინება;

3) სადავო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ განჩინება („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში).

ზემოთითებულის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიას, ასევე შეუძლია მიიღოს საოქმო ჩანაწერი კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისათვის გადაცემის თაობაზე („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის 5² პუნქტი).

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლში, სრულად არის ჩამოთვლილი თუ რა აღინიშნება ზემოთითებულ აქტებში.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ კონსტიტუციური სარჩელის და წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისას საკონსტიტუციო სასამართლო სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების დროებით შეჩერების უფლებამოსილებით სარგებლობს. თუმცა ამგვარად მას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლია იმოქმედოს. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ „თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები, მას შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება“.

2.4 კონსტიტუციური სარჩელის და წარდგინების არსებითად განსახილველად მომზადება

კონსტიტუციური სარჩელის და წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებით იწყება სამართალწარმოების ახალი სტადია, რომლის არსი კონსტიტუციური სარჩელის და წარდგინების არსებითად განსახილველად მომზადებაა. საოქმო ჩანაწერის გამოტანის შემდგომი პროცედურები აღწერილია საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 32-ე მუხლში. ჩვენ ყურადღებას საქმის არსებითად განხილვის თარიღის დანიშნაზე გავამახვილებთ.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საოქმო ჩანაწერში მხოლოდ საქმის განხილვის დაწყების სავარაუდო ვადა აღინიშნება, ხოლო თუ როგორ და როდის ხდება ზუსტი ვადის დანიშვნა, ამაზე პასუხს რეგლამენტის 32-ე მუხლი უნდა იძლეოდეს, რომლის სათაურიც ესეთია: „საოქმო ჩანაწერის გამოტანის შემდგომი პროცედურები, საქმის არსებითად განხილვის თარიღის დანიშვნა“. აღნიშნული მუხლი ადრე მართლაც არეგულირებდა მითითებულ საკითხს და განსაზღვრავდა, რომ საქმის არსებითად განხილვის თარიღს რეზოლუციით ნიშნავდა საკონსტიტუციო სასამართლოს ან კოლეგიის სხდომის თავმჯდომარე. ამასთან, ეს უნდა მომხდარიყო რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებში, კერძოდ, საოქმო ჩანაწერის გამოტანიდან 15 დღის ვადაში, ხოლო თუ სარჩელი ან წარდგინება ეხებოდა არჩევნების და რეფერენდუმის კონსტიტუციურობას, პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევის საკითხს, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევას ან საქართველოს კონსტიტუციასთან და სხვა აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს – 2 დღის ვადაში. ეს მუხლი 2007 წლის ივლისში შეიცვალა და ამჟამად, ვადასთან მიმართებაში მხოლოდ იმას ითვალისწინებს, რომ საოქმო ჩანაწერი გამოცხადების შემდეგ გადაეცემა საორგანიზაციო სამსახურს, რომელიც 3 დღის ვადაში უზრუნველყოფს მხარეების შეტყობინებას სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე და უგზავის მათ საოქმო ჩანაწერის ასლს. რაც შეეხება, საქმის განხილვის დაწყების სავარაუდო თარიღის განსაზღვრას ამაზე რეგლამენტის ზემომითითებული მუხლი არაფერს ამბობს.

მიუხედავად აღნიშნულისა, კანონმდებლობა საქმის განხილვის დაწყების დროსთან დაკავშირებით იმას მაინც ითვალისწინებს, რომ:

1) საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადი საქმის განხილვა კოლეგიის განსჯადი საქმის განხილვაზე ადრე იწყება;

2) საკონსტიტუციო სასამართლო რიგგარეშე განიხილავს: დავას რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ; იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხს, რომლებიც ექვემდებარება რატიფიცირებას; საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს; საქართველოს პრეზიდენტის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხს; დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე; საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს; საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებას („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტი).

რეგლამენტი ზოგადად ადგენს როდის უნდა ეცნობოთ მხარეებს საქმის არსებითად განხილვის თარიღი. კერძოდ, სამართალწარმოების მონაწილეებს, მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს

სასამართლო უწყებით ამის თაობაზე ეცნობებათ სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს სამი დღისა (35-ე მუხლის პირველი პუნქტი).¹

კონსტიტუციური სარჩელის და წარდგინების არსებითად განსახილველად მომზადებაში მთავარი როლი მომხსენებელ მოსამართლეს აკისრია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პლენუმის განსჯად საქმეზე მომხსენებელ მოსამართლეს ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო კოლეგიის განსჯად საქმეზე – კოლეგიის თავმჯდომარე. საქმის არსებითად განხილვამდე მომხსენებელ მოსამართლეს შეუძლია გამოჰკითხოს მოსარჩელე, წარდგინების ავტორი ან მათი წარმომადგენლები სარჩელში/წარდგინებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნათა არსის შესახებ, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, გამოჰკითხოს მოპასუხე საქმის გარემოებების შესახებ და წინადადება მისცეს მას წარმოადგინოს წერილობითი განმარტება. ასევე, მომხსენებელი მოსამართლე არკვევს და წყვეტს საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე სპეციალისტის, თარჯიმნის, მოწმის მოწვევის აუცილებლობას, აგვარებს საქმის არსებითად განხილვისათვის მომზადებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო უწყებას, რომელიც ეგზავნებათ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეებს, მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს ხელს აწერს მომხსენებელი მოსამართლე.

გარკვეული როლი საქმის არსებითად განსახილველად მომზადებაში აკისრია საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანსაც. იგი ახორციელებს პლენუმისა და კოლეგიების სხდომების მოსამზადებელ დონისძიებებს, რისთვისაც აძლევს შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებს.

2.5 სასამართლო განხილვა

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითადი სტადია სასამართლო განხილვაა. ამ სტადიაზე საკონსტიტუციო სასამართლო უშუალოდ კონსტიტუციურ სარჩელსა თუ წარდგინებაში დასმულ საკითხებზე მსჯელობს და იღებს მათზე საბოლოო გადაწყვეტილებას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რეალურად სწორედ ამ სტადიაზე ხორციელდება კონსტიტუციური მართლმსაჯულება, ამ სტადიაზე ახდენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მისი უფლებამოსილებების სრულ რეალიზებას.

სასამართლო განხილვა, როგორც წესი, ტარდება ზეპირი მოსმენით, თუმცა შესაძლებელია მისი ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებაც. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის არსებითად განხილვის მექანიზმი 2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით დამკვიდრდა. უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ ამ მექანიზმის შემოღება საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილსამყოფელის

¹ ჩვენი აზრით, რეგლამენტის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, იმ სუბიექტთა სიას, რომელთაც ეგზავნებათ უწყება, უნდა დაემატოს კონსტიტუციური წარდგინების ავტორი.

ქალაქ ბათუმში გადატანას უნდა დაუკავშიროთ. მისი მიზანია, საქმის განხილვაში მხარეთა მონაწილეობის თავიდან აცილება მაშინ, როდესაც ისინი თავად ვერ ხედავენ ამის აუცილებლობას. შედეგად, არ მოხდება მათ მიერ ზედმეტი ხარჯების გაღებაც.

ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონს დაემატა 27¹ მუხლი, რომელშიც მითითებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია არსებითად განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე. თუმცა ეს მას თავისი ინიციატივით არ შეუძლია. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის არსებითად განხილვა შესაძლებელია მოსარჩელის ან/და მოპასუხის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (ორგანული კანონის 27¹ მუხლის მეორე პუნქტი). თუმცა, აღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ცალკე მოსარჩელის ან მოპასუხის წერილობითი მოთხოვნა საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს. ეს რომ ესე იყოს, ან სულაც, საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერ დროს თავისი შესუბუღებისამებრ რომ შეეძლოს ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის არსებითად განხილვა, ცხადია, ეჭვქვეშ დადგებოდა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა ღია სხდომაზე განხილვის პრინციპის (საქვეყნობის პრინციპის), ან თუნდაც, საკონსტიტუციო სასამართლოში თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზება. თეორიულად, იოლად შესაძლებელია, რომ მოსარჩელემ მოითხოვოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, ხოლო მოპასუხე ამის წინააღმდეგი იყოს (ან პირიქით). ამიტომ, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით უნდა იყოს შესაძლებელი. სწორედ ეს მოთხოვნაა რეგლამენტირებული ორგანული კანონის 27¹ მუხლის მე-5 პუნქტში. კერძოდ, როდესაც მოსარჩელე ან მოპასუხე ითხოვს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას, სასამართლო ვალდებულია ეს შეატყობინოს მეორე მხარეს. „თუ მოპასუხე მოსარჩელის მოთხოვნის, ხოლო მოსარჩელე მოპასუხის მოთხოვნის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეტყობინების მიღებიდან 10 დღეში არ მოითხოვს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე“. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართულ კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი თუ როგორ მიმდინარეობს ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის არსებითად განხილვის პროცედურა, რაც ჩვენი აზრით, ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ზეპირი მოსმენით საქმის არსებითად განხილვასა და გადაწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-4 თავი არეგულირებს. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი საქმეს არსებითად განიხილავს პლენუმის სხდომაზე, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია – კოლეგიის სხდომაზე. ამასთან, პლენუმი უფლებამოსილია საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა 6 წევრი, ხოლო კოლეგია – თუ მას ესწრება სულ ცოტა 3 წევრი.

ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ გარემოებაზე. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის არსებითად განხილვის მექანიზმის შემოღებით, ცვლილება შეეხო „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“

კანონის მე-2 მუხლს. მუხლს, რომელშიც საქვეყნობის პრინციპია განმტკიცებული – „საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს ღია სხდომაზე. აღნიშნულ მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: „ეს მუხლი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე“. ორგანული კანონის 27-ე მუხლს კი, რომლითაც ასევე საქვეყნობის პრინციპია განმტკიცებული, ცვლილება არ შეხებია. სამაგიეროდ, ორგანულ კანონს დაემატა 27¹ მუხლი, რომლითაც ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის ინსტიტუტი დამკვიდრდა. ამდენად, ცვლილებების შედეგად, ორგანულ კანონში მივიღეთ მდგომარეობა, როდესაც ერთი მხრივ, 27-ე მუხლით ცალსახად აღიარებულია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე“ და არანაირ დათქმას აღნიშნული მუხლი საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ არ შეიცავს, ხოლო მეორე მხრივ, 27¹ მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოში საქმის განხილვა არა მარტო ღია სხდომაზე, არამედ ზეპირი მოსმენის გარეშეც არის შესაძლებელი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით მეტი სიზუსტისათვის, მიზანშეწონილი უნდა იყოს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27-ე მუხლში, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში განმტკიცებული დათქმის მსგავსი დანაწესის ასახვა. კერძოდ, ჩვენი აზრით, შესაძლებელია, რომ ორგანული კანონის 27-ე მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ ეს მუხლი არ გავრცელდება შემთხვევაზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე.

ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ ცვლილებაზე, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის არსებითად განხილვის მექანიზმის შემოღებამ განაპირობა. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში გაჩნდა დათქმა, რომლის თანახმად, საქმეთა ზეპირი განხილვის პრინციპი არ ვრცელდება ორგანული კანონის 27¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე, ანუ შემთხვევებზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავს. ამასთან, მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატა მე-2 და მე-3 პუნქტები. ამ ორ უკანასკნელ პუნქტთან დაკავშირებით გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას.

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, მათ აზრობრივი კავშირი არ აქვთ პირველ პუნქტში განმტკიცებულ „საქმეთა ზეპირი განხილვის“ პრინციპთან, ამიტომ მათი რეგლამენტირება მე-5 მუხლში არასწორად მიგვაჩნია. ამასთან, ჩვენი აზრით, მე-2 პუნქტი ამოსაღებია კანონიდან, რადგან მისი დებულება, რომლის თანახმად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებისას საოქმო ჩანაწერში მიუთითებს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე“, ისედაც განმტკიცებულია იმავე კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტშიც. ამიტომ, ერთი კანონის ერთი და იმავე შინაარსის დებულებებით გადატვირთვა არ უნდა იყოს მიზანშეწონილი.

რაც შეეხება მე-3 პუნქტს, რომლის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას, საქმის გარემოებების სრულად და ყოველმხრივ გამოკვლევის მიზნით, უფლება აქვს მიიღოს საოქმო ჩანაწერი საქმის ზეპირად განხილვის შესახებ, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს მხარეებს“, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პუნქტის დებულება მისი შინაარსიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27¹ მუხლს დამატებოდა მე-6 პუნქტად. ამასთან, იმასაც აღვნიშნავთ, რომ სიტყვები „საქმის ზეპირად განხილვის შესახებ“, ჩვენი აზრით, უნდა შეიცვალოს სიტყვებით „საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ“, რადგან „საქმის ზეპირად განხილვა“ და „საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა“ განსხვავებული შინაარსის მატარებელი ტერმინებია.

სასამართლოს სხდომის წარმართვაში მთავარ როლს სხდომის თავმჯდომარე ასრულებს. პლენუმის სხდომაზე თავმჯდომარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო კოლეგიის სხდომაზე – კოლეგიის თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. კანონმდებლობა სწორედ მათ აკისრებთ სხდომის წამყვანის ფუნქციის შესრულებას.

სასამართლო განხილვა მთელი რიგი პროცესუალური მოქმედებების ერთობლიობაა. ჩვენი აზრით, აღნიშნული სტადიის ფარგლებში შეიძლება გამოვყოთ:

- 1) სასამართლო განხილვის მოსამზადებელი ნაწილი;
- 2) საქმის არსებითად განხილვა;
- 3) გადაწყვეტილების მიღება და გამოცხადება.

ა) *სასამართლო განხილვის მოსამზადებელი ნაწილი.* ეს ეტაპი საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე ჩასატარებელ პროცესუალურ მოქმედებებს მოიცავს. მათი შესრულება სხდომის თავმჯდომარის ვალდებულებაა. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე: გახსნის საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე განიხილება არსებითად; ამოწმებს მოსამართლეთა კვორუმს და სხდომის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი სხდომის მდივნის გამოცხადებას; ამოწმებს მხარეთა უფლებამოსილებას; არკვევს სამართალწარმოების მონაწილეთა, მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა გამოცხადებას და მათი გამოუცხადებლობის მიზეზს; აცხადებს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას და სხდომის მდივანს; განუმარტავს სამართალწარმოების მონაწილეებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონითა და ამ კანონით განსაზღვრულ მათ უფლებასა და მოვალეობებს; არკვევს სურთ თუ არა სამართალწარმოების მონაწილეებს დამატებით მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა გამოძახება ან დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა; აცხადებს საქმის არსებითად განხილვის დაწყებას.

საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების პროცესში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი წყდება. კერძოდ, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის

თანახმად, მხარეს უფლება აქვს საქმის განხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დააყენოს საკითხი საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, ექსპერტის, სპეციალისტის ან თარჯიმნის აცილებაზე.¹ აცილებასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხები რეგულირდება საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 37-ე მუხლით.

ბ) *საქმის არსებითად განხილვა*. სასამართლო განხილვის შემდეგი ეტაპი საქმის არსებითად განხილვაა. იგი საქმის მომხსენებელი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მოხსენებით იწყება. მომხსენებელი სასამართლოს მოახსენებს საქმის განხილვის დაწყებისა და საქმის არსებითად განხილვის საფუძველს, აგრეთვე საქმეში არსებული მასალების შინაარსს. ამასთან, იგი ვალდებულია უპასუხოს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შეკითხვებს.

საქმის მოხსენების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო მოისმენს მხარეთა განმარტებებს. კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ თავდაპირველად სიტყვა ეძლევა მოსარჩელეს, შემდეგ მოპასუხეს. მხარეთა მოსმენის შემდეგ კი, სასამართლო მოისმენს მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა ჩვენებებს, აქვეყნებს საქმეში არსებულ და საქმის განხილვის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს. საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, ასევე, მოწმეებს, ექსპერტებს და სპეციალისტებს.

საქმის არსებითი განხილვის ბოლო ეტაპია მხარეთა დასკვნითი სიტყვებით გამოსვლა. მხარეთა გამოსვლა იმავე თანმიმდევრობით ხდება, როგორც საქმის არსებითად განხილვის დაწყებისას მათი განმარტებების მოსმენის დროს. ჯერ გამოდიან მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი და ადვოკატი, ხოლო შემდეგ – მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი და ადვოკატი.

დასკვნითი სიტყვების მოსმენის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში, რის შესახებაც სხდომის თავმჯდომარე უცხადებს საქმის განხილვის მონაწილეებს და სხდომის დარბაზში მყოფ სხვა პირებს.

გ) *გადაწყვეტილების მიღება და გამოცხადება*. კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ან დასკვნას. ამასთან, დასკვნა მიიღება კონსტიტუციურ წარდგინებაზე, რომელიც ეხება რატიფიცირებას დაქვემდებარებულ საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების კონსტიტუციურობის საკითხს ან საქართველოს პრეზიდენტის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხს. ყველა სხვა შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

¹ აცილების საფუძველები განვიხილეთ წინა თავში.

გადაწყვეტილების მიღება სათათბირო ოთახში ღია კენჭისყრით ხდება. თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების დროს სათათბირო ოთახში უნდა იმყოფებოდნენ მხოლოდ ის მოსამართლენი, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში. ეს დებულებები „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით არის განმტკიცებული. სათათბირო ოთახში მიმდინარე პროცედურებზე კი, საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტში არის მითითებული. რეგლამენტის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების/დასკვნის მიღების, ხელმოწერისა და გამოცხადებისას მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 30-ე და 31-ე მუხლებით საოქმო ჩანაწერისა და განჩინების მიღება, ხელმოწერისა და გამოცხადებისათვის დადგენილი წესები. ამდენად, მითითებული მუხლების ანალიზის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მიღება შემდგენაირად ხდება:

მომხსენებელი მოსამართლე წარუდგენს პლენუმს ან კოლეგიას გადაწყვეტილების პროექტს. განხილვის მონაწილე მოსამართლე უფლებამოსილია კენჭისყრაზე დააყენოს წინადადება გადაწყვეტილების პროექტში ცვლილების ან დამატების შეტანის შესახებ. წინადადებით გათვალისწინებულ თითოეულ ცვლილებას/დამატებას კენჭი ეყრება ცალ-ცალკე. ცვლილება/დამატება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე მოსამართლეთა ნახევარზე მეტმა. ამის შემდეგ, მიღებული ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით, კენჭი ეყრება მომხსენებელი მოსამართლის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილების პროექტს.

რეგლამენტის 30-ე მუხლის ანალოგიის საფუძველზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე მოსამართლეთა ნახევარზე მეტი. ვინაიდან, რეგლამენტის მე-40 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების პროექტზე კენჭისყრის პროცედურა რეგლამენტის 30-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში განმტკიცებული დებულებების¹ ანალოგიურად უნდა რეგულირდებოდეს, ეს პროცედურა ჩვენი აზრით, შემდგენაირად შეიძლება აღვწეროთ.

თუ გადაწყვეტილების პროექტს, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება, მხარი არ დაუჭირა მოსამართლეთა საკმარისმა რაოდენობამ, ის მოსამართლეები, რომლებმაც პროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ადგენენ გადაწყვეტილებას კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში „მოსამართლეთა საკმარის რაოდენობაში“ იგულისხმება პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე მოსამართლეთა ნახევარზე მეტი, რადგან „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 44-ე და 45-ე მუხლების თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების თაობაზე დასკვნა მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენუმის ან კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

¹ მითითებულ პუნქტებში განმტკიცებულ დებულებებთან დაკავშირებით ჩვენი შენიშვნები ზემოთ გამოვთქვით.

თუ გადაწყვეტილების პროექტს რომლითაც არ კმაყოფილდება კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება მხარი არ დაუჭირა მოსამართლეთა საჭირო რაოდენობამ, ის მოსამართლეები, რომლებმაც პროექტის წინაღმდეგ მისცეს ხმა, ადგენენ გადაწყვეტილებას კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დაკმაყოფილების შესახებ. ამ შემთხვევაში კი, „მოსამართლეთა საკმარის რაოდენობაში“ უნდა ვიგულისხმოთ როგორც პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე მოსამართლეთა ნახევარზე მეტი, ასევე – დამსწრე მოსამართლეთა ნახევარიც, რადგან „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ „კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდება“.

კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს საქმის განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლემ კენჭისყრისას მათ მიერ დაკავებული პოზიციის მიუხედავად. თუმცა, თითოეული მათგანი უფლებამოსილია განსხვავებული აზრი დააფიქსიროს წერილობით, რომელიც თან დაერთვება საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის ოქმს, ხოლო მათივე მოთხოვნის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად გამოქვეყნდება პრესაში.

გადაწყვეტილების მიღების პროცედურისთვის ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანონმდებლობა საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეს უფლებას არ აძლევს მონაწილეობა არ მიიღოს კენჭისყრაში და თავი შეიკავოს კენჭისყრისას. ამასთან, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობა ამკვიდრებს სათათბირო ოთახში გამართული თათბირის შინაარსის საიდუმლოდ შენახვის პრინციპს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის არსი ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია. ამ მოთხოვნის დარღვევა გახდება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი.

საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ან დასკვნაზე ხელმოწერის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას ან დასკვნას აცხადებს სხდომის დარბაზში. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გამოაცხადოს გადაწყვეტილების ან დასკვნის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი. ამ შემთხვევაში მხარეებს მოთხოვნისთანავე გადაეცემა გადაწყვეტილების ან დასკვნის სრული ტექსტი. ყოველივე ეს, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევას ეხება, ხოლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას გადაწყვეტილება ან დასკვნა არ ცხადდება სხდომის დარბაზში.

კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების ასლი უნდა გაეგზავნოს მხარეებს, კონსტიტუციური წარდგინების ავტორს და ზოგიერთ სხვა სუბიექტს („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები), თუმცა როდის

უნდა მოხდეს ეს, ამაზე კანონებში არაფერია ნათქვამი. საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება/დასკვნა, საქმის მასალებთან ერთად, გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში გადაეცემა საორგანიზაციო სამსახურს, რომელიც მასალების გადაცემიდან 1 დღის ვადაში უზავნის გადაწყვეტილების ასლს მხარეებს, ხოლო დასკვნის ასლს - კონსტიტუციური წარდგინების ავტორებს. ცხადია, მოცემული ნორმა ეხება შემთხვევას, როდესაც საქმის არსებითი განხილვა ზეპირი მოსმენით მოხდა, ხოლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედებაზე, ამ ნორმაში არაფერია ნათქვამი. ამდენად, ჩვენი აზრით, ეს მოცემული ნორმის ხარვეზზე მეტყველებს.

კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების და დასკვნის მიმართ რიგ მოთხოვნებს ითვალისწინებს. კერძოდ, გადაწყვეტილება ან დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული. ამასთან, გადაწყვეტილებას ან დასკვნას საფუძვლად შეიძლება დაედოს მხოლოდ ის მტკიცებები, რომლებიც განხილულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე ან წარდგენილ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში.

კანონმდებლობით განსაზღვრულია გადაწყვეტილების და დასკვნის სტრუქტურაც. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნა უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისგან. თუ რა უნდა აღინიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ან დასკვნაში დაწერილებით არის აღწერილი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 32-ე მუხლში.

დაბოლოს, აღინიშნავთ, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დროც. იგი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ მოხდა საქმის არსებითი განხილვა. კერძოდ, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და 15 დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, ხოლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ ხელმოწერიდან 15 დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი).

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოში საკონსტიტუციო იუსტიცია დაფუძნების ცამეტ წელს ითვლის, თუმცა, მიუხედავად ამ არცთუ ისე ხანმოკლე პერიოდისა საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული ბევრი პრობლემატური საკითხი ან საერთოდ, ან სათანადოდ არ არის გამოკვლეული. ფაქტია ისიც, რომ ქართული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ლიტერატურა ვერც მონოგრაფიული ნაშრომების სიმრავლით დაიკვეხნის ამ სფეროში. აღნიშნავთ იმასაც, რომ წინამდებარე ნაშრომი საკონსტიტუციო კონტროლის თემაზე საქართველოში შესრულებული პირველი სადისერტაციო ნაშრომია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩავატარეთ საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის კომპლექსური კვლევა, რამაც საშუალება მოგვცა, საქართველოში ამ ინსტიტუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხზე ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი მოსაზრებები, გაგვეკეთებინა შესაბამისი დასკვნები და შეგვემუშავებინა რეკომენდაციები.

საკონსტიტუციო კონტროლი კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის უმთავრესი ინსტიტუტია. კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში არსებული დოგმების თანახმად, საკონსტიტუციო კონტროლის არსი, უპირველეს ყოვლისა, ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას უკავშირდება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, თუ რა ამოცანები წყდება საკონსტიტუციო კონტროლის პროცესში, ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციები ოთხ ძირითად კატეგორიად შეიძლება დავეყოთ. კერძოდ: 1) სხვადასხვა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სათანადო ზომების გატარება მათ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად; 2) კომპეტენციური დავების განხილვა; 3) ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა; 4) კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე სადავო საკითხების გადაწყვეტა.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის დამკვიდრება 1995 წლის კონსტიტუციის მიღებას უკავშირდება, ვინაიდან ამ აქტის მიღებით ჩაეყარა საფუძველი კონსტიტუციური მართლმსაჯულების (იუსტიციის) განმახორციელებელი ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნებას. თუმცა, როგორც კვლევამ გვიჩვენა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ერთადერთი ორგანო არ არის, რომელსაც სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობაზე კონტროლის განხორციელება შეუძლია. მაგალითად:

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია არაკონსტიტუციურობის მოტივით მთავრობის აქტების გაუქმება. ცხადია, ეს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას გულისხმობს;

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებარე ნორმატიული აქტის პროექტი (გარდა პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებისა), უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გადაეცემა საქართველოს იუსტიციის

სამინისტროს. ამ უკანასკნელის დასაბუთებული უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებთან, რის შემდეგაც იგი საჭიროებს იუსტიციის სამინისტროს ხელახალ დასკვნას. მიგვაჩნია, რომ ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებთან შესაბამისობის შემოწმება, თეორიულად, ამ აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებასაც გულისხმობს. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაც შეუძლია;

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის თანახმად, კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ პარლამენტის ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბიუროს სხდომაზე წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთვოდეს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა – შეესაბამება თუ არა, ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოს კანონმდებლობას. ცხადია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს კანონმდებლობაში საქართველოს კონსტიტუციაც მოიაზრება, შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევაში იურიდიული დეპარტამენტი უფლებამოსილია, კანონპროექტების კონსტიტუციურობაც შეამოწმოს. ცხადია, კანონპროექტების კონსტიტუციურობის შემოწმება კომიტეტებში მათი განხილვის პროცესშიც არის შესაძლებელი (თუმცა ამის თაობაზე პირდაპირ არ არის მითითებული პარლამენტის რეგლამენტში).

ამდენად, როგორც სხვადასხვა სახელმწიფოს და, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოა აღჭურვილი. ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საკონსტიტუციო კონტროლის გაგებაში მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელებული საქმიანობა არ უნდა მოვიაზროთ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მთავარი როლი ამ საქმიანობაში მაინც ამ უკანასკნელს ეკუთვნის. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების სფეროში ამ ორგანოთა ფუნქციებს შორის განსხვავებების საზგასასმელად მიზანშეწონილი უნდა იყოს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების სპეციალიზებულ და არასპეციალიზებულ ორგანოებად კლასიფიკაცია.

კვლევაში გარკვეული ყურადღება „საკონსტიტუციო კონტროლისა“ და „კონსტიტუციური კონტროლის“ ტერმინოლოგიურ თანაფარდობასთან დაკავშირებულ საკითხსაც დაგვუთმეთ. საქმე ისაა, რომ ქართულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში, როგორც წესი, ორივე ტერმინი ერთი მნიშვნელობით იხმარება და ერთმანეთის იდენტურად აღიქმება. მიგვაჩნია, რომ ეს ტერმინები არ უნდა გავავივიოთ ერთმანეთთან, რადგან კონსტიტუციური კონტროლი უფრო ფართო ცნებაა და იგი კონსტიტუციით დადგენილ ყველა სახის კონტროლს მოიცავს, მათ შორის საკონსტიტუციო კონტროლსაც. ეს უკანასკნელი კი, ზოგადად რომ ვთქვათ, ნორმატიულ აქტთა კონსტიტუციურობაზე კონტროლსა და მის განმახორციელებელ ინსტიტუტებს გულისხმობს. ასევე უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ტერმინები: „საკონსტიტუციო

კონტროლი“ და „საკონსტიტუციო ზედამხედველობა“, რადგან, ვფიქრობთ, მათაც განსხვავებული სამართლებრივი დატვირთვა აქვთ, რაც საკონსტიტუციო კონტროლისა თუ ზედამხედველობის ორგანოების დარღვევებზე რეაგირების განსხვავებული უფლებამოსილებებით მულავნდება. კერძოდ, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოებს არა აქვთ კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმატიული აქტის გაუქმების უფლება, მათ შეუძლიათ მხოლოდ ამ აქტის მოქმედების შეჩერება ან აქტის მიმღებ ორგანოს მიმართონ შეუსაბამობის აღმოფხვრის მოთხოვნით, შეუძლიათ ასევე, შესაბამისი ორგანოების ინფორმირება ამგვარი შეუსაბამობის არსებობის შესახებ და ა.შ. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებს კი აქვთ ზემოქმედების ეფექტური საშუალებები, უპირველეს ყოვლისა, უფლება – გააუქმონ კონსტიტუციასთან შეუსაბამო სამართლებრივი აქტები. აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა ტერმინს „საკონსტიტუციო კონტროლი“ ამკვიდრებს. ასევე, ტოლფას ტერმინებად არ უნდა მივიჩნიოთ „საკონსტიტუციო კონტროლი“ და „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“ (იუსტიცია), რადგან კონსტიტუციური მართლმსაჯულება მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოს მიერ განხორციელებად საქმიანობას გულისხმობს, საკონსტიტუციო კონტროლი კი, როგორც კვლევამ გვიჩვენა, სხვა სახელმწიფო ორგანოებსაც შეუძლიათ განახორციელონ.

ამდენად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, ვფიქრობთ, საკონსტიტუციო კონტროლის განმარტება შემდეგი ფორმულით შეიძლება წარმოვაჩინოთ: საკონსტიტუციო კონტროლი არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა, ერთი მხრივ, ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, როდესაც ეს ორგანოები უფლებამოსილნი არიან, გააუქმონ გამოვლენილი შეუსაბამობანი და, მეორე მხრივ, კონსტიტუციური ნორმების აღსრულებისას წარმოქმნილი კომპეტენციური და კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე სხვა სადავო საკითხების გადაჭრის მიზნით, როდესაც გარანტირებულია კონსტიტუციის უზენაესობა, ხელისუფლების შტოებს შორის წონასწორობა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო კონტროლის არსი, უპირველეს ყოვლისა, ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას უკავშირდება და ეს ფუნქცია, სხვადასხვა ფორმით, საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოს გარდა, სხვა ორგანოებსაც შეიძლება ჰქონდეთ. საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტის დამკვიდრება, 1995 წლის კონსტიტუციის მიღებას უკავშირდება, ვინაიდან ამ აქტის მიღებით ჩაეყარა საფუძველი კონსტიტუციური მართლმსაჯულების (იუსტიციის) ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირებას. თუმცა, როგორც კვლევამ გვიჩვენა, სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობაზე კონტროლის სხვადასხვა მექანიზმი საქართველოს კანონმდებლობაში 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდეც არსებობდა.

ქართული კონსტიტუციონალიზმი სათავეს 1918 წლიდან იღებს. ამიტომაც კვლევის განსაკუთრებული ინტერესი მიმართულია

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კანონმდებლობისკენ. ისტორიული ასპექტის განხილვაც სწორედ 1918-21 წლების კანონმდებლობის ანალიზით დაიწყო. 1921 წლის 21 თებერვლამდე საქართველოს კონსტიტუცია არ ჰქონია. უმაღლესი იურიდიული ძალა კანონებს ჰქონდათ მიკუთვნებული. ამიტომ, ცხადია, სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება თეორიულადაც კი ვერ მოხერხდებოდა. თუმცა, კვლევისას განსაკუთრებული ინტერესი საქართველოს უზენაესი სასამართლოს – სენატის – საქმიანობამ დაიმსახურა. სენატი აღჭურვილი იყო უფლებამოსილებით – კანონთან შეუსაბამობის მოტივით მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებინა მინისტრის ან მთავრობის სხვა უმაღლესი წარმომადგენლის ცირკულარი, განკარგულება ან სავალდებულო დადგენილება. თუ, ზოგადად, საკონსტიტუციო კონტროლის არსი, უპირველეს ყოვლისა, უზენაესი ძალის მქონე ნორმატიულ აქტთან ქვემდგომი აქტების შესაბამისობაში მოყვანაა, შეიძლება ვთქვათ, რომ სენატი მითითებული უფლებამოსილებით სწორედ ამ ფუნქციის რეალიზებას უზრუნველყოფდა, რადგან იმ დროს საქართველოში უზენაესი ძალის მქონე აქტები კანონები იყო. თუმცა, მიუხედავად მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა, ამგვარი კონტროლი უნდა განვასხვავოთ საკონსტიტუციო კონტროლისგან, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კანონქვემდებარე აქტების კანონიერების, ანუ კანონებთან მათი შესაბამისობის კონტროლს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად ბევრ სახელმწიფოში კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოებმა თავიანთ კომპეტენციურ არსენალში, სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების გარდა, სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმების ფუნქციაც შეითავსეს.

კანონიერების კონტროლის გარდა, სენატი აღჭურვილი იყო მთავრობის დაწესებულებათა შორის, სასამართლო და მთავრობის დაწესებულებებს შორის და სხვადასხვა უწყების სასამართლოებს შორის კომპეტენციური დავების გადაჭრის უფლებამოსილებით. ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელი უფლებამოსილებით სენატის აღჭურვა მისთვის საკონსტიტუციო კონტროლის ტოლფასი ფუნქციის მინიჭებას ნიშნავდა. როგორც ცნობილია, ხელისუფლების სხვადასხვა დაწესებულებას შორის კომპეტენციური დავების განხილვა მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა.

კვლევისას ინტერესი დაიმსახურა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-8 მუხლის დებულებამ, რომელიც განამტკიცებდა მისი უზენაესობის პრინციპს და ადგენდა, რომ: „არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის წინააღმდეგია“. ამასთან, მე-9 მუხლი განსაზღვრავდა, რომ კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩებოდა, თუ იგი კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგებოდა. ამ ნორმის ამოქმედება, თავისთავად ცხადია, კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედი აღნიშნული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას მოითხოვდა. ჩვენი აზრით, ეს იყო ქართული კონსტიტუციური სამართლის მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მიზანშეწონილობის პირველი აღიარება. ასევე საინტერესოა 1921 წლის

კონსტიტუციის 72-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიც, რომელიც განსაზღვრავდა, რომ კონსტიტუციისა და კანონების დაცვისადმი „თვალ-ყურის დევნა“ და მათი აღსრულება რესპუბლიკის მთავრობას ევალებოდა. ამდენად, მთავრობას კონსტიტუციის დაცვის ფუნქცია ჰქონდა. თუმცა გამომდინარე მხოლოდ 72-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის დებულებიდან, რომელიც ზოგადად განსაზღვრავდა, რომ კონსტიტუციის დაცვაზე „თვალ-ყურის დევნას“ ახორციელებდა მთავრობა, ძნელია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, თუ რა ფორმით უნდა აღესრულებინა მას კონსტიტუციის ამ ნორმის მოთხოვნა. ვერც იმას ვიტყვით, გულისხმობდა თუ არა ეს დებულება მთავრობის საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვას, რადგან 1921 წლის კონსტიტუცია პრაქტიკულად არ შესულა ძალაში, შესაბამისად, არც აღნიშნულ ნორმას უმოქმედია და არც ნორმატიული ბაზა შექმნილა კონსტიტუციის ამ დებულების განსაზღვრვობად და დასარეგულირებლად.

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდე საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოს შექმნის იდეა ჯერ კიდევ ახალი ჩასახული იყო ევროპაში, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს პირველი კონსტიტუცია საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს არ აფუძნებდა. მაშინ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანო, საკონსტიტუციო სასამართლოს სახით, მხოლოდ ავსტრიაში ფუნქციონირებდა და ისიც ამ იდეის ფუძემდებელ ჰ. კელზენის მეოხებით, რომელიც თავად ავსტრიელი იყო. ამდენად, თუ აღვნიშნავთ, რომ კონსტიტუციის შედგენისას გათვალისწინებული იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება და ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდებოდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ – რომ არა საბჭოური ოკუპაცია, ქართული კანონმდებლობა საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში კელზენისეული იდეის დამკვიდრების მიმართულებით მალე განვითარდებოდა.

ნაშრომის მცირე ნაწილი საბჭოთა პერიოდის საქართველოს კანონმდებლობის კვლევას დაეთმეთ. როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდის მეცნიერთა მრავალი ნაშრომი დათმობილი აქვს საბჭოთა სახელმწიფოში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის კვლევასა და ანალიზს. მათში ცალსახად არის აღიარებული სსრკ-ში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის ფუნქციონირება და მითითებულია მის მნიშვნელოვან როლზე საბჭოთა სახელმწიფოს შექმნასა და ფორმირებაში (განსაკუთრებით ეს ეხება 1922-1937 წლებს). თუმცა შორს ვართ იმ მოსაზრებისგან, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოში და, თუნდაც, საბჭოთა კავშირში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი რეალურად ფუნქციონირებდა. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ელემენტების შემცველი ნორმები საბჭოთა საქართველოს კანონმდებლობაში მართლაც იყო განმტკიცებული. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ-ის 1927 წლის კონსტიტუციის მე-20 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სრულიად საქართველოს სსრ-ის საბჭოების ყრილობა და ცაკი უფლებამოსილნი იყვნენ, გაეუქმებინათ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საბჭოების ყრილობებისა და მათი ცაკ-ების, აგრეთვე საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებები, საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასთან ან

რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დადგენილებებთან მათი შეუსაბამობის შემთხვევაში. ცხადია, აღნიშნული ნორმის საფუძველზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება იყო შესაძლებელი. საქართველოს 1937 წლის კონსტიტუციაში, ისევე როგორც 1927 წლის კონსტიტუციაში, განმტკიცებული იყო პრინციპი, რომლის შესაბამისადაც, ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებს ამტკიცებდნენ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. კერძოდ, 1937 წლის კონსტიტუციის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების მიერ მიღებული კონსტიტუციები დასამტკიცებლად საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოს წარედგინებოდა. თავისთავად ცხადია, დამტკიცების ამგვარი მექანიზმი წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას ითვალისწინებდა. საბჭოთა პერიოდის საქართველოს კანონმდებლობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საბჭოთა საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საკონსტიტუციო კონტროლის საპარლამენტო მოდელი იყო დამკვიდრებული, მოდელი, რომელიც მთელი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ხელში თავმოყრის პრინციპს ეფუძნებოდა. თუმცა იმ ვითარებაში, როდესაც თვით კონსტიტუციას ფიქტიური ხასიათი ჰქონდა, არასწორია საბჭოთა საქართველოში და, ზოგადად, საბჭოთა კავშირში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის რეალურ ფუნქციონირებაზე საუბარი. სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში კონსტიტუციის როლის დაკნინება განაპირობებდა იმას, რომ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სხვადასხვა აქტი, იქნებოდა ეს კანონები, მინისტრთა საბჭოს დადგენილებები თუ სხვადასხვა ინსტრუქცია, უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა, ვიდრე სახელმწიფოს ძირითადი კანონი. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება პარტიული აპარატის ხელში იყო მოქცეული. კონსტიტუცია კომუნისტური პარტიის ინტერესს გამოხატავდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მას არც არავითარი დაცვა ესაჭიროებოდა.

საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციამ 1992 წლამდე იმოქმედა. 80-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე, რაც საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესს უკავშირდებოდა, მასში მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება და დამატება იქნა შეტანილი. ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებული ინტერესი კი, „საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 1989 წლის 18 ნოემბრის კანონის იმ ნაწილმა დაიმსახურა, რომლითაც საქართველოს სსრ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის შექმნა იყო გათვალისწინებული. კომიტეტის უფლებამოსილებების ანალიზმა ცხადყო, რომ ეს ორგანო, საკონსტიტუციო ზედამხედველობის გარდა, საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებებითაც იყო აღჭურვილი. მართალია, კომიტეტის ფორმირება არ მომხდარა, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ეს იყო პირველი ჩანაწერი, რომელმაც საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის სპეციალიზებული ორგანოს შექმნა გაითვალისწინა.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება არაერთ ორგანოს შეუძლია, რა თქმა უნდა, განსხვავებული ფორმებით. ეს უფლებამოსილება აქვს საქართველოს პრეზიდენტსაც. იგი საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი, როგორც საქართველოს, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტების მიმართ. ჩვენი აზრით, პრეზიდენტის აღჭურვა ამ უფლებამოსილებით არ არის მიზანშეწონილი, რადგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში მას სხვაგვარად შეუძლია ამ აქტებზე კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ზეგავლენის მოხდენა. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა მას უფლებამოსილებას ანიჭებს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საქართველოს, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით. ამასთან, მიგვაჩნია, რომ მისი ადგილი სახელისუფლებო სისტემაში ავაღლებულებს მას არა იმ პირის როლში ყოფნას, რომელიც აუქმებს ამა თუ იმ აქტს, არამედ იმ არბიტრის როლის შესრულებას, რომელიც საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ უზრუნველყოფს სხვადასხვა პოზიციის შეჯერებას და კომპრომისულ გადაწყვეტილებათა მოძებნას, ხელისუფლებათა შტოებს შორის ბალანსის დაცვას და სახელმწიფო ორგანოთა ნორმალურ ფუნქციონირებას. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტების მიმართ პრეზიდენტის საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვა ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლების ცენტრალიზაციის ტენდენციაზე მიანიშნებს, რაც, ვთვლით, რომ არ შეიძლება დადებითად შეფასდეს, რადგან კონსტიტუციონალიზმში პროგრესირებად მიმართულებად სახელისუფლებო სისტემის გამარტივებაა აღიარებული, მისი დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის გააქტიურების გზით.

დისერტაციის ძირითადი ნაწილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მისი ფუნქციონირების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციული და ფუნქციური საკითხების რეგლამენტაცია, კონსტიტუციური ნორმების გარდა, ორი კანონისგან შემდგარ პაკეტს ეკისრება. კერძოდ: ორგანულ კანონს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და კანონს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“. თითოეული თავისი დანიშნულებისამებრ ქმნის სამართლებრივ სივრცეს, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლო ავლენს თავის იურიდიულ შესაძლებლობებს. ამასთან, ამ აქტების გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს თავისი რეგლამენტი, რომელიც, აღნიშნული კანონების შესაბამისად, აწესრიგებს სასამართლოს ორგანიზაციის, საქმეთა განსახილველად მომზადების, განხილვის, გადაწყვეტისა და კონსტიტუციური სამართალწარმოების სხვა საკითხებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ იგი მეტ სრულყოფას საჭიროებს. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება ერთი კანონითაც არის შესაძლებელი და, ჩვენი აზრით, არ არის მიზანშეწონილი, ცალ-ცალკე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული

კანონითა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონით ამ საკითხების გადაწყვეტა. როგორც მრავალი სახელმწიფოს კანონმდებლობების ანალიზი გვიჩვენებს, საკონსტიტუციო სასამართლოების ორგანიზაციასა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც წესი, ერთი ნორმატიული აქტით რეგულირდება. ამასთან, როგორც კვლევამ გვიჩვენა „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონში ძალზე ხშირად ხდება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში განმტკიცებული დებულებების დუბლირება. კვლევის პროცესში ამდაგვარი 30 შემთხვევა დაგაფიქსირეთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ორგანული კანონი შედგება 53 მუხლისგან, ხოლო „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონი – 35 მუხლისგან, ვფიქრობთ, დებულებათა დუბლირების 30 შემთხვევა ჩვენი ზემოთ მითითებული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველი მნიშვნელოვანი არგუმენტია. ნიშანდობლივია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, შეუსაბამობებიც კი არის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონისა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის ნორმებს შორის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მისი ფორმირებისა და მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსის საკითხების სრულყოფილად რეგულირება. ამ თვალსაზრისით კანონმდებლობის ანალიზმა არსებითი შენიშვნები არ გაგვიჩინა, ამიტომ, ვფიქრობთ, კანონმდებლობა ამ მხრივ შეიძლება დადებითად შეფასდეს. თუმცა ჩვენს პოზიციას დაგაფიქსირებთ ორ საკითხზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, სრულყოფას საჭიროებენ.

პირველ რიგში, ეს ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ დადგენილ ცენზებს. მიუხედავად სხვადასხვა ცენზისა და მოთხოვნის არსებობისა, მიგვაჩნია, რომ ქართული კანონმდებლობა არ ადგენს კრიტერიუმების იმ სისტემას, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევისათვის. ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული ადგილისა და ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში მისი მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატები უფრო მაღალ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ, ვიდრე ამას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ქართული კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ ასაკობრივ ცენზს, რომლის შესაბამისადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მინიმალური ზღვარი 30 წლამდეა დაყვანილი. მინიმალური ასაკობრივი ცენზის დადგენა შესაძლოა საერთოდ არ იყოს საჭირო, რადგან ამ საკითხის რეგულირება სხვა ცენზების გამკაცრებით არის შესაძლებელი. თუმცა, თუ ასაკობრივი ცენზის ქვედა ზღვარი მაინც იქნება დადგენილი, იგი, ჩვენი აზრით, მინიმუმ, 35 წლით მაინც უნდა განისაზღვროს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შერჩევისას საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო ითვალისწინებენ კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას. ჩვენი აზრით, აუცილებელია „პროფესიული გამოცდილების“ განმსაზღვრელი კრიტერიუმების კონკრეტიზება. კერძოდ,

კანონმდებლობამ უნდა დაადგინოს სპეციალობით მუშაობის ცენზი, რაც შეიძლება განისაზღვროს, მინიმუმ, – 12 წლიანი ვადით. ცხადია, ამ ცენზის დაკმაყოფილება 30 წლის ასაკში შეუძლებელია. ამიტომ ვთვლით, რომ ასეთი ცენზის დათქმა თავისთავად გამორიცხავს მინიმალური ასაკობრივი ცენზის არსებობის საჭიროებას. ასევე ვფიქრობთ, შეიძლება გამკაცრდეს განათლების ცენზიც და მოთხოვნას უმაღლესი იურიდიული განათლების შესახებ დაემატოს ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება გახდეს მხოლოდ სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასეთი კანდიდატების შერჩევა შესაძლოა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პროფესორთა რიგებშიც. ხშირია შემთხვევა, როდესაც ეს პირები მხოლოდ სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობით არიან დაკავებული, ამიტომ, ცხადია, ეს საქმიანობა მათ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლისათვის განსაზღვრულ სპეციალობით მუშაობის სტაჟში უნდა ჩაეთვალოს.

საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში პარიტეტულობის პრინციპს ამკვიდრებს, რასაც დადებითად ვაფასებთ. პარიტეტულობა სასამართლოს ფორმირებაში ხელისუფლების სამივე – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო – შტოს მონაწილეობას ითვალისწინებს, თუმცა, ვფიქრობთ, 2004 წლის თებერვალში განხორციელებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, რამაც სახელმწიფოს მართვის მოდელის შეცვლა გამოიწვია, საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. საქმე ისაა, რომ ადრე საქართველოს პრეზიდენტი თავად იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და, შესაბამისად, მის მიერ მოსამართლეების ერთპიროვნულად დანიშვნა სასამართლოს ფორმირებაში აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობად განიხილებოდა. ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად კი საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. საქართველოს კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს მთავრობა, რომელსაც თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი (78-ე და 79-ე მუხლები). აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მთავრობის მონაწილეობას საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში, შეიძლება ითქვას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება არ მონაწილეობს ამ პროცესში. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის ამა თუ იმ ფორმით მასში ჩართვა. ასე მაგალითად, თუ მოქმედი ნორმებით პრეზიდენტი ერთპიროვნულად წყვეტს, ვინ დანიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ცვლილებებით შეიძლება განისაზღვროს, რომ მისთვის კანდიდატურების წარდგენის უფლება საქართველოს მთავრობას განეკუთვნება. მიგვაჩნია, რომ მმართველობის მოქმედი მოდელის პირობებში ორგანოსათვის, რომელიც უფლებამოსილია, ხელისუფლების ერთი შტოს წარმომადგენელი სუბიექტის სარჩელის საფუძველზე არაკონსტიტუციურად ცნოს ხელისუფლების მეორე შტოს აქტი, და რომლის ერთ-ერთი ფუნქცია კომპეტენციური დაგების განხილვით ხელისუფლების შტოთა შორის ბალანსისა და თანასწორობის უზრუნველყოფაა, პარიტეტულობის პრინციპის სრული რეალიზაცია მისი

დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტიაა, რაც კიდევ უფრო გამორიცხავს ამ ორგანოს რომელიმე ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას.

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების ანალიზს დაეთმო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თერთმეტი სხვადასხვა სახის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. თითოეული უფლებამოსილების რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცედურა თავისებურებით ხასიათდება. ყოველ უფლებამოსილებას საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის განსხვავებული ფორმით ახორციელებს. ამასთან, თითოეული უფლებამოსილების ფარგლებში სხვადასხვა საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი. ასევე, სხვადასხვაა ის სუბიექტებიც, რომლებსაც ცალკეული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით (წარდგინებით) მიმართვა შეუძლიათ. მიუხედავად განსხვავებებისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიკუთვნებული უფლებამოსილებები, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ემსახურებიან ისინი, ჩვენი აზრით, შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დავყოთ:

1) უფლებამოსილებები, რომელთა ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციასთან ნორმატიული აქტების შესაბამისობაზე აბსტრაქტულ კონტროლს ახორციელებს, რაც კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად;

2) უფლებამოსილებები, რომლებიც ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისაკენ არის მიმართული;

3) უფლებამოსილებები, რომელთა მიზანია სახელმწიფო ორგანოთა შორის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილებში კონსტიტუციური უფლებამოსილებების გამიჯვნა-დანაწილების უზრუნველყოფა, ამ ორგანოებს შორის კომპეტენციური მნიშვნელობისა და სხვა სახის საკითხების გადაჭრა;

4) უფლებამოსილებები, რომელთა მიზანია კონსტიტუციურ ურთიერთობათა სუბიექტების ქმედებათა კონსტიტუციურობის დადგენა;

5) უფლებამოსილებები, რომელთა მიზანია საქართველოში წარმომადგენლობითი მმართველობის უზრუნველყოფა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ცამეტწლიანი პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას უკავშირდება, კერძოდ, ეს საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზაციაში აისახება. 2008 წლის პირველი იანვრისათვის აღნიშნული უფლებამოსილების საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილული აქვს 406 კონსტიტუციური სარჩელი, რაც განხილული ყველა სარჩელისა თუ წარდგინების 90%-ია.

ხემოაღნიშნულის საპირისპიროდ, უმნიშვნელოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი კონსტიტუციასთან ნორმატიული აქტების შესაბამისობაზე აბსტრაქტული კონტროლის განხორციელების სფეროშიც, ანუ იმ უფლებამოსილების რეალიზების სფეროში, რომელთა პირდაპირი მიზანი კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფაა. კონკრეტულად კი, 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შემოსული კონსტიტუციური სარჩელების რაოდენობა არ აღემატება საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსული კონსტიტუციური სარჩელებისა თუ წარდგინებების საერთო რაოდენობის 1 %-ს. შეიძლება ითქვას, რომ იგი „მიძინებული“ უფლებამოსილებაა. ჩვენი აზრით, ამას სხვადასხვა ობიექტური ფაქტორი განაპირობებს. თეორიულად, განხილულ საქმეთა დაბალი რიცხოვნების მთავარი მიზეზი სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტთა პასიურობა უნდა იყოს, რადგან სასამართლო ვერ განიხილავს საქმეს, თუ შესაბამისი სუბიექტი არ მიმართავს მას ამგვარი მოთხოვნით. ამ შემთხვევაში მივედით დასკვნამდე, რომ აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილების მქონე სამივე სუბიექტი იმთავითვე პასიური სუბიექტები არიან, რადგან:

1) საქართველოს პრეზიდენტს აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საჭიროება თითქმის არ აქვს, რადგან მისი კომპეტენციური არსენალი იმდენად ფართოა, რომ მას სხვაგვარადაც შეუძლია გავლენა მოახდინოს აბსტრაქტულ კონტროლს დაქვემდებარებული აქტების კონსტიტუციურობაზე;

2) საქართველოს მთავრობას რომც გაუჩნდეს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სურვილი ან საჭიროება, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში მისი მოკრძალებული ადგილის გათვალისწინებით, ძნელად წარმოსადგენია, მან ეს „გაბედოს“;

3) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი კი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს არის სუბიექტი, რომელიც პარლამენტის ოცდაათი წევრისგან მაინც უნდა შედგებოდეს და ამ წევრებში, ფაქტობრივად, საპარლამენტო ოპოზიციის წევრები უნდა ვიგულისხმოთ, შეიძლება ითქვას, ამ სუბიექტის არსებობაც კი სირთულესთან არის დაკავშირებული, რადგან საქართველოს პარლამენტში ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის თავმოყრა არცთუ ისე იოლი საქმეა.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების მოწყობის ქართული მოდელის პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ საპრეზიდენტო გუნდი პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობით არის წარმოდგენილი, ზემოაღნიშნული უფლებამოსილება, უპირველეს ყოვლისა, საპარლამენტო უმცირესობისთვის განკუთვნილ მნიშვნელოვან იარაღად უნდა მოვიაზროთ, რომლის მეშვეობითაც უმცირესობას შეეძლება გარკვეული ზემოქმედების მოხდენა როგორც პარლამენტის, ასევე პრეზიდენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რაც საშუალებას მისცემს უმცირესობის წარმომადგენლებს, ეფექტურად ისარგებლონ უფლებით – აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. კერძოდ კი, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის წევრთათვის დადგენილი კვოტის – ერთი მეხუთედის შეცვლა პარლამენტის წევრთა არანაკლებ 20 წევრით. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად გაზრდიდა საკონსტიტუციო სასამართლოს

საქმიანობაში აბსტრაქტული კონტროლის განხორციელების როლს, რაც, საბოლოო ჯამში, ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელთა უფლებების მეტი გარანტირებისთვის, ვთვლით, რომ მიზანშეწონილია, ამგვარი ცვლილება ყველა იმ მუხლს შეეხოს, რომლებიც მოსარჩელე სუბიექტად პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს განსაზღვრავს. ესენია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე-38-ე, მე-40 და 41¹ მუხლები.

ასევე უმნიშვნელოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი კომპეტენციური დავების განხილვის თვალსაზრისით, რის გამოც, შეიძლება ითქვას, დღემდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ ასრულებს იმ არბიტრის როლს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს სახელმწიფო ორგანოთა შორის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილებში კონსტიტუციური უფლებამოსილებების გამიჯვნა-დანაწილების უზრუნველყოფის საქმეში, ამ ორგანოებს შორის კომპეტენციური მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა სახის დავების გადაჭრაში. აღნიშნული საფუძველით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მხოლოდ ოთხი კონსტიტუციური სარჩელია შესული. მათგან სასამართლომ არსებითად ორი განიხილა და არცერთი არ დააკმაყოფილა. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ ცენტრსა და რეგიონებს შორის სხვადასხვა კომპეტენციური კონფლიქტის აღმოფხვრა შეიძლება იყოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ამ ამოცანის გადაჭრაში დღეის მდგომარეობით უმნიშვნელოა, თუმცა, ვფიქრობთ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ კომპეტენციური დავების განხილვის საკითხი მეტად აქტუალური გახდება. ამჟამად, საქართველო არის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს შემადგენლობაში ორი ავტონომიური რესპუბლიკის – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების – არსებობას ითვალისწინებს, თუმცა აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია დღემდე ვერ ვრცელდება. სავარაუდოდ, ავტონომიური წარმონაქმნი შიდა ქართლის ტერიტორიაზეც გაჩნდება. ამდენად, მომავალში როგორც არ უნდა განისაზღვროს საქართველოს ტერიტორიული მოწყობა, იქნება ის ფედერაციული თუ უნიტარული სახელმწიფო, მასში იქნება განსაკუთრებული სტატუსის მქონე რეგიონალური ერთეულები თუ ავტონომიური წარმონაქმნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ასეთ ვითარებაში ბევრად გაიზრდება საკონსტიტუციო სასამართლოს როლი კომპეტენციური დავების გადაჭრის საქმეში, რადგან სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს ფუნქცია უნდა იქცეს როგორც ტერიტორიული ერთეულების სამართლებრივი სტატუსის ხელშეუხებლობის, ასევე სახელმწიფოს ერთიანობისა და მთლიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიად.

ვფიქრობთ, აქტუალურია კვლევის ის ნაწილიც, რომელიც აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში მატერიალურ და ფორმალურ

კონტროლს დაქვემდებარებული ნორმატიული აქტების ანალიზს აქვს დათმობილი. განსაკუთრებული ყურადღება კი შემდეგ ორ საკითხზე გავამახვილეთ: 1) ექვემდებარება თუ არა მატერიალურ კონტროლს საქართველოს კონსტიტუციური კანონი და 2) შესაძლებელი თუ არა საქართველოს კონსტიტუციაზე ფორმალური კონტროლის განხორციელება.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში კონსტიტუციური კანონი საკონსტიტუციო კონტროლს ვერ დაექვემდებარება, თუმცა, ჩვენი აზრით, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში შესაძლებელია მათზე წინასწარი (პრევენციული) კონტროლის განხორციელება. კერძოდ, კანონმდებელს შეუძლია დაადგინოს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუციური კანონის პროექტი, მის პრომულგირებამდე, კონსტიტუციურობის თაობაზე შესაბამისი დასკვნისთვის სავალდებულო წესით უნდა გადაეცემოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს და მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში უნდა გადაეცემოდეს პრომულგირებისათვის იგი პრეზიდენტს. ჩვენი აზრით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური კანონების პროექტებზე წინასწარი (პრევენციული) კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით აღჭურვა მიზანშეწონილია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. კერძოდ, ამჟამად საქართველო არის სახელმწიფო, რომელშიც საპრეზიდენტო ბლოკი საკანონმდებლო ორგანოში „კონსტიტუციური უმრავლესობითაა“ წარმოდგენილი, ანუ დეპუტატთა იმ რაოდენობით, რომელსაც კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა თავად შეუძლია.¹ ეს თავისთავად მოიცავს რისკის ფაქტორს და ქმნის საშიშროებას, რომ ასეთი გაბატონებული მდგომარეობა ხელისუფლებაში მყოფი პარტიის მხრიდან არ გახდეს თვითნებობისა და უკონტროლო მოქმედების საფუძველი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცესს, როგორც წესი, თან ახლავს კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართ განსხვავებული პოზიციების არსებობა პარლამენტში ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებში. ამასთან, ეს, როგორც წესი, ხდება საზოგადოების მსჯელობისა და ხშირად პოლიტიკური დაძაბულობის საგანიც. ჩნდება შეფასებები, რომ ესა თუ ის კონსტიტუციური კანონის პროექტი არ შეესაბამება კონსტიტუციით აღიარებულ ამა თუ იმ პრინციპს და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული უფლებამოსილებით აღჭურვა, გარკვეულადწილად, შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის როლს შეასრულებს ხელისუფლების დანაწილების – როგორც სახელმწიფოს დემოკრატიული ორგანიზაციის ფუძემდებლური პრინციპის – რეალიზაციაში. ამასთან, ეს გახდება დამატებითი გარანტი იმისა, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტი შესაბამისობაში იქნება როგორც კონსტიტუციის ნორმებთან, ასევე კონსტიტუციით პირდაპირ თუ არაპირდაპირ აღიარებულ პრინციპებთან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ

¹ ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა ამგვარი თანაფარდობაა 1995 წლის კონსტიტუციის ამოქმედებიდან დღემდე.

პროცედურაში ჩაბმა დამატებით უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონის, სიმყარეს.

რაც შეეხება კონსტიტუციაზე ფორმალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, ამ საკითხის პრობლემატურობას საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის დებულება განაპირობებს, რომელიც ქვეყნის ძირითადი კანონის „ზოგად“ ან „ნაწილობრივ“ გადასინჯვას ითვალისწინებს. კონკრეტულად კი, სადავოა საკითხი – თუ რას ნიშნავს კონსტიტუციის მითითებულ მუხლში რეგლამენტირებული ტერმინი „ზოგადი გადასინჯვა“. ვფიქრობთ, კონსტიტუციის ეს დებულება განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც მითითებული ნორმის ბუნდოვანებაზე მეტყველებს. ამდენად, ვინაიდან ვფიქრობთ, კონსტიტუცია ახალი კონსტიტუციის მიღების პროცედურას უნდა ითვალისწინებდეს, საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლი დაზუსტებას საჭიროებს. ამასთან, ცხადია, შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაშიც უნდა აისახოს.

2006 წლის დეკემბრამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა, საკონსტიტუციო კონტროლი განხორციელებინა არჩევნებსა და რეფერენდუმზე. თუმცა დეკემბრის ცვლილებებმა საქართველოს კანონმდებლობაში გარკვეული ბუნდოვანება წარმოშვა, რამაც საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილების რეალიზებას ამ ეტაპზე პრობლემები შეუქმნა. საქმე ისაა, რომ კონსტიტუციურ ცვლილებას იმავდროულად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონშიც უნდა მოჰყოლოდა შესაბამისი ცვლილებები, რაც დღემდე არ მომხდარა. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ ორგანული კანონის რიგი დებულებებისა, რომლებიც შესაბამისობაში იყო ძველ კონსტიტუციურ ნორმასთან, არ შეესაბამება მოქმედ კონსტიტუციურ ნორმას, ანუ კანონმდებლობაში წარმოიშვა კოლიზია. ცხადია, კოლიზია კონსტიტუციის, როგორც უზენაესი კანონის, სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, მას ხომ უპირატესი იურიდიული ძალა აქვს სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მხოლოდ კონსტიტუციური ნორმით შეუძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების მოწესრიგება. ეს საკითხები, უპირველეს ყოვლისა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით უნდა გადაწყდეს. მხოლოდ უარყოფითად შეიძლება შეფასდეს ის გარემოება, რომ მითითებული კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ საქართველოში ჩატარდა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე და ყველაფერი ეს გაუმართავი კანონმდებლობის ფონზე. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა ამ პროცესებისგან, მაშინ, როდესაც იგი შეიძლებოდა ყოფილიყო არჩევნების კონსტიტუციურობის მთავარი გარანტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პოზიტიურად ვაფასებთ რა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის არჩევნებსა და რეფერენდუმთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების ფაქტს, აუცილებლად მიგვაჩნია კანონმდებლობაში წარმოშობილი ხარვეზის უმოკლეს ხანებში აღმოფხვრა.

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს ორი სახის: სამართლებრივი აქტი ან ქმედება. უმეტეს შემთხვევაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების ობიექტი ნორმატიული ხასიათის სამართლებრივი აქტია, თუმცა ერთეულ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის იურისდიქცია ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებზეც ვრცელდება. რაც შეეხება ქმედებას, იგი საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი ორ შემთხვევაში შეიძლება გახდეს: 1) საქართველოს პრეზიდენტისა და ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირის ქმედებების კონსტიტუციურობის შემოწმებისას და 2) მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის კონსტიტუციურობის შემოწმებისას. აღსანიშნავია, რომ დღემდე ამ საფუძვლებით საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე არ განუხილავს. ამდენად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კვლევის იმ ნაწილში გაკეთებული დასკვნები, რომლებიც კონსტიტუციურ ურთიერთობათა სუბიექტების ქმედებათა კონსტიტუციურობის დადგენის საკითხს ეხება. თანამდებობის პირთა ქმედებების კონსტიტუციურობის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს, არის თუ არა ქმედებებში კონსტიტუციური სამართალდარღვევის ნიშნები, ანუ ჩაიდინა თუ არა თანამდებობის პირმა კონსტიტუციური დელიქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ თანამდებობის პირთა როგორი ქმედობა ჩაითვლება კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, ანუ კონსტიტუციურ სამართალდარღვევად (დელიქტად). კონსტიტუციურ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევა გარკვეული სიახლეა ქართული კონსტიტუციონალიზმის დოქტრინისათვის. წინამდებარე ნაშრომში კონსტიტუციური სამართალდარღვევის ოთხ სტრუქტურულ ერთეულზე მიუთითებთ: 1) სუბიექტი, 2) ობიექტი, 3) სუბიექტური მხარე და 4) ობიექტური მხარე.

დისერტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი საკონსტიტუციო სამართალწარმოების სფეროში არსებულ მთელი რიგი პრობლემატური საკითხების ანალიზს აქვს დათმობილი. საკონსტიტუციო სამართალწარმოების სფეროში არსებული სამართლებრივი ურთიერთობები, ძირითადად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს“ შესახებ ორგანული კანონითა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების“ შესახებ კანონებით არის რეგულირებული. ამასთან, ამ აქტების გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს თავისი რეგლამენტი, რომელიც აღნიშნული კანონების შესაბამისად აწესრიგებს საქმეთა განსახილველად მომზადების, განხილვის, გადაწყვეტისა და კონსტიტუციური სამართალწარმოების სხვა საკითხებს. ამდენად, ამ შემთხვევაში კვლევის ობიექტი სწორედ ეს აქტები და ამ აქტებით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობები იყო. კვლევის შედეგად გამოვლინდა მათში არსებული სხვადასხვა ხარვეზი და შეუსაბამობა, რომელთა გარკვეული ნაწილიც ზემოთითხილებულ კანონებში 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად წარმოიშვა. ამდენად, აღნიშნული ხარვეზებისა და შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით შევიმუშავეთ შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სამართალწარმოების პროცესში ხშირია ორი ან

მეტი სარჩელის ერთობლივად არსებითად განხილვის მიზნით ერთ საქმედ გაერთიანების შემთხვევები, რაც, კონსტიტუციური მართლმსაჯულების ეკონომიური და სრული რეალიზების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, გამართლებულად მიგვაჩნია. თუმცა ამ პროცედურის საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ არსებობს, რაც, ჩვენი აზრით, კანონმდებლობაში ხარვეზს ქმნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში ამ პროცედურის მარეგულირებელი შესაბამისი დებულებების შეტანა.

2. 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლს (მუხლს, რომელშიც საქვეყნობის პრინციპია განმტკიცებული) დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: „ეს მუხლი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო საქმედს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე“. ორგანული კანონის 27-ე მუხლს კი, რომლითაც ასევე საქვეყნობის პრინციპია განმტკიცებული, ცვლილება არ შეხებია. სამაგიეროდ, ორგანულ კანონს დაემატა 27 მუხლი, რომლითაც ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის ინსტიტუტი დამკვიდრდა. ამდენად, ცვლილებების შედეგად ორგანულ კანონში მივიღეთ მდგომარეობა, როდესაც, ერთი მხრივ, 27-ე მუხლით ცალსახად აღიარებულია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე“ და არანაირ დათქმას აღნიშნული მუხლი საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ არ შეიცავს, ხოლო მეორე მხრივ, 27 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოში საქმის განხილვა არა მარტო ღია სხდომაზე, არამედ ზეპირი მოსმენის გარეშეც არის შესაძლებელი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ, საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით, მეტი სიზუსტისათვის მიზანშეწონილი უნდა იყოს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27-ე მუხლში „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში განმტკიცებული დათქმის მსგავსი დანაწესის ასახვა. კერძოდ, ჩვენი აზრით, შესაძლებელია, ორგანული კანონის 27-ე მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ ეს მუხლი არ ვარგელდება შემთხვევაზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო საქმედს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე.

3. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს“ შესახებ ორგანული კანონის 27 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენით, თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებული გარემოებების გამორკვევა.“ ამდენად, ეს ნორმა ორ დათქმას აწესებს: პირველი, ზოგადი წესის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე და, მეორეს, განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით ჩატარება საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით, თუ ამის საჭიროებას თავად ხედავს. სხვა პირობას საქმის

არსებითად განსახილველად მიღების საკითხის ზეპირი მოსმენით გადაწყვეტის შესახებ არც 27 მუხლი და არც მთლიანად ორგანული კანონი არ ითვალისწინებენ.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლი კი განსხვავებული შინაარსის დებულებას შეიცავს. კერძოდ, აღნიშნული ნორმის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსარჩელის, წარდგინების ავტორის ან მათი წარმომადგენლების წერილობითი განცხადების საფუძველზე სასამართლო ვალდებულია, განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოსარჩელე, წარდგინების ავტორი, მათი წარმომადგენლები და ინტერესების დამცველნი, ანუ სასამართლო ვალდებულია, განმწესრიგებელი სხდომა ჩაატაროს ზეპირი მოსმენით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის დებულება ეწინააღმდეგება ორგანული კანონის 27 მუხლის 1-ლი პუნქტის დანაწესს. ცხადია, აღნიშნული კოლიზია ორგანული კანონის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, რადგან ნორმატიულ აქტთა იერარქიაში („ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი), იურიდიული ძალის მიხედვით, იგი, ჩვეულებრივ, კანონზე მაღლა მდგომი აქტია. თუმცა, მეორე მხრივ, მიგვაჩნია, რომ მხარე, განსაკუთრებით კი მოსარჩელე, წარდგინების ავტორი ან მათი წარმომადგენლები უნდა სარგებლობდნენ უფლებით – სურვილის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ განმწესრიგებელი სხდომის მსვლელობაში. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ შესაბამისი დათქმა მოსარჩელის, წარდგინების ავტორის თუ მათი წარმომადგენლებისა და ინტერესების დამცველების უფლების შესახებ მოითხოვონ განმწესრიგებელი სხდომის ჩატარება მათი მონაწილეობით, უნდა აისახოს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონშიც. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლი (მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა იყოს შედგენილი კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება) უნდა ითვალისწინებდეს მოთხოვნას იმის თაობაზეც, რომ, თუ მოსარჩელე ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორი ითხოვს განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით ჩატარებას, ეს უნდა აღნიშნოს კონსტიტუციურ სარჩელში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში.

4. 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლს დაემატა მე-2 და მე-3 პუნქტები. ჩვენი აზრით, მათ აზრობრივი კავშირი არ აქვთ პირველ პუნქტში განმტკიცებულ „საქმეთა ზეპირად განხილვის“ პრინციპთან, ამიტომ მათი რეგლამენტირება მე-5 მუხლში არასწორად მიგვაჩნია. ამასთან, ჩვენი აზრით, მე-2 პუნქტი საერთოდ ამოსადებია კანონიდან, რადგან მისი დებულება, რომლის თანახმად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებისას საოქმო ჩანაწერში მიუთითებს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე“, ისედაც განმტკიცებულია იმავე კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“

ქვეპუნქტშიც. ამიტომ ერთი კანონის ერთი და იმავე შინაარსის დებულებებით გადატვირთვა არ უნდა იყოს მიზანშეწონილი.

რაც შეეხება მე-3 პუნქტს, რომლის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას საქმის გარემოებების სრულად და ყოველმხრივ გამოკვლევის მიზნით უფლება აქვს, მიიღოს საოქმო ჩანაწერი საქმის ზეპირად განხილვის შესახებ, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს მხარეებს“, ვფიქრობთ, ეს დებულება, მისი შინაარსიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27 მუხლს დამატებოდა მე-6 პუნქტად. ამასთან, იმასაც აღვნიშნავთ, რომ სიტყვები „საქმის ზეპირად განხილვის შესახებ“, ჩვენი აზრით, უნდა შეიცვალოს სიტყვებით – „საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ“, რადგან „საქმის ზეპირად განხილვა“ და „საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა“ განსხვავებული შინაარსის მატარებელი ტერმინებია.

5. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი არიან მოსარჩევეები, მოპასუხეები, მხარეთა წარმომადგენლები, ადვოკატები და უმაღლესი განათლების მქონე სხვა პირები. თუმცა ორგანული კანონისა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის სხვადასხვა ნორმიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობა შეიძლება სხვა სტატუსის მქონე პირებმაც მიიღონ. კერძოდ: მოწმეებმა, ექსპერტებმა, სპეციალისტებმა, თარჯიმნებმა. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა ამ უკანასკნელთა სტატუსის განმსაზღვრელ დებულებებს საერთოდ არ შეიცავს.

ჩვენი აზრით, კანონმდებლობით სრულყოფილად არ არის რეგულირებული მოწმის ინსტიტუტთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა:

კანონმდებლობა არ აზუსტებს, თუ ვინ შეიძლება იყოს მოწმე (ან პირიქით, ვინ არ შეიძლება იყოს მოწმე). ერთადერთ შემთხვევაში ირიბად მიუთითებს, რომ იგი შეიძლება იყოს 16 წელზე უმცროსი ასაკის პირიც;

კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც მოწმის მონაწილეობა სასამართლო პროცესში სავალდებულო შეიძლება გახდეს. ასე მაგალითად, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონში აღნიშნულია, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გადადოს ან შეაჩეროს საქმის განხილვა, თუ აუცილებელია დამატებით მოწმეთა გამოძახება (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი), ანუ, ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთ შემთხვევებში მოწმის საქმის განხილვაში მონაწილეობა სავალდებულოა. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში პირდაპირ არაფერია ნათქვამი მოწმის ვალდებულებაზე – დაბარების შემთხვევაში გამოცხადდეს სასამართლოში. სასამართლოში მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევას რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტი არეგულირებს. მითითებული ნორმის შინაარსიდან კი არც მოწმის ვალდებულება იკვეთება – დაბარების შემთხვევაში გამოცხადდეს სასამართლოში და არც სასამართლოს უფლებამოსილება ჩანს საჭიროების შემთხვევაში დაადგინოს მოწმის იძულებით მოყვანა. ნიშანდობლივია, რომ „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“

პირდაპირ ადგენს მოწმის სასამართლოში გამოცხადების სავალდებულოებას (145-ე მუხლი). ამდენად, ჩვენი აზრით, მოწმის საკონსტიტუციო სასამართლოში დაბარებისას წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების სრული რეგულირებისათვის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებაა საჭირო;

პრაქტიკაში ჩვენების მიცემამდე საკონსტიტუციო სასამართლო ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებს მოწმეს იმის თაობაზე, რომ ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში დადგება მისი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. თუმცა აღნიშნული პროცედურა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში რეგლამენტირებული არ არის. ორგანული კანონის 32-ე მუხლი ზოგად დებულებას შეიცავს იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მოწმეთა გაფრთხილება ხდება კანონით დადგენილი წესით. სამართალწარმოების პროცესში მონაწილე სხვადასხვა სუბიექტის ჩვენების მიცემამდე გაფრთხილების პროცედურა რეგლამენტირებულია „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტში, თუმცა ამ ნორმაში საუბარია არა მოწმეების, არამედ ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნების გაფრთხილებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონმდებლობაში არ არსებობს ნორმა, რომელიც მოწმეს ჩვენების მიცემამდე სასამართლო დარბაზში ყოფნას აუკრძალავს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ჩვენი აზრით, ასევე კანონმდებლობის ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ.

ვფიქრობთ, კანონმდებლობით ასევე არ არის სრულყოფილად რეგულირებული ექსპერტისა და სპეციალისტის ინსტიტუტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხიც. მაგალითად:

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა არ იძლევა განმარტებას ექსპერტის თუ სპეციალისტის შესახებ, არ აზუსტებს, ვინ შეიძლება იყოს ექსპერტი ან სპეციალისტი. ცხადია, ექსპერტი და სპეციალისტი სხვადასხვა სუბიექტია. თუმცა განსხვავებული აზრის გამოტანა შეიძლება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებიდან. ამ ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო და მისი წევრები უფლებამოსილნი არიან, მოიწვიონ სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად, ანუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ, ამ დებულების მიხედვით, სპეციალისტი არის პირი, რომელიც საექსპერტო სამუშაოს ასრულებს. ცხადია, ამგვარი ფორმულირებიდან რთულია ექსპერტსა და სპეციალისტს შორის რაიმე განსხვავებაზე საუბარი;

ტექნიკური უზუსტობაა, ჩვენი აზრით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში. კერძოდ, აღნიშნული ნორმა ექსპერტს სასამართლოს დახურულ სხდომაზე დასწრების უფლებას ანიჭებს. ამ უფლებით სარგებლობენ მოწმეები და თარჯიმნებიც, ხოლო სპეციალისტის დახურულ სხდომაზე დასწრების უფლებაზე მითითებულ მუხლში არაფერია ნათქვამი;

ექსპერტებსა და სპეციალისტებს სასამართლო ისმენს მხარეთა და მოწმეთა მოსმენის შემდეგ. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა და

სპეციალისტთა დაკითხვამდე სხდომის თავმჯდომარე ადგენს მათ ვინაობას და წერილობით აფრთხილებს მათ ჩვენების მიცემაზე უარისა და წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენებების ან ყალბი დასკვნისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. ვფიქრობთ, მიზანშეწონილია დაზუსტდეს, კანონით გათვალისწინებული რა პასუხისმგებლობა იგულისხმება ამ შემთხვევაში. სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს ექსპერტის ან სპეციალისტის მიერ ჩვენების მიცემაზე უარისთვის პასუხისმგებლობას. ამგვარი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარისთვის (სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლი). გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის თანახმად, დასჯადია სასამართლოში ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა, ხოლო სპეციალისტის ასეთ პასუხისმგებლობაზე არც ამ ნორმაში და არც მთლიანად სისხლის სამართლის კოდექსში არაფერია ნათქვამი. ექსპერტისა და სპეციალისტის პასუხისმგებლობაზე გარკვეული მითითება არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. კერძოდ, 203-ე მუხლი ადგენს, რომ გამოცხადებაზე ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე უარის გამო მათ დაეკისრებათ ფულადი ჯარიმა 500 ლარამდე ოდენობით. თუმცა ვთვლით, რომ სადავოა ამ ნორმის საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში გამოყენება. ყოველივე ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის დაზუსტების მიზანშეწონილობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული ექსპერტის თუ სპეციალისტის გასამრჯელოსთან დაკავშირებული საკითხი, არ არის დადგენილი სტანდარტები და პარამეტრები, რომლებითაც უნდა ფასდებოდეს ექსპერტის თუ სპეციალისტის მიერ გაწეული სამუშაო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, ყოველი ექსპერტის თუ სპეციალისტის მიერ გაწეული სამუშაო, განურჩევლად იმისა, რა დრო დასჭირდა ექსპერტს/სპეციალისტს კონსტიტუციურ სარჩელზე სამუშაოდ, ფასდება ერთნაირად. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხის პრობლემატურობა კიდევ უფრო აქტუალური გახდება საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადასვლის შემდეგ. ცხადია, დაბალი გასამრჯელო შეიძლება გახდეს ექსპერტის თუ სპეციალისტის მიერ საქმის არსებითად განხილვაში მონაწილეობაზე უარის მიზეზი. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლოა კონსტიტუციური მართლმსაჯულების რეალიზების ხელისშემშლელი ფაქტორიც გახდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ გაწეული სამუშაოს შეფასება არა ზოგადად დადგენილი კვოტით უნდა ხდებოდეს, არამედ თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, გაწეული სამუშაოს შესაბამისად.

6. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლებამოსილების მქონე ერთ-ერთი სუბიექტია პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე აღძრული სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე

ცალკეული დეპუტატები უარს ამბობდნენ კონსტიტუციურ სარჩელზე, რის გამოც პარლამენტის წევრთა ჯგუფი 47-ზე ნაკლები რჩებოდა. ასეთ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პარლამენტართა ეს ჯგუფი ვეღარ ჩაითვლება საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტად, რაც განმწესრიგებელი სხდომის სტადიაზე კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღებაზე უარის თქმის, ხოლო არსებითი განხილვის სტადიაზე საქმის შეწყვეტის საფუძველია. 2004 წლის 17 თებერვალს მიღებული საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 245-ე მუხლში განმტკიცდა დებულება, რომლის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წევრთა მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შეტანის შემდეგ მასზე ხელმომწერ პარლამენტის წევრთა მიერ უარის თქმა კონსტიტუციურ სარჩელზე ან წარდგინებაზე არ იწვევს მის განხილვაზე უარის თქმას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საქმის არსებით განხილვამდე მასზე უარს არ იტყვის კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შემტანი ყველა პარლამენტის წევრი“. ამდენად, ამ ნორმის თანახმად, სამართალწარმოების დაწყების შემდეგ, ცალკეული დეპუტატის უარი სარჩელზე (პარლამენტის წევრთა ჯგუფის რაოდენობა 47-ზე ნაკლებიც რომ დარჩეს) ვეღარ გახდება პარლამენტართა ჯგუფის არაუფლებამოსილ სუბიექტად ცნობის საფუძველი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ დათქმას არ ითვალისწინებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მოქმედი კანონმდებლობა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი უნდა იყოს პარლამენტის რეგლამენტის 245-ე მუხლში განმტკიცებული დებულების „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში ან, თუნდაც, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონში ასახვა.

7. 2006 წლის დეკემბრის ცვლილებებამდე კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმსა და კოლეგიას ავალდებულებდა, კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხი გადაეწყვიტათ სარჩელის თუ წარდგინების მათთვის გადაცემიდან შვიდი დღის ვადაში. დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ კი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს პლენუმისა და კოლეგიის მიერ კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის რაიმე კონკრეტულ ვადაში გადაწყვეტის აუცილებლობას, რაც არ მიგვაჩნია გამართლებულად. ჩვენი აზრით, საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის განსახილველი ვადებით შეზღუდვა, თუნდაც იმიტომ, რომ ვადების არარსებობის შემთხვევაში ვინმემ ბოროტად არ ისარგებლოს ამგვარი თავისუფლებით. ამასთან, ჩვენი აზრით, არც შვიდდღიანი ვადა იყო ობიექტურად განსაზღვრული, რადგან რეალურად ეს არ არის საკმარისი სარჩელის თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად. თანაც, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, შვიდ დღეში მხოლოდ განმწესრიგებელი სხდომა თუ დაინიშნებოდა, გადაწყვეტილების მიღებას კი, როგორც წესი, გაცილებით მეტი დრო სჭირდებოდა. ყოველივე აღნიშნულიდან

გამომდინარე, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმსა და კოლეგიას კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად განესაზღვროს 20 ან 30 დღიანი ვადა სარჩელის თუ წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთითთქვენი ვადების დადგენის შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების ე.წ. „პირობითმა“ რეგისტრაციამ შესაძლოა გარკვეული პრობლემები შექმნას. კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად, რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი თუ წარდგინება, განურჩევლად იმისა, გარკვეული პირობით არის იგი რეგისტრირებული თუ უპირობოდ, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელმაც სარჩელი თუ წარდგინება სამი დღის განმავლობაში უნდა გადასცეს კოლეგიის თავმჯდომარეს ან მოსამართლეს. კოლეგიის თავმჯდომარეც, თავის მხრივ, საქმეს გადასცემს მოსამართლეს. იმ პირობებში, როდესაც მოსამართლე შეზღუდული არ არის კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის რაიმე ვადაში გადაწყვეტის ვალდებულებით, სარჩელის ან წარდგინების „პირობით“ რეგისტრაციის შემთხვევაში მას შეუძლია დაელოდოს მოსარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორის მიერ არაარსებითი, ფორმალური უზუსტობის გამოსწორებას და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საკითხის გადაწყვეტას. ცხადია, ფორმალური უზუსტობის გამოსწორებამდე სარჩელის/წარდგინების განსახილველად მომზადების დაწყებას არ აქვს აზრი, რადგან მოსარჩელემ თუ კონსტიტუციური წარდგინების ავტორმა შესაძლოა 15 დღის განმავლობაში არ გამოასწოროს უზუსტობა, ეს კი, კანონმდებლობის თანახმად, სარჩელის ან წარდგინების რეგისტრაციის გაუქმებას იწვევს. ამდენად, ერთი მხრივ, კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის კონკრეტულ ვადაში გადაწყვეტის სავალდებულო პირობის არარსებობის შემთხვევაში „პირობითი“ რეგისტრაციის პროცედურა არ წარმოშობს რაიმე პრობლემებს, თუმცა, მეორე მხრივ, მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობა საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად კონკრეტულ ვადას უნდა ადგენდეს. ამ შემთხვევაში კი, ცხადია, „პირობითი“ რეგისტრაციის პროცედურა გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს. ამიტომ, ჩვენი აზრით, კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების რეგისტრაციამდე საქმის მასალების შემოწმებისას მათში თუნდაც არაარსებითი, ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელი თუ წარდგინება რეგისტრაციაში არ უნდა ტარდებოდეს. მოსარჩელეს, კონსტიტუციური წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გამოასწორონ უზუსტობა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იყოს შესაძლებელი სარჩელის ან წარდგინების რეგისტრაცია.

8. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სხდომის დარბაზში.“ 22-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში

საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებასა და საოქმო ჩანაწერზე. ამასთან, ვინაიდან მითითებული ნორმა არანაირ დათქმას არ შეიცავს, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ეს დებულება ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც განჩინება და საოქმო ჩანაწერი მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებულ განმწესრიგებელ სხდომაზე. აღნიშნულის საპირისპიროდ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას განჩინება და საოქმო ჩანაწერი არ ცხადდება სხდომის დარბაზში. ამდენად, ამ შემთხვევაში შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. მიგვაჩნია, რომ ვინაიდან, ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული განმწესრიგებელი სხდომის „გადაწყვეტილება“ არ უნდა ცხადდებოდეს სხდომის დარბაზში, ამიტომ შესაბამის დათქმას უნდა შეიცავდეს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ხოლო 29-ე მუხლში არსებული ჩანაწერი უნდა იყოს ამ ნორმიდან ამოღებული. ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ 29-ე მუხლი შედის თავში, რომელიც საქმის არსებითად განხილვასა და გადაწყვეტას ეხება, რის გამოც მასში განმწესრიგებელი სხდომის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხის განმტკიცება არ მიგვაჩნია გამართლებულად.

კვლევის პროცესში ასევე გამოვლინდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს“ შესახებ ორგანულ კანონსა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების“ შესახებ კანონებში არსებული ზოგიერთი ტექნიკური ხასიათის უზუსტობა, რომელთა გამოსწორება, ჩვენი აზრით, ასევე მიზანშეწონილი უნდა იყოს. კონკრეტულად კი:

1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „კომპეტენციის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების მიღებისთანავე საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელის ან წარდგინების ასლს გადაუგზავნის“ სხვადასხვა სუბიექტს. ჩვენი აზრით, ამ ნორმაში უზუსტობაა. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა კომპეტენციური დავის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მხოლოდ კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ეს გამომდინარეობს თავად 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან, რომელშიც მხოლოდ კონსტიტუციური სარჩელია ნახსენები და იმავე მუხლის მე-2 პუნქტიდან, რომელშიც მხოლოდ მოსარჩელესა და მოპასუხეზეა მითითებული. გარდა ამისა, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს მხოლოდ ოთხ შემთხვევას, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება კონსტიტუციური წარდგინება. მათში კომპეტენციის შესახებ დავა არ მოიაზრება. ამდენად, ჩვენი აზრით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვები – „ან კონსტიტუციური წარდგინების“ და „ან წარდგინების“.

2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია უფლებამოსილია განიხილოს

კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება, სულ ცოტა, სამი წევრი.“ ამდენად, აღნიშნული მუხლიდან გამომდინარეობს, რომ კოლეგია უფლებამოსილია განიხილოს კონსტიტუციური წარდგინება. ეს კი, ჩვენი აზრით, შეცდომაა, რადგან კანონმდებლობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ კოლეგია კონსტიტუციური წარდგინების განხილვის უფლებამოსილებით არ არის აღჭურვილი. კერძოდ, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რა საკითხებზე შეიტანება კონსტიტუციური წარდგინება. აღნიშნული ნორმა კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საქმის დაწყების ოთხ შემთხვევას ითვალისწინებს. კერძოდ, როდესაც საქმე ეხება: 1) საქართველოს პრეზიდენტისა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხს; 2) საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ნორმატიულ აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს; 3) იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხს, რომლებიც ექვემდებარებიან რატიფიცირებას; 4) საერთო სასამართლოს მიმართვას საკონსტიტუციო სასამართლოსადმი, საქმეში გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების თაობაზე. ორგანული კანონის 21-ე მუხლის 1-ლი–მე-3 პუნქტების თანახმად კი, დგინდება, რომ ზემომითითებულ ოთხივე საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. ამდენად, ჩვენი აზრით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 45-ე მუხლის 1-ლ პუნქტში არსებული უზუსტობის გამოსასწორებლად ამ ნორმიდან ამოღებული უნდა იქნეს სიტყვები: „ან კონსტიტუციური წარდგინება“.

3. ზემომითითებული შენიშვნის მსგავსი უზუსტობა, ჩვენი აზრით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21 მუხლის 1-ლ პუნქტშიც არსებობს. კერძოდ, აღნიშნულ ნორმაში მითითებულია რომ: „თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია კონსტიტუციურ სარჩელთან ან კონსტიტუციურ წარდგინებასთან მიმართებით განსხვავდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისაგან, ის საქმეს გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.“ საკონსტიტუციო სასამართლოში რომც შევიდეს კონსტიტუციური წარდგინება, რომლის მსგავსი შინაარსის მქონე კონსტიტუციური წარდგინება ადრე არ იქნა განსახილველად მიღებული, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია ვერ იმსჯელებს მის არსებითად განსახილველად მიღებაზე, რადგან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კონსტიტუციურ წარდგინებას იხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. ამდენად, ჩვენი აზრით, 21 მუხლის 1-ლი პუნქტიდან ამოსადებია სიტყვები: „...ან კონსტიტუციურ წარდგინებასთან...“.

4. ჩვენი აზრით, დაზუსტებას საჭიროებს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო ორო წინადადება. კერძოდ, მათში აღნიშნულია, რომ

კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების პროექტი გადაეცემა პლენუმის ან კოლეგიის თავმჯდომარეს, რის შემდეგაც კოლეგიის თავმჯდომარე ვალდებულია, პროექტი გადასცეს კოლეგიის წევრებს, ხოლო პლენუმის თავმჯდომარის ვალდებულებაზე – გადასცეს პროექტი პლენუმის წევრებს – არაფერია ნათქვამი. ასევე, მითითებული ნორმის ბოლო წინადადიდან არ ჩანს, რომ თუ პლენუმის წევრი არ ეთანხმება განმწესრიგებელ სხდომაზე გასატან პროექტს, მას აქვს უფლება – წარადგინოს თავისი პროექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო ორი წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „პროექტი საქმის მასალებთან ერთად გადაეცემა პლენუმის ან შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარეს, რომელიც უზრუნველყოფს განმწესრიგებელ სხდომამდე სულ ცოტა 2 დღით ადრე პლენუმის ან კოლეგიის წევრებისთვის მათ გადაცემას. თუ პლენუმის ან კოლეგიის რომელიმე წევრი არ ეთანხმება განმწესრიგებელ სხდომაზე გასატან პროექტს, მას უფლება აქვს წარადგინოს თავისი პროექტი“.

5. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლის დანიშვნა სავალდებულოა, თუ „კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შემტანი პირი მოთავსებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში“. ამ ნორმაში, ჩვენი აზრით, დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირი საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით ვერ მიმართავს. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მითითებული ნორმიდან სიტყვების – „ან კონსტიტუციური წარდგინების“ – ამოღება.

6. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „თუ მიღებულია საოქმო ჩანაწერი ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ, იმართება განმწესრიგებელი სხდომა.“ ჩვენი აზრით, ამ ნორმაში უზუსტობებია. კერძოდ: აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ განმწესრიგებელი სხდომა მხოლოდ შესაბამისი საოქმო ჩანაწერის მიღების შემთხვევაში იმართება. როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტა ყოველთვის განმწესრიგებელ სხდომაზე ხდება. თუმცა განმწესრიგებელი სხდომა შეიძლება ჩატარდეს ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით. ჩვენი აზრით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის ზემომითითებულ დებულებაში კანონმდებელი მოიაზრებს, რომ, თუ მიღებულია საოქმო ჩანაწერი ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ, განმწესრიგებელი სხდომა იმართება ზეპირი მოსმენით, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვევს მოსარჩელეს, წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს. ამდენად, ვფიქრობთ, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-

17 მუხლის მე-4 პუნქტში სიტყვები: „იმართება განმწესრიგებელი სხდომა“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით: „განმწესრიგებელი სხდომა იმართება ზეპირი მოსმენით;“

7. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხზე შეტანილი კონსტიტუციური წარდგინება ხელმოწერილი უნდა იყოს წარდგინების ავტორთა მიერ (თუ წარდგინების ავტორი საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფია, მათი ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს ამ კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით აღნიშნული წესით). ჩვენი აზრით, ამ ნორმის ფრჩხილებში გაკეთებული შენიშვნა დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხზე შეტანილი კონსტიტუციური წარდგინების ავტორი ყოველთვის საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფია. პირველ შემთხვევაში, ეს არის „საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი“ (ორგანული კანონის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), ხოლო მეორე შემთხვევაში – „საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი“ (ორგანული კანონის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ანუ, ამ დებულებაში სიტყვა „თუ“ ზედმეტია. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, ფრჩხილებში გაკეთებული დებულება იმის შესახებ, რომ პარლამენტის წევრთა ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს იმავე კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით აღნიშნული წესით, არ არის კანონმდებლობასთან შესაბამისი, რადგან მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, როგორ უნდა დამოწმდეს წარმომადგენლის რწმუნებულება. რაც შეეხება პარლამენტის წევრთა ჯგუფის კონსტიტუციურ წარდგინებაზე ხელმოწერათა დამოწმების წესს, ეს აღწერილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 246-ე მუხლით.

8. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ „მოსარჩელის მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს კონსტიტუციურ სარჩელთან/წარდგინებასთან ერთად, ან მოსარჩელის მიერ კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების განსახილველად მიღების თაობაზე საოქმო ჩანაწერის მიღებიდან 10 დღეში.“ ამ ნორმიდან ამოსაღებია სიტყვები „წარდგინებასთან“ და „წარდგინების“, რადგან მოსარჩელეს მხოლოდ კონსტიტუციური სარჩელით შეუძლია სასამართლოს მიმართოს, ხოლო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტი კონსტიტუციური წარდგინების ავტორია (მსგავსი უზუსტობაა დაშვებული ორგანული კანონის 27 მუხლის მე-4 პუნქტშიც). გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ზოგადი წესის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ წარდგინებებს არსებითად განიხილავს წარდგინების ავტორთა და მათ

წარმომადგენელთა გარეშე, ანუ, ჩვენი აზრით, ეს კონსტიტუციური წარდგინებების ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას გულისხმობს. ამდენად, 27 მუხლში კონსტიტუციური წარდგინებების არსებითად ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე დამატებითი მითითებები საერთოდ არ არის საჭირო.

9. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ აბსტრაქტული კონტროლის ობიექტი შეიძლება გახდეს საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტი. იმავე მუხლის მე-2 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ „...მოპასუხეა ის ორგანო, რომლის...“. ვინაიდან, პრეზიდენტი სახელმწიფო თანამდებობის პირია, ჩვენი აზრით, მეტი სიზუსტისთვის მიზანშეწონილი უნდა იყოს 33-ე მუხლის მე-2 პუნქტში შემდეგი ჩანაწერის გაკეთება – „...მოპასუხეა ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომლის...“.

ანალოგიური შენიშვნა შეიძლება გამოითქვას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის მიმართაც. კერძოდ, მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომპეტენციური დავის დროს მოპასუხე მხოლოდ სახელმწიფო ორგანო შეიძლება იყოს, ანუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტი მოპასუხე ვერ იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვა „ორგანო“ უნდა შეიცვალოს სიტყვათწყოებით – „ორგანო/თანამდებობის პირი“.

10. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ „კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების თაობაზე დასკვნა მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენუმის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი“. ამ ნორმაში არაფერია ნათქამი კონსტიტუციურ წარდგინებაზე, რომელზეც მიიღება „გადაწყვეტილება“. ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ორ შემთხვევაში კონსტიტუციურ წარდგინებაზე საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი უნდა იყოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგნაირად ჩამოყალიბება: „კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება დაკმაყოფილებულად, ხოლო ...“.

11. რეგლამენტის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ საოქმო ჩანაწერი/განჩინება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე მოსამართლეთა ნახევარზე მეტი. იმავე ნორმაში განმტკიცებულია, რომ „თუ ხმები თანაბრად გაიყო, საოქმო ჩანაწერი/განჩინება მიღებულად არ ითვლება“. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი დებულება კანონმდებლობაში ხარვეზს წარმოშობს. ასე მაგალითად, აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს, რომ, თუ კოლეგია, რომლის შემადგენლობაში ოთხი მოსამართლეა, კენჭს უყრის განჩინების პროექტს და ორი მოსამართლე განჩინების მიღების მომხრეა, ხოლო მეორე ნაწილი – საოქმო ჩანაწერის, განჩინება მიღებულად არ ჩაითვლება, ანუ ლოგიკურად ეს ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში

კოლეგია ვალდებულია მიიღოს საოქმო ჩანაწერი. ჩვენი აზრით, ამ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არასწორია.

რეგლამენტის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ წესს, თავის მხრივ, იმავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები განაგრძობენ. კერძოდ, თუ მომხსენებელი მოსამართლის მიერ წარდგენილი საოქმო ჩანაწერის პროექტს მხარი არ დაუჭირა მოსამართლეთა საკმარისმა რაოდენობამ, ის მოსამართლეები, რომლებმაც პროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ადგენენ განჩინებას კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის შესახებ, ხოლო თუ მოსამართლეთა საჭირო რაოდენობამ მხარი არ დაუჭირა მომხსენებელი მოსამართლის მიერ წარდგენილ განჩინების პროექტს, ამ შემთხვევაში მოსამართლეები, რომლებმაც პროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ადგენენ საოქმო ჩანაწერს კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შესახებ. ცხადია, ეს პროცედურა გამართლებული მხოლოდ მაშინ არის, როდესაც საოქმო ჩანაწერის ან განჩინების პროექტს მხარს არ უჭერს მოსამართლეთა უმრავლესობა, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ამ პროცედურის რეალიზება, ჩვენი აზრით, ვერ მიგვიყვანს ლოგიკურ სამართლებრივ შედეგამდე.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „თუ კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდება“. ჩვენი აზრით, ანალოგიური შინაარსის მქონე დებულების საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 30-ე მუხლში განმტკიცებით შესაძლებელი გახდება ზემოთ მითითებული ხარვეზის შევსება. კერძოდ, რეგლამენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ, თუ სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისას პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე მოსამართლეთა ხმები თანაბრად გაიყო, სარჩელი/წარდგინება არსებითად განსახილველად არ მიიღება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიორგაძე გ., თორდია ვ., ხმალაძე ვ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2001;
2. დემეტრაშვილი ა., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის შესავალი სიტყვა საერთაშორისო სემინარზე – „კონსტიტუციური კონტროლი ფედერალურ და უნიტარულ სახელმწიფოებში“, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2000, №1;
3. დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2008;
4. ერემოვი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის თებერვლის კონსტიტუცია, ჟურნ. „სამართალი“, 1992, №10-11;
5. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007;
6. იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005;
7. კვერენხილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბ., 1997;
8. კონსტიტუციური სამართალი (სახელმძღვანელო), პასუხ. რედ. ა.დემეტრაშვილი, თბ., 2005;
9. კოჭლამაზაშვილი ბ., საკონსტიტუციო კონტროლი საბჭოთა კავშირში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, №2;
10. მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბ., 1996;
11. მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბ., 2005;
12. მელქაძე ო., საკონსტიტუციო თვითშემოქმედება გრძელდება!, გაზ. „24 საათი“, 2004, 24 ივნისი;
13. მელქაძე ო., საკონსტიტუციო ქართველოლოგიის საშიშროება!? თბ., 2005;
14. მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი“ – ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, №1;
15. მელქაძე ო., საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხისთვის, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2001, მეორე კვარტალი;
16. მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, თბ., 1996;
17. მელქაძე ო., დვალი ბ., საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენცია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1999, №3;
18. მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, თბ., 1994, წიგნი XI;
19. საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები, თბ., 2005;
20. სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბ., 1991, გვ. 197-198.
21. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), მთავარი რედ. არნ. ჩიქობავა;
22. შარაშიძე მ., პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოში, საარჩევნო უფლებებისა და პოლიტიკური გაერთიანების თავისუფლების დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოში (საერთაშორისო კონფერენციის მასალები), თბ., 2006;
23. შვარცი პ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, 2003;
24. შუმანაშვილი ა., იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2000;

25. ცნობილაძე პ., კონსტიტუციური კონტროლი და კონსტიტუციური ზედამხედველობა, ჟურნ. „სამართალი“, 1992, №1;
26. ცნობილაძე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ. 1 (სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის), თბ., 2004;
27. ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №3;
28. ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2002, №4;
29. ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიზეზები და მიზნები, კონფერენცია – „ცვლილებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში და კანონის უზენაესობის ახალი პერსპექტივები“, (სტენოგრაფიული ანგარიში), ბაკურიანი, 2002, 9-11 მაისი.
30. ჯინჯოლავა ზ., ხელისუფლების დანაწილების თეორია და საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია, ჟურნ. „სამართალი“, 1994, №5-6;
31. ჯორბენაძე ს., კნიპერი რ., ჭანტურია ლ., სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994;
32. Автономов А.С., Сивицкий В.А., Черкасов А.И., Конституционное (государственное) право зарубежных стран, М., 2003;
33. Алебастрова И.А., Конституционное (государственное) право зарубежных стран, М., 2000;
34. Бланкенагель А, Теория и практика конституционного контроля в ФРГ, журн. Советское государство и право, 1989. №1;
35. Боботов С.В., Конституционная юстиция (сравнительный анализ), М., 1994;
36. Бриксов В.В., Конституционный Суд России и законы о конституционных поправках, журн. Академический юридический журнал, 2001, №4 (6) (октябрь-декабрь);
37. Виноградов В.А. Понятие и особенности конституционно-правовой ответственности: Проблемы России, опыт зарубежных стран, М., 2003;
38. Витрук Н.В., Конституционное правосудие в России (1991-2001 гг.) Очерки теории и практики, М., 2001;
39. Витрук Н.В., Конституционное правосудие, М., 1998;
40. Дябло В., Конституционный контроль законов за границей и в СССР, журн. Советское право, 1925, №3 (15);
41. Еременко Ю.П., Контроль за конституционностью законов в СССР, журн. Труды Высшей следств. школы МВД СССР, Волгоград, 1969, Вып.1;
42. Еременко Ю.П., Советская Конституция и законность, Саратов, 1982;
43. Ильинский И.П., Щетинин Б.В., Конституционный контроль и охрана конституционной законности в социалистических странах, журн. Советское государство и право, 1969, №9;
44. История политических учений, под ред. О.В. Мартышина, М., 2002;
45. Керимов Д.А., Обеспечение законности в СССР, М., 1956;
46. Клишас А.А., Конституционная юстиция в зарубежных странах, М., 2004;
47. Конституционный контроль в зарубежных странах (учебное пособие), отв. ред. Маклаков В.В., М., 2007;
48. Конституционное (государственное) право зарубежных стран, отв. ред. Б.А. Стращун, М., 1995, Т.2;
49. Конституционное право зарубежных стран, под. общей ред.: М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, М., 2002;
50. Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии, отв. ред. М.А. Митюков, М., 1998;
51. Конституционный строй России (выпуск четвертый), отв. ред. Ю.Л. Шульженко, А.Н. Лебедев, М., 2003;

52. Конституционный судебный процесс (учебник для вузов), отв. ред. М.С. Саликов, М., 2003;
53. Коток В.Ф., Конституционная законность, конституционный надзор и конституционный контроль в СССР, журн. Вопросы советского государственного (конституционного) права. Иркутск, 1971(72), Вып.12, Ч.2. Т.81;
54. Кряжков В.А., Лазарев Л.В., Конституционная юстиция в Российской Федерации, М., 1998;
55. Лучин В.О., Конституционные деликты, журн. Государство и право, 2000, №1;
56. Лучин В.О., Конституция Российской Федерации, проблемы реализации, М., 2002;
57. Маклаков В.В., Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах, М., 1988;
58. Маклаков В.В., Конституционный контроль в странах-членах европейского союза, М., 1995;
59. Марченко М.Н., Теория государства и права, 2-е издание, М., 2003;
60. Медушевский А.Н., Сравнительное конституционное право и политические институты (курс лекций), М., 2002;
61. Ментешашвили А.М., Октябрьская революция и национально-освободительное движение в Грузии, 1917-1921, Тб., 1987;
62. Насырова Т.Я., Конституционный контроль, Казань, 1992;
63. Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах, М., 1968;
64. Общая теория государства и права, отв. ред. М.Н. Марченко, Т.3, М., 2002;
65. Овсепян Ж.И., Судебный конституционный контроль в зарубежных странах: правовая защита конституции, Ростов-на-дону, 1992;
66. Окуньков Л.А., Рошин В.А., Вето Президента, Научно-практическое пособие, М., 1999;
67. Сравнительное конституционное право, отв. ред. В.Е. Чиркин, М., 2002;
68. Федерализм. Теория. Институты. Отношения (сравнительно-правовое исследование), отв. ред. В.Н. Топорнин, М., 2001;
69. Шариф М.А. О правовой охране Конституции, журн. Теоретические вопросы реализации Советской Конституции, М., 1982;
70. Шульженко Ю.Л., Введение, журн. Правовая охрана Конституции (сборник обзоров), отв. ред. М.Г. Мойсеенко, М., 1991;
71. Шульженко Ю.Л., Конституционный контроль в России, М., 1995;
72. Шульженко Ю.Л. О понятии «правовая охрана конституции» // Государство и право. 2002, №7;
73. Чиркин В.Е., Конституционное право зарубежных стран, М., 2002;
74. Чиркин В.Е., Конституционное право: Россия и зарубежный опыт, М., 1998;
75. Чиркин В.Е., Органы конституционного контроля: Россия и международный опыт, журн. Журнал Российского права, 1998, №4/5;
76. Хабриева Т.Я., Правовая охрана Конституции, Казань, 1995;
77. Хрестоматия по российскому конституционному праву, составитель Е.М. Ковешников, М., 2001;
78. Abernathy M., Glenn Civil Liberties under the Constitution, 5 th. ed., University of South Carolina Press, 1989;
79. Black's Law Dictionary, Eighth edition, editor in chief Bryan A. Garner, 2007;
80. Bonnet J., Le juge ordinaire français et le contrôle de la constitutionnalité des lois, Analyse critique d'un refus, ed. Dalloz, 2009;
81. Droit constitutionnel, Eric Oliva, 5^e edition, 2006;
82. English-Russian law dictionary, 3rd revised edition, Andrianov S.N., Berson A.S., Nikiforov A.S., М., 2000;
83. English-Russian comprehensive law dictionary, first edition, Mamulyan A., Kashkin S., М., 1993;
84. Fromont M., La justice constitutionnelle dans le monde, P., 1996;

85. Kelsen H. La garantie juridictionnelle de la Constitution, Revue du droit public et de la science politique en France, P., 1928, №2;
86. Lavroff D., Le systeme politique francais, La V Republique, quatrieme edition, Dalloz, Paris, 1986;
87. Marcou J. Justice constitutionnelle et systemes politiques. Presse Universitaires de Grenoble, 1997;
88. Rousseau D. La justice constitutionnelle en Europe, 3-e éd., 1998;
89. Roblot-Troizier A., Contrôle de constitutionnalité et normes visées par la Constitution française, Recherches sur la constitutionnalité par renvoi, ed. Dalloz, 2006;
90. Troper M., Marshall, Kelsen, Barak and the constitutionalist fallacy, Oxford University Press and New York University School of Law 2005, I-CON, Volum 3, Number 1, 2005;
91. Witt E., Congressional Quarterly's Guide to the U.S. Supreme Court, Second edition, Congressional Quarterly Inc., Washington, D.C., 1990;

გამოყენებული ნორმატიული და საერთაშორისო აქტები

კონსტიტუციები:

92. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია;
93. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია;
94. საქართველოს სსრ-ის 1922, 1927, 1937, 1978 წლების კონსტიტუციები;
95. სსრკ-ის 1924, 1936, 1977 წლების კონსტიტუციები;
96. ამიერკავკასიის სფსრ-ის 1925 წლის კონსტიტუცია;
97. აჭარის ავტონომიური სსრ-ის 1938 წლის კონსტიტუცია;
98. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;
99. ავსტრიის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
100. უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
101. ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
102. პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
103. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია;
104. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი;
105. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია;
106. საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
107. თურქმენეთის კონსტიტუცია;
108. ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
109. ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
110. ბელორუსის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
111. მოლდავეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
112. ყირგიზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
113. ტაჯიკეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
114. უკრაინის კონსტიტუცია;
115. ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
116. ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
117. საბერძნეთის კონსტიტუცია;
118. პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
119. სამხრეთ აფრიკის კონსტიტუცია;
120. ეკვადორის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
121. ირანის კონსტიტუცია;
122. მოზამბიკის კონსტიტუცია;
123. რუმინეთის კონსტიტუცია;
124. იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუცია;

125. ესპანეთის სამეფოს კონსტიტუცია;
126. ბულგარეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
127. ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
128. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
129. სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
130. ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
131. თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
132. სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
133. სლოვენის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
134. იუგოსლავიის საკავშირო კონსტიტუცია;
135. მონღოლეთის კონსტიტუცია.

კონსტიტუციური და ორგანული კანონები, კანონები:

136. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“, 2004 წლის 1 ივლისი;
137. საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, 2005 წლის 27 დეკემბერი;
138. საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში დამატებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, 2000 წლის 20 აპრილი;
139. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, 2002 წლის 14 ოქტომბერი;
140. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996 წლის 31 იანვარი;
141. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, 2002 წლის 12 თებერვალი;
142. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2006 წლის 29 დეკემბერი;
143. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“, 1999 წლის 12 მაისი;
144. საქართველოს ორგანული კანონი „იმპინჩენტის შესახებ“, 1997 წლის 11 ნოემბერი;
145. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 1997 წლის 13 ივნისი;
146. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, 1997 წლის 31 ოქტომბერი;
147. საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, 1996 წლის 21 მარტი;
148. საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2006 წლის 29 დეკემბერი;
149. საქართველოს კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“, 1996 წლის 25 ივნისი;
150. საქართველოს კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ“, 2007 წლის 4 ივლისი;
151. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 1996 წლის 29 ოქტომბერი;

152. საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, 2004 წლის 11 თებერვალი;
153. საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, 1997 წლის 16 ოქტომბერი;
154. საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“, 1997 წლის 15 აპრილი;
155. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 1995 წლის 23 ივნისი;
156. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 2001 წლის 20 ივნისი;
157. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 2004 წლის 17 თებერვალი;
158. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 1997 წლის 17 ოქტომბერი;
159. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, 2002 წლის 19 აპრილი;
160. სსრკ-ის 1988 წლის 1 დეკემბრის კანონი „სსრკ-ის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;
161. სსრკ-ის 1989 წლის კანონი „სსრკ-ში საკონსტიტუციო ზედამხედველობის შესახებ“;
162. საქართველოს სსრ-ის 1989 წლის 18 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;
163. საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 14 ნოემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“;
164. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, 1991 წლის 9 აპრილი;
165. საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 აპრილის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;
166. საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“;
167. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918 წლის 26 მაისი;
168. საქართველოს სენატის დებულება, 1919 წლის 29 ივლისი;
169. რუსეთის ფედერალური კონსტიტუციური კანონი „რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“;

საერთაშორისო აქტები:

170. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი;
171. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი;
172. საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აქტები:

173. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის განჩინება, საქმე №1/1/72-73, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ;

174. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2001 წლის 6 თებერვლის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, საქმე №2/134-139-140-142-151/1, შურნ. ადამიანი და კონსტიტუცია, 2001, №1;
175. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის განჩინება, საქმე №1/3/99, თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება;
176. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 მაისის განჩინება, საქმე №2/49/1, ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს წარდგინება;
177. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის განჩინება, საქმე №1/6/115, ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება;
178. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის განჩინება, საქმე №1/8/116, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება;
179. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის განჩინება, საქმე №1/8/90, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება;
180. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №1/51, ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება;
181. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 მარტის განჩინება, საქმე №1/2/122,134,139,140, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
182. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის განჩინება, საქმე №2/1/181, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
183. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №1/2/378, საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
184. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის განჩინება, საქმე №2/2/394, საქართველოს მოქალაქე ბადრი ნანეტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
185. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 თებერვლის განჩინება, საქმე №2/5/211, საქართველოს მოქალაქე სერგო რიგვავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
186. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 5 ივნისის განჩინება, საქმე №2/159/1, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის, (სულ 91 დეპუტატი) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის ქმედების კონსტიტუციურობის დადგენის მოთხოვნით;
187. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე – „თურქეთის კომუნისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ“, №133/1996/752/951 (CASE OF UNITED COMMUNIST PARTY OF TURKEY AND OTHERS v. TURKEY);

საკანონმდებლო აქტების კრებულები:

188. საერთაშორისო სამართალი, საკანონმდებლო აქტების კრებული, თბილისი, 2001;
189. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილები I, II, III, პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ., 2004, 2005, 2006;
190. სასამართლო ხელისუფლება საქართველოში (საკანონმდებლო აქტების კრებული), თბ., 2002;

191. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, რედ. ვ. შარაშენიძე, თბ., 1990;
192. საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები (საქართველოს იუსტიციის საბჭო), თბ., 1998;
193. საქართველოს კანონთა წიგნი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური გამოცემა), ტ. I, საკონსტიტუციო კანონმდებლობა, თბ., 2003;
194. საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, პასუხისმგ. ჯ. ხეცურიანი, თბ., 2002, 2005, 2006;
195. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ, გამომც. იურიდიული ფირმა „ბონაკაუზა“, თბ., 2005;
196. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა (ნორმატიული აქტების კრებული), გამომც. იურიდიული ფირმა „ბონაკაუზა“, თბ., 2001;
197. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 1996-1997 პასუხისმგ. ჯ. ხეცურიანი, თბ., 2002;
198. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2004, პასუხისმგ. ჯ. ხეცურიანი, თბ., 2005;
199. საქართველოს სამართალდამცავი, უფლებადამცავი, სასამართლო და მაკონტროლებელი ორგანოები (კანონთა კრებული), გამომც. იურიდიული ფირმა „ბონაკაუზა“, თბ., 2004;
200. საქართველოს სახელმწიფო სამართალი (საკანონმდებლო აქტების კრებული), გამომც. „ბონაკაუზა“ თბ., 2004;
201. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), შემდგენელი გ. ერემოვი, თბ., 1983;
202. Конституции государств Европы (в трёх томах), под общей ред. Л.А. Окунькова, М., 2001, Т.1, 2,3;
203. Конституции зарубежных стран (сборник), сост. Дубровин В.Н., М., 2003;
204. Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии (Сборник нормативных актов), отв. ред. М.А. Митюков, М., 1998.